

K 104.381

3

0 336570
0000000000

ԳՈՅԱ

K 104. 381-4/3



გამომცემდა
„საბჭოთა მწერაღი“

ଓମ୍ବାରାମ
ପାତ୍ରପାତ୍ର

ଅନ୍ତର୍ଗତିରେ
କାହାରେ
କାହାରେ

ଶରୀରରେ କାହାରେ



ပုဂ္ဂနိုင်

မြန်မာမြတ်စွာအန်

မြန်မာမြတ်စွာ
မြန်မာမြတ်စွာ
မြန်မာမြတ်စွာ



၁၃. နာရီအမြင်ပေါ်နှင့် စုစုပေါင်းမြတ်စွာ
မြန်မာမြတ်စွာ

« မြန်မာမြတ်စွာ အနေဖြင့် »

၁၄ မြန်မာမြတ်စွာ ၬ၃

ଫ 1
899.962.1
୩ 123

XVIII ସାହେବଙ୍କିର ପାତାରେ ଲାଖାରୀର ପାତାରେ ଲାଖାରୀର
ପାତାରେ (ଶ୍ରୀବାରାଣୁନ ଶାଶ୍ଵତପାତାରେ) ତଥାପି ପାତାରେ ପାତାରେ
ପାତାରେ, ରାମପାତାରେ ଶ୍ରୀବାରାଣୁନ ପାତାରେ ପାତାରେ, ପାତାରେ
ପାତାରେ ପାତାରେ ପାତାରେ, ପାତାରେ ପାତାରେ ପାତାରେ, ପାତାରେ
ପାତାରେ ପାତାରେ ପାତାରେ ପାତାରେ ପାତାରେ ପାତାରେ ପାତାରେ

K104.384
3

ଶାଶ୍ଵତପାତାରୀ
ପାତାରେ
ପାତାରେ
ପାତାରେ

გესარიონ გაგაშვილი

XVIII საუკუნის გამოჩენილი ქართველი პოეტი და სახელმწიფო მოღვაწე ბესარიონ გაბაშვილი მწერლობაში უფრო ცნობილია ბესიეს სახელმწოდებით. იგი იყო შვილი თეიმურაზ მეორის (1700—1762) ქარის მოძღვრისა და საკმაოდ ცნობილი მწერლის ზაქარია გაბაშვილისა (1707—1783). დაბადებულია ბესიე 1750 წელს¹. მომავალი პოეტი იშრდებოდა მამის ხელმძღვანელობით. ბესიე 13—14 წლის ყმაწევილი იყო, როდესაც მოძღვრის ოჯახს თავს დაატყდა დიდი უბედურება. ზაქარიას მწვავე კონფლიქტი ჰქონდა კათალიკოს ანტონ პირველთან (1720—1788) საეკლესიო-დოგმატიკური საკითხების ნიაღაგზე. პირველ ზანებში გამარჯვება მოიპოვეს ზაქარიამ და იმისმა დასმა. კათოლიციზმისადმი მიღრეკილებაში შენიშვნული ანტონი საეკლესიო კრებამ თანამდებობიდან გადააყენა (1755 წ.). ანტონი რუსეთში გაემგზავრა და იქ სინოდის წინაშე სცადა თავის მართლება. როგორც ჩანს, ანტონის წინააღმდეგ ბრძოლაში ზაქარიას თანაუგრძნობდა და მხარს უჭერდა მხოლოდ მეცე თეიმურაზი, ერეკლე კი არა. თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ (1762) ერეკლემ ანტონი რუსეთიდან გამოიწია და ძველ უფლებებში აღადგინა. ეს კი ნიშნავდა ზაქარიას დამარცხებას. ზაქარიას მაინც არ დაუხვია უკან და ბრძოლა განუახლება, გადასულა იმერეთში და იქ მომხრების ძებნას შესდგომია. 1764 წლის საეკლესიო კრებამ ზაქარია განკვეთა მღვდლობისაგან, შეაჩვენა და დაწყევდა. მასთან ერთად შეუჩვენებიათ მისი უფროსი სრულწლოვანი შვილი იოსები. ზაქარიას პეტონია მონანიების საშუალება, მაგრამ იგი

¹ გ. ლეონიძე, ბესიე, თბ. 1953, გვ. 116, შენ. 2; ვ. ბუჩაძე, ბესიე, ბესიეს დაბადების თარიღი (მიმომხილველი, II, 1951, 83, 477 — 479).

გაჯიუტებულა და „მიერითგან უკეთურესთა საქმეთა მოქმედი დი“ გამხდარა. ერეკლეს განკარგულებით ზაქარია ერთხანს საცყრიბილეში მჯდარა, ბოლოს მისთვის ჩამოურთმევიათ ქონება, წაუგვრიათ ოჯახის წევრები (ცოლი და რვა შვილი) და ხელცარიელი გაუძევებიათ საქართველოდან¹. ეს ამბავი მომხდარა 1767 წელს. გიორგი ბატონიშვილისადმი მიმართულ ეპისტოლეში² ზაქარია ამბობს:

მოიპარსა რა ნიკაბი, მით უარესყავ დიდი პაპი.
აღმაფრინეს ვით რომ ლაპი, აღმათრიცეს მწვირე ტლაპი;
რაც მებადა, უკვე ს ხლაპი, გამომაძეს შაშვილ
ლლაპი.

შე მტირალს ქართლი გამომარეს,
უკედრება-გმობა ზედ დამაყარეს,
შე ულლას წართმას არ მიმაკმარეს,
შვილნი რვანიცა ერთფამ წამგვარეს.

მეტად მძიმე უნდა ყოფილიყო ნამოძღვრალის დარბეულა-აწიოკებული ოჯახის მდგომარეობა. ეტყობა, ბესიკი სამეფო კარზე გადაიყვანეს, იგი ჩაურიცხავთ ლევან ბატონიშვილის ამაღაში. ბესიკი დაახლოებისა სასახლის წრეებს, მას კავშირი და მეგობრობა პქონია იმდროინდელ ბევრ გამოჩენილ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწესთან. განსაკუთრებით ახლოს ყოფილა ჭაბუკი პოეტი ერეკლე მეორის სიძესთან, სარდალ და-გით ორბელიანთან და განთქმულ მწიგნობარსა და პედაგოგ დავით ალექსი-მესხიშვილთან (რექტორთან). ბესიკს თურმე პატივისცემით ეპყრობოდა თვითონ მეცე ერეკლე. წარმოსა-ლეგს, ახოვანს, განათლებულსა და ნიჭიერ მგოსანს დიდი წარმატებისათვის მიუღწევია. სხვათა შორის, მას გაცხარებული ბოეტური პაექრობა პქონია მახვილვონიერ და ენამჭევრ ჭაბუკა (მზეჭაბუკ) ორბელიანთან. ამ დროზე მოდის ბესიკის უზომო გატაცება ყულარაღასის ქალ მაიათი.

¹ ი. ლორთქიფანიძე, მასალები საქართველოს ისტორიისათვის (მე-18 საუკ.), 1940, გვ. 21—24.

² ილ. ბარამიძე, ერთი ფურცელი XVIII საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან (ნარკვევები, III, თბ. 1952, გვ. 353—358).

მაიას ჩაუგონებისა პოეტის ლირიკული შედევრების მთელი ციკული ლი („სევდის ბაღს შევეღ”, „მე მივხვდი მაგას შენსა მრალებათიან სა”, „მე შენმა ფიქრმა მიმარინდა” და სხვ.). მაგრამ მაღალე „დაპძერა ქარმან დაუწყნარმან” და ბესიკის ცხოვრების ბეღი უკულმა დატრიალდა...

ერეკლე მეუე ენერგიულად უძღვებოდა საქვეყნო საქმეს. იგი ღირსეულად აძლევდა პასუხს გარეშე მტრებს და ბევრს ზრუნავდა საშინაო ცხოვრების მოსაწესრიგებლად. ერეკლე ცდილობდა მაღალი ფეოდალური ფენის თავგასულობის აღმაგ-მვას, გლეხეკაცობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, ვაჭრობისა და აღებმიცემობის განვითარებას, საფაბრიკო მრეწ-ველობის დანერგვას, შინამრეწველობის გაფართოებას და ა. შ. ერთი სიტყვით, ერეკლეს საზრუნავს შეადგენდა სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერების საფუძვლების განვი-ტკიცება. ამასთან ერთად იგი დაუზარელად იღვწიოდა თავისი ძველის კულტურულად დაწინაურებისათვის. კონსერვატიული საზოგადოებრივი წრეები, განსაკუთრებით ერისთავები და დიდგვაროვნული თავადური წრის წარმომადგენლები არ თა-ნაუგრძნობდნენ ერეკლეს. მეფის მდგომარეობას ისიც ართუ-ლებდა, რომ უკმაყოფილო ელემენტები კავშირს აბამდნენ ვახ-ტანგ VI-ის ჩამომაცლობასთან, ლეგიტიმისტური სამართლია-ნობის მომიზეზებით ისინი ბრძოლას უცხადებდნენ ძველის გაერთიანებისა და მმართველობის სისტემის ევროპულ-რუსულ ნიადაგზე გადახალისების პროგრესულ საქმეს. სარწმუნოებ-რივ-კონფესიური ხასიათის ფანატიკურმა ბრძოლამ ერეკლეს მო-პირდაპირეთა ბანაკში მოაწყია თეიმურაზის ერთგული თანა-მოღვაწე ზაქარია გაბაშვილი (და იმისი ოჯახის წევრები).

ქართლიდან გაძევებული ზაქარია რუსეთისაკენ გაშურებუ-ლა. მოსკოვში მას შემწეობა მიუღია ვახტანგის ძის გიორგისა-გან. მოსკოველი ლეგიტიმისტების დავალებით ნამოძღვრალი გამგზავრებულა იმერეთში. იმერეთის მეფე სოლომონიც კანო-ნიერად არ ცნობდა ერეკლეს უფლებას ქართლის სამეფო ტახტ-ზე. სოლომონი ერეკლეს აღიარებდა მარტოოდენ კახეთატო-ნად. პარტიკულარისტულად განწყობილ სოლომონს ქართლ-კახეთის გაერთიანება მოელი საქართველოს წინანდელ პოლი-

ტიკურ ერთიანობას აკონებდა, ხოლო იმერეთის სამეფოს ბერები დი მსგავს შემთხვევაში მას სახიფათოდ მიაჩნდა. პოლომონია მფარველობას უწევდა ქართლის ემიგრანტებს და იგი აცარად ეხმარებოდა ქართლის ყოფილი სამეფო ოჯახის წევრებს ტახტის მოსაპოვებლად წარმოებულ ბრძოლაში. XVIII საუკუნის სამოცდაათიან წლებში დაიწყო დიდი პოლიტიკური შეოქმულებისათვის მზადება ერეკლეს წინააღმდეგ. შეოქმულების ქსელი ფართოდ იყო გაბმული. შეოქმულებაში მონაწილეობას იღებდნენ მოსკოველი ლევიტიმისტები, იმერეთის სამეფო კარი, სპარსეთის შაპი, ქართლის შინაგამცემი დიდებულები. შეოქმულების აქტიური მონაწილე გახდა ზაქარია გაბაშვილი. გამჭრიას ერეკლეს არ გამოპარვია შეოქმულთა საქმიანობა. ანტონ კათალიკოსის მითითებით ეჭვი მიიტანეს ბესიკზე. ერეკლეს არ დაუყოვნებია და მაშინ უკვე სახელმოხვევილი პოეტი სამშობლოდან გაუძევებია. ეს მოხდა 1777 წელს (ამ წლის იანვრის თვის შემდეგ). ბესიკს უცდია თავის მართლება. გაძევების უშუალო შთაბეჭდილების ქვეშ არის დაწვრილი მისი შესანიშნავი ლექსი „ცრემლთა ისხარი“. „დაგვბერნა ქარმან დაუწყნარმან, ზღვად ვიფარენით“, ამბობს პოეტი და გრძნობით მიმართავს თავის ადრინდელ ტოლ-მეგობრებს:

ცრემლთა ისხარი, მოსისხარი, წევნდა არენით,
ილმენით გული, ჰირნასული, შევაიწყნარენით!
უცხონი თემით, სოფლის ცემით გავიგარენით.

პოეტი გულწრფელად აღიარებს: „სხვამცა პატრონი, ანუ დრონი, ვერდა დაესახეთო“. მფარველი და მწყალობელი პატრონის (ერეკლეს) „სახე უსახო“ მას გადაეცა „სავახვახოდ“. ბესიკი მოკრძალებით სთავაზობს მეფეს თავის ცეცხლდადაგულ გულს („ხელმწიფე, გული ცეცხლდაგული, სულით გამყოფლით, ჰირსამცა თქვენსა, თუ გალხენსა, მოიხმარენით!“), იგი დაუფარავად ბრალს სდებს ცილისწამებაში ვიღაც „მტრებს“.

¹ არსებობს დაუსაბუთებელი მოსაზრება, ვითომც ბესიკის ქართლიდან გაძევება გამოიწევა იმისმა გამზარებულმა რომანმა სამეფო ოჯახის წევრ მანდილოსანთან.

ლექსი მთაცრდება გულმოკლული პოეტის ლირიკული შეძანებისთვის:

მოყვასთა ცრემლინი სწომეთ ცხელნი, მტერთ იხარენით!

შემდევაც, გვიან, უცხოეთში მყოფ ბესიქს თავისი აღრინდელი მევობრის, დავით ორბელიანის ჩამოქვეითებისა და დამდაბლების ამბავი რომ შეუტყვია, აღშეფოთებით შეუკითხავს:

ნეოზმცა გველმან, ენით შევლელმან, გმირსა ქედასა დავდეა
საცილო?

ვამე, თუ ხმითა შენცა მითა შევრთო სკედასა, სცნა საწადილო
(ცრემლთა მდინარე, I).

ერეკლემ არ შეიწყნარა ბესიკის სარჩელი. სამაგიეროდ შეურაცხუოფილ მგოსანს გულიდან ამოუგდია თავისი საყვარელი პატრონისადმი პატივისცემა და იმის დაუნდობელ მტერთა და მოძულეთა ბანაკში გადასულა.

ქართლიდან გაძევებულმა ბესიკმა, ისე როგორც გაბაშვილთა ოჯახის სხვა წევრებმა, თავშესაფარი იპოვა იმერეთში¹. სოლომონ მეფემ ბესიქს უწყალობა „მდიგანთუხუცესობა“ და მამულები. იმერეთში გადასვლის უმაღვე პოეტი აქტიურად ჩაება ერეკლეს საწინააღმდეგო შეთქმულებაში. 1778 წელს ის გაგზავნეს სპარსეთში, სადაც მაშინ იმყოფებოდა შეთქმულების ერთი მეთაურთაგანი, ალექსანდრე ბაქარის ძე ბაგრატიონი. ბესიკმა ალექსანდრე იმერეთში ჩაიყვანა. მისი ხელშეწყობით ალექსანდრე შეუდგა ერეკლეს დასამშობად ავანყების ორგანიზაციის. ბესიკის ხელით იწერებოდა ალექსანდრეს პროკლამაციები. არსებითად ასეთ პროკლამაციას წარმოადგენს წინამდებარე გამოცემაში გამოქვეყნებული წყალობის წიგნი ალექსანდრე ბატონიშვილისა. უფლებო და უმამულო ბატონიშვილი „მდიდრად და უხევბით წყალობას“ ჰპირდებოდა „საქართველოს თავადთა, აზნაურთა, მსახურთა და გლეხთა“, ყველას, კინც მისდამი ერთგულებას გამოიჩინდა და მონაწილეობას მიიღებდა ერეკლეს წინააღმდეგ მოძრაობაში.

¹ იმერეთში გაბაშვილებს გაუჩიდებით კულტურული საქმიანობა. ისინი უპირატესად ეწეოდნენ მწევნობრიბას (ნ. მაისურაძე, მწიგნიბარ გაბაშვილთა ოჯახი, „ქუთაისის ბეჭისტიტუტის შრომები“, XIV, 1955, გვ. 89—101).

შეთქმულება უდღეური გამოდგა. სასტიკად დაისაჯნენ მისი მეთაურები — ალექსანდრე ბატონიშვილი და ალექსანდრე ამილახვარი. ბესიკს სიკვდილამდე შერჩა ერეკლესადმი სიძულვილის გრძნობა. იმერეთში ბესიკი კარის პოეტის მოვალეობასაც ასრულებდა. 1782 წელს მას შეუთხზავს სოლომონ მეფის. მაღალფარდოვანი ხოტბა (ტექსტი პირველად ქვეყნდება წინამდებარე გამოცემაში). დაახლოებით ამ დროს არის დაწერილი სახოტბო პოემა „რუხის ბრძოლა“ (ეს ბრძოლა მოხდა 1780 წელს).

1784 წელს გარდაიცვალა სოლომონ პირველი და იმერეთის საქმები ძალზე აიწერია. მეფეს პირდაპირი მემკვიდრე არ დარჩა, ტახტს ეცილებოდა სამეფო გვარულობის წევრი ორი დავითი — დავით გიორგის ძე და დავით არჩილის ძე. იმერეთის დიდყაცების, მათ შორის გაბაშვილების, დახმარებით გამეფდა უფლისწული დავით გიორგის ძე. დავითისა და მისი მეუღლის, მამუკა ორბელიანის ასულ ანას წყალობით ბესიკმა დიდი გავლენა მოიძოვა სახელმწიფო საქმეებში.

იმერეთის სამეფო კარს გადაწყვეტილი ჰქონდა ქართლ-კახეთის მსგავსად შესულიყო რუსეთის მფარველობის ქვეშ (1783 წელს დაიდო ცნობილი ტრაქტატი ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთს შორის). ამ მიზნით 1787 წლის მაისში რუსეთში გაიგზავნა საგანგებო დიპლომატიური მისია, რომელსაც მეთაურობდა ბესარიონ გაბაშვილი. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებს მაშინ ხელმძღვანელობდა ფელდმარშალი გრიგოლ ალექსანდრეს ძე პოტიომკინი. უკანასკნელის ბანაკი იყო კრემენჩიუგში (უკრაინაში). 1787 წლის სექტემბეროქტომბრიდან ბესიკიც კრემენჩიუგშია პოტიომკინთან¹.

კრემენჩიუგში ჩასვლისთანავე ბესიკს პოტიომკინისათვის წარუდგენია საგანგებო მემორანდუმი („აზრი და სათხოველი“ იმერთა მეფისა). ის, უწინარეს ყოვლისა, შუამდგომლობდა 1783 წლის ტრაქტატის ანალოგიური ხელშეკრულების დადგებას იმერეთსა და რუსეთს შორის. მეორე მნიშვნელოვანი

¹ ა. იოსელიანი, ბესიკი და რუსეთ-ოსმალეთის ომი („ლიტერატურა და ხელოვნება“, 11. X. 51).

„სათხოველი“ იყო ახალციხესა, ბათუმისა და ფოთში რუსეთის საკონსულოების გახსნა ოსმალეთის დივერსიული საქმიანობის ასალაგმავად („რათა არღა შეიძლოს ოთამანის კარმან დაფა- რული მტერობა არცა გარეგანით, არცა შინაგან ქვეყანასა- ჩვენსა“) და ტუვებით ვაჭრობის აღსაკვეთად („რათა და- ყენოთ ჩვენის ქვეყნების ტყვის გაყიდვა“), აგრეთვე ვაჭრობი- სა და აღებმიცემობის გასაძლიერებლად. თანახმად ბესიკის მემორანულმისა, იმერეთს უნდოდა აფხაზეთის გამოხსნა ოს- მალეთის მონობისაგან და ბათუმისა და ფოთის განთავისუფ- ლება. ერთი სიტყვით, რუსეთის დახმარებითა და მფარველო- ბით იმერეთი იმედოვნებდა ოსმალეთის მიერ მიტაცებული მი- წების დაბრუნებას და ქვეყნის დამოუკიდებლობის უშრუნ- ველყოფას.

1787 წელს დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ომი. ბესიკს არა ერთხელ მოუხსენება რუსეთის მთავრობისა და იმის სარდ- ლობისათვის ოსმალეთის აგრესის თაობაზე. კერ კაზა 1784 წლის 15 სექტემბრის თარიღით ბესიკის მიერ შედგე- ნილ მოხსენებაში აღნიშნული იყო: „ყოვლად დიდებულო- ხელმწიფე! თქვენის უძლეველის ძალით გამოხსნილს ქვეყა- ნას გარემოადგენ და ოხერყოფასა კელესიათასა და წარტყევ- ნებასა გვექადიან ყოვლად ბოროტნი თათარ-ოსმანია“. იმდრო- ინდელ აგრეთვე ბესიკის მიერ შედგენილ მეორე წერილში იმერეთის მეუე აცხადებდა: „თავსა ჩვენსა აღარ მიესცემო მო- ნად (ოსმანთა) და არცაღა ჩვენგან მათი ყმობა იქნებაო“. რუსეთ-ოსმალეთის ომის ატეხის შემდეგ ბესიკი მოითხოვდა რუსეთის სარდლობისაგან სამხედრო ოპერაციების წამოწყე- ბას იმერეთიდან: „თათრების სამტროს დროებს ჩვენ ვეთარ- ვნახავთ ამისთანასო“. ბესიკ ახარებდა რუსეთის ლაშერის წარმატებანი. მას კმაყოფილებით აღუნიშნავს თავის დღიურში ოჩაოვის აღების ამბავი. ბესიკ დაულოცავს ოსმალთა წინააღ- მდეგ საომრად გამზადებული რუსეთის მხედრობა: „წმიდა ვი- ორგი, შემწე ექმენი“, ჩაუწერია პოეტს დღიურში. ბესიკ იმე- დი ჰქონდა, რომ ოსმალეთის შემუსგრა შევებას მისცემდა მის ქვეყანას. კრემენჩუგიდან ბესიკი ერთხანს კიშინიოვში გადასუ-

ლა, ხოლო 1790 წლის დამდევიდან ის იასშია, რადგანაც იასში გადაინაცვლა პოტიომენის ბანაკმა. კრემენჩუგში, კრშინიოვში, იასში ბესიკი სიტყვიერად თუ წერილობით პოტიომენის ხშირად აკონებდა ხოლმე თავისი ქვეყნის „სათხოველს“ და პასუხს ითხოვდა.

1789 წელს იმერეთის ტახტი ხელო იგდო დაგით არჩილის ძემ, რომელმაც სოლომონ მეორის სახელწოდება მიიღო. იმას განუახლებია ბესიკის რწმუნებანი. მოუხედავად ხშირი აკადმიუნიფონისა, იმერეთის დესპანი ძალ-ღონეს არ იშურებდა მიზნის მისაღწევეად. სხვათა შორის, იმ დროს კრემენჩუგში იმ-ყოფებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს მისიაც მირიან ბატონიშვილის მეთაურობით. ბესიკ მიმოსვლა და პოეტური მიმოწერა ჰქონდა მირიანთან და იმის თანამშრომლებთან — ანტონ კათალიკოსთან¹, გაიოს არქიმანდრიტთან და სხვ. ქართლ-კახეთის წარმომადგენლებთან მშიდრო შინაურ ურთიერთობას დიპლომატი გაბაშვილი, სამწუხაროდ, მარჯვედ იყენებდა ერეკლეს საწინააღმდეგო საიდუმლო დემარშებისათვის პოტიომენის წინაშე.

დიპლომატიური მოღვაწეობის სარჩევლზე ბესიკმა დიდ წარმატებას მიაღწია. მოლაპარაკება უკვე დამთავრებული ჰქონდა და უკან გამობრუნებას აპირებდა, როდესაც სიკვდილმა უსწრო. ბესიკი გარდაიცვალა 40 წლისა 1791 წლის 24/25 იანვარს². ბესარაბიის ციიგმა მიწამ მიიბარა ქართველი პოეტის მხურგალე გული. თითქოს გედის სიმღერად უთქვამს უცხოეთში მყოფ ბესიკს:

პატი ცივნამიანი
ჩემთვის ალარ-ა დლიანი.

ბესიკის არქივი ჩვენ დრომდის მხოლოდ ნაწილობრივ არის მოღწეული. პოეტის ბევრი ნაწერი სამუდამოდ დაღუპულია, ბევრიც კერ კიდევ საძიებელია. არსებული მასალები მაინც

¹ ეს ანტონი მეორეა, ერეკლეს ძე.

² ა. ბარამიძე, ბესიკის გარშემო (თბ. უნივერსიტეტის შრომები, I, 1936, გვ. 151 — 158).

საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ბესიკის პოტტური მნ-
დივიდუალობაზე.

თუმცა ბესიკის შემოქმედება თემატიკურად მრავალფერო-
ვანია, ქართული ლიტერატურის ისტორიაში ის უპირატესად
ცნობილია როგორც მვზნებარე, ვნებიანი სიყვარულის მომ-
ღერალი მგოსანი. ბესიკის საკუეთესო ლირიკული ლექსები
(„სევდის ბალს შევეღ“, „მე მივხვდი მაგას შენსა ბრალება“,
„ტანო ტატანო“, „მე შენმა ფიქრმა მიმარინდა“ და სხვ.) გა-
მოუწევება პოეტის მხერებალე სატრაფიალო გრძნობებს. ბესი-
კის პოეზიისათვის უცხოა მწიგნობრულ-მანერული გამოხატუ-
ლება სამიჯნურო განწყობილებისა, პოეტისათვის ორგანული
და ბუნებრივია ძლიერი სიყვარულის უშუალო განცდა. საგუ-
ლისხმოა, რომ ბესიკი უგალობდა არა განყენებულ უსაგნობას,
პოეტურ ფიქრის, არამედ კონკრეტულ. რეალურ პიროვნებას
ყოველი ნიშნით — მაგა ყულარალასის ქალს.

ბესიკის ტრაფიალებას აქვს დაუცხრომელი, ეროტიკული გა-
ტაცების ხასიათი. ის უმღერის სატრაფოს გარეგნულ მოხდენი-
ლობას, სატრაფოს სხეულის შენსა და ლაზათს, სატრაფოს ტა-
ნის ციალსა და რიტმულ რხეებას („კვლავ მომქლა მისმან ცი-
ალმან და წელთა მიმოტანამან“). ბესიკის პოეტური შედევრი
„ტანო ტატანო“ დიდებული პიმნია ქალის სხეულის სილამა-
ზისა.

ბესიკის გაეგებით, სიყვარულს აქვს ორმაგი ბუნება, ის
ტკბილიც არის და მწარეც. შევბის მომცემიც და უკურნებელი
ჰირის შემყრელიც. „შენის ბაგისა ორნი მეცნეს — ტკბილი და
მწარე“, ეუბნება პოეტი სატრაფოს და თან ევედრება:

ორკეცად შენი სიყვარული თავს დაშაფარე!

პოეტს არ აშინებს სიყვარულის შხამის სიმწარე, მას ვა-
ნუცდია სიყვარულის მაცოტური ბანგის ძალა. „პირველ შაქ-
რისა გემი იყავ, ახლა ხარ მწარიო“, თითქოს უწყინარი საყვე-
ლურით უცხადებს პოეტი სატრაფოს, მაგრამ „მე ტკბილის გუ-
ლით შემოგულებო“, უმატებს. ადამიანური წაყვედრება სატრ-
აფოს მისამართით სხვა დროსაც დაცულენია მიჯნური პოეტის გა-
ვება:

მე გული სრულად შემოვწირე, შენ ხმა არ გამედა და გამოვიდა გამოვიდა.

მგოსანი უნებლივით გახლართულა კეცლუცი ქალის მიერ და-
გებული ტრფობის მახეში, ის დათუთქულა სიყვარულის ცეც-
ლში:

მღიმარის პირით წამეპარე, დამიდგი შახე,
ასე მეგონა, შემჩრებოდა ეგ შენი სახე,
ანთებულს ცეცხლსა შესაწველად ხელი შეგახე.

სიყვარულით დადაგული მგოსანი მოკრძალებით სოხოგს
თავისი გრძნობების მფლობელ მედიდურ სატრფოს: „დამწევარი
მაინც შემიძრალე, ბესიე ნახეო“, „ერთხელ აღირსე შენი ხილ-
ვა შენსა მზირებსაო“. ჭირვეულ, ეჭვიან სატრფოს უმოწყალოდ
დაულახვრავს მგოსნის მგრძნობიარე გული, მგოსანი დაუტუქ-
სავს, ტრფობის ბალიდონ უნუგეშოდ გაუძევებია და მკვახე სიტ-
ყვებით გაუსტუმრებია:

ხელი აიღე მაგ სავანებით,
შევწე იძიე ბანის-ბანებით!

სხვას გირჩევ ვზასა და სხვას ძალებსა-ო.

გულმოკლული მგოსანი გაულევია უთანაგრძნობო სიყვა-
რულის ჭირს, ის გამოტეხილად შესჩივის მკაცრ სატრფოს:

თვით შენია გულმა კარგად იცის, ვარ შენი მკედარი,
შენია სურვილმან ჩამოლია გული კლდემყარი.

სიყვარულის უკურნებელი სენით შეპყრობილი მწუხარე
პოეტი ვერ შორდება „სევდის ბალის“ მიღამოებს, თუმცა ვერც
ნაღველს იქარვებს. ის გულწრფელ სამდურავს უთვლის უკულ-
მართ სიცოცხლეს (-ვამ, სიცოცხლეო უკულმართო, დანაცარე-
ბო!) და გამწირავ სოფელს. „სოფელის მკვდელი ბრჭალებით“
გატანჯული პოეტი სიკვდილს აღარ ემაღება, პირიქით, თითქოს
თავი აქვს მისთვის „შენაწონები“, და თავისი ორეული ბულბუ-
ლის პირით თავდავიწყებით ეძახის:

სიკვდილო, მოდი, მიიბარე ბულბულის სული.

პოეტი დანატრებულია სიკვდილს:

ც ა რ ი თ ნ გ ა
ს ა ხ ე ლ ი თ ვ ა რ ი

სიცოცხლის ნაცვლად მოვინატრი სიკვდილსა მწარეს.

ბესიკის პოეზიაში ძლიერად გაისმის სევდა-ნაღველისა და კაეშნის კილო. საუცხოო პოეტური სახეებით გამოუხატავს მგო-სანს თავისი მძიმე სულიერი განწყობილება:

სევდის ფაში ვსვი, გულს დავისვი ექალთა ნარი.

პოეტი ძლიერ ხშირად უჩივის თავის ბედს „ვა ჩემსა ბედ-საო“, მისი „დღენი არს შესაზარი“. ის ყოფილა „ბედერული“, „ბედმული“, „ბედისაგან იავარქმნული“. მკოსანს „ჰკლავს და აწყლულებს სევდისა შხამი“, ამიტომაც „ღაწვები ცრუმლით ნა-ლარი“ აქვს, „სტირს დღე და ღამე“. ბესიკის სევდიანი განწყო-ბილება გამოწვეული იყო მისდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების მოუწესრიგებლობითა და პოეტის პიროვნული ხედ-რის ეითარებით. მაგრამ ამასთან ისიც უდავოა, რომ პოეტის კა-ეშანს საზრდოს აძლევდა მძაფრი სატრუიალო განცდები.

ბესიკის პოეზიაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს საზოგა-დოებრივ მოტივებს. ერთი მხრით, მას უწერია საისტორიო თემებზე, მეორე მხრით, საყოფაცხოვრებო საკითხებზე. საისტორიო თემატიკიდან გამოირჩევა პოემები „ასპინ-ძისათვის“ და „რუსის ბრძოლა“. არსებითად ამავე თემატიკას განეკუთვნება „სამძიმარი“ (სამგლოვიარო ოდა) და დავით საჩდლისადმი მიძღვნილი რიგი ეპისტოლური ლექსები. განსა-კუთრებულ ინტერესს იწვევს „ასპინძისათვის“. 1770 წელს ას-პინძის მიდამოებში გაიმართა დიდი ბრძოლა ერეკლე მეფის ლაშქარსა და ჩვენი ქვეყნის დასაყრიბად შემოჭრილ ოსმალე-თის რაზმებს შორის. ოსმალებს მაშველად ჰყავდათ ლეკების რაზმებიც. ასპინძის ბრძოლა იმითაც არის საყურადღებო, რომ ოსმალთა წინააღმდეგ ერეკლეს მხარეზე უნდა გამოსულიყო რესეთის საექსპედიციო კორპუსი გენერალ ტოტლებენის მეთა-ურობით. ავანტიურისტმა ტოტლებენმა თავი შეირცხვინა, უღა-ლატა ერეკლეს. აწყურიდან უკან გაბრუნდა და ქართული ლაშ-ქარი ბედის ანაბარა მიატოვა. ბესიკის ხიტყვებით, გრაფია ტოტლებენმა მეუე ერეკლეს ცილი დასწამა და თავისი მუხანა-თური საქციელით სახელი გაიტეხა („სახელი ვერა იქო“):

ვაი, შას დღის მომხსენებან ვითარ ვინ რით განვაქიშონ? ცილი დასდევს შეფეხს ჩუსთა: «ჩვენთვის კეთილს არა არ გამოიყენოთ გარით გმირისტუნდა, — მით სახელი უკრა იქო, — სხვა პასუხი არის მისცა: «სითაც მოვედ, წავალ იქო!»

ოსმალ-ლეკნი გაახარა და გაათამაშა ტოტლებენის წასვლამ:

რა ნახეს ლექთა და ოსმალო რუსისა გამგზავრებანი,
წელმაგრად შეხედათ ნიშანი, აუხდათ დანატრებანი.

გათამამებულმა აგრძესორებმა იერიში მოიტანეს ქართულ
ლაშქარზე, მაგრამ ქართველობა არ შეშინებულა, ბრძოლის ცე-
ცხლით ანთებულა სარდალი დავით ორბელიანი. ბესიკს საუც-
ხოოდ აქვს აწერილი სარდლის საარაყო მამაცური მხნეობა. პო-
ეტი ამბობს:

შემინ გულს დავკარ მჯილითა, მიწანი შესძრენ რყევითა,
ცხემიან შეგატყო შექშენა, შემზადა ტანი ნძრევითა;
თვალინ ნაკვერცხლად შეგვემნეს, აშეთდი სისხლმორევითა,
ცხვირისა ნესტრითა მოპქროდენ ქარინ ქვეყნისა ნგრევითა.

დავით სარდლის ხმალთა ტრიალმა და ქართული ჯარის
მოულოდნელმა ვაკეაცურმა ჟიყინამ ოსმალნი დააფრთხო,
„ძღარბივით ქურქში ბრუნევდა“ მტრის თავხედი მეთაური-
უარესი დღე გაუთენდათ ოსმალთა მაშველ ლეკების რაზმებს:

კლავ იქეთ ლეკთა ჩაუხდი, დამართნი ცისა გრეხანი,
წინა ჩაგისხდნენ დარჩევით ოსოქოლ და კატეხანი;
ერთად გამოსქდის ფინდიზი, ვითა რა მების ტეხანი,
გარდაცხრუნენ საფარის, მიეცათ მართ გატეხანი.

დავით სარდლის ქველობით გამხნევებული და აღტყინებუ-
ლი ქართველი მეომრები დაერივნენ ზარდაცემულსა და დემო-
რალიზებულ მტრებს, ბევრმა უკან დასახევად წყალს მიმართა,
ვიწროებში და ხილზე „ზოგნი ერთმანერთს ხოცდიან“. გზა და-
იხერგა ოსმალთა გვამებით, მტკვარი აივსო დამხრჩვალი ჯარის-
კაცებით, ასპინძის ველი მოირწყო მტრის სისხლით. მტრებში
იყადრეს იარაღის დაყრა და ლაშრულად შეწყალების თხოვშა

¹ ერეკლეს.

„ძვირად შეექნათ თავაზი, მუხლს კეხვეოდენ საკოცადო“, ამბობს პოეტი. მხოლოდ მტრის საბოლოო განაღურების შემდგენ ჩაუგია ხმალი გმირ სარდალს: „ხრმალი ჩააგენ მაძლარი“ და „უბრძანეთ ალაფობანიო“. მეცეს ულოცავდნენ სახელოვან გამარჯვებას. „ასპინძის მიწა გიწამებსო“, აღტაცებით მიმართავს მგოსანი დავით სარდალს, თუმცა სხვაგან შენიშნავს: „ვიცი, არ გიყვარს ქებანი, ჩვეულ ვარ მე თქვენსა, დავით“.

„ასპინძისათვის“ ფანრობრივად და შინაარსობრივად წარმოადგენს სამქებრო, სახოტბო თხზულებას. ბესიკი ქებათა ქებას ასხამს ასპინძის სახელოვან გმირს, თავის მევობარსა და პატივისმცემელს. ერთგან პოეტი ხაზს უსვამს მათს ძველ სიახლოებს:

ოდილვან მახსოვს მე თქვენი: იუვენით ყრმად სახელია,
შენითვან შოლმართ აქამდის შეგტროდის ყოველთა ბედია.

ბესიკს თვითონ უნახავს სახელმოხვეჭილი სარდლის საზეობო შემოსულა დედაქალაქში:

აწ შაშინდლისა ეამისა რამცა ვითა ვოქვა ფერია,
მახსოვს შესრული ქალაქად, მით ცრემლი თვალთა მერია:
მიწრით გამოერთეს მნიხვნი, სწურროდათ შენი მზერია,
ივიცა დავინატრიდენ, თუ ვანმცა გყვანდა მტერია.

ბესიკმა ამ ლექსით გამოხატა თავისი ღრმა პატრიოტული აღტყინება ქართველი მხედრების სამამაცო საქმეებით. მან ძლიერი მხატვრული სიტყვით აღბეჭდა მომხდეურ ვერაგ მტერზე შესანიშნავი გამარჯვების საერთო ეროვნულ-სახელმწიფო ებრივი მნიშვნელობა ქართველობისათვის. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პოეტმა მაინც ერ დააღწია თავი ერთგვარ ცალმხრივობასა და ტენდენციურობას. ისტორიულად ცნობილია, რომ ასპინძის ბრძოლის სულისჩამდგმელი და მტრის განადგურების სტრატეგიული გეგმის ავტორი იყო ერეკლე მეორე. ერეკლეს გეგმის მიხედვით საუცხოოდ მოქმედებდა სარდალი დავით ორბელიანი. ბესიკმა გვერდი აუარა ერეკლეს, მან საგანგებოდ შეამკი მხოლოდ სარდლის ქველობა. ბესიკმა დავით სარდალს მიაწერა ასპინძაში მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვება. მარ-

2. ბესიკი



თალია, პოეტი რამდენიმეჯერ ახსენებს მეფეს, მაგრამ აქტიურ როლს მას არ მიაწერს. მხოლოდ ლექსის დასაწყისში აღუნიშვნავს მას ერეკლეს საპრძოლო განწყობილების დამახასიათებელი შტრიხი:

თვით მეცე, ქართველ და ქახი ომის ხალისით ჩლდებოდენ.

თვითონ ასპინძის ბრძოლაში ერეკლეს თითქოს უშუალო მონაწილეობა არც კი მიუღია. ბრძოლის დამთავრების შემდეგ „მოულოცვიდენ მეფესაო“, გაკვრით შენიშნავს ბესიყი. ესაა და ეს. ბესიყმა ობიექტურად ვერ დახატა ასპინძის ბრძოლის სურათი, მან საჭირო სისავსითა და სიმართლით ვერ გამოიქვა ასპინძის ბრძოლის ამბავი. თუ საანალიზო ლექსის აღნიშნულ მხარეს მივიღებთ მხედველობაში, მაშინ ცხადი იქნება, რომ ის დაწერილი უნდა იყოს პოეტსა და ერეკლეს შორის მომხდარი კონფლიქტის შემდეგ, ალბათ, რუსეთში. ეს ზოთ უფროა საფიქრებელი, რომ უცხოეთში, კერძოდ, კრემენჩიუგში, ბესიქს შეუქმნია დავით სარდლისადმი მიძღვნილი ეპისტოლუ-ლექსების მთელი ციკლი. ამ ლექსებით ბესიყი განავრძობს დავითის სახელოვანი საქმეების მქობას. ის განსაკუთრებით ხაზს უსვამს დავითის დამსახურებას ლექსების მოთარეშე ბრძოების ასალავმავად. ერთგან, მაგალითად, ბესიყი ამბობს („რაც მიირეწა სოფელმან“):

თქვენ ოდენ შეიღნი თან გახლდენ კაცნი, სხვა არეინ მეტანი,
შეიღასთა ლეკა დაუდგით მახნი გასაცეტანი,
მწერისა უმმან გაქმარნათ თქვენ მათი ცემა-ულეტანი,
მობრუნდი გამარჯვებული თეორისაც მჯდომი მხეტანი.

დავით სარდალი იყო ერეკლეს სიძე, ერეკლეს მისანდო პირი, რომელიც პოლიტიკურ ნიადაგშე განხეთქილების გამო გადაყენებულ იქნა სამხედრო ხელმძღვანელის პოსტიდან. დავით სარდლის დამხობას ბესიყი მიაწერს მედროვეებისა და ინტრიგანი ნაძირალების საქმიანობას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პოეტს დაუზოგავად შეურისხავს დავით ორბელიანის ცილის-მწამებელი („ცრემლთა მდინარე“):

ნუთუმცა გველმან, ენით მეელელმან,
გმირსა ქედასა დაგდევა საცილო?

ცარისა და
ციხესიმიშვილის

საგულისხმოა, რომ ამის შემდეგ პოეტი განაგრძობს:

ვამე, თუ ხმითა შენცა მითა
შეგრთო სევდასა, სცნა საწადილო!

ამ სიტყვებით ბესიკი არაორიზროვნად ცილისმწამებელთა
მიქმედების ნაყოფად თვლის თავის გაძევებას ქართლის სამე-
ფოდან. ამავე ლექსის ბოლო სტროფის სტრიქონებში პოეტი
პილავ ამხელს საკუთარ ჭმუნვას:

დამქრიბნა ზარნი საეუთარნი
სიცოცხლე ჭმახის, გნატრი, სიკვდილო!

ბეჭის გულს უკლავდა ზნესრული სარდლის დაუმსახურე-
ბელი უპატიობა და მხნე ვაჟკაცის „უქმად დგომანი“. პოეტი
პათეტიკურად ამბობს:

ლესული ხრმალი, სისხლდამშრალი,
ქაჩქაშს ძევს ყრილი, ვახ, უაღვილო!

კრემენწუგის ციკლის ლექსებიდან ჩანს, რომ „შორიშორ
უცხოთა თემთა მავალ“ მგოსანს თავს დანათოდა „ვარსკვლავ-
ნი შავნი“. პოეტს იქ, უცხოთში უზომოდ მოსწყურებია „ხი-
ლულთა დროთა ნიშატნი“, მას კამთა სიავისაგან შეჭირვებულს
მოსძულებია ყოფა. მძაფრი ნალელიანი განწყობილებით შენი-
შნავს ბესიკი („რაც მიირეწა სოჭელმან“, 2):

სისხლია ცრემლთა დაწობა საახლოდ მომსურვებია,
ჰილულთა დროთა ნიშატნი საბავოდ მომწყურვებია,
ოდესნი უამინი დამგვემნ, მით თავი მომძულვებია;
ვაი, ლარიბა! ლარიბა ცრემლთა შეგეწებია!

„დაუდგრომელი“ ცხოვრების მსხვერპლი მგოსანი ერთ-
გვარად იმეორებს თავის აღრინდელ პოეტურ სიტყვებს
(„ცრემლთა მდინარე“, 1, 4—6):

¹ ე. ი. უარიბას ანუ უპატიონოს, მიუსაფარს, გაძევებულს, გადახვე-
წილს.

სოფლისა ბრჭელმან, ვით გრიგალმან,
ჩემსა ბედასა უსწორა კილო.

ცარიცალი
ცახალიშვილი

ადრეც, მშობლიური ბუღიდან გაძევებული მგოსანი ცხა-
რედ უჩიოდა სოფლის სიმუხთლეს („დედოფალს ანაზედ“,
1, 1 — 4):

ვარ უცხო ვინშე ყარიბი ამა სიტყვისა მხმობელი,
ამა მუხთლისა სოფლისა მაგინებელი, მგმობელი.

ამრიგად, ეჭვი არაა, რომ ბესიკის ნაღვლიან განწყობილე-
ბას, ბესიკის სევდასა და ცხოვრებით უკმაყოფილებას იწვევდა
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის მიზეზები.

ჩვენს ქვეყანას აუნაზღაურებელ ზარალს აყენებდა ლე-
კების თარეში. ლეკების მარბიელი ბრძოების თავგასულობამ
იმატა XVIII საუკუნეში. ლეკების მოულოდნელი თავდასხმების
თავიდან ასაცილებლად ერეკლე მეფემ შექმნა რეგულარული
ჯარის მსგავსი ინსტიტუტი, უ. წ. მორიგე ლაშქარი. ამ ლაშქრის ორგანიზაცია და უშუალო მეთაურობა ერეკლემ
მიანდო თავის სახელოვან შვილს, ნიჭიერ სარდალსა და გუ-
ლად მეომარს, ლეონ ბატონიშვილს. ბესიკი ახლოს იყო ლე-
ონთან. ლეონის მოულოდნელ სიკვდილს 1781 წ. ბესიკის ღრმა
მწუხარება გამოუწვევია. თავისი ეს განწყობილება პოეტს მეა-
ფიოდ გამოუხატავს ერთ სპეციალურ ნაწარმოებში, რომელსაც
ეწოდება „სამძიმარი“. თხზულება მრავალმხრივ არის საყუ-
რადლებო. ესაა ახალი ფანრის ნაწარმოები, ს ამ გლო ვიარო
ოდა. ოდა-პოემა. „სამძიმარი“ გამსჭვალულია მძაფრი სამ-
გლოვიარო განწყობილებით. პოეტი, ერთი მხრით, ამკობს
ლეონის სამაგალითო სავაჭყაცო თვისებებს, მეორე მხრით, ამ-
ხელს შესანიშნავი მამულისშვილის უდროო სიკვდილით გამო-
წვეულ თავის უზომო მწუხარებას. ბესიკი უჩივის ავ დროს
(„ვა დროსა ჩვენსაო“), პოეტი ამბობს, რომ ლეონის მიერ
ნაშენ ქალაქს „ხელპყვეს რღვევად“ და რომ „იროდი მეუბობს,
სისხლის მახვილს იეფობს...“, სიკვდილი ზეიმობს გამარჯვე-
ბასო („სიკვდილი მკვეხობს“).

მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბესიკის შემოქმედებაში

„რუხის ბრძოლას“. ეს ბრძოლა მოხდა 1780 წელს. აფხაზეთის განდიდებული მთავარი ზურაბ შარვაშიძე თავს და- ესხა ოდიშს. ოდიშის მფლობელმა კაცია დადიან მა და- აყოვნა, გაშურა დამარების აღმოსაჩენად. ბრძოლა მოხდა რუხთან: გაიმარჯვეს სოლომონ მეფემ და კაცია დადიანმა. შარვაშიძე სასტიკად დამარცხდა. ეს თემა აუღია და პოეტუ- რად დაუმუშავებია ბესიქს. გაშლილია თემა სახოტბო პოეზი- ის ტრადიციების მიხედვით. ბესიქი ხოტბას უძღვნის როგორც მოკავშირეთა ჯარების მეთაურებს (სოლომონსა და კაციას), ისე ბრძოლის სხვა ხელმძღვანელს თუ შედარებით რიგით მო- ნაწილებს (სარდალ წერეთელს, გიორგი წულუკიძეს, ელიზ- ბარ ერისთავს, ჩიჩუას...). პოემა დაწერილია უალრესად მა- ღალფარდოვანი, ენაწყლიანი სტილით, ნაწილობრივ პრო- ზაულად, ნაწილობრივ ლექსად. რიტორიკა თანაბრად ახასი- ათებს როგორც პროზითს, ისე ლექსითს ნაწილებს. ბესიქს საქმე ისე წარმოუდგენია, თითქოს ერთ მხარეზე იყვნენ მშვი- დობისა და ქრისტიანული სათობის მოყვარულნი (იმერელ- ნი და მეგრელნი), ხოლო მეორე მხარეზე სისხლის მსმელი „აგარიანნი“. უკვე შესავალში პოეტი საზეიმო პათეტიკური კილოთი აცხადებს: „დღეს დაცემა იქმნა ქედმაღალთა მათ უცხო თესლთა აგაროვანთა და აღსღვა პირი დავ- რდომილი ჩვენ ქრისტიანეთა“. ბესიქის სიტყვით, შარვაშიძე- ბს „მეგრელთა სისხლი სწყუროდათ, თუცა შეესვათ გობითა“. ასეთივე სურვილები ამოძრავებდათ სოლომონ პირველსა და კაცია დადიანს. სოლომონის შესახებ პოემაში ვკითხულობთ:

აზრი ყოველი მეფისა შებმა იყო და სუროდა,

თქვა: „მისთვის მოველ, ჩემთა სპათ სისხლი ვასვა, ვით
სწყუროდა“.

„ქების ღირსი დადიანი“ ექებდა ზურაბ შარვაშიძეს და გა- ძახოდათ:

თუ ენახე, სისხლით დავსთვრეო, ხორცით შევაჭნევ
კამასო.

„რუხის ბრძოლა“ მკაფიოდ აღბეჭდავს საქართველოს გვი-ანფეოდალური ხანის უკუღმართი სოციალურ-პოლიტიკური სი-ნამდვილის შემზარევ სურათს. ეს ბრძოლა იყო საბედისწერო გამოხატულება ჩვენი ქვეყნის შინაგანი ფეოდალური აშლი-ლობისა, უთავბოლო ქიმპობისა და კინკლაბისა, ქართველ მეფე-მთავართა კუთხური ინტერესების შეჯახებისა და მომა-კვდინებელი სეპარატისტული მიდრეკილებების გამარჯვებისა. „რუხის ბრძოლით“ უცხო ტომის მოსისისელე მტრებად მოჩანან შინაური ფეოდალური ომების ფერხულში ჩაბმული თანამოძ-მენი. თავისმა იმედამინდელმა საზოგადოებრივმა მდგომარეობაშ საშუალება არ მისცა ბესიქს რუხის ბრძოლაში ამოეკითხა სა-მწერბარო ისტორიული სიმართლე, ეჩვენებინა ჩვენი ქვეყნის დაძაბუნებისა და ეროვნული უბედურების ნამდვილი სოცია-ლური მიზეზები.

ცალკე ადგილი უჭირავს ბესიკის შემოქმედებაში პოემა „რძალდედამთილიანს“. ეს პოემა სატერული ხასიათისაა და ეხება საყოფაცხოვრებო საკითხს. პოეტი პკილავს ოჯახის წევრთა ძეელი და ახალი თაობის წარმომადგენელთა (დედამ-თილისა და რძლის) ტრადიციულ შუღლს, რაც არღვევს ოჯა-ხის მყუდროებასა და მშვიდობიანობას, ზიანს აყენებს ოჯახის კეთილდღეობას. „რძალდედამთილიანის“ თემა ხალხურია. ქართულ მწერლობაში ეს თემა პირველად ბესიქმა დაამუშავა; მას უნდა ესარგებლა ხალხური მასალებით, თუმცა ამბავი განგებ შორეულ უცხო ქვეყანაში გადააქვს და უცხოური სა-ზოგადოებრივი ცხოვრების დამახასიათებელ მოვლენად აცხა-დებს. შესავალში ავტორი ამბობს:

სოფელი ვიყავ სამირუანდს, ვნახე საქმე საკვირველი, —
დილა მუნევ გავითენე, სახლსვე ვიყავ წარმომსვლელი, —
აქ ვიხილე: ყივილითა ქალი მოქრის თავშიშველი,
ზილფთა შეა გამოსცეირდა დანაკაწრი ბროლის ყელი.

„რძალდედამთილიანი“ სახუმარო კილოზეა გაწყობილი და თითქოს შეხტულია მკითხველთა შესაქცევად. პირველ-სავე სტროფში პოეტი შენიშვნავს:

ამბავსა ქველსა მოგითხრობ გულისა ამოდ მლხ ენტლსაფარ
გა ა რ ე ბ თ, დ ი ა შ ე ვ ა ქ ი ე ვ თ ა მ ა ს ა ქ მ ი ს ა მ ს მ ე წ ე ლ ს ა, მ ი თ ი ს ა
მ ი უ ე შ ე ნ ე თ ა მ ი ღ ი ლ ე ნ ი თ შ უ ფ ა რ ა ხ ი ს ა მ ფ ე ნ ე ლ ს ა.

ბესიკი მოსწრებულად ამხილებს და კიცხავს რძლისა და
დედამთილის ურთიერთობის სასაცილო მხარეებს. ეს სასაცი-
ლო მოვლენები აფორიაქებს ოჯახს. ამიტომაც პოეტის სახუმა-
რო კილო მწარე სატირაში გადადის. პოემის მიხედვით, რძალი
და დედამთილი—ორნივე ახახიერებენ კირვეული, ავი და დაუნ-
დობელი ბუნების ხასიათს. დედამთილი და რძალი არაფრად
აგდებენ ოჯახის ღირსებასა და პატივს, ერთმანეთს ლანძღავენ-
და ათრევენ ქუჩური, უწმაწური სიტყვებით. სიტყვიერი ბრძო-
ლით რომ გულს იჯერებენ, მერე მჯიღებით შეტევაზე გადა-
დიან. ახალგაზრდა რძალი ძალ-ღონით სჯობნის მოხუც დე-
დამთილს, სარგებლობს მისი უმწეობით. შეუბრალებლად
„სწიხლავს, მჯიღვავს, მიმოათრევს“, სასიკვდილოდ იმეტებს.
სამაგიეროდ დედის ჯავრი იყარა იმისმა შეიღმა. გაშმაგებული-
ქმარი ცოლს „მოსაკლავად არ იწყალდა, ვით ყასაბსა ბერი-
ვაცი“. ქმარმა მხეცურად გვემა თავისი თანამეცხედრე, სიკვ-
დილის დღე გაუთენა. ცბიერმა და ფლიდმა რძალმა მოშაქრუ-
ლი, შემპარავი სიტყვებით მაინც მოახერხა თავის დაძვრენა და
ქმრის მოტყუება. როცა შემდეგ ღრო იხელთა, რძალმა დე-
დამთილი კეტით მოკლა. პოემა იხურება ავტორის ირონიული
შეგონებით, რომლითაც დაუზოგავად არის გამათრახებული სა-
ზოგადოდ ავი რძლების შეუფერებელი და მავნე საქციელი:

დასრულდა ეს ამბავი ტკბილად სასმენი რძლებისა,
დედამთილს ჰყანედეს მორჩილი რძალი ესეთი ნებისა:
მას სცემდეს, სახლსა აქცევდეს, იყოს გამყრელი ქმებისა,
ქმარს თავსა სცრიდეს სოურტვით, იყოს შემცირელი გრძნებისა.

ავი რძლისა და მობუზღუნე დედამთილის გაკიცხვასთან
ერთად ბესიკი ამხილებს ქმრის დესპოტიურობასა და უსულ-
გულობას მეუღლესთან დამოკიდებულებაში. პოემაში მოქმედ-
პირად არის გამოყვანილი ანგარებიანი და მსუნავი ტერტერა,
რომელიც მოხერხებულად სარგებლობს ოჯახის მოუწესრიგე-
ბელი მდგომარეობით პირალული გამორჩენის მისაღწევად

საგულისხმოა, რომ ბესიკმა აქაც გაუცხოურების ხერხს მიმართა, ქართველი სამღვდელოების ზნეობრივი მანქიერება სხვა კულტის წარმომადგენელს მიაწერა. ჩასაკვირველია, „რძალდედამთილიანის“ მყითხველი საზოგადოება ტერტერაში კარგად იცნობდა ქართველი მღვდელ-დიაკნების საძრახის სახეს.

ბესიკს საკმაოდ უწერია პირად ული ხასიათის სახუმარო-საოხუნჯო და გესლიანი სატირული ლექსები. საოხუნჯო შინაარსისაა ბესიკის მიმოწერა მირიან ბატონიშვილთან და გაიოს არქიმანდრიტთან. გესლიანად დამცინავი ლექსები კი მან უძღვნა ჭაბუა ანუ მზეჭაბუ ორბელიანს. გარკვეულ საზოგადოებრივ ინტერესს იწვევს სწორედ ბესიკისა და ჭაბუას მწვავე პოეტური ბაექრობანი. ჭაბუა იყო დიდი გვარიშვილი და დადი თანამდებობის მქონე პირი (მდივანბეგი), განათლებული, მოსწრებული სიტყვა-პასუხის პატრონი და მახვილგონიერი პიიტიკოსი, ამასთან გარენულად მახინჯი (დაბალი, მრგვალი, კუზიანი), ხასიათით ბილწი, ავი და შურიანი. ჭაბუა ორბელიანს თავი მოპქონდა თავისი გვარიშვილობითა და მაღალი თანამდებობრივი მდგომარეობით. შურიან არის-ტოკრატ პოეტს მოთმინებას უკარგავდა მდაბიო სოციალური წრიდან გამოსული ბესიკის წარმატება (გაპაშვილების წინაპრები ყოფილან მეტივე და მენახშირე გლეხები). ჭაბუას შურდა ბესიკის ტანადობა, ჭკუა, დარდიმანდული ქცევა, პოეტური ნიჭი. სხვა მხრით უღონო ბესიკის წინააღმდეგ, იგი უპილოდ დასცინოდა პოეტის ჩამომავლობას, ხოლო მის ბრწყინვალე ლექსებს ბლიაძურს უწოდებდა (ბლიაძე იყო სახალხო მოშაირე, მესტვირე). ვირტუოზული ოსტატობითაა დაწერილი ჭაბუას წინააღმდეგ მიმართული ბესიკის ერთი ლექსი, რომლის პირველი სტროფი აქ მოგვყავს:

დამპალო ლეშო, თვალხვენეშო, გულლადარაო,
ეშმაკო ბუღო, ბეჭმრუღო, კერპო საღარაო,
არუშიანო, კუზიანო, მაწუწარაო,
ხილვალ საშიშო, გულმავიშო, გარსაგარაო,
მე შენი ქება მომენება, არ დავუარაო!

ბესიკი ქართული ლექსის, ქართული მხატვრული სიტყვის

დახელოვნებული ოსტატია. პოეტური სიტყვიერი ინვენტარით ის ზოგჯერ დავალებულია ძველი ქართველი კლასიკოსებისაგან, განსაკუთრებით რუსთაველისაგან, ნაწილობრივ თეომურაზ პირველისაგან (ომონიმებით). ამასთან ბესიკი შეეცადა გადაეხალისებინა მეტაფორული სახეების ტრადიციული სქემები და ფიგურალური გამოთქმები. მან შექმნა რიგი ახალი, ორიგინალური მეტაფორები, როგორც მაგალითად: „სევდის ბალი“, „სევდის ჭური“, „სევდის ჟამი“, „სევდის შხამი“, „ცრემლთა ისხარინი“, „ცრემლთა მდინარე“, „შავნი შაშვნი“ (თვალები) და სხვ. მოხდენილი პოეტური სახეებია „ტანის ტატანი“, „ორკეცი სიყვარული“, „ვარსკვლავნი შავნი“, „წყალთა ჩქერანი“, „მწყურვალე ხრმლის თრობა“, „შუბლის შარავანდობა“, „მიწის წამება“, „ფიქრი მიმარინდი“ და ა. შ. შესანიშნავი მხატვრული შედარებაა „ძღარბივით ქურქმი ბრუნევდა“ (გზამოშრილი და განწირული ვერაგი მტერიო). ბესიკის ლექსები მუსიკალურია, ხმიერია, მდიდარია ალიტერაციებით, საკრაისია დავიმოწმოთ მისი „ტანი ტატანი“. ლექსში „დედოფალს ანაზედ“ რიგი ტატებისა ზმურად გამოხატავს ადრესატის სახელს, მაგალითად:

ვუცავ, მე არენ მიხილავს, რომ აჩს შეენებით ანაო,
მთეარესა ეზრაზებოდა: „შენ ვერ ხარ ჩემისთანაო!“
ვაჩსკვლავნი მისდა სამონოდ გარს უდგრ თანისთანაო,
შეილველნო, დამემოწმინთ: კარგი ყოფილა განაო?

ბესიკის პოემები (და ზოგიერთი ლირიკული ლექსი) ძირითადად შაირის მეტრზეა გაწყვობილი, ოლონდ შიგადაშივ შაირს ენაცელება ჩახრუხაული (პოემები „რძალდედამთილიანი“, „რუხის ბრძოლა“). როგორც თავის ადგილას უკვე აღვნიშნეთ, „რუხის ბრძოლა“ ნაწილობრივ პროზაულად არის დაწერილი. შაირიც და ჩახრუხაულიც ბესიკს ხშირად გართულებული აქვს ტრადიციული ნორმებისაგან განსხვავებული რითმებით. მაგალითად, ბესიკის ბევრი შაირის სტროფი შეიცავს შინაგან რითმას. ასე („რძალდედამთილიანი“, 21):

თავს დაქრა დედაბე რასა, გაართხა მიწა-მტევ რასა,
აგლეჭდის თმისა წვე რასა, სისხლს სდენდის ჭიდს ფერასა

ვითა წიწილა ძე რასა · შეეპყრა ლაჯებს ქვე რას და მალ-მალ სცის თხემთა ზე რასა, ვერ უძლო მისსა, მშერა რა ასევე

ჩახრუხაულ ლექსებში ბესიკის ზოგი გარეგანი და შინაგანი რითმა ერთგვარია. შინაგან და გარეგან რითმათა ეს ერთგვარობა სრულიად ახლებურ მუსიკალურ ინტონაციას აძლევს ჩახრუხაულის ტაეპებს, მაგალითად (იქვე, 12):

მიუგო რძალმან სიტყვა ნა ს ე ბ ი, უთხრა პასუხად ასჭერ ა ს ე ბ ი:
-გუვვ აჩემებით ვითა ხ ა ს ე ბ ი, ნიადაგ მეცვა ძაძა-ფლ ა ს ე ბ ი.
ხმა ჩაიღუმე, ნუ გაქვს ხ ა ს ე ბ ი, კაია, ნუღარ მება ა ს ე ბ ი,
შენამც გათრევენ ქვესკნელს დ ა ს ე ბ ი, სატანას ხელით
დაიფ ა ს ე ბ ი!

ორიგინალური საზომით არის დაწერილი „სამძიმარი“. ამ სამღლოვიარო ოდის ყოველი სტროფი ათ-ათი ტაეპისაგან შედგება (სულ ოდაში 34 სტროფია). კენტი ტაეპები ხუთმარცვლოვანია, ლუწი ტაეპები კი შვიდმარცვლოვანი. შესაძლებელია წყვილ-წყვილი ტაეპები მივიჩნიოთ მთლიან სალექსო სტრიქონებად, მაშინ ტაეპზე მოვა თორმეტ-თორმეტი მარცვალი. „სამძიმრის“ სტროფების დიდ უმრავლესობას აქვს ერთიანი რითმა ყველა ტაეპისათვის. ზოგ სტროფში კი ერთმანეთს ერითმება მხოლოდ წყვილი ტაეპი. მოვიყვანთ ამ უკანასკნელის ერთ ნიმუშს:

ლეონის თოფი
ნეტარ თუდა არს მყოფი?
ლეონის ხრმალი,
ვათ, თუმცა არს შშრალი?
ლეონის შები
აწ თუ სხვათ შენატყუბი?
ლეონის დამბაჩა
ცოცხალილა თუ დარჩა?
ვად, სატევარი
უმისოდ საწყვევარი

ბესიკის ლირიკული ლექსები სხვადასხვა ზომაზეა გაწყო-

ბილი. უფრო ხშირად აქვს თოთხმეტმარცვლიანი ტაქტები.

მაგალითად:

ტანო ტატანო, გულწამტანო, უცხოდ მარებოს
("ტანო ტატანო").

შე შენმა ფიქრმა მიმარინდა, ჩაველ ჭირებსა
("შე შენმა ფიქრმა მიმარინდა").

ბესიკს უწერია შვიდ, ათ, თორმეტ და ოხუთმეტმარცვლიანი საზომის ლექსებიც, ასე:

აადონის ის ევარდა. (7-მარცვლიანი).

სევდის ბალს შეველ შენალონები (10-მარცვლიანი).

შევნი შაშენი შევს გალიას შემსხდარნი (11-მარცვლიანი).

მოვედ, აწ, ძმაო, ლხინად საქმია! ვზი ჭირთა მოქმედად
(15-მარცვლიანი).

ბესიკს აქვს ნარევი მეტრის ლირიკული ლექსებიც. ასეთია „დედოფალ ანაზედ“. როგორც ცნობილია, საიათნოვასთან ერთად ბესიკმა დაამკვიდრა ქართულ პოეზიაში მუხამბაზური კილო. ბესიკის ბევრი საუკეთესო ლექსი სწორედ მუხამბაზური ყაბდისაა. თავისი ლექსებით ბესიკმა დიდი გავლენა მოახდინა როგორც მისღროინდელ პოეზიაზე, ისე XIX საუკუნის პირველი ათეული წლების პოეტების შემოქმედებაზე. ე. წ. გარდამავალი ბერიოდის ბევრი მგოსნის ლექსს მიწერილი აქვს „ბესარიონის ხმა“, „სევდის ბალის ხმა“ და ა. შ. საგულისისხმოა, რომ მუხამბაზური კილოს მოძულე ვახტანგ ორბელიანი ბესიკის ლექსების შესახებ აღტაცებით წერს: „აქა ისმენენ ბესიკისას მღერას ციურსაო“. დიდად აფასებდნენ ბესიკის პოეზიას იოვანე და თეიმურაზ ბატონიშვილები.

ისიც უნდა აღინიშვნოს, რომ ბესიკის ბევრი ლექსის ენა შედარებით მძიმეა, ზედმეტად მჭევრია, ზოგჯერ ხელოვნურიც. ბესიკი ჭარბად ხმარობს არქაულ ფორმებსა და ლექსიკას, ხშირად შეგნებულად ართულებს და არსებითად აბუნდოვანებს პოეტურ სახეებსა და ფრაზეოლოგიას, ერთი სიტყვით, წერს მაღალფარდოვანად და ღვდარჭნილად. საყურადღებო ისაა.

რომ ღვლარჭნილობა იგრძნობა არა მარტო სახოტბო დანიშნულების ღერძებში, არამედ პოეტის მშვენიერ სატრფიალო ლირიკაშიც, პოეტურ ეპისტოლეებში, დიპლომატიკური ხასიათის საქმიან წერილებში თუ კერძო მიმოწერაში. ღვლარჭნილობა იმდროინდელი მწერლობის ნიშანდობლივი სტილური მოვლენაა, რაც ანტონ კათალიკოსმა და იმისმა სკოლამ დააკანონეს. ბესიკიც პოეტურად აღბეჭდავს დროის ამ მწიგნიბრულ-სტილურ ტენდენციებს. რა თქმა უნდა, ეს ტენდენციები ჩრდილს ვერ აყენებს პოეტის ლირიკულ შედევრებს.

ბესიკი იყო ქართული პოზიტის მშვენება. მის შემოქმედებითს მექვიდღეობაზე იზრდებოდა და იწაფებოდა ქართველ პოეტთა მთელი თაობები. საკმარისია, თუ ვიტყვით, რომ ბესიკის პოეზიის შთამაგონებელი ზემოქმედება განუცდია ჩვენს სახალხო პოეტ იოსებ გრიშვილს.

როგორც ვიცით, ბესიკის ნეშტი მიიბარა რუმინეთის მიწამ. ჩვენი პოეტის საფლავის წარწერიანი ქვა სათუთად არის დაცული იასის მუზეუმში. ჩვენს დროში ბესიკის საფლავი ქართველთაგან პირველად ინახულეს და შესაფერისი პატივი მიაგეს ნიკო ბერძენიშვილმა და გიორგი ლეონიძემ. ბესიკის სახელი ფართოდ გახდა ცნობილი რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში, ბუქარესტსა და იაში იმართება ქართველი პოეტის ხსოვნის საღამოები¹, მისი ლექსები ითარგმნება რუმინულ ენაზე. ბესიკი თავისებური სიმბოლოა ქართველი და რუმინელი ხალხების ძმობა-მევობრობისა.

ა. ბარამიძე

¹ მაგალითად, იხ. „ბესიკისადმი მიძღვნილი საღამო იაში“ („თბილისი“, 24. III. 59).

ლ ე ჭ ე გ ი

სივრცის ბაღს შევეღ
შენაღონები:

მოკრეფად მსურდა ვარდის კონები.
ვარდმან შემრისხა თავმომწონები,
ისარი მტყორცა დასამონები,
სრულად მიმიღო ყოვლი ღონები,
მითხრა: „იფიქრე გულს ნაქონები,
მისთვის იქმნები დასაყოვნები“.
ვერ მივხვდი მახვილგანაწონები,
მისთვის შევიქმენ ცრემლთა ფონები.

1

იასა ვჰკითხე (მუნ იდგა ნაზი):
„ვარდსა რად უქმენ კართა სარაზი?“
ამაყად მწყრალი ვნახე ლამაზი.

2

მანცა განმაგდო: „გარეგან გაზი! ცალკეული განმარტება ხაზი.
შენგან გვაჩნია გულებსა ხაზი.
სიხარულიდამ დაბლა კერძ დაზი!
შენს გულსა პკითხე, მიაპყარ გაზი!
შენის გონებით იქნები რაზი:
ჩვენ დაგვომეო და სხვას ემონები!“



3

რა ია გამიწყრა, ნარგიზს მივმართე,
სისხლის ცრემლითა სიტყვანი დავრთე,
ვეუბნებოდი: „შენ წარმიმართე
იწროს გზის პოვნად, — გზები გაქვს ფართე,
ჩემსა ნუგეშსა ხელი შემართე,
გარდს მამულარე, ალერსი ჩართე,
შავ გულსა ლხინი შენ მოუსართე!
შემომითვალოს: რა უკულმართე?
რად მომიგონა მოუგონები?!“

4

ნარგიზი ვნახე შებრალებითა,
ცრემლსა სცვარეიდა მორიდებითა;
მითხრა: „ყარიბი!“ — მონაზებითა —
„ვარდი მით არის გულდაკლებითა,
რომ შენი იყო თავდადებითა,
თავი მოსწონდა, ჰყვანდი ნებითა,
შენ რისთვის დასთმე სხვისა ხლებითა?
რად გიყვირს, გასწყრეს ცეცხლმოდებითა?
ნაცვალი მოგხედა დანახსოვნები!“

5

დავბრუნდი ყოვლგნით შეუბრალები,
ბალის კარს დავჭექ შენაძალები,

ცრემლით აღმევსნეს მშირნი თვალები,
ვიყავ ბედისა დამაბრალები.
ვინცა მნახვიდენ დამაშერალები,
შეიქმნებოდენ ჭირნაკრძალები.
მეც მომხედა სოფლის მკალელი ბრჭყალები:
ბესიკი სიკვდილს არ ვემალები,
თავი მაქვს მისთვის შენაწონები!



80 მიმღები მაგას შენსა პრალებსა

1

მე მივხვდი მაგას შენსა პრალებსა,
მე განვიცხადებ დანამალებსა:
რად არა პრიდენ განსაკრძალებსა,
ხელი რად მიჰყავ ძველსა ვალებსა,
რად მიჰყევ სხვათა ჭკუამთვრალებსა?
ნებით მოშორდი ვარდის კვალებსა!
არ შეგიბრალებ შეუბრალებსა,
თუმცა უყვარდი მისა თვალებსა.
რად არა პრიდენ განსაკრძალებსა?

2

რადგან ძლეულხარ შენისა ნებით,
თავს რაღად მართლობ თანისთანებით,
ან რას იყოვნი უამსა ხანებით,
რას ინუგეშებ ცრემლსა ბანებით?
ხელი აიღევ მაგ სავანებით,
შემწე იძიე ბანის-ბანებით!
აგრე ვერ მომჟი ვარდსა ყანებით!
რად გულს განიშონ საკვდად დანებით?
სხვას გირჩევ გზასა და სხვას ძალებსა.

3

მივედ, ყარიბო, უთხარ ბულბულსა,
მას შვენიერსა, ტკბილხმა უსულსა!

შეგამუდარებს ქველსა სუმბულსა,
სიტყვას დაუფენს, ვითა ბუმბულსა;
შუა შემოვლენ, შეუქმენ გულსა,
ვარდსთანა მივლენ კარდარაზულსა,
მოახსენებენ მაგ შენსა წყლულსა.
ვიცი, გიხსნიან ბედითა კრულსა,
მაგრა გახსოვდეს გულსა სალებსა!

თარიღის გადაცემი
სისახლის გადაცემი

4

თუ ნახო ვარდის კარნი ღიანი,
ან მოგეგებნენ ნაზნი იანი,
ჩემ მაგიერად იგი ჰქვიანი
ნარგიზი ნახე, ქცევამზიანი,
ესრე უამბე: „იყავ სვიანი!“
ანუ სად ვვლიდე კეთილგზიანი?
ვარდი მიეითხე, აგრევ იანი,
მეცა გახსოვდე მცირედლიანი,
მომიგონებდე ფერნამქრთალებსა!

5

ნუთუმცა ნახო ვარდი მცინარე,
გარდმოუტევე თვალთა მდინარე,
პირველად ჩემგან გულმომდინარე,
სალამი ჰეთერე არსაწყინარე,
ეს შენათვალი მიუწინარე:
„მეცა ვიყავ-თქო თავსაჩინარე,
ადგილი მქონდა დასაბინარე“.
გირჩევ, შეგბრალდეს გულნამტკინარე,
მანტორ, გაბრალებ ფესვით ბრჭყალებსა!


ბულბული მოღის გაუჩარებით

1. ბულბული მოღის მწუხარებით, ცრემლის დენითა,
 ვეპვობ, მებალეს დაუტუქსავს ცეცხლმოდებითა.
 ბულბულო, გადი ამ ბალიდამ შენის ნებითა,
 თორებ კრაზანა შენ დაგჩაგრძავს ყოვლის გზებითა.

2. წადი, ბულბულო, შენ მებალეს შეპფიცე სჯული,
 კრაზანს ევედრე, მოგიტეოს დანაშაული;
 ნარგისთან კაცი გააგზავნე: სრულ ჰქნან ალთქმული,
 მებალესთანაც დაგეხმაროს ვარდის ენითა.

3. ადექ, ბულბულო, ვარდის სიტყვით მებალე ნახე,
 თუ წყრომით იყოს, თავი მოიგალ, კარს დაემარხე;
 ეგების ბალში შეგიყვანოს, ნარგიზი ნახე:
 კოკობი ვარდი არ მიგილებს თავის ნებითა.

4. სიკვდილო, მოღი, მიაბარე ბულბულის სული:
 მებალემ დასწყლა და დაპყოლა ბულბულის გული!
 ბევრარი ბესიკი, მოღი, მნახე, ჩამიღვი სული,
 თუ გინდ მიწასაც მიმაბარე მოყვრის ენითა!



ტანო ტატანო

1


ტანო ტატანო, გულწამტანო, უცხოდ მარებო!
 ზილფო, კავებო, მომქლავებო, ვერსაჟარებო,
 წარბ-წამწამ-თვალნო, მისათვალნო, შემაზარებო,
 ძოჭ-ლალ-ბაგეო, დამდაგეო, სულთწამარებო,
 პირო მთვარეო, მომიგონე, მზისა დარებო!

2

თვალთა ნარგისი, დამდაგისი, შეგშეენის მწველად,
 ყელსა ბროლებსა, უტოლებსა, გველი გყვა მცველად,
 გვსნეს ხალები, მაკრძალები, ამარტის ველად,
 ნარინჯი ორნი, ტოლნი, სწორნი, მიქმოდენ ხელად,
 მიწვევდენ შენად შესამკობლად, დამარწარებო!

3

ალვაო, გესნეს ორნი ნორჩინი მოსარჩეველნი,
 მკლავნი მომქლავნი, თითნი თლილნი მოსაწვეველნი,
 ზარიფსა წელსა დაეკვირვნეს ქვეყანად მვლელნი.
 ოდეს გნახვიდი, შევიძატნი ათასნი წელნი.
 აწ დამლევიან ყოვლნი დღენი, უცხოდ ვარებო.



4

ბაგემდუმრიად გიალერსებ, ბაგეო ვარდო!
თვალთა სურიან ხილვა შენი, კეკელა მარდო!
გულსა სწყურიან დამაშერალსა, რას შეგაფარდო?
თუცა შენ დაგომო, ვინღა ვპპოვო, სად გავიზარდო?
უშენოდ ხილვა არვისი მსურს, შევიზარებო.

5

შენმა გონებამ მიმამსგავსა მილეულს მთვარეს,
სიცოცხლის ნაცვლად მოვინატრი სიკვდილსა მწარეს.
მოდით, მიჯნურნო, შემიბრალეთ, მოვლეთ ჩემს ორეს,
მკვდარი მიჯნური დამიტირეთ, დამფალთ სამარეს!
ვად, სიცოცხლეო უქულმართო, დანაცარებო!

ՅՅ ՇԵՆՔԱ ՊՈՒԺԻՋԱ ՑՈՒՑԱԽՈԾՈՒՅԱ

1

Եյ Շենքա գոյշրմա թօմահոնդա, հիզել վօրեծսա:
 անդամարտուսեծր մօմօնօնդաց, զէցաց նախորչացընսա.
 յարդոն ծացենո Շեցենոյրագ և սեցա մածորեծսա,
 հեմբեծր սրբալող թօսպանցէ ցածայցորչացընսա.
 հոգցէս ոյնեծա Շեմոմեցեցո ցշոլսա մթորեծսա?

2

ԵՌԼՇԵՎԵՆՈՅՐԱԳ մռահուլո ցամսցացսց մտցարցս,
 Շենոն յ՛մպոտա թասա Շեցեստրոյո, լամր զըլո ցարցս;
 յւլքո Շեցոյէն լրճամասացան, զար վօրսա մթարցս.
 լուսամահուլոնձամ, մոյցարկս, հոգուր զըր Շեցանչարցս?!


առ զույո, զումսա ցամբոնձոնեար հշոլսա, գորեծսա?

3

ԵՎՈՒՇ ՇԵՆՔԱ ցուլմա յարցագ օւրուս: զար Շենո մյցլահո,
 Շենքա սսրցուլման համուլու ցուլո յլուցեմպահո.
 პորչալ Շայիրուսա ցըմո ոյցաց, օելու եար մթարու,
 սամահուլունո ցնա ձաւցաց, ձամօն՛մեց յահո.
 զոնց հոգ ամ վորմու լամոնահացս, լամուրորեծսա.



მე ტებილის გულით შემოგუურებ, შენ მემალები, —
გინდა, რომ მოვპყვდე შეუყრელი, არ გებრალები,
რამდენის რიგით ცეცხლით დამწევი, მით მჭირს ძალები.
შენსა მიზნურსა შენი მოპყლაქს ცეცხლის ალები.
ერთხელ აღირსე შენი ხილვა შენსა მზირებსა!



დედოფალს ანაზღა

1

ვარ უცხო ვინმე ყარიბი
ამა სიტყვისა მხმობელი,
ამა მუხთლისა სოფლისა.
მაგინებელი, მგმობელი,
მონა ვარ მისი მუდამ უამ
და მისი შემამყობელი, —
და იგია ჩემი ხელმწიფე
და ჩემი დამადინობელი!

2

ვყუცავ, მე არვინ მიხილავს,
რომ არს შეენებით ა ნაო.
მთვარესა ეზრახებოდა:
„შენ ვერ ხარ ჩემისთ ა ნაო!“
ვარსკვლავნი მისდა სამონოდ
გარს უდგენ თანისთ ა ნაო.
და მხილველნო, დამემოწმენით:
კარგი ყოფილა გა ნაო?

3

ცნობა მიმიღო და გული,
ხედვით შემზღვდა ა ნამან,
კვლავ მომკლა მისმან ციალმან
და წელთა მიმოტ ა ნამან;

კოკობსა ვარდსა ნარგიზმან
აპულა ცრემლი, ა ნ ა მ ა.
და ჭობს, რომ არ ჰყავდეს მიწნური,
ან მოკლას ამისთ ა ნ ა მ ა ნ!



4

იაგუნდი მოცინარობს:
«მარგარიტონ, მიახელთო!»
სათის ტბილგან ისარს ისერის,
ვინ გაუვლის ახლოს ველთო?
დალახვრავს და მძიმედ დაპკოდს,
ველს განაბნევს დია ხელთო.
და ნეტარ, თავო, გაქვნდეს გზაო!
უვიცადი გიახელთო!

5

მიმიღო ცნობა —
არ ძალმიძს მკობა —
ჩემმან ხელმექმნელმან, ლამაზმ ა ნ ა მ ა ნ!
შემოსა ხელი,
ითნო სახელი
მისმან გუანმან პაწაწ ა ნ ა მ ა ნ;
ალხინა გული,
წყლულ-დაღაგული,
წყალობიანმან მისმან შ ა ნ ა მ ა ნ.
და თქმულია ძეელად:
„ვინც იყოს ხელად,
ერჩოფე და მოგკლას ამისთ ა ნ ა მ ა ნ!“

6

ხელმწიფევ, გული
შენთ ა ნ-ა ბმული,

წყალობი ა ნ ა ღ მომცემო შვების!
 ნაზად ვინ ირთვის,
 პირი მიმირთვის
 სიკვდიდმდე მტკიცე შენთ ა ნ ა ხლების;
 თუმცალა გცოდე,
 ვიყო შემცოდე,
 შენგან წყალობით ნუ მელხინების!
 და გიმუხთლე ესე,
 ვიყოცა მკვნესე,
 შენგანცა კიდე ვიყოცა სხვების!



ბელგულის შურსა

1

ბულბულის შურსა შეედგომივარ მუდამ მძახველი,
მწყურნების თვალით შემოგყურებ შენი მსახველი,
ვარდის ეკალი გულს დამტესვა პირვამმახველი,
შენგან დაყოდილს შემიზრალებს ჩემი მნახველი!
დამაშვრალმან სულ მოვირბინე შენგნით, ახ, ველი!

2

ვარდი ხარ ჯერეთ არაშლილი, ედემს ნარგები,
შენის ბულბულის შემაშალი, შემაშმაგები,
შენგან ითხოვენ შვენებასა სხვანი კარგები,
ჩემგან რად უნდა გაგიყვირდეს — დავიდაგები!
ყოვლი მიჯნური შენ დაგიწვავს, მიწის მლახველი.

3

მე გული სრულად შემოგწირე, შენ ხმა არ გამეც,
შენ ჩემი ჭირი გიხარიან, მე ვსტირ დღე, ღამეც.
მითხარ, სიცოცხლის სანაცვალი ნეტარ რა მამეც?
უბრალო სული მომაყვდინე, ლახვარი დამეც.
ლამის რომ მოვპევდე, ვერ შევიქმნა შენი მზრახველი.

4

1. 2. 3. 4. 5.

თუ სამართალი არის საღმე, გეზიანების,
უელი გამომჰქერ, პირი დამრჩა შენის დანების.
შენგან მოკლული ბევრი ვინმე გაიმუღავნების,
შენი ბრალები ჩინუმაჩინს გაიგზავნების.
კაი და მორჩი, ჩემშედ ნუ ხარ თვალის მფახველი!

5

მღიმარის პირით წამეპარე, დამიღვი მახე,
ასე მეგონა, შემჩჩებოდა ეგ შენი სახე,
ანთებულს ცეცხლსა შესაწველად ხელი შეგახე.
დამწვარი მაინც შემიბრალე, ბესიკი ნახე!
ვად შენი ბრალი, ჩემო თავო, ღრუბელს შახველი!



მე შენი მგონე, ჭირს შემქონე, დამწვი, მალ ალო,

ზილფო ნაშალო, შემაშალო, მკვლელო დალალო,
მთიებო პირო, მიჯნურთ მჟირო, ბროლო და ლალო,
კიკლუცო, ნაზო, შენ ლამაზო, ბროლ-ფიქალალო!
მე შენსა ყარიბს და მიჯნურსა მაქვს სავალალო.

1

2

ჰხამს შენთვის ხელმა, სოფელს მვლელმა, თავი ჭირს.
აროს,
შენი უწყალო ჰინდო ლაშქარნი გარშეისაროს,
მათგან დაზიდულს მშვილდსა უძლოს, გულსა ისაროს,
დაჭრილი ჰრბოდეს, ცხოველობა გაიმქისაროს.
მაგრამ უბრალოდ სისხლი შეწიედ არს საალალო!

3

როს მოგიხილე, მყის შევიქენ თავისა მტერი:
რაღ არ ვიცოდი, არა გყვანდა შენი საფერი?
ყოვლი მოყვარე შენგან ჩივის — ყმაა თუ ბერი:
რა გრამების, არვინ იცის; ვსცან ვერა ვერი!
ღრია, თუ მომკლავ შენ, სიკეთელაუთვალალო!

4

ძნელი ყოფილა, დამაშვრალსა შეხვდეს წყურვილი,
რა მზის სიცხოვლე მი-ჩა-სჭირდეს, შექმნას ურვილი.
ვა ჩემსა ბედსა, იცი, მე ვარ სულმიწურვილი!
მიკვირს, რად აღარ დამაკარვენ სათნი ბურვილი?!
ჰგავს, ჩომ მოყვარე აჩად გინდა, მოუთვალალო!

5

მე შენმა ოვალმა გარდმიბირა, ჩოს გნახე მთვარე,
შეიძნი ციურნი მოციმციმედ არ შეგადარე.
შენის ბავისა ორნი მეცნეს — ტკბილი და მწარე,
ორკეცად შენი სიყვარული თავს დამაფარე!
შენი მიჯნური ჩად დამაგდენ, შეუბრალალო?



ცრემლთა ისხარი

1

ცრემლთა ისხარი, მოსისხარი, ჩვენდა არენით,
ილშენით გული, ჰირნახული, შეგვიწყნარენით
უცხონი თემით სოფლის ცემით გავიგარენით,
უჭნობნი ვარდნი, ესვეარ დარღნი, დავიბძარენით,
არ ითქმის ენით, არცა სმენით, — ეს იქმარენით!

2

როს გვაგონდებით, შეელონდებით, ლომნო ყმა-ძმანო,
თანზრდილნო სწორნო, განა შორნო, საყვარლად ქმანო!
ვა კიდევანთა, ესდენ ხანთა გლოვისა ხმანო,
ატარის კალოს, სავალალოს, საღა ხართ, თქმანო?!
დავვზეტნა ქარბან დაუწყნარმან, ზღვად ვითარენით.

3

დაბერდა ყური, სევდის ჭური, რა პპოვა სოფლით,
დაბინდნა თვალი, შეუმკრთალნი, ცრემლით და ოფლით.
დადგესცა ხელნი, მარჯვედ წრეფელი, შორნი საყოფლით,
ხელმწიფე, გული ცეცხლდაგული, სულით გამყოფლით,
ჭირსამცა თქვენისა, თუ გალხენსა, მოიხმარენით!

4

დღე ვნატრით მზესა, სიამესა, დილა თქვენ გარებს,
 ღამე მთოვარე, ქველმოარე, ხასიათ გვარებს,
 ცისკარ-მთიები, სხვა ციები პირველ გვახარებს
 და მერჩე ჩრდილოს სასიკვდილოს ღრუბელს დაჰფარებს.
 ამ დღე-ღამითა და უამითა დავიმწარენით!

5

სიზმარს ვემონვით ძილშეკონვით, ნუთუმცა გნახეთ,
 სახე უსახო, საეხვახო, — ეს განვიზრახეთ,
 სხვამცა პატრონი, ანუ ღრონი, ვერლა დაესახეთ,
 ყარაბთა ბანი, გზის საბანი, ეკლით შევსჩმახეთ.
 მოყვასთა ცრემლი სწორმეთ ცხელნი, მტერთ ინარენით!



ვარდო სასურო

1

ვარდო სასურო, მაისურო, გრწყავს წვიმა, დარი!
სულით ქებულო, შეგნებულო, საღა გყავს დარი?
ჩემს სხვა ცემული, გულმოკლული, შორს განიგარი!
ტანო ალვაო, მატს ხალვაო, მაქვს სანუკვარი,
სევდა და სენი, მომიხსენი რა საუბარი.
მე სხივცემული, გულმოწყლული, შორს განიგარი!

2

სასური მზისა, სინაზისა, შემესმა ხმანი,
მე მსურდა თავათ, გავხდი ავათ, უწყალო ყრმანი,
ვარ მისთვის ხელი, მომნახველი ვარ უძმიანი.
ტრფიალსა გულსა, სულწასულსა, ბედი და თქმანი,
ვერ ვპოვე მახე, ჩემი დღენი არს შესაზარი.
ვარდო სასურო, მაისურო, გრწყავს წვიმა, დარი!

3

ვიხილე სახე, ვივახვახე მისთვის ხელია,
ომა სათ-გიშერი, შეენიერი მინა ყელია,
ორნი ობოლნი, ნაზად მწოლნი, ბროლის ველია,
მან მიდო შური, დასაბქური ცრემლი ცხელია.
სევდის უამი ვსვი, გულს] დავისვი ეკალთა ნარი.
ვარდო სასურო, მაისურო, გრწყავს წვიმა, დარი!



მინახამს წელი ჩემთვის მწველი მარად ეამსაღა,
არა მაქვს ცნობა — უშენობა მე ერთ წამსაღა,
მთიებს რა იღებ, სულს გავიღებ შენთვის ქრთამსაღა.
მელნის ტბა იშრობს, არ შეიშრობს თვალთა ნამსაღა,
მახეს აწვები, მაქვს ღაწვები ცრემლით ნაღარი.
[ვარდო სისურო, მაისურო, გრწყავს წვიმა, დარი!].

ბ ე ს ა რ ი თ ნ ვ ს თქვი, ვ ე რ გ ა მოვს თქვი მ ნ ა თ თ ბ ი ს
ქ ე ბ ა,

მედება ალი, გულსა ბრწყალი, არა მაქვს შეება,
ასე უარი, მატყუარი, არ დამრთო ნება.
წამ-წამ მახვილი, გარს სახმილო მძიმეობს მედება,
მოყვარე, მტერნო, გბრალდეთ, ერნო. მაქვს საჩივარი!
ვართო სასურო, მაისურო, გრწყავს წვიმა, დარი!



მოვედ აჭ. ძმაო

1

მოვედ აწ, ძმაო, ლხინად საქმაო! ვზი ჭირთა მოქმედად:
მწვავს ცეცხლი ძნელი, მძაფრი, არნელი, მუდამ
მდაგველად;
არ მაქვს თმინება, წვრთა და სმინება, — ამაღ ვრბი
ველად,
პოვე რა თვალი, იასპმჟირვალი, ვა, ჩემდა მკვლელად,
მარეხი მკრელი, უწყალოდ მსვრელი, არს სისხლთა
მღვრელად.

2

მოვარეა ნათლად, ბროლისა ნათლად ვნახე ჩემს არედ,
მიმტაცა გული, მსწრაფლ დაგული, მისცა სახმარედ,
მტყორცა ისარი, წამ ის არი მომწყლველი მწარედ,
იძლენა გონება, სურს მონება, ვინ არს მკრთოლვარედ,
იაკინთნაზავ, ნამქნაზ-შენათხზავ, მიჯნურს მყოფს ხელად.

3

შროშანთა შლილნი, ყარამფილნი, შვენვით ზვაობენ,
თვალნი ლამაზად ეშეის სიმდიდრით მიმოარობენ,
სუმბულ-კინამო, ვარდ-ცვარ-მინამო, მკვრეტნი ხარობენ.

Վայուաց, ոչ մերա, երմո და ღօս մանեց დაհոնձեն.

ահ Յօնտ Տանց Սակց Տացլուց մանց, մօն յերժ մինդաց լուած.

4

Տիազրաց Յուղեմսա, զօնա Երբուալնօ Մեսիցա Շալուգ;
Ցունդրաց-Նմօնինց պրիոն Կա Հածահօն-Նահօնն-ալուգ.
ահ Գոյզուրս, մմառ, յըրետ Յուտա մյնա Տացալուգ?!

Ամսօնին-մահց, Յբեմսնցահց-մյահց, մց Յըլսան Շիցալուգ.
Յօնթաց լրնօնա, ահ Յալբոնձա, ահ տոյ արմւց լուած.

რა გული დავაგე შენად სარებლად

1. რა გული დავაგე შენად სარებლად,
მუნითგან ვარდს გიფენ მით ამ არებით;
ვიცი, დღენი მისხენ შენდა მარებლად,
მისთვის თავს შეგწირავ მით ამარებით!
2. როს ვარდი მიშალე და მანდარია,
მით მოჰყალ ბულბული და მან დარია:
კვლავ ჩემი სალბუნი და მანდ არია.
თუ მწყლავ, ნუ განმაგდებ მით ამ არებით!
3. მე იგი ვარ, ოდეს ამარეს არა,
აჩ იღრიძი მოენთა ამ არეს, არა,
აწ არლა მომხედე ამ არესა რა,
მე სხვათ მიცნობ სხვისა მითა მარებით.
4. ან აჩ მნახო, მრხეო, დაიარე-და,
ვინ უწყალოდ გული დაიარე-და!
შენთვის მკვდარს ყარიბზედ დაიარე-და,
ნუ თუ კვლავ მაცოცხლო მით ამარებით!

ଶାତ ଗଲାକ ପୁଣୀ

1. ଶାତ ଗଲାକ ପୁଣୀ, ଯଦିତ୍ରୀର ବିଷ୍ଵା ମୁଦାମିତ,
ମିଥିନୁହିତ ଶିଥି ପ୍ରସରିବିଲେ କାହିଁ ରିଧେବିତ?
ଯଦିତ୍ରୀର କ୍ଷେତ୍ରକୁ, ଯଦିତ୍ରୀର ଶିଥି ମୁଦାମିତ?
ମିନାତନ୍ଦତ କାହେଲେ ଗାନ୍ଧିଜୀଙ୍କ ରିଧେବିତ!

2. ମିଥିବିଲେ କାହେଲେ ପିତାରାମ, ମୁନି ଦାରୀରୁଦ୍ଧ ରା,
ତୁରତୁଳାଲତ ପ୍ରେତ୍କଳେ ଉଗନ୍ଧାବନୀ, ମୁନି ଦାରୀ ଦାରୀ,
ଯତ ମିଥେମାନ ଲର୍ଦ୍ଦୁବଳିତା ମୁନି ଦାରୀ ଦାରୀ.
ମାତ୍ର ମିଥିର କ୍ଷେତ୍ରରେ ପ୍ରସରିବିଲେ କରିଦାଲ୍ବିତ, ରିଧେବିତ!

3. ମୁଖୁ ଶିଥିର ଲାକ୍ଷ୍ମୀର ଦାନାସନ୍ଦିତା,
ଦାନ୍ତକୁରା ଶାତ ଗଲାକ ପୁଣୀ ଦାନା-ସନ୍ଦିତା,
ମାନ କ୍ଷେତ୍ରର ମିମର୍ତ୍ତାପ୍ରା ଦାନାସନ୍ଦିତା,
ବିଷ୍ଵା ମାନାର ମିଥିନୁହିତ ଶିଥିର ରିଧେବିତ.

4. କ୍ଷେତ୍ର-କାନ୍ତି ରାନ୍ଧାର ମାନ ବିଶାରଦୀରୀ,
ଚାରିବି ଚିତ୍ତରିଲ୍ଲି ଚାମିତ୍ତାମିମାନ ବିଶାରଦୀରୀ,
ଶ୍ରୀମାନ, ଓହି ଧ୍ୟେ ପିତ୍ର ମାନ ବିଶାରଦୀରୀ;
ଶୁଣିତ ପ୍ରତ୍ୟାମନ ଦାନ୍ତକୁରିନ୍ଦ୍ରି ରିଧେବିତ!

ხმა სირინოზს

1. ხმა სირინოზს, თმა-ღულამბარ-წინამოს,
 დამქროლო ნიაო, არვედ ეარე!
 შეე-აპოლოს, დისკო უძღვენ წინამოს,
 შეიდთა მთენთა ერთი ხლებად ეარე!

2. ვინ სულთ ბაზრად შეაშენენ შენები,
 მუნ საღალნი შავად საგნად შენები,
 მეტყვი: „მოი, გულო შავ გლახ, შენ ები,
 ძვირად საღმე საფარდულად ეარე!

3. თეთრითა ზღვათა შავნი ნავნი მანავნი,
 ესრეთ ვჰეონე, მან განავნა მანავნი,
 არ იყადრა ლიმენს ტევრი მან აენი.
 შავნი ჰინდნი მას დარაჯად ეარე!

4. ვსთქვი: რა ვნახე უცხო სახე და რანი,
 მიესხივნეს გულთ სათენი დარანი;
 ლალს მოეცვა ბარაინის დარანი,
 ხადაფს ვარქვი: შენ ტიელად ეარე!

5. ვარდსა ბალი გაეწითლა არვებით,
 თუ შევეხით, ვეჭვ, უეკლოდ არ ვებით.
 მისს მაჯნუნსა რამცა ჰქონდეს, არ ვებით.
 ჰქამს ეკალი ზედან გულზედ ეარე!

ՑԱՅՑՈ ՄԱՅՑՅՈ

1. Շացնո Շամենո Շացս ցալուս Շեմսեղահնո,
Սպառտաց մեմոննո, եթայահոծաց մսրցոնացնո,
Թրիոծլաց մեյլնո, մոտ յրտուա პորուա
Թատյեղրաց ևալ ցուլու ամարտյոնացնո.
2. Ցանչացեցուլուս Շեմուսլուսա մեմոծելնո,
Ու-յարց-Քամինետա մախահոծելնո,
Տեցա պաշուալուա ըա Տեցա ամիացու մտեհոծելնո,
Շաց եացեժուսոլնո, յշուաց մենինացնո.
3. Երտոյերտուս մոմդյահնո, յրտուորնո,
Օհնո յրտուս Շեսաձկրոծլաց մոմինորնո,
Տամոնիահաց Շահուս ուցալՇեմայցորնո,
Եան մոմկցլել, եան մոմիկլաց, եանցա մլենեցնո.
4. Շեմոյերծուտ, մոճուտ, ցնածուտ, ցոն ահնո,
Օհնո Ծոլնո Շաց մոլսցուա մինահնո,
Ահմովյունուտ մոմլոյրալնո, մրամահնո,
Կահոծուսա ցրյեմլուս ըամաջոնահնո.



იადონს ის ეპარდა

1. იადონს ის ევარდა
და სუმბულს ის ევარდა.
თქვა მაისმა: „მე თქვენგან
დაბმულვარ, ისე ვარ-და!“

2. შავმან შაშვილ ისტვინა,
პირველ ვინ ჰელა, ის ტვინა,
ეშვი ხმასა შეაკლა,
აშრო, ვირემდის ტვინა.

3. მალალურმან შალა ხმა,
შევლო გულს მან, შალ ახმა;
დაეკონა ლულამბარს,
დასჭრა და მან შალახმა.

4. თუთი ლალობს რალა წვალ,
მას ვაღარნეთ რა ლაწვალ;
ვეპვ, ყაყაჩოს უხარის,
გულს აჩნია და-ლა-წვალ.

5. გვრიტი ყელსა უგარებს,
არ-ავხმას აუგარებს,
შეტკბობით შელულუნებს,
თვალშებნედით გუგარებს.



6. ნარგიზს დარა მანდარა,
რამცა დარა მანდა რა;
აჭიქშიყდა მერცხალი,
საოზედ დარა მანდ არა.

7. ბაგედ ვსოდე შენდა, ლალო,
უცხოს ხმით გშვენს დალალო;
ჰაირს ტოროლა დაგრძელის,
შეგბრალდეს შენდ, ალალო!

8. ნარინჯთა დახედ, დახედ,
მოკრეფად ახედა ხედ,
მაჭნუნმა ხმა შევაწყევ,
ტან ალვად ახედ, ახედ.



სტენის გულბული

1

- ვად, საბრალო, სტენის ბულბული ვარდა შედა,
ხმა საბრალოდ მეამედა;
კოცნა ვეღარ გაებედა.
საბრალო, აი რა,
ხმა ღამთვრალო აირა,
მაძობ, ისარს ისობ,
ის გიხარის, ვაი, რა!

2

- ვად, საბრალო, ეტყვის: „ვაჩდო, შენი ხაჩე
რდეს ვნახე, მექმნა მახე,
შემსა ფერსა სული ვახე“.-
საბრალო, აი რა,
ხმა ღამთვრალო აირა,
მაძობ, ისარს ისობ,
ის გიხარის, ვაი, რა!

3

- ვად, საბრალო, ვარდმან პირი არა შალა,
უმზეობით დაემალა,
ბულბულს სული გაეცალა.

ვად,

საბრალო, აი რა,
ხმა ღამთვრალო აირა,
მაისობ, ისარს ისობ,
ის გიხარის, ვაი, რა!

რას

- 4
- ვად, საბრალო, ყელი გარდაგო ბულბულმა,
სიცოცხლის ცვარდაგუბულმა,
შეპბრალდა, ხმა ჰყო სუმბულმა.
რად,
რას
- საბრალო, აი რა,
ხმა ღამთვრალო აირა,
მაისობ, ისარს ისობ,
ის გიხარის, ვაი, რა!

5

- ვად, საბრალო, ვარდს ბულბული შეეწყალა,
ლალის ფარდა გარდაშალა,
მაჯნუნს მიხედა სულის ძალა.
რად,
რას
- საბრალო, აი რა,
ხმა ღამთვრალო აირა,
მაისობ, ისარს ისობ,
ის გიხარის, ვაი, რა!



პარი ციცენაშიანი

ჰერი ციცენაშიანი
ჩემთვის აღარ-ა დღიანი;
მას ვშორავ გულსევდიანი,
ვის მოლოდნა მაქვს გვიანი.

ქუფრხვევით თვალცრემლიანი,
აღარასად-ა ხმიანი,
თავმოხრით ვნახე იანი,
სხივნი ჰყლებოდეს მზიანი.

პირველ სიმღაბლეს აღმართ

1. პირველ სიმღაბლეს აღმართ, შზა უვენ ლოცვითა ზენანი,
წყალობით ძალთა მფენანი!
2. ვით საწოლს შიგან ურიდად არ გექმნეს ბრძოლად ტკენანი,
არცა გულისა კბენანი.
3. ცხენს ნუ შეაწყვდევ რაზმს გარე, გაქვნდეს ხლტომა და
ფრენანი,
ამხანაგთ ექმნა ლხენანი.
4. ასი ათასთა მგონები, გახლდეს ცხენ თავის შვენანი,
მტერთ ზარის გამათენანი!

კ ი ქ ლ ვ წ ე ს



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკი

ევგა ცოლომონ გაფისა

1

ვსოთხოვე ზენასა, მაღლის მფენასა,
შენი შემკობა, მეფეთმეფეო!
მომტა მე სიტყვა, ვინც ქრისტედ ითქვა,
ვიპყარ კალამი, მელანს ვაწეო.
ჰერთებიან ხელნი, კალმის შემხენი,
მიიჩოთვი ესე მცირე მწელილეო!
სწორედ არა ვთხზა, რისხვა არ მითხზა,
ვვედრებელი ვარ, დიდ ხელმწიფეო!

2

მიხმს შენი ქება, თუ შემეძლება,
კეთილ თხემთაგან წარმონორჩევილო,
დავითის სქესო, მეფედ ნაწესო,
შეენიერებით აღმობუტკვილო,
სიბრძნითა ბრძენო, დავითის ძენო,

ტანად საროსებრ აღყვავებულო!
გაბრწყინვებს ღმერთი, მტერს დაპკარ კვირთხი,
ხრმალბასრლესულო, აღზვავებულო!

3

იქსიანო, დაეით სვიანო,
მეფევ, ლვთისაგან ამაღლებულო,
ამაღლებულო, გაბრწყინვებულო,
ლვთისაგან მეფედ დიდად ცხებულო,
გვირგვინოსანო, სკიპტრია-ხრლმოსანო,
ზესთა კურთხევით გამორჩეულო,
გონებით მდაბალ, დიდებით მაღალ,
ზესთა მადლთავან აღცენებულო!

4

დღეს მოგცა ღმერთმან, სამებით ერთმან,
ნიში ხელმწიფის ყოვლად მოწყალის;
ხელი აღგიხვა, მტერი დაგიმხვა,
ქრისტიანები ესრეთ ეწყალვის.
აშ ამ ნიშითა მოსწყდენ შიშითა,
ვინცა ვინ იქმნეს ფრიად დიდ ძალის.
აშ მოგცეს ხრმალი, მტერთ სალახვარი,
შავმაღის მოსაეთ ი ამან დაღის.


5

დიდმან ხელმწიფემ, მტერთა განმკვეთემ,
კავალერია იღვაწა შენთვის;
გარდენიდნა მარჯენით, მისვალნა მარცხნით,
რათა იღვაწო ამა ერთათვის.
მარჯვენ-მარცხენით, არსიმარცხენით,
ხრულიად ვიცვა ამა შენთათვის,
ანდრია ხატის, ყოველთა მატის,
დასაცველი არს მარჯვ-მარცხენთათვის.



ხელმწიფევ დიდო, ყოველთ სადიდო,
მომლოცველი ვარ ამა ნიშისა!
გადიდოს ღმერთმან, სამებით ერთმან,
მვედრებელი ვარ სულის წმინდისა!
სიცოცხლე მოგცეს, მტერი დაგიცეს,
მხრარულ იქმენ დღეს ამ ნიჭისა!
ამაღლდეს ტახტი, ვით არატატი,
ვერვინ შეიქმნეს მზრახე იშისა!

ვარსკვლავი იპყრეს, მტერი გაიპეს
პირველ მოგვებთა, ოდეს მგზავრობდენ.
ქრისტე მათ იცნეს, ეროდე ჰეიცხეს,
წინაძლომითა ადგილს სწავლობდენ.
ეგრეთვე დღესცა მტერი დაეცა,
ოდეს ვარსკვლავი გულზე გხატობდენ.
ხატი ვარსკვლავი, შენი დამცავი,
სიხარულითა შენთან გალობდენ.



სოლომონ მაცის ეპიზოდია

1

აღამის ძლითმან მიწა თქმისა სმენამან
მომატყვა ხმაი ურჩებით შოვებული,
მომსხლა უწყალმან სამოთხით დავითისით
ვაზი, მწდეველი ქრისტე ჩემისდა სისხლით,
ვითნე ბრძანება მეუფისა მეფემან.

2

სოლომონითმან სოლომონ მორჩი წარმომან,
მეფეთ წინ მეთქვთა სვეტმან და ძემან მათმან,
აღვსოქვენ და აღვთხვრენ აგარიეთ ოსმანნი,
ჩემსა ზე მყოფნი, შენ ძლით, ღვთისა დედაო!
ვინაი აწ ვარ მიწა, მოქენე ბრალთა!

3

ოდეს ვხედვიდი, თვალ ურულოდცა ვგებდი
განხდად მდევნელთა აგარიანთა დევნით;
ვეფხტრთოვნად ბრძარებით ჭანგმახულ განფხვრა-სხლვითა
განძთა მიღებით შევმწირველობდი ძლევნთა,
აწ უტყვი სიტყვით გლოცექო, ძმანო, შენდობად!



ცრემლთა მდინარე

სარდარო!

რუსეთით ყარიბი

ნაელლისა მელნით ოღმურები შავფრთოვანისა კალმისა
შევაწყვდევ გულსა სახმილისა კელიად და მუნით ვამო
სმამიწურებილი, აქა, საღაით საღ, სიხარულო, შენ გაყეც
სიყვარული შენი, შენგან კიდევან ჭმნილი.

თქმული სპარსთა ხმის რასტის გუშაზედ: კიდო
გლოვისა

1

ცრემლთა მდინარე, სისხლმჩინარე,
გიპყრობს ხედვასა:

ვითდა ვიხილო?

სოფლისა ბრჭალმან, ვით გრიგალმან,
ჩემსა ბედასა
უსწორა კილო.

დრო მზის ფერები, ბნელ მთენები,
საღ დაედასა,
ედემად ზრდილო!

ნუთუმცა გველმან, ენით მკვლელმან,
გმირსა ქედასა
დაგდვა საცილო?

ვამე, თუ ხმითა შენცა მითა
შეგროთო სევდასა,
სცნა საწადილო! ¹



2

ვარ ვაით მგონე, შენალონე,
მომხსენი ახის,
აპა, მანდა ვით!
ტანპილო ზრდილო, მე უძილო
ხსოვნა მაქვს სახის,
ყაპრამან დავით!
მე სოფლის მდურვის, შენგან ურვის,
ხმა მესმა ზახის
არა მანდა ვით.
ამინთვნა გული, ხმელნარგული,
შენს გულთა მნახის
შესახედავით.
დამკრიბნა ზარნი საკუთარნი
სიცოცხლე კმახის,
გნატრი, სიკვდილო! ²

3

დას-დასად ყვარვა, სოფლის ფარვა
და ეტლი ტებილი
ეინა მიგპარნა?
სწორ კლა მთენათა, ნაზენათა.
შენთვის ბეღქმნილი
სად გარდედარნა?
ეს ვითა ვითნო? ჰე, ციითნო,

¹ ორი უკანასკნელი ტაეპის შესახებ იყტორი აჩშიაშე შენიშვნავს: „ეს ორჯერ ითქმის“.

² აჩშიაშე მიწერილია „ვამე თუ ორჯერ“ (შენიშვნა აეტორისა).



რად გრულავსთ ძილი,
რამან დაგფარნა?
სიტყვითი ლომი, უქმად მდგომი,
ვერ მზის შეყრილი
ვინ შეაზარნა?
ლესული ხრმალი, სისხლდამშრალი,
ქარქაშს ძევს ყრილი,
ვამ, უაღვილო! ¹

4

მზის დროშის ტოლნო, სოფლის მსტროლნო,
მოაკრძით გარედ,
მოიჯარენით!
თანზრდილნო გმირნო, ჩეენებრ მტირნო,
ვლეთ ლომის არედ,
ვკადროთ ბარ ენით:
ომის და ლხინის, გულმოდვინის,
დღე გვისხენ მწარედ,
რამც ვისხარენით!
თუ არ შენითა მოთმენითა
გვყოფ სულის ჩარედ —
მტრით ვიზარენით!
თავდაყრით, ქენვით, სულთა ტკენვით
წარვალთ სამარედ,
ხელდაკრებილო! ¹

¹ არშიაშე მიწერილია: „ვამჟ თუ ორჯერ“ (შენიშვნა ავტორისა).

[გ ე დ ი ს ა დ მ ი]

სარდარო!

ყარიბი

აქა, აქაცა აღმზიღნა შენიან სიახლის მხურვალე-
ბითმან აღმზან ყარიბი გული ჩემი და მით მწევეარსა
ჩევნისა აჩრდილის ფერსა ბეჭსა აფსინდისა უმწარეს-
თა სიტყვათა დაუფენებ, ვინაიცა შესაბამ მხიბლავისა
მის ვამიერისა და წიმიერისა პირისა მისისა სახელ
უსახოდ დამისახავს ესრეთ.

ხ მ ა ი ჭ ა ი რ ბ ა ნ დ ი (მრისხანებით)

1

ჰე, ბედო, რა ხარ, შენი ხატი ვინ სახოს,
ყოველ ფერობათა მონაო!
ხელმწიფედ მზა ხარ, მაგრამ ვერვინ ვერ ნახოს
შენის სიმართლის მგონაო,
ანახდი ხმა ხარ, ვინმცა რაი გიზრახოს,
მართ არ გაგყვების ხსონაო;
ხან ტკბილი ძმა ხარ და თუ ესრეთ გეძახოს,
მით ცრემლთა გვექნას ფონაო! 1

¹ არშიაზე ავტორი წერს: „ხან ტკბილი შეუდგს“ (sic). როგორც ანა-
ლიგიური შენიშვნებიდან ჩანს, ავტორი ორი უკანასკნელი ტაქის განშე-
ორებას გულისხმობს.



ჰგაუს სოფლის პირსა, ბედო დაუდგრომელო,
სიმტკიცე შენგან ქმნილისა;
ვინ გეტრფის, ტირსა, ქცევაგანუზომელო,
ნატვრა აქვს მას სიყვდილისა!
ხან ქვე შლი ძირსა, სიმაღლისა მდომელო,
გაქვს სიცრუე სირბილისა;
ხან დიდ ჰყოფ მცირსა, რყევადაუშრომელო,
ხარ სიმუხთლისა კონაო! ¹

უცხო ხარ შობით, უცდთოდ დანაბადეო,
ვითლა გენდო, ბედო! ყბედო?
ბე შენის მკობით საბრეე გამიბადეო
და შევიქმენ უიმედო;
სურვით და ძმობით ბევრჯერ ჩა მიქადეო,
უსირცხვილოდ გარდახედო!
სრულ პატრონუმობით ერთად გამოგვცადეო,
ვინ ვართ მოყმე და მხცონაო! ²

აშ გიცან, გველო, სამოთხით განმაძეო,
შევბედო, არსად არაო!
ქვეყნის შემძვრელო, ეშმათა მობაძეო,
ხან ბნელო, ხან საღარაო!
(იღ)უმალ მჭრელო, სიღრუეის მამა-ძეო,
(დამდ)გომო უქმად არაო!
(გულებთ) შემკვრელო, გამყრელო, მომაძეო,
(მლ)იქვნელო და ლაღარაო! ³

¹ არშიაზე აეტორის შენიშვნაა: „ორჯერ დან ტებილი...“.

² „ხან ტებილი“ ბ [თრ]ებული“.

³ S ურთავს: „ხან ტებილი...“.

(ს 3 0 ს ა ღ მ ი)

სარლარო!
ყარიბი

თვალმიღებად საგულისტქმოო, კიდარო მეფეთაო,
წინამბრძოლო სპასპერი! მის წინაისა სეისა და ოშ
სხვისა ხსენება დადუმებად არლარა მიტევებს, ამის-
თვის უბმოთა ხმითა შორიშორ დაგირეკ კარსა გუ-
ლისასა სეისა უბადოსა სახის დაძღები ესე.

ს მ ა ღ მ ი ვ ა რ ა ნ დ ი (გულამოსცვნითი)

1

სახემრგვალ გიცი, ცის ხატო სვეო, მბრუნაო დლეო,
უნივორს პირით გზათ გარდამხვეო, მხიბლაო მწეო,
მიმდოთა შენთა ზე აღმაზეო და წამს დამქვეო,
დიდგვარ დიდ საქმეთ ხეებრ შემჩხეო, ქვე დამნარცხეო!
ას მე და ვას მე, თვალნი განვახმე ცეცხლის ცრემლითა,
რასლა მექალი, დასჭერ ფოლადი ტყვიის გრდემლითა! ¹

2

ოდეს მიძლვი ცად, მოგაქდობ ხელთა, შთამაგდებ ხვრელთა,
აწ არლა გენდო, ვით მწყემსი მგელთა არაბიელთა.

¹ ორ უკანასკნელ ტაქს არშიაზე უწერია: „ბ [ორ] გზის“.

ნუმცა ვართ შენთა შემხვევნი წელთა,

მთა-ველ-წყალ-წმელთა,

სვევ, შენდა შენთა ეგრე განმწვრთელთა სარგანი ყელთა! ¹

ას მე და ვახ მე, თვალნი განვახმე ცეცხლის ცრემლითა,
რასლა მექალი, დასჭერ ფოლადი ტყვიის გრძემლითა!

3

შენს სახეს, ნახე, წინათ ბრძენ მამათ, ვითარ შვენდა მათ,
ფასიცა დაგდვეს, გთქვეს წამისწამათ, გვიჩვენეს გზა მათ.

ქურდო ვაჭარო, ერთს ჰყიდი სამათ, არ ღირდეს ღრამათ,
ყანდებრ გვაგემებ, თუ გვნახენ ხამად, ბოლოდ ხარ შხამათ!

ას მე და ვახ მე, თვალნი განვახმე ცეცხლის ცრემლითა,
რასლა მექალი, დასჭერ ფოლადი ტყვიის გრძემლითა!

4

შენსა კას ასხენ ვარსკვლავნი შავნი, მით არ სჩან მავნი,
შენსა მზერმოვარეს აქვან იგავნი, ბნელთ მობაძავნი;

ამად გაგშორდე, არ მინდეს ზაენი, შენგან საცავნი,
რომელ მაქვს შენით ზღვად შენართავნი, ცრემლის სათავნი!

ას მე და ვახ მე, თვალნი განვახმე ცეცხლის ცრემლითა,
რასლა მექალი, დასჭერ ფოლადი ტყვიის გრძემლითა!

¹ ყოველი სტროფის ბოლოს S ურთავს: „ას მე და ვახ მე“.

[მ ტ ლ ზ ე დ]

სარდარო
ყარიბი

აშ ეტლისა მიმართ უოვლად უკუღმართ მოარისა
გაშინჯეთ მისი სისწორე.

ხ მ ა ნ ა ხ ე ვ ა რ ბ ი ზ ი ზ ლ უ ლ ი ს ა

1

ეტლი სივრცით ცას გვარობს, თუ ვინ ჰყვა გზასა;
სიგრძე მისისა გზისა არ გვარობს ცასა.
მაშა ვითა ვსცნა?
მსურს მისი კოცნა!

2

ეტლის პირმან მიმზიდნა თვისსა ტქბილ ხმასა,
ხმამან მისმან განმაგდო ვით ნავი ზღვასა.
მქვირს და მეოცნა,
ჭირნი მეოცნა.

3

ეტლმან ლხინსა მაშვია, ვხედევდ ვით ყმასა,
მისმან ლხინმან ჭირების კონა მერა მზასა,



ଗାନ୍ଧୀ ଗାମିତ୍ୟୁଗପର୍ବନା,
ଶରୀରକୁ ଗାମାତ୍ପର୍ବନା.

4

ଏତିଲିବା ପିଠି ଶ୍ରୀରାଜାର ଅଳ୍ପକାହିଁ, ଶେଷକାହିଁ ଶ୍ରୀଲାଭ ଦଗଧାରା,
ଶ୍ରୀରାଜନି ମୃକ୍ଷରଣାର ଉଥିରାରାନ ମାତ୍ର ଶରୀରାକାହିଁ ଦମାରା.
ଶରୀରାକାହିଁ ରା ଦରନ ପର୍ବନା,
ଶରୀରାକାହିଁ ଅଥବାପର୍ବନା.

[გ ნ ა თ ო ბ თ ა დ გ ი]

ცემო ციითა გულამისკუნილი გიგზავებ, თუმცა მყვებიან გზათა —

სარდარო!
ყარიბი

1

ე, მთოვარეო, შენი მკვირანო,
სად მიაჩიდილენ შენცა ჭირანო?
მილევით მოსჩან, კეთილმშვირანო,
ან არყეკლუცნი მად ტირანო;
ვა, თუ სხვა გქონდენ შენაპირანო,
ჩვენთა ღლეთავე შემამცირანო!
მიწყითნო მთენნო, ზე სამზირანო,
ხელნი იმწევეთ არგამწირანო!

2

მივედ, ოტარიდ, სიტყვამდიდარო,
ცორანო ცისა, გვირგვინჯიდარო,
ცეცხლისა კვამლთა გამომზიდარო,
ნუგეშის სხივით უხვად მიმდარო!
აღლესე ენა დამამშვიდარო,
დასჭერ სავნენი გამაფლიდარო,



აღხადე გულსა დამიპინდარო,
თვი არს სპასპეტი ცეცხლნაკიდარო!

3

მელტავრო ცაო, გულებთ საცაო,
ასპიროზს ამცენ, აფროდიტს აგენ,
შემოყრიბით ცები, ჰქმნეთ საოცები,
ასპიროზ, საქმე შენ გამოაგენ!
სიტყვითი ლომი, ბედგანაკრომი,
თქვით, თუ ნეტარ ვინ ვით მოიძაგენ!
ბედ-სვე-ეტლ-სოფელს, ერთპირად მყოფელს,
მაზედ აქვს ძვირნი — ესრეთ შევაგენ.

4

მხევ, შენი ცანი მე ვეღარ ვსცანი:
კექლუც კოჭიმლად სხვად ვლიან გზათა;
მნათნი ზენანი, შევნეამფენანი,
სრულად გარდახდენ აღვილის დგმათა;
ამდოვრენ თვალნი, ეც ყურთა ძალნი,
გზა მუვა, ვაცნობებ ლომისა ხმათა,
თუ ვითარ სულთქმით, არლა უკუთქმით,
ინატრებს მისის სისხლისა სმათა!

5

მარიხ-არეავ, არსწორ მარეავ,
შენცა შემდგარხარ უსწორთა კვალთა;
ჭიმჭიმელ ხევეით, ვერდა მიმთხვევით,
კიდევან ქმნილხარ შენთა ბორბალთა!
ვისდა ვლი ძალით, მარიხო, ხრმალით?
ვისდა იყადრებ საცილო ბრალთა?
ეგვ იგია, თუ გაგიგია,
ვინ მოიზიდავს სამფსონის ძალთა.

6

მოხედენ, დიავ, წყალობა ლიავ,
ცანი უცაენ, უმართლენ გზანი,
გარდაეთხ უხვად, ნუგეშის მქუხვად,
მას მიახმარენ ზენარი ცანი!
სად ფერნამკრთალსა, მარტორქის ძალსა,
ძლითლა უპყრიან სიკვდილნი მზანი;
გაწირვად მისრულს სოფლის განსასრულს
მუშთარი შვებად შეამეცანი!

7

კრონოს ალბასტრო, მიეც ემპლასტრო
ოთხერძოდ წყლულსა მას განწირულსა;
აღხადენ კვართნი, სევდის დამმართნი,
თაეისა მტრულსა სიკვდილნატრულსა;
ცანი უდღევენ, დღენი უმზევენ,
მზენი უმწევენ ბნელმინარულსა;
ვარსკვლავთ ცოომანი, მიმოკრთომანი
შენ შეუსწორენ ბედგამაკრულსა!

8

ცის კარავთ სვეტნო, რიცხვ ათორმეტნო,
ალიმსთვეთ თვალნი, ფიცხლად გვალენით!
მიაკრბით კარად, სად ლომი მწარად
იგლოვდეს, გლოვდით, შეიბრალენით,
ამირსარდარი, მზეებრ სადარი,
სწორ შეუდარი, ბნელის ხალენით!
გულის ცა ტყდების, რიცხვსა აკლდების,
შეწევნად მისდა მიიცალენით!

9

მთიებ-ცისკარო, თენვამიმკარო,
მიასხენ სხივნი დღედ-ღამედ მვლელსა;



უაგენ ქენვა, უახლენ ლხენვა,
 აქმაენ ტკენვა თავისა მკვლელსა;
 განუხვენ კარნი, გულს დანაკარნი,
 სოფლის სიმძიმით ვეღარ შემძრელსა!
 ჩვენცა სიახლე მით განგვიახლე,
 მისის თვალშედგმის მუდამ მნატვრელსა!



რაც მიიჩინა სოფელებან

ოდეს რა ვიყავ სიახლედ, მასვე ვიახლებ თვალთა
ღარიბთა წინაშე დამდები და შორიშორ უცხოთა
თემთა მავალი, მას განგიახლებ სისხლის ცრემლთა
პატრიონი.

სარდარო
ყარიბი

1

რაც მიიჩინა სოფელმან, ვერლა დაესთვალე ჰამრითა,
ოდეს ვიტყოდე ენითა, სისხლი შეკუმშლის დამრითა;
ჭისი სიმწარე ყოველი გულს გარდამრთხმიან ქამრითა,
პოლოდ უშორეს ვლა მომცა, ვხედავცა წამიწამრითა.

2

სისხლისა ცრემლთა დაწოობა საახლოდ მომსურვებია,
ზილულთა დროთა ნიშატნი საბავთოდ მომწყურვებია,
ოდესნი ეამნი დამგვემენ, მით თავი მომძულვებია;
ვაი, ღარიბსა ღარიბი ცრემლითა შეგეწებია!

3

გითხრალა, გმირო, ხსენებით, ოდენ თუ ვიძლო ენითა:
ოდეს ავლაბრად მოვიდა აქალო თარეშ-ტრენითა,
ავარდი ვეფხი სამდევროდ, გაჰყევ თეთრითა ცხენითა,
შინდორთა პირნი დაპფარენ ლექთა მძოვრების ფენითა.

4

მისძახდი, გმირო ბელადო: „ვინ ხარ?“ მან ხდა ჰყა:
„აქალო!“
ცეცხლსა გითხოვდა, ვით თივა: „გამოვედ ჩემ კერძ აქ,
ალო!“
გულმედგრად ლომმან შეპყვირნე: «აპა, ლომიო, ა, ქალო!»
მყის შეიხვეწა რაზმს შიგან: «სჭობსო—თქვა—თავი ვაქალო!»

5

თქვენ ოდენ შვიდნი თან გახლდენ კაცნი, სხვა არვინ მეტანი,
შვიდასთა ლეკთა დაუდგით მახენი გასაცეტანი,
მწუხრისა უამმან გაյმარნათ თქვენ მათი ცემა-ელეტანი,
მობრუნდი გამარჯვებული თეთრსავე მჯდომი მზეტანი.

6

მას აქეთ ვსთქვა თუ ყველაი, სადა ვით იყავ, სადა ვით,—
ვა, თუ შეექმნას მსმენელთა უსმენნი ძნელნი სადავით,
მისოვის დავადგენ მრავალნი, მცირედსა ვიტყვი სადავით:
ვიცი, არ გიყვარს ქებანი, ჩვეულ ვარ მე თქვენსა, დავით!



ა ხ ა მ ა დ ი ს ა თ ვ ი ს

[დავით სარდალშვილ]

1. ასპინძის მიწა გიშამებს, ურგებ არს ჩემგან თქმულები: რუს-ქართველ-ყახნი მოადგნენ აწყურსა დარაზმულები, მუნიც წყალს — ლექნა რჩეული, დაღისტანს ბიჭად თნულები, და ოსმალთ რაზმნი ურიცხვად, მათთანვე შენართულები.

2. იქეთი პირი მტკვარისა და ველი მეწამულობდეს, ოსმალთა დელმა ბინიში წითელ-ყვითლითა მკულობდეს; აბჯართა ოქრო და ვეჯებლი ხვანთქრის ხაზინას სძულობდეს, კვლავ ლექთა ყაწიმ-შაშხანნი მცირედრე ხვარაზმულობდეს.

3. რუსნიცა წითელ-მწვანითა და ლურჯით შეხამდებოდენ, თითბრის ჩანთანი ბრწყინვიდენ, ვარსკელავთა ეგვანებოდენ; ზარბაზნის გრგვინვა და თოფის ცის კიდეთ ეუბნებოდენ, თვით მეფე, ქართველ და კახნი ომის ხალისით ხლდებოდენ.

4. ვაი, მას დღის მომხსენემან ვითარ ვინ რით განვაქიქო? ცილი დასდევს მეფეს რუსთა: «ჩვენთვის კეთილს არა იქო!» ღრაფი ჭარით გამობრუნდა, — მით სახელი ვერა იქო, — სხვა პასუხი არვის მისცა: «სითაც მოველ, წავალ იქო!»

5. რა ნახეს ლექთა და ოსმალთ რუსისა გამგზავრებანი, წელმაგრად შეხვდათ ნიშანი, აუხდათ დანატრებანი,

6. ხესიერ

დაფ-ზურნა-საყვირს უხშირეს, შეიქნა საოცრებანი: გენერალი ვის ჰქონდის მკლავთა იმედი, სრულად დაპკარგნეს-მცნებანი.

6. უიჭოდ ჰგონეს ლექ-ოსმანთ თქვენიცა გაბრუნებანი, დას-დასად დროშა გაიყვეს, მცირე ხანს ჰქონდათ ბჭობანი; ანაზღი ელდა დაეცათ, ქართლ-კახელთ ექნათ გმობანი: ვინ ვის უსწრობდა, მორბოდეს... ვითა ვთქვა მათი მკობანი!

7. გამოვლეს წყალი ოსმალთა და აგრევ ლექთა კიუინით, დელიბაშ, აღა, ლევანდი სრულ ზედ დაესხნეს მიუინით: „დაბრუნდით, ნუდარ დასდგებით! — ხმა ისმა: — რას დაგვიუინით?“ ერთის ხმა ასად ეგონისთ, შაშხანი მოწვიმს კიუინით.

8. მაშინ გულს დაპკარ მჯილითა, მიწანი შესძრენ რყევითა, ცხენმან შეგატყო შექშენა, შემზადა ტანი ნძრევითა; თვალი ნაკერცლად შეგეჭმნეს, აშეთდი სისხლმორევითა, ცხვირისა ნესტვთა მოპქროდენ ქარნი ქვეყნისა ნგრევითა.

9. მედგრად გაქუსლე მიდამო, თეორი გეაჭდა რბევასა, სახლისა შვილნი იხელთენ, ვინ იყვნენ შენთან ჩვევასა, ათნი სამ, ვინა თუ ოცნი გისმენდნენ ომსა რჩევასა... შავ გულო, სად ხარ, შენ გეტყვი, ვინ იყვი ჭილდო ძლევასა!

10. პირველ მიმართე წინმბრძოლთა დელებთა შუბოსანათა, ხან ვთქვიან კაცად, ხან ფრინვლად, ხან გმირად პილოს ტანათა. დაპტორიშენ მათნი წყობანი ანაზღად, მოქლე ხანათა, კვლავ ლევანდთ გარდაელანგე, მისცემდი სისხლის ბანათა.

11. დელი ლევანდს ჰქი, ლევანდი ბაშ-აღას მიაბრუნებდა, ხრმალს განერკვია, მაშალა, ძლარბივით ქურქში ბრუნევდა;

მწყურვალე ხრმალი დაგეთროთ, ცათაცა შეაძრწუნებდა, არა უკავშირო თეთრი ტაიპი სისხლითა შეღებას არა ზრუნევდა.

12. კვლავ იქეთ ლექთა ჩაუხდი, დამართნი ცისა გრეხანი, წინა ჩაგისხდნენ დარჩევით ოსოქოლ და კატეხანი, ერთად გამოსქდის ფინდიხი, ვითა რა მეხის ტეხანი, გარდაუბრუნენ საფარნი, მიეცათ მართ გატეხანი.

13. მოლმართ უყივლეთ გაქცეულთ, იცნეს ხმა, შეღვეს შენითა, ყველაი შენთვის დაბრუნდა, თუ ვინ სად ჰრბოდა ქშენითა; გაქცეულთ თათართ ვეღარსით გაგასწრეს წყალსა ცხენითა, ხიდის ისარსა მისჯარენ სუნ-თათარ-ლეკნი რბენითა.

14. ზოგმან შემართა შიშითა წყალს გასველა უფონობითა, ზოგნი ერთმანეროს ხოცდიან, სრულად მიხდილნი ცნობითა, არ იცოდიან, რამცა ქნან, ვერ იყვნენ ჰეჭაბრძნობითა; მი და მო ჰქაფდი უწყალოდ, მჰერეტნი გაქებდეს მხნობითა.

15. არ მიეც გზანი სავალად, ოდენ ისარი საცოცად, ერთი რა შეღვის, უკანა წყალს გარდააგდის სახოცად. ძვირად შეექნათ თავაზი, მუხლს გეხვეოდენ საკოცად, ერთისა უიმედოთა ქართველთ აშოვე ას ოცად.

16. ხრმალი ჩააგენ მაძღარი, უბრძანეთ ალაფობანი, გახდა ზრიალი, იპყრობდნენ, ვით ცხოვართ სადმე ჩობანი, მეურდოეთა მოჰყვანდეს მათნი გმირებთა მჯობანი, მოულოცვიდენ მეფესა, იეფდა კაცნის ძლნობანი.

17. ასრე გახშირდა მინიში, ვით რიყე წითლად მსხდომია, საათსა პყიდდნენ ყურუშად, ფოში რა მოსანდომია?! რახტები ოქროს ცურეილი ცხენს ედვაო მოსახდომია, ტოლომა, ქურქი, კაუხი ვერ რიცხვით მისახლომია.

18. ცხენი მოპყვანდეს ძვირფასნი, მისრის ნასყიდი
ფრურებეთ,
წყლის მინაქონთა ვინ რიცხვდა, მომშოვართა თავმოძულებით,
თოფნი და ხრმალნი ჩხეულნი ყაწიმ-ძეწკვებით კრულებით,
მაშინ დაგთქმიდნენ შაირსა სიბრძნით შემწყობნი მეულებით.

19. აწ მაშინდლისა უამისა რამცა ვითა ვთქვა ფერია,
მახსოვ შესრული ქალაქიდ, მით ცრემლი თვალთა მერია:
მიჯრით გამოყრფეს მნახავნი, სწყუროდათ შენი მზერია,
ივიცა დაგინატრიდენ, თუ ვინმცა გყვანდა მტერია.

20. ცოტაი ესე ნიშანი და საქმე მით მიყბედიან,
რომემცა მიცნა, ვის ვინა შორად გყავ მოამბედია,
ოდიდგან მახსოვს მე თქვენი: იყვენით ყრმად სახედია,
მუნითვან მოღმართ აქამდის შეგტროდის ყოვლთა ბედია.

21. სახლი გულებთა სავაჭრო გედგნეს გმირსავე ტანია,
ნარდიონს ვარჯნი ღვლარჭნილნი ღულამბრებ ანატანია,
მუნ შუბლის შარავანდობა მზის ღისკოთ ნაკვრეტანია,
ირისე ცასა პფერობდა, ცით კრთოდეს ამარტანია.

22. ორთავე ტოლთა ნარგისთა შორის ვარსკვლავნი
თემობით,
ტოპაზის ღილთა მწყურნებთა ყორანნი სცეიდეს ჩემობით,
შაბარდუხს შური ეპოვნა, მონებდა გუგის მრწემობით,
მით თვალთა ჩემთა ღარიბთა ცრემლნი დაფარვენ მდენობით.

23. მზის სვეტის პინჩთა ნიაენი ტქბილ ბერვით
პალასინობდის,
მუნ გარე ბროწეულისა წყნარ ზღვებთა ზედან გჩინობდის,
ბარაინს მანგნი მოეცენეს, ბალახშის ღელვით ლხინობდის,
მას გარე აშკი გიშრისა სისუფთეს გულმოდვინობდის.

24. სადაფთა გარე მსხდომელთა აებნეს თეთრნი ალამნი,
ყაფრად შედგმულსა მარმარსა ზე ეღვნეს წყლულთა მალამნი,

ალვასა რტონი შეჰერობდენ, როსტომის განასალამნი,
საშსონის ძალო ხელთაო, ხელსავე ცრემლი მალამნი.

25. ლომისა გულითა მკერდიცა ცის ლომის დაგეცაოდა,
ზურგსა მაღნიტნი ალკროდა, ფოლადთა გაეხმაოდა,
მკერდთა სიმტკიცე ანდამატს თვისებრვე დაეხაოდა,
ბეჭთა და წელთა ნაკვეთი ინდო კალამთ შენაზაოდა.

26. მათ ქვეშე წვივთა ნაკვეთნი და მუხლთა ახილეობა,
სიმტკიცე ფერხთა ირმისებრ, ბროლთლილად თითთა
წვრთილობა,
ფრჩხილთა არწივნი ნატრიდეს, აჯითა ჰქონდის ყრილობა,
სულდიდსა სული გფარვიდა, შეენოდის შენთან ზრდილობა.

27. ზრდილობად კმარლის შეხედვა უსაქმოდ ოდენ სახისა,
სახისა დაუსახისა, ვერვისგან დანაზრახისა,
დანაზრახისა თუ საღმე, ბრძენთა საქებად ახისა,
ახისა მუფარახისა, ვაი, აშ განალახისა!

28. ამას სურინ, ამად სწყურინ, აგერ სულსა განაკიდეს,
ავონდები, აღონდები, ერთსა ორად განაკიდეს,
ვაი, ვით არ, გხედავ სით არ, განატყორცი, განაკიდეს,
ესრეთ თურე აქვსყე ყურე სოფლის კვალთა განაკიდეს.



აზ აჯა-ენციტ

სარდარო!

ყარიბი

აშ აჯა-ქენცით ჩემს კალამს ვარქვ, რათა გძლვნიდეს
შენ სალამს,
სიტყვით მართვიდეს თეთრს ალამს, ულვწიდეს ჩემს გულს
დღეს მალამს;
სადა ყარიბი ჰეგებს და ლამს სათხიარად მიწას, მტვერს და
ლამს,
და მოხედვა ვალად სძევს ალამს, სიკვდილი პირსა მცემს,
მალამს.

მირიან გათონიშვილზე

[ზმა]

სოენდა მირიან მშეობისა ღლობანი,
 სცენდა გმირიან მხნეობითა მხნობანი,
 შვენდა ზმირიან ფშვეობისა თნობანი,
 თქვენდა მირიან სუმბულ-ვარდ-იობანი,
 გელთ გამგ მირიან უთქვენოდ მყობანი.

მირიან გატონიშვილს

[პირველი]

[ა]

კრემენჩუქს გრიგოლ უწოდა სახელად: „სახლო უკარო“,
შენიშნა, დავრთე ნებანი, თანხმობით თავი უკარო.
შოულის სოფლისა დესპანნი აქ ყრია განაფხუკარო,
დაბმულთა ღორთა გვამსგავსებთ, რომ გვნახოთ
განატრუკარო.

[2]

„აიოს თეოს, აიოს“ — ამას ხშირად ხმობს გაიოს,
სტეფანა უტირაცუებს, შეაწყობს ტალის ხმაიოს;
მაიორს ზილი წილად ხვდა, უსულით სულის დგმაიოს;
ბასისტად მანუჩარ გვრგვინავს ყვავის ხმით: „ვალალ-ვაიოს“.

8

ერანით ელჩი ამაყი აწ თუ არ იცით ვითაო,
მიმოდაწრწინით იბლუნძვის ქურთუკის კუდის გვითაო.
დარბანდით მირზა სალუხი მალ-მალ ვლის ალთაფითაო,
მარცხენა წვივი გაუსქდა ამ მყრალსა სიმსივნითაო.

დ

ყაზი-ყუმუხის პოსლანიკთ, ორთავე ბედით ალიად,
შეუდლი შეექმნათ იეფათ ამ უბადრუკებს მყრალიად;
ყველა შეიქნა უეძვად თავისად დამაბრალიად,
ხინკალი შაქრად ეგონისთ, ქუმელი ხოხბის ყალიად.

3

მე ჩემი რაღა მოგითხრა: ვზი და მოგელის გულია,
თუმცა ვეღირსე ხილვასა, თაყვანსა შეგზღვნის სულია,
პაატაგ, გებრალებოდე: ხსნილდება, მანდ არს გულია,
რამდენჯერ დამი აიღოს, გახსოვდე დაკარგულია

3

ესე ასეთი მით გეადრეთ, თქვენც გტყორცოსთ

ელისაბედით,
ამის შეტს რაღას დავკვესდით, ვისყვენით ძველის აბედით,
ვთქვით: თავი აღარ ვაწყინოთ, მეტი რამცა ვინ გავბედით?
კრულმცავ ამა ქალაქსა მომსვლული თავით და ბედით!

ტ ა ვ 3 6 0

ვიორგი, გრიგოლ, ერთად თაფლი გოლ,
გლახა, თამაზა, ერთ-ორ ლამაზა,
გოგი და ციბა, სხვას არ დავეძებ.

მირიან გატონიშვილს

[მეორე]

შპორნი

[ც]

რაიცა, განათლებულო, გებრძანეს ჩემგან წერითა,
ასჭერ მადლობით მყითხველი მე ვერა გავძეხ მზერითა.
ქება მოგიძლვნა, ვითა ვთქვა, რა გყადრო შესაფერითა?
მუქაფად ღმერთმან გვირგვინი შეგიქმნას თვისის ცერითა!

3

ხრმალთა და ქაფქირთ ღირება, რადგან ოსმალთა
გვჭირება,

მათ ვინდა აქირება, რა გინდ სით იყოს ხშირება;
მე მათი ასე მცირება აროდეს შემეჭირება,
გარნა თუ ჩემი მწირება სჯულად არ დამეფირება!

3


თქვენ მღვდელსა თვისი ნაწერი სამჯენოდ გარაზდევინეთ,
ცოცხალსა ტყავსა ვინ გახდის?! — მაგრამ მას გაახდევინეთ!
მაგის აქ სირბილს და მანდა ეს რადღა გარდაზდევინეთ?
ჭაპოს ლაპობით პირს ქაფი ქაფქირით მოახდევინეთ!

ღ

სხვა მოგახსენო უცხოი, ეს ქვრიმად დამითესია,
 თქვენც გეხსენებათ, ყიზილბაშთ რად სჯული აქვთ და წესია;
 თვისი ლაქია მან მოქლა, ამაზედ რა უბრძესია?
 სხვას პოსლანიქსა სისხლსა სთხოვს, ჭირში ჰყავს
 დანამკვნესია.

ღ

ნერა გიჩვენიასთ, ამაზე ვითა კასკასებს გრიგორი,
 სევდით განეყო დალაქსა, თქვა: „თამაზასთან ვიგორი“.
 მეორე გრიგორს მოსტეხეს ხელი, ქრივ-კულაჩს იგორი.
 ოუ ასე ასტყდენ, ვერ ვგონებ, გარდავლონ ჩიმი, დიდგორი.



მირიან ბატონიშვილს

[მესამე]

შპირი

გრიგოლ მახსოვს გამატრუკლად, ხუმრობაზე შემაფხუკლად,
საბრალო ჰქლეს დანით უკლად, უწოდებენ კრემენჩუკლად;
თუ მანდ იყოს თქვენში უკლად, ხრენი ხვრიტოს მეავედ
კლუკლად;
სკო[ბ]ის არაგვზედ მისვლა წუნკლად, აქა-იქი თრევა კუნკლად.

ლ ა ქ ს [ი] ჩ ა ხ რ ი ხ ა უ ლ ი

ჩვენი პაატა მამიქითხენით,
ჩვენ უიმისოდ მოვიქიცხენით;
ფლავისა ნაცვლად შორვა ვითხენით,
ლომისა გულნი მით გავითხენით!

ანტონი პატალიპოსზედ

[ანბანთქეება]

ანტონი ბნელთა განმკარგ დღე ერთა ვით ჰე,
 მეთერ თვით ირის კამკამ ლმობილ მთენ ნაზენ.
 ორონ პეტ შამებთ რღვნილთ საბეჭ ტრედ უცხოთ ფრთე,
 შვე ღრმად ყრილ შთასრულთ ჩინებულ დად ძლევისად,
 წამ ჭირთა ხმით ქსნის, გილდობს შიშირთა შოობით.

ანტონი კათალიკოსის

[წ მ ა]

1

სამოთხით წულობს, დავითის ზმარალდულობს,
 ხედვათ ზე მსტრულობს, მეორეთა ოღმქულობს,
 სხეულით სულობს, სულით გონებამზულობს,
 მთით შთამოსრულობს, მეორედ მოსედ მკულობს,
 მაღლით ღმერთქმნულობს, ბუნებითა ბრძენსრულობს.

2

ლივ ანტონი ივ. სულის სუნნელობს ზედა
 თხემსა მეთემსა შენსა, ათორთ ენისას
 განეყოვლადვის მკვიდროანთა მკვიდრივე:
 მიმღები მძიცემ ღრუბლით სლვითა რწმუნებულთ
 მზეებრ განმყოფი სულის ძლითა უხვებით.


გაიოს არამანდრიტს

[ხუმრობა]

მაღალლირსებას ჭამაღი მსუყე
 მძიმედ მოსვლია, ვით მიწა უყე.
 აგრე ძალიან ჩად გაიბუყე?
 ბერი ხარ, ბეჩავ, მუცლის მოყმუყე,
 აღმართე აფრა, მოიზუნხრუყე,
 გზით მოიქარვე, აქ ჩაიყუყე!
 უკადრი ამათ დავიღუყლუყე,
 მსურს ხილვა შენი, არა ვარ ცრუ-უე.

• მისგანვე ტაეპი

ამას გწერ გრიგოლ კრემენჩუკელი,
 გირჩევ, ცოტადრე ჭამას უკელი!



მზეპაპუპ ორგანიზაციები

[ანბანთქება]

1. ათინას აღზრდილს აქებდეთ ალვად ავნორჩიდ ასულსა, ბნელ ბაიათა ბრყვილობას, ბრანგვ-ბაბაჭუად ბასრულსა! გონჯნი გუგანი გაშვენის გახრილად გვერდზედ გასრულსა, და დახე დალრეგით დამჩაჩულს, დედლურის დრუნგით დასმულსა.

2. ეშმაქსა ელაციცება, ეს ედარების ეროდეს, ვასილისკურად ვაგლაბი ვერას ვამსგავსე ვეროდეს; ზარიფასა ზანანობასა ზურგი ზევიდამ ზეეროდეს — და ცერანიელთა ცკვირვისთ, ცსრეთი ცესმისთ ცეროდეს.

3. თბილისად თემობს თხუნელა, თათები თლილებ
თოხია,
იკუნტვის, იურცხვინების, იტანჯვის, ივორგობია,
კანჭინი კერპულად ქლაქნილნი, კიდია კუზი, კოხია,
და ლურჯის ლაშებით ლაქლაქებს, ლოქია, ლოყალოხია.

4. მე მიკვირს: მისმან მამამან მანკით ამსგავსა მელასა,
ნასკერი ნაბლუნძად ნაგრეხი «ნახავსო ნუ ნათელასა!»
ოსმალებრ ოხრავს ოდითგან ოსურად ოროველასა,
და პირველ პრაწითა პირელო პაპუნას პილწისა, პრტყელასა.

5. უამად უიობდეს, ეიოლეს, უინიანობით უიობდეს, რებითა რებდეს, რიობდეს, რას როტებს, რაკრაკიობდეს;
სვე სიმრუდითა სიოდეს, სიბოროტითა სტეიოდეს,
და ტ...სა ტანჯვითა ტიროდეს, ტრაუცუნს ტატიაობდეს.

6. უკულმართობს, უგლიმაობს, უკანიდგან უცხოდ უში, ფინთსა, ფსვენსა, ფოლორცასა, ფამფალაკებს ფიცხად ფუში;

ქედქიცვია ქამულასა ქიმისაკენ ქონან ქუში,
და ღაღუაობს, ღაბუაობს, ღადარაა ღამის ღრუში.

7. ყელუვიციანმან ყარამან, ყაფლანიანთა ყარამან,
შებლუნდვით შეფლიდებულმან შირვანიელთა შარამან,
ჩაგრეხილმან, ჩაბანდულმან, ჩიჩახვ-ჩიჩვირი ჩარა მან,
და ცუნცულმან, ცაცუამან, ცუგრუმელა ცანცარამან.

8. ძუნძულაობს, ძალუაობს, ძუბეხაობს, ძღარბუაობს,
წერწეტაობს, წაწუაობს, წაბლუნდვილი წარბუაობს,
ჰეპელაობს, ჰაეუაობს, ჰირ-ჰმუნეითა ჰარბუაობს,
და ხან ხმითაცა ხაზუაობს, ხან ხელურად ხარბუაობს.

9. კრინკიანობს, კრინწიანობს, კელსა კმარიობს
კრდალის კაფით, ჭინობს, ჭირკობს ჭორჭიჭლუნა, ჭალაბს ჭიჭობს ჭორის ჭაფით;
მათ რა საძაგელია: თეში დასდევს უკან დაფით,
და ში საკიცხელი კაცთაგან, საღევნელი მუდამ ლაფით!



მზემაგუა ღრმალიანე

1

დამპალო ლეშო, თვალხენეშო, გულლადარაო,
ეშმაკთ ბუდეო, ბეჭმრუდეო, კერპთ საღარაო,
არუზიანო, კუზიანო, მაწუნწარაო,
ხილვად საშიშო, გულმავიშო, გარსაგარაო,
და მე შენი ქება მომენება, არ დავფარაო!

2

ბეჭ-მკერდი, კუზი და კურტუმი გაქვს უკულმართი,
გვერდი, კისერი, პირის ფერი გონჯად დანართი,
უთლელის კუნძის შესაგვანი, ვერგასამართი,
სჯობს დაიკარგო, იმალვოდე, მოგესხას ლართი!
და ეს მიკვირს: სახლში რად გიშვებენ, მეტიჩარაო?!

3

სამართალია, არლირს იყო მაგ სახელისა,
რადგან გიწერთნია სიცრუე და ქცევა მელისა;
შენი მიჯნურნი ველად რბიან ბროლის ყელისა:
შენმა გახეთქამ, ეში მოპელავსთ შენის წელისა!
[და] რა იქნება, რომ შენის პირით მზეს უდარაო?

ვინც დაგინახავს, ესრეთ იტყვის: «აი ჭაბუაო!»
 ვინც კარგად გიცნობს, გაიღიმებს: «დიდი ცრუაო!»
 ლამით ეშმაქსა შეგადრიან, დღისით: „ბუაო«.
 კარგი რამ დაბადებულხარ, მაგ პირს: „ფუაო!»
 მაგ შენმა სახემ სიცოცხლე ხომ დაგამწარაო!
 და) მე შენი ქება მომენება, არ დავფარაო!

| გზებაბუდ ორგანიზაცია |

სიტყვითო მზეო, ორბელიითა ძეო, უბრწყინვალესო
 თავადო ზეო
 და მსაჯულო მსაჯულთა და მახლობელთა მთენაო დღეო,
 მზეპაბუკ!

1. შენ სიბრძნის ერქვნით ორნატ რწყულ ტბით უკიდოით
 და კიმენ შესხმის ენით ერმის სიტყვამცემლობით ღვთივ
 ნათქმულ ხატუაც, გვამ გულისსათქმელ, სქეს უციაგეს იალ-
 კიალთა და ცების ცობათა, ხოლო სამყაროებრ გარდამრთხ-
 მელ გონების ცობით და მიმხედ ერთისადმი ყოველთა შესაკ-
 დოისა და მუნ მყუდროქმნილ, სადა უცნო უკითარომანცა
 სტრუტო ნივთმან.

2. შენ კვალად შემმეცნ მხოლო მხოლოთა და გადიონი-
 სებულ ანანკებრთა კანონთა მიერ და წიაღმელელ მომფრთო-
 ვნებელ მყაფრისა, სადა იწყო პირველმან ყვავილმან შეწყო-
 ბისამან და პირველმან ნართმან სამუსთამან წარმოდლეებად
 გვართა გონიერთა, რომლისა ნათხენნი ღმერთებრ მთენარე.

3. და მუნით ქვე წარმო წარმოთა ხატთა და ხატის ხატთა
 შთამომრბენელი შეემეცნები, რაი უდგომ ცვლადთა და ნა-
 ხიბლ-მზეელავთა არსისათა, ღამმწიხნეველ-მფერხველი მათი
 მქვეთლობ ეთერსა სამქთა მისთა თანა, ვინაიცა სჯითა ან-
 გელ-გონიერებრითა სატებსა ქვეშე ნამდვილ არსისა სანერ-
 გეთასა განისვენებ.

4. ამისთვის აღტრუტობილი გონიერი ხედვაი აღმოვალს სი-
 ტყვათა საქმეველისა შეწირვად შენდა, რომელსა ვერცალა

ორმეოცნი ერმაულნი ენანი უძლებენ კოზმაობასა, გარნა მაღალსა მკოდოვი შესწირავს და მქისესა მდელოსა შევნი-ერნი ფერხნი დასტყბებიან (sic!) და ესრეთ მზეცა უმდაბლეს-თა შორის შთამოვალს.

5. ამით ძლით მეცა სიმკაცრე უკიმიროთა ლექსთა იძუ-ლებითსა სიყვარულისა კვალსა შემადგინებს და ათორმეტის წლის მოუერქვნელსა გულის ქვეყანასა მამუშავებს.

6. აპა, ოდეს თუმცა შესთქრა მამონაა სიჭაბუქისა კამთა, მუნთქვესვე თანად დაიფქვა და შთაიყვინონა ღრმასა უკია-ნოსა. აწ წარმხდეს იგი და მოთმინების ნიავმან წარიტრას შო-რად, რათა სასმინოს კარის დამრეკ-დამაამებმან ხმამან იგზოოს შენ შორის ესთ მეტყველმან: «უკეთუ მიუტევნეთო კაც-თა» და შემდგომი (წყობილსიტყვანი¹);

7. აპა, მოვედ, აწ უკვე მოვედ ჩემდა, მოვედ და მეც მეცა მეც ცაი გულისა შენისა ღრუბლით ჩემით აქამდე დაფა-რული,

რათა მყვარნი მივაღვნე თვალნი აწამდე მძიმის რულითა წარპარული.

8. ჰქვეთენ უკვე მზისა სეხნამან გონიერთა ეთიოპთა შთა-მწიხენნი უთმინოების ფერხნი,

რათა უფლის სულის რწმუნების მმეცნმან სიმდაბლის ელვით სილალესა მისსა შთასწვიმნე მეხნი.

9. შეფქვენ, შელეწენ უკვე ანდაშატისა კვერით შემჭამნი ჩვენნი ლომთა შუანი

და ცხოვრის სიმშვიდის ფარეხით განაძენ მგლისა არა-ბიელის შესატყვანი!

10. განგალენ ვითარ ალროსტი პირი უჩინო, მომხსენი ძვირთა და უნიშნო მყიფანი ყორანი შენცა სარკმლით განპხადენ უკიდოთა ზღვის პირთა!

11. უგრძნოს შოლტითა დამხეველმან ზეს მჩემობითსა მას ხატსა განპყვერთხენ ზურგნი ბრალთა მეტვირთნი,

რათა გმირთა ალმხოცნი, ვითარ მამა ნოემან, დაატყბ, და-ამყუდროვნე საკვდავნი ზეირთნი.

¹ ეს სიტყვა დადანშიც ფრჩხილებითაა დახურული.

12. ზეთისხის ფურცლით ვახარებელსა ხატს წუგეშითსა არქვ ჩემთვისაცა ხილვა ქვეყანისა და ხმელთა,

რათა არყოფრად ღვეინის მუშავთა თანა დექების, მკობდე ძველთა.

13. ხუთ საგრძნო მრთელსა, ძეგლსა სიმართლის ხატსა წრფელსა, შეაკვალენ ფრთენი ხუთ ქალაქულ არღა პიმხედმან უფროს მართლის თმენით,

და მით დაიქონ-ტალავარ-კარვენ ახლად ქანანად ერთსამობისა მსტუმრებნი ფრთენი რწმენით.

14. სიყვარულის გზად ამუხამამბრენ შეწყნარებანი ჩემდა უცხოქმნილისა

და გონიერისა მუზქანჭითა, ვითარ ტარსიკონსა, გარდას-კერნ ვნებანი სიძულილისა.

15. ემსგავსე ისაკს სასოფაჩენიერისა მაკურთხსა ძისას, რათა მრწემის შემყვარმან აჩცალა შენ პრიდნე პირსა ესავ უხუცესისას.

16. შთამოვედ ცის კიბით იაკობის ჩვენებისა განმხილვი უსაცოუროითა უკვე ხედვა-ცნობითა.

და სიმდაბლის ფერხითა შენცა აღმვლელმან მიჰკრიბენ უფლისად უნჯნირქებაძლვნობითა,

რათა განვრცნე ზღვად მიმართ სამხრად, ჩრდილოთ და ოღონსავლად თხრობითა.

17. ჰე, თუმცა მიგეც. იოსები მადინელთა ვაჭართა და კრელსა სამოსელსა შენსა დავასხ სისხლი თიკნისა ბრალად,

გარნა ეგიპტედ ვით ბერიამენს მოსრულსა ძმასა მყმარსა სიყვარული მამისა მომიწყე ვალად.

18. ენამძიმესა კაცსა მოჰხალე, რაი გრქვას შეშინებულსა გველით,

ხოლო უკეთე იმარხნე მისდამი სწავლა, წიალით შენით იჩვენო თვალთა თოვლისფერ სპეტაკით ხელით.

19. გრქვას რაი ანგელოსმან უფლის ძლითნი მოსეს უდაბნოდ მიგებებანი,

მთასა ღვთისასა შეაწყვენ ძმისა პარონის მორჩილების ებანი

და ამბორყოფს, სიტყვანი გექმნეს შენ კურნებინ, თუ-
სავნებანი.

20. განსრულმან საცნაურით ზღვით არქვ გულისიტყვათა
არღა ხსენებად ხორცია სიავით,

რათა გეწვიმ-ნამცვარ-წანწყარნეს ცის პურ-მანან-მურასნი
იეფობისა დამქროლვისა ნიავით.

21. ჰქენ უკვე ჩემთვის შენცა, სიტყვითო მზეო, ვითარ
ოდეს მოსემან რვალისა გველი,

რათა მიხედვით კურნებულსა მეემპლასტროვნეს ენით ნაკ-
ძენი ძველი.

22. მე განმცხადები შენ ისუებრის თავადისა წინაშე შატ-
როვნის ვეცხლისა, გინა ოქროს ენისა დამფლველი,

არ მაქარო ქოლვა ქვითა განტეინვით აჭა-ქენების მწვრთე-
ლი

და გულსა კლულსა ზედა ჩემსა არა აღსდგა უწყალოების
ქვის ბორცვი ვრცელი.

23. ჩემ ძლით აღძრულსა მაღიამსა სიმდაბლის რქებით, ე
გედეონისებრო, რაი მდევნელი,

ჯერ ას არღა აბიმელიქებრ მტყორცოლა ლოდი ძმასა სიკ-
ვდიდ მწევნელი,

რათა და შენცა განერო საფქველთ ნატეხის მტყორცა
მრავალ თვე-წელ-მდლევნელი.

24. დაართხ უკვე, დაართხ, მანოეს შის ძლიერისებრ ლომ-
ლეკვი მყვირალი თამნად ჩვენ შორის ძლევით,

რათა გოლეულისა მგემებ ძლევის სიტებონი მიიღე
სთვლევით

და არმიმხები დალილებრთა საცოტრთა უკვი ნელთნებით
განერო განსლვად სულის ნათლისა ნავების კვლევით.

25. აღუხვენ შემჯდარმან ლომსა, მზეო, პირნი, ვითარ ოდეს
სამწყსოით დავით მხეცებთ განმგლეჯმან,

და უკუნშურდულნენ გეთელ გოლიათი, მოქადი სიმდაბ-
ლისა ქვის ტყორცებით ვიდრე სიკვდიდ დამლრეჯმან.

26. შეაკარ შენცა შეუყვარებასა სული იონათანებრ, ვითარ
დავითისდა მან სულსა სული,

რათა ისრის სასროლის ნიშით საკვდავსა სერია განმა-
შორნე და ცოცხლებისა აღვილად მაგო მე დაფარული.

27. სიბრძნის სიბრძნითა ღვთის ქალაქები ღვთისა სახლის
მეშენმან პრიდენ უკანასკნელნი. სოლომონს უფროს ბრძენ-
თასა ბრძენსა.

და მოაბს აღდგმულთა სიძულილისა კერპთა მოსრუიდე
ქედთა არცარათუ მოგონებით სარწმენსა,

რათა ცნობითა მცნებისა მცველმან სიბრძნე მოხუცი არა
აღსძარცვნე მოხუცებისა შენსა.

28. არ მხილებულმყო, ვითარ ილია აქაშ, ცრუდ საღმე
თქმულთა ჩემ ძლითთა ერგასისთა ორგზის წარწყმენით,

არცა ურჩების ცის დახშვით მააქაბო არმოტევებისა გან-
წმედით.

29. მე აღმმართელსა საძაგელებისასა და მოსაწყინელის
ვანმმრავლებელსა ჩანსესნი მომაქვნ ნანვანი თანად აღსარე-
ბითა

და ნერარ თურცა მეუწყა: «დასცხრაო ზღვაი გონიერი
დაწყნარებითა!»

30. ძაძის შევერაგნისა ნინეულთაი მომაქვს დამსხურებელ-
სა თავსა ნაცარი ფრქვევით

და ნეტარ თუმცა მოსდე ჩარლა დაქცევად გულის ქალა-
ქად ჩემდა შენდობის კვლევით!

31. შთავყვნეთ მღვიმედ თმენისად ლომთა თანა დანიილის-
სა კვალთა

და დაუყვნეთ ჩენცა შუანი მყვირალთა ძალთა,

ნუთუმცალა შეგტრფოდეს, მზეო, სული ჩემი წარმხდომი
ბრალთა!

ახლისათვის სტულისა

32. შენდობად კაცთა შთამოსრულსა მნებებელმან მიხედე
ბეთლემს უხილავისა ხილვად

და მით სიმდაბლით აღძარ ხატი მისი კურნების ხმილვად,

რათა ახალსა ადამს, უვნებელად დამცველსა ღედასამოთხი-
სასა, აგემნე ხილად ახლის მცნებისა მცველმან გველის გან-
კილვად.

33. მიპგვალენ, მზეო, მზისად აზით სიმდაბლის ჭვაბიც
ოქროის ძლვნობით მურ-გუნდრუკების კმევად მეფეომეფისად,
რათა წარხდე იროდ უსხეულს სხვით გზით წარსრული ზე-
ცის სოფლად სეფისად

და მყურდო სეფედ შისრულსა ყურსა არღა გესმნეს აღ-
სპობანი ჩეილებთ სისხლის ჩქეფისად.

34. გვალე, მზეო, გვალე, სიტყვა მზისთანად სიმდაბლით
მლტოლვარისა ეგიპტედ მეცლელთათვის ფარვად

და მას თანა უცხოს ხმის მთმენი მო-ღა-ჰყვე იისუ მზესა
ჭაბუქსა ნაზარეთს კარვად,

რათა მზითა მზე და ჭაბუქისა თანად ჭაბუკი სამყარობ-
დე საყვარესა ყვარვად.

35. გამოცდილისა პირველ ყოველთაისა დალათუ არგან-
ცდილისა განმცდელმან ცოთმილებამან სიტყვა ჰყო მაცხოვრი-
სადცა დახრწევა პურით,

და რაი, მზეო, მე თუმცა განცდილსა ნაცვალნი მაგნე არ-
რასა მგონებელსა რისხვით და შურით.

36. მახსოვს თუ მე ესრეთ, გახსოვდესცა, თუ მე ვსოქუ:
„ძმაი ცოფად გეენის მეგზებმან“.

და ესე რაი ეგესენნეს, ნაელლის ცრემლით მეგლოვსა
დამასს ცრემლნი ლმობის ცვრევით მეტყებმან.

37. აღ-თუ-ვხედ ვნებად და ხელყოფად ვნების დამდები ნე-
ბით,

ხადდე მამასა მოტევებად მწოდებელი არმეცნთა თნებით,
რათა მართლმსაჯულსა, მსაჯულო, მიამარხნე სათხოენი
ბაძეანი მცნებით.

38. ალკრულსა ჩემგან ჭვარად გილონგინოსებ
და ლახვარმკვრელისა ალსარების ნაკადთა მოგინილოსებ
ნიკოდიმოის თანა მეცა, ვითარ იოსებ,

მაღარფაქ-არდაგებითა შევხვევ წყლულთა ტილოსებ
და გვემთ მიძინებულსა ათორ წლის მკვდარსა განგალვა-
ძებ ალდეინებად ჩემთა სულთა და გულთა საწადილოსებ.

39. ავაზეყისა სახით მოსრული სამოთხის კარად განვიძრ-
ცვი ბრალის ძონძთა ნაქმისას,



და მახვილმოტყინარესა მცველსა ვახარებ ხმასა ჯერით
ეშმაკთ დანთქმისას.

40. გამოსრული ხით შესრული ხითვე, ვითარმე სიტყ-
ვით, და მოსრული სიტყვითვე გვედრებ, სიტყვითო სამოთხეო,
წარმიძელვ გულის ქალაქად მაშვრალსა, განმისვენე და ნუმცა-
და მექმნების განხდა და განსვლა შენით სიცოცხლით სიცოცხ-
ლედმდე და საუკუნოით საუკუნოდ.

* * *

[და] ში, ძნელი ბნელია,
 და ყოვლითურთ საზმნელია,
 და ოდეს ყრუსა ნელია
 და ეუბნების ველია,
 და მტკიცედ იტყვის: თხელია,
 და უცილობლობს მთქმელია,
 და მივრთის, მოვრთის, ეძიებს,
 და ხვანჯავს გაუწვრთნელია.



ପରମାଣୁ ଚନ୍ଦ୍ରର ଶବ୍ଦାଳ୍ପିନୀ

ଯେହିଲୁଗାରୁ ଜୀବନ ଶ୍ରେଣୀ ଅନ୍ତରେ ମାଲ୍‌ମାଳ୍‌, ଧ୍ୱନିଲୁଗା ଲାଲ୍‌ଲାଲ୍‌,
ଯେହି ଆଖି ଶ୍ରେଣୀରୁ ଅନ୍ତରେ ଅନ୍ତରେ ଯେହି ପରମାଣୁର ପରମାଣୁ, ଯେହି ପରମାଣୁ,
ଯେହି ପରମାଣୁ, ଯେହି ପରମାଣୁ, ଯେହି ପରମାଣୁ, ଯେହି ପରମାଣୁ,

ଯେହି ପରମାଣୁ, ଯେହି ପରମାଣୁ, ଯେହି ପରମାଣୁ, ଯେହି ପରମାଣୁ,

ଯେହି ପରମାଣୁ,

ზმიულის გიორგის უცხანა იამზიკოდ

რომელ არს კიდურწერილობა: «გიორგის ვაქებდეთ»
თქმული ველისარითნის მიერ

გიორგის მკერდთა ასპეკალებს ლოდ დება,
ითნებს ურმის თვალს, მუშაკად იწოდება,
ოქრო იბრძმედებს, კირს დაფლვით აქვნ ზოდება;
ჩბის ქვეყნით, ცადმი ლბილებს მოგვთ აღმოდება,
გვემა ძარლვებით მგვემელთა არს გოდება.
იწყაროტყბილებს მსმელი კლვისა ფიალსა,
სრულმყოფი ღვწისა განვლის ნათლის კიალსა,
ვაზი განისხლვის, რქა ალუსწრებს ტიალსა,
ალაქმევს სულსა, ალვალს ცების ლიალსა,
ქრისტე აღმქმელი მიითვალავს ტრფიალსა.
ერთნეს თან პრეტორ, ანატოლ პროტოლეონ,
ბრძნად აღმსარებთა თანად დულივერით წამნენ,
დასძინებს სისხლსა ათანასიცა მოგვი

0


1

ქ რ ე ს ა ნ დ ე ბ ა გ ა ნ ე ც ი

ჭ უ მ ი

ა ნ ბ ა ნ თ ა ვ ა ბ

არს ბრძენ გნომით, დავლის ეთერს,
ვლა ჰეურობს შელვა-თნობით,
იალ-კმობით, ლალ-მინობით,
ნებ-ორბობით, პირ-ფირობით;
როს სძრავს ტანსა, უქს ფერ-ქრობით,
ღია ყელ-შლილთ ჩაგრავს ცნობით,
ძრვა წელ მეპელ ხედვა-კმობით
ჭილდოვანობს პი-ჭოობით.



საკონცერტო
გამარჯვებულება

ან, ალვა ხარ ტანადობით

ან, ალვა ხარ ტანადობით, ბან, ბულბულს მიგიგავს ენა,
გან, გიბრწყინვას პირისსახე, დონ, დაჭატული ხარ შენა;
ენ, ელვარე ბაღრი მთვარე, ვინ, ვარსკვლავს სურს შენი
ბრწყენა,
ჰენ, ზილფუ-კავო, გიშრის თმაო, ცე, ცაერთ [და]იწყე ფრენა,
თან, თურანი, ინ, ერანით სიცხოვლით დაგიწვამს შენა!

კან, კვდარი ვარ შენის ეშხით, ლას, ლამაზო, მამიგონე,
მან, მიშრება თვალთა ცრემლი, ნარ, ნაღვაწი გამიტონე,
ჩ, მინდის ხელმწიფის ტკეცე, ონო, ოდეს დამიმონე,
პარ, პირზედ გისხდეს ხალები, ფან, უუეუნა თვალთ მიგონე!
რაე, როდეს ვერ გიხილე, სან, სურვილმან არ მასვენა!

ტარ, ტურთა ხარ, მშვენიერი; უნ, უდრი გავსილ მთვარესა,
ფარ, ფერადათ აჟყვავდები, ქან, ქალნი გისხდნენ გარესა,
დან, ღრუბელშინა] ინათებ, ყარ, ყაყაჩობ სხვის არესა,
შინ, შემრისხე უმიზეზოდ, ჩინ, არ მოხველ ჩემს არესა!
ცან, ცულია ეს სოფელი, ძილ, ძემმან [მე] არ მასვენა!



წილ, წამებით ესეც კმარა, ჭარ, ჭვრეტადა] ვიქმენ ხელად,
ხან, ხილვასა შენისათვის გავარღნილვარ, დავრბი ველად,
ჭარ, პომილდებრ [და]გატარებ, ზღვიდამ გამოგიშვებ სკელად,
ჭან, ჭინჯილებრ ვყოფ მარგალიტს, მას დალალებს მუნით
მცველად-
ჰაე, ჭოე გამიხშირდა, ბესიკს ესმა შენგნით წყენა!



ნარდზე ზმები

ვინ არ დიდსულობს, სულმოკლედ არს ყოვლგან
დანაფიცარი.

დამკარით პირსა და ტკაცი მიქმენით, თუ სცნათ, ვინც არი,
მას მოკამათე ლიზღვრად სჩანს, ვით მუხას ილი მისცარი,
ვით არ ბად ლურჯად შევიდე, არც მასთან დავიმტკიცარი.



ପାଦରାତ୍ରୀର ଚମୋଦି

ନିଜୀର ରା କିଳାର ଖୁବାଲରାର ଥିଏ ଔହରେଣି ଶ୍ରେଷ୍ଠଙ୍କ ଲାଗନିତା,
ଶୁଣି ବିଲାକ୍ଷିତ ଯରିଲି ମେତ ଲାହିଲାଗିଲ ଦ୍ଵାରିତ୍ତେର ଏହି ବ୍ୟାନି କିମନିତା,
ଦିଲାପୁର କୁଳର ପାତାର କିମ୍ବାର କିମ୍ବାର ଗାନ୍ଧାର କିମ୍ବାର
ଏହି ବିଶିଷ୍ଟ ପାତାର, ଏହି ପାତାର, ମାତର କିମ୍ବାର ମାଜ୍ଜିଲି କିମନିତା.



„ანუ სით მოხვალ“

1. ათინად ბრძენთა განზრდილი აზიად კმგზავრობ
ირესა,
ამირბარს ვეყმე ავთანდილ ამოდ რა ლმობბარესა,
ალფისა მშეილდი შემშენდა ისრად არყისა მხმარესა,
და არწიეს აფსკასა შევაგე ჰაირ მოფრინვამქმარესა.
2. ბაბილონით მრებელმან ბასრა ვიხილე, მსუროდა,
ბაჩამის შეყრა მომესმა, ბეეან ვემონე ყმუროდა.
ბისა მშეილდო ფიცხელო, ბარდის ისრისა მძმურო-და,
და ბრანგვასა შეგრტყოცე, ბაყვს ეცი, ვის ჩვევით სისხლი
გწყუროდა.
3. ფულანშაროს მხილველს მგზავრსა ფურიად მოსლვა
მენება,
გივსა ვეახელ გოდერძი, მაშერალს მსუროდა სვენება;
გალი მშეილდად მაქვს და ისრად გა—გმირთ მოეხსენება.
და გავაზსა გული განუპე, სისხლთა ვაკმაც ცენება.
4. დიგორის გადმომრებელმან დვინსა მივმართე
ვანებად,
დამიტრის თავი ვამონე, დარისპან ვახლდი ყმა ნებად.
დარიჩინისა მშეილდს ზედან დაფნის ისარი კმა ნებად,
და დევი შემაკლა: დაყვს შიგან დავასვი ღამანანებად.



5. ევროპა მევლო სრულებით, ზღვით ერამს დაველ
ცურვითა,

ელიზბარ ვნახე, მეკეთა, ევსუქი ვახლდი სურვეითა;
ელაქტის მშვილდი უკვირდათ ეკლის ისრისა ჭურვითა,
და ელქაჭს ვკრი, ენას დავასვი, გახდის სიცოცხლემდურვითა.

6. ვლახეთი მოვლე ყარიბმან, ვარციხეს მოველ
გვიანად,

ვარამს ვესურვე, მიწოდდა ველისარიონს ჭკვიანად,
ვარჯო[ვ]ნის მშვილდსა მიქებდენ, ვაზის ისარსა ფრთიანად,
და ვარას გავშონდი ვეგ ზედან, მწვადი ცეცხლს მაქვნდის
ცურიანად.

7. ზარლანს ვიყავ, ჭირხილულმან დავაგდე და ზახას
მოვე,

ზალდისტანის მოყმეობა მე ჭურაბმან ბედათ ვპოვე,
ჟეთისხისა მშვილდსა ისრად ხე-ჭმილაკი შეუგროვე,
და ჭირაქეს ვკარ ჭურგსა ზედან, ხელთ სიმარჯვე დავახსოვე.

8. თაბორის მთით ჩამოსრულმან თრიალეთი მოვიხილე,
თარგამოზის მონამ თომამ კაცი ვინმცა შევიცილე,
თელის მშვილდსა ისრის თარგად თამრი სწორი შეუკილე,
და თახვსა თეძო შევალეშე, გული ცხელი განუგრილე.

9. იამანეთით მოსრული იმერეთს ვახლავ მეფესა,
იაყობისად დამიწოდს იოსებს სიბრძნის მერეფესა,
იელის მშვილდსა და ისრად იასამანს მძღვნის სეფესა,
და იაღონს იდაყვმოლეშილს ჰპოებენ სისხლნაჩქეფესა.

10. კარნუთ კოლასა მჩებელი ვმოგზაურობდი მთნებელი,
კვირიკეს ვახლდი კიკოლა, წასკლისა დამვედრებელი,
კიპაროს მშვილდის მკიდავი, კირკატის ისრით მსრებელი,
და კოდარას კუჭთა დამსობი სახელის ვიყავ მკრებელი.

11. ლეის ვიყავ, ლაშეთს მოველ, ზღვა-ტუე-ველნი რა გა
მომეწონეს, რომენ
ლეონ მიქეს, მას კიახელ, ლომინ მიხმეს, შემაგონეს,
ლიმონის მშვილდს ლაფანის ხე ქარქაშ-ისრად შემიკონეს,
და ლომთა ვფრეწდი, ლავიშს ვლეწდი, ცილი არისოთ
მომიგონეს.

12. მარალით მარანდისკენ ჩავიქროლე ცხენმალობით,
მანუჩარმა მიყმო მოსე, დამაკვირეა მასპინძლობით;
მდგნარის მშვილდსა შევიბმიდი, მურყანს ისრად
მასროლობით,
და მარჯანს მუხლთა გაუხვრეტდი, არად ვიყვი გამსტროლობით.

13. ნიშაბურით მოვისწრაფე, ნუნისს მოველ
ცხენმაშერალი,
ნებროს კახლდი: «ნარიმანო!» — ხშირად მხალის
არამწყრალი;
ნარდიონის მშვილდი მაშინ ნარინჯისა ისრით მთერალი
და ნიბლიასა ნიკარტსა კვრით განუწონი სწორად ვრეალი.-

14. ოსტრიალს მყოფს მქონდა მანგი, ორბეთს მომყვა
დია დანგი,
თოარს ვეუმე გზით პირზანგი მე თრესტი ლომის ჭანგი,
ოლეს მშვილდი მოკლე თანგი ოსტერად მაქვს ისრად
ფრანგი,
და ოყარს ორმხრივ გარდავლანგი, ისრის პირსა ვხოცი ეანგი.

15. პეტრებრუხით პანკითს მოველ ყინვით მჩიკი
ვარდნაზრობით,
პრიამს პართენ ვმსახურებდი, თქვენც გასმიათ მეფედ
თხრობით,
პიპილს მშვილდი ვამოვსთალენ, პანტას ისრად რა სჭობს
სწრობით,
და პალოს პირით განაკვეთსა მივართმიდი. სისხლთა ლრობით.

16. უინვანს ყოფით მი-რა-მჭირდა, უამურს შევლო
ოვსთა ნახვად; გურულს ვეყმე, უილ ბლაზ მარქვა უცხო სჯულთა
გარდამსახვად. შეერსა ესთლიდი, ისრად უოლა ხელთა მეპყრი წანამახვად,
და უორუორაკთა ურიალს ვწყვედდი, ვიყავ მთათა
გარდამლახვად.

17. რუსთავს გიქებ მოშავალი, რეხას მდგომი
სანაღიროს, როსტევანის მოყმე როსან ველსა გველ სანაპიროს;
რაფინდის მშვილდს თავი შესწონს, როდის ისრის
განაღიროს, და რქამარტოსა რიქსა შეხვდა, ძვალნი მუსრვად გარდებიროს.

18. სინდელთა ვნახენ არენი, სისტანს ვეახელ ქებულსა;
საამის ყმობა შემშვენდა მე სეფედავლედ ხლებულსა;
სარევისა მშვილდი შეფრობდა სუმბულთ ისართა კრებულსა,
და სირინოზს სასტვენს უმზადე, ვაი, მით დაშავებულსა!

19. ტრაპიზონს გიქებ გებული, ტანძიას სტუმრად
რებული, ტროვილის მოყმედ ხლებული ტერენტი—გმირად ქებული,
ტრევინთოს მშვილდით თნებული, ტვიის ისრითა სრებული,
და ტეტერის ტუჩთკვრით მხრებული, ვარ თავის იმედებული.

20. ურბნისს ურვა შემომადგა, ურუმიად ვიმოგზავე,
უშანგ მიქეს, მას ვიახელ: უთრუთ მიხმო, შევესწავე;
უდის მშვილდი შემეხარნეს ულპოლველის ისრითავე,
და უზანბარს ვკარ, უკანანი განმევეორელმან გარდუტყავე.

21. ფარფურეთით ფიცხლად მვლელმან მი-ცა-ვმართე
ფარიზიად, ფარად მიყმო კაცად კარგმან, ფარნაოზად მოქვიან დიად;

ფათალოსსა ვერჩდი მშვილდსა, ფისტა ისრად მქონდა
და ფასკუნჯს ფრთათა წავაკვეცდი, დავინებდი გულმაგრიად.

22. ქირმანს მხარი ჩაუარე, ქოისტნისა ვძიე გზანი,
ქაიყუბადს შევემონე, ქექეოზად შევეცანი;
ქლავისა მშვილდი მებნეს, ისრად ქაცვი შევათხზანი,
და ქურცის ვევრიდი, ქედს უგლიდი, „შაბაშ“ იყვის ჩემთვის
მზანი..

23. ლარს ლარიბობა მიმჭირდა, ლუდას გარდავლე
საგებად,
დეკტორის ხლება მფერობდა ლამბარს ყმად ლასაქადებად;
ლერწითლის მშვილდსა ისარი ლოლნაშო უქმენ მზადებად;
და ლორთა ლლიანი შევფრიშნი, მწვადი ცეცხლს მაქვნდის
ნადებად.

24. ყობან[ს] აფხაზთ განაზარდი ყიზლარს მიველ ბიჭი
მარდი,
ყარანს ვახლდი, შეუყვარდი, „ყარამანად“ — მოქვის,
თუ — „კმარდი“
ყამბროს მშვილდად მოვიგარდი, ყავის ისრით შევაფარდი,
და ყარყანტს ყრონტად დავაკარდი, მაგრამ მქონდა სხვაცა
დარდი.

25. შირვანით მრები, მტერთა სამტრები,
ზღვით მონამხრები, ზირაზს ჩამჭრები;
შაისა მხლები, თავ ქვისა მხლები,
ზაბურ შემძლები, აწ გითხრა რები?
შიმლის მშვილდს მთლები, ისარს შქერ მთნები,
თუ ვნახე მტრები, მით შევეყრები;
და შელის შუბლად მსრები, განმასისრები,
სახელის მკრები, ალმას ისრები.

26. ჩარგაზეთით ჩინეთს შევლე, მხილველია მაქესაუბა
მომდო ისრის;
ჩაჩნაგირსა თავი ვაყმე, ჩითაღ გეტყვი ქებას მისრის;
ჩქონის მშვილდით, ჩინრის ისრით რასცა ვტყორცე,
მოსრის, მისრის,
და ჩხაროვსა ვკვრიდი, ჩახვსა ვსვრიდი, პამრი ვერ ქნეს მათის
კისრის.

27. ციმბირს ყინვა, ძალლებრ ლრინვა ვერ ვიგოენ,
ცუცხვათს მოვე,
ცერცვაძემან ციცი მნახა, თეთრს პურს მაჭმევს,
გამატფოვე;
ცაცხვი მშვილდად შემეხარნეს, ისრად ცირცელს
შევეცნოვე,
და ციყვთა ცხვირად დავასობდი, ტყავნი სყიდვად შევიგროვე.

28. ძიროანით ძეგლევს მარე მოვისწრაფდი შზივ და
მთვარე,
ძამუასა შევეწყნარე: ძალლუად მთქვის სიტყვით მწარე;
ძელქვა მშვილდად შევიხარე, ისრად ძეწნი ვინაქმარე,
და ძერძერუკთა ძარლვნი ვბძარე, თავი ამით შევაყვარე.

29. წინარეხს მყოფსა წირქვალი მიქეს, მი-ცა-ვდდ
სწრაფითა,
წერეთელს გული ვამონე, წეტად მთქვის ხმისა ხაფითა;
წნორის მშვილდს ზედან წარო ვგე ისრად, რასაც ვკარ
დაფითა,
და წეროთა წვივთა მლეწველად დამთქმიდენ ხმა-დაფლაფითა.

30. ჭარი სრულად ვიალაფე, ალვევალე და დავსდევ
ჭართალს,
ჭავჭავაძეს მივემოყვრე, მე, ჭაბუქმზე, გეტყვით მართალს;
ჭანლრის მშვილდი ჭაორ-ჭილდი ჭკუტის ისარს შვენდა
ნათალს;
და ჭაროს ჭლიკთა შევაგლეჭდი, თუ ვინ მომცემთ ამით
ფართალს.

31. ხეარასნით მალს ცხენს მჯდომელი აწ ხრესილს რა გადა
მოველ მდგომელი,
ხეარაზმშის ყმობის მდომელი ხოსროვ-შირი ვარ რომელი,
ხელოუფლის მშვილდის მრთომელი, ხართუთის ისრის
მზომელი,
და ხადის ვკარ ხელუერთომელი, ხერხემალს შეუცომელი.

32. კადას თიულ-მოხევეთა გამოვრიდენ, ჭოფს
მოვმართე,
ქვანთქრის ყმობა ალვირჩიე, ქოსროს სეხნად ვეწალმართე,
ქადრაბანდის მშვილდისა ისრად ქუმლა კილოდ მიუსართე,
და ქოქობს ქშირად წაკადა ვერი, მნატრეს, ვისცა გავეწვართე.

33. ჭანაბათს ინდინ ვნახენ პირბინდნი,
ფრანგეთ გავატუნ ჭენევის თემად;
ჭაპანგირ ვნახე, ყმა კეკლუცსახე,
ჭამასპი მარქვა და მოქვის ძმად ჩემად;
ჭონჭლის მშვილდითა ჭაორ-ჭილდითა
და ჭლაზღლით ისრით დავლიდი ლემად.
და ჭერანს მორბედსა უშლიდი ბედა,
ჭილად ვამტვრევდი, მაქიან ქვე მად.

34. ჰასურეთით ჰაერმონად მიველ, მაკლდა, იგიც ვნახე,
ჰასრათს ვეყმე კაცსა ტქბილსა, ჰარონობით გავეშზრახე,
დავრიშულად მოვიჩმახე, მშვილდისა ხელი ალარ ვახე,
და მთა-ველ-წყალი სრულ დავლახე, მიკირს, შემრჩა კაცის
სახე!

35. ჭი, სოფელო პირდამყოფელო!
ჭი, ლრუო, ცრუო! ჭი, მრუდო, ცუდო!
ჭი, ვაი, ჰაი! ნეტარ ხარ რაი?
ჭი, ვვარი მწარი, ჭი, მოკლე კუდო,
ჭი, ოდეს გდევდეთ, გულს ქვე გიფენდეთ!
ჭი, შეხლტი, გვევლტი! ჭი, ვვაგდებ, რუდო!
და ჭი, შენსა პირსა ვინ ეტრფის, ტირსა!
ჭი, ჰაი, გიცან, ჭი, ეშმაქთ ზლუდო!

კ რ ე კ ი გ ი



რუსის პრიოლა

[შ ი შ ა რ თ ვ ა]

დღეს იხარებს დავით, სულიერსა ჩანგასა თანა მღალადებელი სულითა მეფე, და იტყვის: „აშ აღმისრულნა აღმოქმედ-მან კეთილობამან, ვითარმედ: ერთგზის ვეფუცელ წმიდასა ჩემსა დავითს!“ რომლისა შემდგომი, მსგავსად სიტყვისა მის, მიეცემოდა მეფობაი შენი.

და რამეთუ ძეცა მისი ბრძენი იგი, სახელ-სახე სიბრძნისა და თანამძღვანელი, შენთვის დღეს ხელჭყოფს შენისავე შესხმისა აფთრათისა წერად, კალამმიმხებელი თუმბუთურისა თანად მელნისა.

ორნი იგი მეფეთა პირნი, ორძალისა ხმათა შემწყობნი, ორკერძო გამარჯვებისა შენისა სიხარულსა მუსიკობენ და ორთა მათ მამა-ძეთა ბრძენთა მიერ თქვენ ორთა მამა-ძეთა-თვის მათ სამთა მეფეთა ძლვენნი შეიწირვიან.

იგი მართალი მამაი შურდულსა მრთმელობს, მრჩობლ კერძოთა გოლიათთა განმტვინველობს, ხოლო სხვა ესე ბრძენი მეფე კვერთხსა მას უსამართლოთა განმხილველობს.

და ესრეთ ყოველი სახლი დავითისი ხელალტყველვილებრ
განიშვებს, რამეთუ დღეს დაცემა იქმნა ქედმალალთა მათ
უცხო თესლთა აგაროვანთა და ალსდგა პირი დავრიდომილი
ჩვენ ქრისტეანეთა. ქრისტეს მიერ საბრძე შეიმუსირა და ჩვენ
განვერენით. შეწევნა ჩვენი სახელითა უფლისათა, რომელმან
ქმნა ცანი და ქვეყანა! ქრისტე აღდგა და ოლმაღგინნა მონებ-
რივისაგან მტერისა!

ბრძოლა ძლიერი აფხაზთა მიმართ შეფინა შიერ სოლომონ დავითიანისა

1. ათინელთ ენა, ქველშესაძენა,
ჟესხმის მოცალედ გშეეს წამისწამად,
პლატონ, უმიროს პროკლეთურთ იროს,
ერისტოტელი ჰყვეს დასაწამად;
ბრძენნი და მძენნი, ფრანგნი, ბერძენნი,
ჩრდილო-სამხრელნი ხმაშენადვამად
მოკრბით სეფისდა, ქებად მეფისდა,
სოლომონისდა ხილვად, სალამად!

2. ოდეს ვისცა ეშმა ბრძოდეს, მუნ იცნობის კაცი კაცად,
ოდეს ვინ სძლოს ძალსა მძლავრსა, ჭილდო უძლვინ ქვეცა
და ცად;
დიდთა მდომთა საქმეცუდთა ბრძენი უწოდს არმამცად,
და მაშასადმე, ჭერია და სიმდაბლე გვიჩნს ხელსატაცად.

3. მართ ჰეგანდა ნდობა აფხაზთა და ცუდნი
გამორჩევანი,
ბექირ-ბეგს ასტებს ქელეშ-ბეგ და ზურაბს ალსძრავს
ლევანა;

ოთხნივე ძმანი შეიოქვნეს, შარგაშისძენი მძლევანი,
და დესპანთა ფრენით მოიხმნეს ლაშქარნი ქვეყნის მგრევანი.

4. მოკრბა დას-დასად, მწყობრ ბევრ ათასად
შარგაშისძეთა ეზო-კარებსა;
ვინ იდგეს შორად ანუ მთა-გორად,

ც ა რ ი ა რ ი ა რ ი
ს ი ს ა მ ა რ ი ა რ ი ა რ ი

ფერხმალიად ელეს მათსა არებსა;
ჯაჭვ-თორიოსანნი, ისარ-ფრთოსანნი
სიმრავლით სცემდენ თვალთა ზარებსა;
და აღთქმულნი ქრთამით ვლილენცა ლამით,
ვეპვ, იმზადებდენ სასამარებსა.

5. ყირიმელთ, გიქელთ, ალანელთ, კუმურგელთ ამცნეს
ცნობითა,

ყივჩალთა შემოიწვევდენ, ინდობდენ სჯულის ძმობითა,
აფხაზნი შეეფიცოდენ ქრთამით და აგრევ ძლენობითა,
და მეგრელთა სისხლი სწყუროდათ, თუცა შეესვათ გობითა.

6. შემოქრბენ და აღნუმს სახე დაუსახეს ხშირად
ტევრად,

ცხენთამამნი გარდარჩივნეს გარდახვეწილთ მოსაწევრად;
ექვსნი გვარნი ექვს ენითა ერთხმაობდენ ბევრისბევრად,
და მინდა გვითხო, ზურაბ, მითხარ: ვისი სისხლი დაიდევ რად?

7. მასმიოდა, ზურაბ, შენისა სიბრძნისა სიბერე და ამად
მიყვარდი, რომენ შენის ძევლის სახლის ზღუდესა ახლის შე-
ნობის პირი ედგა; აწ — მე უბრალო ვიყო და — ხელი შეგი-
მართების უმეცრების კედლის მაშენებლად, რომემცა აღშენე-
ბული მკვიდრი გოდოლი დაგიტევებიან და აგრევ გვარისა სა-
ხელოვანი სიმტკიცე უწერთველისა ჭორისა წიხნითა შეგიმუს-
რავს და ცვილებრ ნაზელი ზრდილობისა წესი გზასა უფიცსა
ქვად უხმარად დაგიგდიან.

8. და ამისოვის თქმულია სამართლად ესე არაკი ტაეპად:
„ოდეს გაგწირონ ბედმან და სვემან,
მაშინ დაგვაინონ კლდემან და ტყემან“.

მის მსგავსად აღმიჩნდა თქვენი უცები მოგონება; და თუ ვით-
ცა ტყენი და კლდენი გეცინიან, იმა ამბავმან ბოლო ცნობიე-
რად გარწმუნოს!

9. შილინგით მიმომხლტომელნი მოვლიდენ, მეგრების
მრებელნი,

ზარბაზანთ წარმომძღვანელნი, იმედის მამაგრებელნი;
დადიანთ ქენი ლხინად სხდენ, ამისნი უაზრებელნი,
და ხმა «გვიშველეთ»ო მოესმათ, კაცნი იახლნეს მცნებელნი.

10. ქუთათისს მორჭმით მჯდომელსა,
ომისა მომანდომელსა,
მეფესა ჰკადრეს: „მეგრელი
მოპტრინავს, ჰგავს ნაკრთომელსა“.
ჰკითხა და წიგნი მოართვა,
ფიცი სწორე აქვს რომელსა.
და გალიმდა: „ვალი ხრესილის
აწ უთხოვია მშრომელსა“.

11. ვითა ბავლად გამზიდვლისა შავარდნისა შეხვდა შური,
გუგას ცეცხლი მოდებული გამოაჩნდა ვით ალმური.
მას ამბავსა თანა გაპყვა გული წრფელი, არმანმური,
და რიონს გავლის, გამოაჩნდება სიყვარული სიდე-ძმური.

12. წყალი გავლო, თანა წაპყვენ,
ვინ ახლდენ სრისა ყმანია;
მსწრაფლ შეამოკლეს სიშორე
გზისა, სიგრძე და განია;
უძლვების მდაბლად სიმაღლე,
არ დია მისთვის მნანია,
და დადიანთ მიესალამა
საიმერეთოს ხანია.

13. მისთვის თქმულია, მსმენელნო: «ამო საჭვრეტელია
ერთი მტკიცე პირია».

ერთპირობისა გზათა მრებელი
არს სახალისო სასტუმრებელი;
სადაა საქმე შეუძლებელი,
იგი მუნ არის გამმარჯვებელი.

14. აშ ესეცა გიამბოთ, თუ ვითა შექვევანდა სიყვარული ამიერთა სპათა, საქმეცა უდიდესი სიმღაბლითა მოიმვევს, რომელიცა აშ თოქმის ლექსად:

15. არა ცუდ რად მოუბარნი ვაზირობდენ ამა პირით, იტყვის კაცი დაღიანი, ვრცელვონება, სიტყვაზმირით: «ნუ მიხმობთო ფრიდონისბრ სისწრაფითა პურადეკირით, და მივევებნეთ მომავალთა, მივხვდეთ მომხდომთ ღონით, მირით!»

16. აზრის ყოველი მეფისა შებმა იყო და სუროდა, თქვა: „მასთვის მოველ, ჩემთა სპათ სისხლი ვასვა, ვით სწყუროდა“.

ჯილავდამართვით მიმართეს, ცხენი არვისი ბმუროდა, და ზუბდითს გამოსცდის საქმენი, ვინ ცუდად შეიჭუროდა.

17. მისცეს სული ღმერთსა, აგრევ ღონე ყოვლი მაბარნეს, სპანი მცირე წაიტანნეს, მაგრამ მათთვის ბევრად კმარნეს: გრთნი ათთა, ათნი ასთა, ასნი ათასთ შეეყარნეს. და აშ ნახენით: სიმცირესა სიმრავლე სით გაეპარნეს!

18. გაღმართ ენგურად სპა უამარნი სამ ღასად მოღეს, ბერვიდენ ბუკებს. იტყვის ქელეშ-ბეგ: „გავვლი და დავლი, ბრალი და ხმალი ჩემს ზურგს და სუკებს! ტყვე და ალაფი ვითლა მექრძალვის? ცხენს მრავლად ვშოებ გავანატრუკებს“. და გამოვლეს წყალი, მინდორს დარაზმდენ, აშ თუ არვისგან არ შეითხუკებს.

19. სამთა რაზმთა სამნი ძმანი უძლეინ: ზურაბ, ქელეშ, ლევან, მოყმე კარგი ძმა მეოთხე გარს ურბენდის ბექირ მხნევან, .

აქათ წარდგა სპასალარი წერეთელი გულსრულევან
და გორგიცა, ძველი გმირი, წულუკიძე მედგრულევან.

20. იქეთ და აქეთ შეიქნა შეგვიანება ხანისა,
შეექნათ რჩევა აფხაზთა, დავიწყდა ნახვა სანისა,
სთქვეს: „ნუთუ მეფე აქ იყოს?“ — რადი აქვსთ თავთა
და უჩარდი ამოციქულეს მართლისა მისატანისა.

21. აწ მისი უკუღმართი ბედი უჩარდის ეახლების და
ფათერაკისა კარავსა დაუდგამს მოწვევად სულისა კარვით გან-
მპარეველისა ხელმწიფისასა. ინებეთ და პეითხეთ მას მელსა გა-
წირულსა: „შეყრილსა ლომთა თანა სიმწარისა უამსა რად მი-
ხვალ, არა თუ რეგვენო და შლევო?“ მე რა მგამა, მიხვალ და
ნახამ და ინანებცა!

შოსელი მის შავბედისა უჩარდისა და აწ თმი ფიცხელი და გამარჩვება
შეფისა სოლომონისა

22. „ვამ-ვარირა“ს მომღერალთა აფხაზთ შექმნეს
ცეკვა-ბასტი,
იწინაშძლვრეს მოციქული, წინ წარმოსდგა სამი დასტი;
ზურგად ქვევითს მოიქცევდენ, სიმაგრე სჩანს ვითა ლასტი,
და რა ზარბაზანთ შექმნეს ხელა, უჩარდის მოხვდა ხრასტი.

ჰაი, ჰაი, საწყალობელსა უჩარდის მის შუა მკვდრისა
კონაქისა ხელი დაემართა.

23. მეფე მშეიღი ამას ზედან გულისობს და არა
ლალობს,
გულსა მჯილთა ნელ იქრვიდა, ყოვლთა გულიც მასთან
დალობს.
„ლეთისმშობელო!“ — მოქმედობს, თვალით ცრემლთა
რუებს წარმონალობს,
და ვეფხუროთოვანად გარდისახობს გმირთა გმირი, სალთა-
სალობს.

24. ვით ორბი მაღლით მხედვარე ხედვას მინცემდა
ბაიას,

ვით სონლულს დრო, ხვდა შეფრინვად წეროთა დამზარ
ბაიას.

წერეთელს ღვინოს მოსთხოვდა: „მანდიქს გაქვს თუ
აგბაიას?“

და მოართვამს მცირეს მათარით: „არ ვართ ქალაქს, დაბაიას“.

25. რა შესვა და საჭურველი მარჯვედ ყოვლი მოიხილა,
ბრძანა: „სიკვდილს ვინ გარდუჩა, ჩვენთვის იშვა და
შობილა,

რით ვინ რიდა მომავალსა? არ იქნების, არცა ქმნილი
და გვალეთ, შვილნო, ვისცა ვინდესთ, აპა, უამი მოწევნილა!“

26. აშ ნახეთ ომი, მცვრეტელთ სანდომი
მიდგენ მარცხნითთა მარცხად მცირენი,
კეისართ ტოლი, შავ ჩოხით მძლოლი,
თეთრსა ზედან ზის თავგამწირენი;
გაპყვა ვინ გულით, მისთანა ბმულით,
კირსა ჭირობდენ არცუდმდირენი;
და ვნოლთ ჭოვთა ქორნი, ფრთე შენასწორნი,
როს ნახეს, გაფრთხენ ანატირენი.

27. მეფემ ვინმე წითლოსანი ერთი ნახა მათში ის როს,
მყის მიმართა, მიიქმანა: „კარგი კარგმან უნდა სისროს!“
მშეილდი ფიცხლად მოემარჯვა, მაგრამ ხმალი ვინ იყისროს?
და ოდეს ძარს ხმალი ბასრი შეხვდეს, ვეღარ ღონით ისრო.

28. თუცა ღვა და უწყლად ხოცდის, არ ჰქონდა შიში,
რიდია,
ჰვავს, ევლო ბნელეთს საომრად, მით გული ედვა დიდია,
შიგან ღრუბელსა შე ნახა ანაზდათ თვალსაბინდრა,
და გაყრთა და გარდაიკარგა ცხენმალი იგი ფლიდრა.

29. რა იგი გაქრა, სხვათ შეხვდა მის ცეცხლს ჩავარდნა
მდაგვ რა მოისწავეს

მისდევს და მისრავს, სად ნახის, მტერი ჰყვა ვერას მაგე რა,
„სით გაგვეპარე, ქელეშ-ბეგ, რას ელდით გარდგვეკარგე რა?
და თუ საღმე ნახო ზურაბი, უთხარ: „მეფეა აგერა!“

30. პოი, უბადონო ოთხნო ძმანო, კარგნო ყმანო! თუკა მის
სვე ღარიბის უჩარდიასა შემობრუნება აზ დააცალეთ, აპა, იგი
მეფე და განიხილეთ მისი სახე, ვისცა გინდესთ. კარგთა მოყ-
მეთა და ფალავანთა წესია: ვისცა ვინ ინებებს, ანუ მოყვარუ-
ლად და ანუცა მტრულად შეეყრებიან; მაგრა, ვითარ გსურო-
დათ მისსა პირსა თვალშედგმა, აშ მე გიამბობთ:

31. რა ნახეს მეფე მიჭრილი, გულსა შეაქნეს ბაბანი,
დაყარნეს ყოვლინ სახმარნი, გზა ძიეს გასასწრაფანი,
ლეკურსა დრო ხედა, მიჭყაფდა, ვით ნახა ზურგი ჯაბანი,
და პერსა შიგან ფრინვიდა ხმალი სისხლითა ნაბანი.

32. მზეს შეშურდა, მთვარეს იხმობს, მოლგენ იგიც
განაკიდე,
ვარსკვლავთ რაზმნი კიეინს სცემდენ, სხვაცა ვითხრა განა
კიდე?
მარიხს ხმალი სამესისხლო მოეწვადა განაკიდე,
და ცისა მშვილდსა გარდაეცვა კილო ისრის განაკიდე.

33. აშ ესეც ვითხრათ საკვირველი შური ვარსკვლავთაგან
მეფისა და თუ მასთან შემწედ ვინანი მოვიდოდეს, ოდეს მარ-
ტოდ მბრძოლი სიმაღლე მოიხილეს მათ ათორთა ციურთა,
სვეტთა ცისათა.

34. ათორ რიცხვნი ცისა ზოღნი, ერთიერთის
მომაწოდნი,
მოქრინ მრბოღნი, არამეოღნი, ზარდამტეხნი, უწყლად
მკოღნი,

ზოგნი ისართ მარჯვე მცოლნი, ზოგთა ეპყრათ ხელთა ლოდნი,
და მათნი მსვრელნი, ვით ეროდნი, წარმშეყმედნი საუკუნოდნი.

35. ვერძი მშვიდი რისხეით მრქენი სისხლის მსმელობს,
ვითარ ლვინის,
კურო მეღვრად მისეული დამთხეველობს მათის ტვინის,
მარჩბივი რთავს ფათერაკთა, კალოს ლეჭავს მქედართა
ზვინის,
და ლომი ხმითა სასტიკობს და ტოტს ჰქოვავს ვისცა, მიაწვინის.

36. კირჩხიბი სწლავს ოროლითა, შუა მუცლად
გამპობელობს,
ქალწულს ლმობა შემლოდა და ქვას ჰქოვავს, სისხლით
ღამლტოლბელობს,
ღრიანკალი გესლთა სწვიმდა, კუდის წერტით
დამსწრობელობს,
და თევზი წყლისა მინაქონთა ბოლორტყმითა დამშობელობს.

37. საქანელმან ღრუბელთ ჯარნი სისხლის წვიმად
გარდუქცივნა,
თხისრქას ვაქებ, — გრძლად იბრძოდა, — მიკვირს, თავი არ
ეტკივნა!
მშეილდოსანმან ჯილდო ირგო: ტყვე ხუთასნი გარდიჩივნა,
და სასწორი სწონს ნაალაფევს, სარგებლამდის მიაწივნა.

38. მათ ვარსკვლავთა ფიცხელისა სახითა გულსა შური
შემადგების მის დღისათვის, ვითა მათებრივ რეცა უსხეულოდ
მფრინვალედ მორბედი კაცი დადიანი მიმოქროლვითა თვალსა
მიმტაცებს გონებისასა, და იწ მისი გითხრა:

39. ეთერისა ცეცხლსა მგვანი, ქების ლირსი დადიანი:
სახელ კაცი, საქმებრძენი, ხმალძლიერად ვაღიანი,
ვით მშე ლომსა ლურჯსა მჯდომი, გმირტან-გამომცხადიანი,
და ვერთ მაგვარედ განასარჩი, ქებად დაუზადიანი.

40. ხმა ლომის გვარად მიმზრახი მისჩეხდის, იტყვის
ამასო:

„ათი ათასთა დავფრეშო, ვითლა შემიცდი, სამასო!“
ზურაბის შეყრა სუროდა: „ენის ისარი დამასო,
და თუ ვნახე, სისხლით დავსოვრეო, ხორცთა შევაქნევ ჭამასო!“

41. ორნი ძმანი ოთხთა ძმათა შარვაშიძეთ საპირდაპნი
გაქცეულთა განართხმიდეს, ვით ქორის ქვეშ მცირე ლაპნი;
გიორგისგან განახლებთა კაცთა იღვა სისხლის ტლაპნი,
და მისძახდიან: „ოქვენცა იცით, ასე გვრწვონიდენ მამა-პაპნი!“

42. შური შემჭამს გიორგისი, ძმისა დადიანის ძისი,
თუცა — ვკალრებ — ტანად მქისი, საქმით, ღმერთო,
შესატყვისი,
მარდი, სწრაფი, მკვრელი ხმლისი, გამკვეთიცა აღმასისი,
და სახით ამო, საწადისი და სახელით მხედრობს ისი.

43. აწ შენი მსურს ქების კონვა, ვინ სარდლობდი,
წერეთელო!

მაშინ ჰევანდი მეხთა ტეხს, ჯგუფთა, რაზმთა განმბნეველო,
ელვის სახედ მტერთა თვალის დამჭუხებო, შემზარველო,
და გმირის ხმითა დამჭუხებო, თხემთა ტვინის დამთხეველო!

44. შეჰვანდა მაშინ შენისა ლომთა ლომისა მამისა
მსგავსება, ოდეს მეფისაგან მარტოდ ჭირისა შიგან შესვლა
მოიხილე და, ვითა ჩვეულებისა გვარი გაწვევდა, უხილავი
ცეცხლი ეგრეცა მოვეხვა ერთგულსა გულსა ზედან. ამად
თურმე თქვეს: «კარვისა პატრონისა წინაშე ამოა კმისა სიკვ-
დილიო!» შენ თუცა არ გვითხარ ჭირი შენი, ჩვენ, ეგრეთცა
ლხინად შემცვლელთა, გიამბოთ ვალი თქვენისა გარჯილო-
ბისა მოკლედ მრავლისა წარმწერელთა:

45. შაბაშ, შაბაშ, შენდა ვაშა! თუცა გამკე ვერა დია,
შენი ვვესმა მცირე ცეცხლი დიდთა ხეთა მწველადია;

ისპარ მსროლო თოფისა და ლეკურის ხარ ბელადია,
და ბრძენთა ენამ როდეს გაქოს ყოვლთვის შესაფერადია!?

46. მუნამდე პირი კალამთა თემთა ზედა მუშაკობდეს,
ვირემცა მართლისა შეცვლად უტყვებდეს, და მუნამდე ცო-
ცხალ ვიყო, ვირემცა არღა ვაქებდე გიორგის, მრავალგზით
პატრონისათვის მკვდარს წულუკიძეს!

47. შეფრინდა მდომი, ვის სურის ომი,
დიდგვართა ტომი გიორგი ლომი,
ნახა ჩა ზომი, დასდვა საზომი,
ცეცხლანაგზომი მისდევს გამწყრომი,
ხმობდა მიმხლომი, ხოცდა მიმწყდომი,
სრევდა მიმხლტომი, სძლევდა მიმჭრომი,
და ვერ დასახსომი ძალი აქვს მდგომი,
ტანი გმირენომი, ღვთივ დანაშთომი.

48. ანუ იყო მას დღეს მგვანი სამფსონისა, მქვრელი
ყბითა,

ანუ ლეკტორ მარტო მბრძოლი მირმიადონთ შეფრინბითა,
ვით მას ვინმე ახილევმან ფინდიხი ჰერა უგვრიობითა,
და ვსთქვი, თუ «მას ჰევს» — ეგრევ სერიდა და ჰევიდა
გულს სწრობითა.

49. აშ მე რამცა ვსთქვა, მისსა სისხლსა კარგად ასმია
და მისი, ისრისაებრ მართალი, მოწამეცა იგია; მაგრამ აქა-
სადამე ჯერა, დიდთათვისცა ენა მცირედ ვაუბნოთ, ვითა
თქმულიცაა ბრძენთაგან არაკად მრჩობლედი:

50. ნუ გოვნის, ლონევ, აუბნე ენა,
კარგთა ამბავთა არ შეენის ქშენა;
თუ არ უცილოდ, რაცა გაქვს ლხენა,
მოგელოს, იწყო უკვალოდ რბენა!

51. ჩემსა თვალსა და სასმენელსა რაცა მოხსენებს,
მას უმეცარი პირი ჩემი ქებად არა რიღებს, რომემცა ქედა
ხმალი ბასრი მაღვეს.

აჲა, მსმენელნო, ცოტას მოყმესა ელისბარს მოხე-
დეთ, თუ ვითა თავი ერთგულად დაუცს ერისთავსა და სიძესა
მისისა ხელმწიფისა წინაშე!

52. გვართა სახის გარდმომხატი შალვაობს და
ელისბარობს,
სჯულისა და მეფისათვის სისხლთა დენას ვერ იქმარობს,
შუად რაზმად შევლის ფრეწად, წინამდგომთა
დამამწარობს,
და მათ თხათაებრ ლომი ხოცს და მისსავ თათსა დაიგვარობს.

53. სიყრმით ჩვეული ომს, არძლეული,
გულმედგრეული, დიდგვარეული,
სარო რხეული, კეთილზნეული,
თვალსათნეული, საოცეული,
თვალსისხლრეული, მტერთ სამტრეული,
ხმალევრით რჩეული, ანაზდეული,
და არგაქცეული, სისხლდაქცეული,
მარჯვედ მხრეული, უურვეული!

54. ავაზობდის, გავაზობდის,
დაჭქროლვიდის და სთროლვიდის,
ნავარდობდის, შავარდნობდის,
მიწას დასცის, დაჭქოლვიდის,
ანაზრობდის, ანაზფობდის,
განჭკაფდის და გამსროლვიდის,
და მილალობდის, თამამობდის,
განაბნევდის, განსტროლვიდის.

55. მისსა მცირესა სიყმესა სხვამცა მეტი რა ექმნა,
რომელ მათსა სისხლისა ტბასა მისიცა სისხლი მდინარედ შე-

სდინდებოდა, და ვითარ მთით ნადენსა ტკბილსა წყაროსა ღმესა
შიგან მორბედი ცხენითა თვისსავე სისხლსა შეხვრეტდის მას
დღისათვის ღვთისა მაღლობელი.

56. მართლ რომენ შენი სახელი შენსავე ჭაბუქობასა
შეენოდა და სამართლად თემთა ზედა დაისმა, ჩიჩია გვარ-
დიდო დევისმა! მსურინ შენთვისცა მცირედი ქება, ვითა
სხვანი მოწამენი ბრძანებენ:

57. მას ღლეს მსგავსი ავთანდილის, შეჭურვილი ჯაჭვით,
ზუჩით,
კისკასი და მკლავუებრო მისდევს ხმლისა ხლაჩიხლუჩით;
ზოგნი ჩივან აფხაზები: „სით გავექცით, ვერ გარდურჩით!“
და ზოგთა წყლიდგან გამოითრევს, ვით მეთვევზე თევზს
ლაყუჩით.

58. გაეხმოდის, გაეხლმოდის, დაისმოდის, დაისროდის,
მი-დ-მოხლტოდის, მიმოსროლდის, დაიქმოდის,
დაითქმოდის,
შეაყენის, შეაქშენის, დაითროდის, დაითმოდის,
და კვლავ არევდის, კვლავ არბევდის, მაიყმოდის, მაიხლმოდის.

სამი გარე

[სამგლოვიარო ოდა]

1

მეწყნეს ხსენებად
 წარსრულთა მათ ცენებად,
 რაუამს გენებად
 ადამ ისთვლო ხე ვნებად;
 აშ არს ჩვენებად
 ენა მებენი მთენებად,
 მით ულხენებად
 კსტირთ სამოთხესვე ნებად,
 ვაი, მტკენებად,
 ვაი, ძნელ ნასენებად!

2

ძოვედინ, ევა,
 ტირილთა არს მოწვევა!
 განახლდა წყევა,
 სამოთხით განმოსრევა;
 დახშულ არს ძლევა,
 სჩანს მახვილით შეწყვდევა.
 აპა, ვა მე, ვა!
 მორჩი მტილთა ისხლევა,
 არღა დახრწევა,
 არცაღა ცრემლთა თნევა.

აბელის მტყებთა,
 მშობელთა უდროდ მმცნებთა,
 მათ თანამდებთა
 აღვახსენებ ნაკრებთა;
 შამოვჰყვნეთ გზებთა,
 სხვებრ სატირალთა სხვებთა,
 ძმათა და დებთა
 სადა სად ალაგებთა,
 ცეცხლმონაგზებთა,
 საყვარლის განაშვებთა.

სეითს ვიტყოდეთ,
 აღამისდამი ვრბოდეთ,
 მსგავსსა ვიგლოვდეთ,
 მსგავსსავე მამას ვსთხოვდეთ,
 მათ შორის ვხმობდეთ,
 ნუმემცა სახელს ვსთმობდეთ,
 ლეონს უთხრობდეთ,
 თავთა დრ სვეთა ვვმობდეთ,
 მისდამი ვლმობდეთ,
 ცრემლის ნამცვრევთა ვსთლობდეთ!

ნოეს ზე ნართნი,
 ხმა საზარო-საბავთნი,
 მლელავნი ზავთნი,
 უთმენნი, არლა სათნი,
 აღმსპობნი მათნი,
 ვითარ ლესულნი შანთნი,
 აჭა, აწ სართნი,

მუნებურ უკულმართნი,
დავიდეს მნათნი,
საფლავად მოკამათნი.

ი რ ი რ ი რ ი რ
გ ი რ ი რ ი რ ი რ

6

შენდა ვსოქუ, ლომო,
მალალ გვარითო ტომო,
მისებრვე მხტომო,
ბრძოლაღმი განუძლომო,
სად უსაზომო,
სად გზა შენდა საწითომო,
სადა მიდამო,
სად გეახლნეთ საგრომო,
ლეონ სახსომო,
ყმათ გულებისა ხომო!

7

გამოჩნდა კალო
ატადის, სავალალო,
ოდეს გცანთ, ძალო,
ხელდაკრებით საბრალო,
გაფხიზლდი, მთვრალო,
წყლულგულო და ნავალო!
ვლა ვიმსოვნეთ, მალო,
მარიხად საჩბიალო,
ვპრქვნეთ: „ვინ მოჰკალო,
ომ, ურცხვად შეუწყალო?“

8

ეგიპტით გამო
ხმა ისმის მიწყ სავამო,

პრულავს, საჭამო
ძილი იოსებს ვსწამო;
ძმანი მიღამო
პროვენ სისხლის ცრემლთა მნამო;
ლომო, შენდამო
ესელა არს საქრთამო,
ნავლლის სასვამო,
რათა გვეპყრნეს ნასხამო.

9

დაგროვნეთ მოსესნი,
ისრაილთ განაწესნი,
გლოვა საკვნესნი
მისდამი ჩვენდა დლესნი,
ცეცხლების კვესნი
შენოვის ჩემ უჰამესნი
და მახვილმლესნი,
გულთ გარემო ნათესნი,
ვად, უაღრესნი
დლენი მისხენ და მსგეფსნი!

10

გტირ, სიცოცხლეო,
არ დროით მინასთვლეო,
დავითის ძეო,
იდუმალ განაძეო,
სამოთხის ხეო,
უწყალოდ შენარხეო,
ყმათ მაორძეო,
თვალითლა ვერ ნაძეო!
სადაით, ლეო,
სად ვპოვნეთ სიახლეო?

აღდეგინ, დავით,
 მითხარ: ლეონ სადა ვით?
 შესახედავით
 ავესალომ ჰგვანდა ვით?
 ვით დასთმენ და ვით?
 ბედნიერი სადავით,
 რომელმან ზავით
 განსცა სიცოცხლე ნავით
 და დასანთქავით
 განლელვნა თმანი თავით.

ქალაქსა შენსა
 ხელპყვეს შენ მიერ შენსა,
 სოლომონს ბრძენსა
 რლვევად ჰკადრებენ მძენსა.
 ვა, დროსა ჩვენსა,
 მსგავსადვე მოსაწყენსა!
 ჩემსა ირემსა,
 ჩემათ დღედ მონაცემსა,
 აწ განაცემსა,
 სოფლით ურგების თემსა.

იროდი მეფობს,
 სისხლის მახვილს იეფობს,
 ბრძანება მჩქეფობს,
 ხმა მუნებური მერეფობს,
 რაქელ შეილთ მყეფობს,
 ძუძუ ნავლლითა მცქეფობს,

ქუხილი მჰეხობს,
გრგვინვა ელვითა მგრეხობს,
სიკვდილი მქეხობს,
ლომსა მძინარეს ფერხობს.

14

ლაზარეს დათა
ვესტუმარნეთ ცრემლზლვათა.
მოვედინ, მართა,
მოძლერისად ვხმობდეთ თქმათა!
აღვზიდნეთ ქვათა,
ყურნი მივაპყრნეთ ხმათა,
ქრისტემან ჩათა
სიცოცხლე განუმართა,
კვალად აღმართა,
კვალადშცა წარუმართა.

15

მივხედნეთ დლესა,
რა აღმართების ხესა,
სიტყვითსა მზესა,
მკედრად ვნებულსა განმგესა,
მას ზედა მდესა
მარიამ დედის ძესა,
ლეონის მწესა,
მათ ესთხოვდეთ მისთეის სვესა!
ნუთუ მერმესა
ვემთხვივნეთ სიმარჯვესა!

16

ქუხს ლრუბლებრ გული,
დულს შინაგანთა წყლული;

სწვიმს თვალი კრული,
სიბნელისა ნატრული;
სჭრის ღვიძლთა მტრული
მახვილი ორპირული;
გეძიებს სული,
შენდა ზრდილი ალკორული;
ვამ, ღამასრული,
ურგებ არს ჩემგან თქმული!

17

სადა ვის ეჭვულებ,
პატრონად მოვიძულებ,
ვერ აღვისრულებ,
სული ინაკლებს მტრულებ;
ლეონ, მით ვსწყლულებ,
მოგიხსენო რა თქმულებ,
შენდამი ვკრულებ,
შენდავე ვინატრულებ,
ვვლი თვალდახშულებ,
სიკვდილისდამი ვპრულებ.

18

შეგბრალდე ამით,
სარდარ-სპასპეტო, წამით:
წარტყვენეს ღამით
ლომი შთამო მამით,
აღწონეს ღრამით
პილოტანი მოდგამით,
იგ ღასაბამით
ურჩეულესი გვამით,
გემო ესვნეთ ვამით,
ნავაჭრები აღამით!

19



იხსენებდე ოა,
ჩემიცა სოქუ ეგერა!
ვინა მაქვს მზერა,
თქვენდამივე საჭერა;
მაყენებს წერა,
ცრემლიცა განმემტერა;
მან მიგო სერა,
სამსალისა ჰყო ფერა;
აპა, ესერა,
ერთგულთა გულის ბერა!

20

ჰოდ, ცისა ლომო,
ლეო, ცისავე ხომო,
მაღალო ტომო,
მხოლოდ მოვედ მარტო, მო,
საღ სასაღომო,
საღა არს სრა სახსომო!
ვა შენდა, ომო,
უმისოდ მოსანდომო,
ვად, მიუწოდო,
ხილვადლა მიუხდომო!

21

მინდორთა თავი
მოსაგდეს მონართავი,
ოდეს რა ზავი
თავს იდევ დასაფლავი;
მთა იქმნა შავი
ზაფხულის განათავი,

წყალიცა მცნავი
შენდამი დანანთქავი,
და გზათა კავი
აქვნ შებმით შენასწავი.

იროვნული
გენერაციები

22

ასპარეზი ხმობს,
უქმად ყოფისა ხმას შობს,
ყაბახს არლა პფლობს,
ისარი უკუღმართობს;
ყირლავი შიშვლობს,
ბურთსა რა ობლად იცნობს;
ჯირითი მისნობს,
გარდიხვეწის, განშეისობს,
ულეოდ სისრობს,
გული სისხლითა მისრობს.

23

ლეონის თოფი
ნეტარ თუღა არს მყოფი?
ლეონის ხრმალი,
ვაი, თუმცა არს მშრალი?
ლეონის შუბი
აწ თუ სხეათ შენატყუბი?
ლეონის დამბაჩა
ცოცხალილა თუ დარჩა?
ვად, სატევარი
უმისოდ საწყევარი!

24

ლეონის ჭაჭენი
ერთგულთ სახსენი მანჭენი,



ლეოს ხელნავნი
მომგონებელთა მავნი,
მისნი ბეგთარნი
ვისად და სად შემდგარნი?
სად არს ჩაჩქანი
ახალშლილთ ამაჩქანი
და ლახტი ტახტი
სიმტკიცით გარდანახტი?

25

საღალა ცხენი,
არასადა შემრცხვენი?
სადა აბგარნი,
მაქებელთა დამჯარნი?
ერთი თუ ობლად,
ვამ, მეორე უხმობლად!
ვამ, ჩემდა თვალნი,
მათგან მიერ დღემკრთალნი,
ასხურებნ ცრემლთა,
განხვრეტს გულისა გრდემლთა!

26

ქორთა უღერანი,
ხამლით შენაფერანი,
ძალთა ბეგრანი,
შემაქცევნი მზერანი,
აწ, ვეპვ, ჭერანი
რებს უვნებოდ, მერანი;
წყალთა ჩქერანი,
არღა თევზთ გამჩერანი,
და სხვა მღერანი
მისაღვე ჰქმნა მტვერანი.

მინდვრად ირემნი
 თავისუფლად მშზირენი,
 ღორნი მღირენი.
 იშვებნ განაპირენი,
 არლა მტირენი
 ქურციკ დედის მცირენი,
 აშ განმრინენი
 მგელნი მალლად მყვირენი,
 არლა სჩანთ მრენი,
 წარხდეს მონადირენი.

ფრინველნი შვებით,
 დურავნი არლა ტყებით,
 ხოხობ-ქაბნი
 არლარა დანანაბნი,
 ჭერო-სავათნი,
 გნოლ-ლალლა წანამართნი,
 ტრედ-მწყერნი, ვვრიტნი,
 განბევრდებიან ჩიტნი:
 ჰაზიერს პრულავს,
 ძილით თავს მოიძულავს.

ამისნი მვრდნობნი
 უშორესნი და მცნობნი,
 მტერნი საგმობნი,
 ხრმალთა მისთა ნაყმობნი,
 აშ მალლად მხმობნი,
 იზმაიტელთა მწყობრნი,



გველით ნაშობნი,
მზისა დასვლის შემტყობნი,
ბედისა მსწრობნი,
აღმართებითა მსტრობნი.

30

ვაძ, დუმან ხმანი,
სამოვნონისა კმანი,
მუსიკია თქმანი,
მუტრიბთა დასწყდეს თმანი,
მეტოლნი ყმანი,
მგოსან-ნოტების თნვანი,
ჭამანი, სმანი,
ლხინნი სრულ დასანთქმანი,
ყოვლად სულთქმანი,
ყოვლად სვეთ უკუთქმანი!

31

სრა ცალიერი,
უპოვარი, მშიერი,
სახლი ძლიერი,
აწ სახე მიწიერი,
შვება ციერი,
წარნაპარ-ნაცბიერი,
სადაღა სერი,
სტუმართა განმაბევრი?
ვა, მგონე ერი,
ლეო, საღ ბედნიერი?

32

საღ მეგობრობა,
საღ პატრონისდა ყმობა,

სად ერთსულობა,
 სად მოყვარულთ თხზულობა,
 სად კაზმულობა,
 სადღა დარბაზულობა?
 ვაი, სრულობა,
 ვაი, დაყარგულობა,
 ვა, ყმაწულობა
 დახსნილ-დანაზრულობა!

33

შორს წარხდა თემად,
 უცხოთა თანა გემად;
 ლეონ მოცემად
 ვისმცა ძალუძს საჩემად?
 გარნა სად მრწემად
 ვიყომცა მსახურ მგემად?
 მწირობა-მსხემად
 მისდა არა მაქვს კლემად;
 მას ვსდევ ირემად,
 მას ნუკრად მადლის მფენად.

34

ესე იმრთმელე,
 სპასპეტო, ჰზრიდ ვრცელე
 და განიმრთელე,
 ვით მე არ განვიგრძელე!
 ალავსე ლელე,
 ობლის ცრემლით ნასველე,
 მიმრავალწელე
 იგ სიმალლით ნაძველე
 და განაცელე
 ვზა იწრო ძველ ნაძნელე!



ଶ୍ରୀମତୀ କଣ୍ଠମାତ୍ରା ଓ ପଦ୍ମନାଭ

ଶ୍ରୀମତୀ କଣ୍ଠମାତ୍ରା ଓ ପଦ୍ମନାଭ

1. ଏଥାରୁଥା ଜ୍ଵେଳୁଥା ମନ୍ଦିରକରୁଥ, ଗୁଲିଥା ଅମନ୍ଦ
ଗାନ୍ଧାରୀଥିବୁ ଏହା ଶ୍ରୀମତୀ କଣ୍ଠମାତ୍ରା ମନ୍ଦିରକରୁଥ,
ମନ୍ଦିରକରୁଥାରୁ ମନ୍ଦିରକରୁଥାରୁ ମନ୍ଦିରକରୁଥାରୁ
ଏବଂ ମନ୍ଦିରକରୁଥ ପୁରୁଷ ମନ୍ଦିରକରୁଥାରୁ, ଏହାରୁଥା ପଦ୍ମନାଭ!
2. ଶତରୁଷିଥା ବ୍ୟାପି ସାମାଜିକାନାଥ, ବ୍ୟାପି ଶତରୁଷି
ଶତରୁଷିକରୁଥିବୁ, —
ଫିଲ୍ମ ମନ୍ଦିର ଗାନ୍ଧାରୀଥ, ସାକ୍ଷାତ୍କାର ବ୍ୟାପି ପଦ୍ମନାଭ,
ଏବଂ ବ୍ୟାପିର ପୁରୁଷ ପଦ୍ମନାଭ ପଦ୍ମନାଭ,
ଏବଂ ଚିଲ୍ପିର ପୁରୁଷ ପଦ୍ମନାଭ ପଦ୍ମନାଭ ପଦ୍ମନାଭ!
3. ମାତ୍ର ମନ୍ଦିରକରୁଥ ଏହାବେଳୀ ଗୁଲାମିଶ୍ରପୁରାଳୀ, କବିଲତା
ମନ୍ଦିରକରୁଥ,
ମନ୍ଦିରକରୁଥା: „ଓ, ହାତକିପିଲା, ସିତ ସାଦ ମିଠାବି ହେବି କେବି?
ଏହି ପୁରୁଷକିନାଥ ମନ୍ଦିରକରୁଥ ତାପିଶ୍ଵେଲୀ, ଏହାମନ୍ଦିରକରୁଥ,
ଏବଂ କ୍ଷେତ୍ର ପିଲାକିନାଥ ମନ୍ଦିରକରୁଥ କେବିବୁ କେବିବୁ!“
4. ଏହା ଏହାବେଳୀରୁ ପୁରୁଷ ମାତ୍ର କାଳୀଥା ପୁରୁଷ ମନ୍ଦିରକରୁଥ,
ଏହାବେଳୀଥା ବ୍ୟାପି ଗାନ୍ଧାରୀଥ, ପଦ୍ମନାଭ ପଦ୍ମନାଭ — କ୍ଷେତ୍ର ଏବଂ ମାନ,
ଏବଂ ପଦ୍ମନାଭ ମନ୍ଦିରକରୁଥ, ଏହା ପଦ୍ମନାଭ ମନ୍ଦିରକରୁଥ,
ଏବଂ ମାତ୍ର ପଦ୍ମନାଭ ମନ୍ଦିରକରୁଥ ମନ୍ଦିରକରୁଥ ମନ୍ଦିରକରୁଥ.

5. თითო მჯიდი ერთმანერთსა შემოპკრეს და შეიტავნეს, და გვლავ დაზიდნეს თმანი მათი, თავ-კისერი გაიკავნეს; თავსა ჰქიან, არ რიდიან, ქვემომქუცევნი იატავნეს, და სურდათ, სწყურდათ გაწეწანი, ამაღ ბრძოლა არ იქმავნეს.

6. ხანმან განვლო, არ იქმავნეს, იბრძოდიან ვითა ლომნია: სწერდენ, გლეჭდენ, პირთ აფხეჭდენ, გადიადდა მათი ომნი; არ იბრალდენ, არც იწყალდენ, იყვნენ ორნივ სიკვდილს მდომნი, და რძალმან სძლია, დედამთილი ქვეშ მოიგდო ვითა ცომნი.

7. რძალმან უთხრა: „ბეღმან მომცა, რაცა მქონდა განაზრახი, მკვლელი ჩემი ხელთა გიგდე, ამაღ შემხვედა მუფარახი; თავსა მქონდა შენგან რეტი, როს გინდოდა, მყის გამლახი, და აწ მე ვკვოვე შენზედ ფლობა, რადღა მინდა კანახახი!“

8. რძალსა ეტყვის დედამთილი: „ძველი დღენი მოიგონე, რომ მე მქონდა შენდა მიწყივ სამსახურად ჩემი ლონე!“ კალმან უთხრა: „ეშმაკობით თავი ვერა მომაწონე, და მაგ სიტყვითა ვინა ვიხსნის, ვერცა თავი დამალონე!“

9. კვლავცა ეტყვის დედამთილი: „რამან შეგქმნა აგრე კუშტი!“ თავი სრულად დამინაყე, ტანი მიქმენ ძირსა დუშტი!“ მან ვედრება არ უსმინა, კრსერს წაჟრა ექვსი მუშტი, და შეგვებრალდა დედაბერი, განს გაუგდეთ იგი ფუშტი.

10. როს გაშველდენ, წა-ცა-იქცნენ ერთი იქით, ერთი აქეთ, კვლავ დაიწყეს ენათ ლანძღვა, ვინცა სძლია, მოდით აქეთ აყვედრიან ერთიერთსა, ჩვენ თამაშა გავიბაქეთ, და უცხოდ ლანძღეს პირისპირად, ჩვენ არც ერთი არა ვჭბაქეთ.

11. რძალსა უთხრა დედამთილმან თავ-თმია-კაწაწ-
გაწერილმან:
„თუ არ მისწრა მე სიკედილმან, აღრე გნახავ, დაგფევას
წილმან,
ესრეთ მნახოს ჩემმა შეილმან, არ გაცოცხლოს ვით
სიკედილმან;
და რაზედ მომყალ არკეთილმან, ფოლორცმა და
გარეცხილმან?!“

12. მიუგო რძალმან სიტყვა ნასები, უთხრა პასუხად
ასჯერ ასები:
„გყვე აჩემებით ვითა ხსები, ნიადაგ მეცვა ძაძა-ფლასები;
ხმა ჩაიღუმე, ნუ გაქვს ხსები, კაია, ნულარ მებაასები,
და შენამც გათრევენ ქვესკნელს დასები, სატანას ხელით
დაიფასები!“

13. რძალმან უთხრა: „გამოგექე, რათ მომდევდი
შესაპყრობლად?
არ მიაჭე, არ გამიშვი, მე ვიდოდი ჩემად სოფლად;
აწ იქმარე, ჩამომეხსენ, თვარა შეგიქ ვეღარ მხმობლად,
და შენ ფარეხის ქოფაქზედა მკლავს ვიხმარებ დასამხობლად!“

14. დედამთილმა ვერა გასცა მას პასუხი ამის მეტი:
„აფსკა ორად გაგწყვეტია და შექნილხარ ჰქუაცეტი,
წყეულმან, გლეჭას ჩვეულმან, დამახვიე თავზე რეტი,
და იგი დღე ღმერთმან მალიჩსოს, მეც ამელოს შეწზე კეტი!“

15. სწყევს და ემუქვრის ბებერი: «შენ ორად
გარდაგეუჭაო,
გაგიხმოს ღმერთმან მარჯვენე და ჩემი მქელელი მუჭაო!»
ქალმა გამწყრალმა შეხედა, წარბები შეიხმუჭაო,
და წყევის მუქაფად მიუგო: «იქმარე, ტარაკუჭაო!»

16. ეს უთხრა რძალმა პასუხად თავისა დედამთილასა:
„გამეცალე, ნუ შექეფვი ვითა ქოფაქი დილასა,

თვარიამ სათუოდ არა მჩანს, არცა დავზოგავ სილასა,
და ვიფიცავ ვალა-ბილასა, ქვას დაგიმარჯვებ კბილასა!“

17. არ დია სთმობდა ბებერი, ყვირის მართ ვითა
ყორანი,
აღივსო მოთამაშითა მის სახლის ლობე-ყორანი,
ბებერმან უთხრა: „მელირსოს გნახო უსულო მძორანი,
და ვერ შესძლო ჩემის ცოდვითა, ვერც გააწიო სწორანი!“

18. რძალმა მიუგო ქბილთა ლრჭენითა,
სიკაპასისა გამოჩენითა:
„გახსოვს, რომ გყვანდი მუდამ სენითა,
არ დია ითქმის კაცის ენითა,
აწ მეც გიხილე ცრემლთა დენითა,
ამად მაქვს გული შვება-ლხენითა,
და აწ გამეცალე თავშეწყენითა,
თორემ გაგაგდებ ქვის დაშენითა!“

19. ეტყვის რძალსა დედამთილი: „ვიცი, ამად
მემტერები,
მართალს ვიტყვი, არნაჭორსა, არც დია დაგეფერები:
მრავლად ვივის კუროები: ჭაბუკები და ბერები,
და იგი გსურს ადრე მოგიკვდე, პირზე იგლისო ფერები!“

20. ამა ქალს ცეცხლი მოუდვა ენითა დანაკვესები,
დედამთილისგან არას ქამს არ მოესმინა ესები;
ფერხის ტერფამდინ გაუხდა მას ერუანტელი ზესები,
და ბებერს მიეკარდა, თავს დაკრა, მუნ ვნახეთ დანაკვნესები.

21. თავს დაკრა დედაბერასა, გაართხა მიწა-მტვერასა,
აგლეჭდის თმისა წვერასა, სისხლს სდენდის ჭიდს ფერასა;
ვითა წიწილა ძერასა შეეპყრა ლაჭებს ქვერასა,
და მალ-მალ სცის თხემთა ზერასა, ვერ უძლო მისსა მზერასა.

22. ესზომი სცა, ვირემ სულის დაღებაზე დაყენა;
სწიხლავს, მჯიღვავს, მიმოათრევს, ბებერს დაუტუმა ენა.
რძალსა უთხრა ამოკვენესით: „შეგრჩეს ჩემი სისხლთა დენა,
და შემოქმედი არა დასთმობს, რომელი ფლობს ზესთაზენა!“

23. არ შეიბრალა ბებერი, არცა რა გაუგონა მან,
არცა ეედრება უსმინა ქალმან თავმოსაწონამან;
ბებერს ილავი მიხადა მან სისხლის ნამთა კონამან,
და ეხვეწებოდა დახსნასა, ვითა უფალსა მონამან.

აქა ქალისა შეპყრობა ქრმისაგან და ბოძსა საცემრად შეივრა

24. მათ შულლსა ზედა მოესწრა მის ქალის ქმარი
ფეთითა,
იყითხა — რა მომხდარაო? — თვალის მი და მო შეთითა,
ქალსა მივარდა გამწყრალი გულითა ანაგზეთითა:
და «ალარ ვაცოცხლებ, მოვკლავო, ანდერს აუგებ ზეთითა!»

25. დედასა კითხავს: «რა გიყო, ან რა გაწყინა, მითხარო,
ჩემო ამაგო, რად შემუნავ, ან გაწეწილი ვით ხარო?»
ბებერი ამოწუწუნდა: «მიჯობს სამარე მითხარო,
და მოდი და გამომესალმე, პირმზეო შეილო, სით ხარო?»

26. ამა სიტყვამ გაახელა, ვითა მგელი, იგი კაცი,
კრევდის ცოლსა ცხვირსა, პირსა, გახდის მწარედ ლაწა-
ტკაცი,
• მოსაქლავად არ იწყალდა, ვით ყასაბსა ბერი ვაცი,
და «მიშველეოთო!» — გაყიოდა ქალი იგი ნაფაცფაცი.

27. კვლავ დაზიდნა, მიწას დასცა: თავსა, კისერს
გარდალაჭა,
მრავლად გლეჭდის თმათ ნაწინავსა, ლაწვ-ბაგები
დაებლლაჭა;
უსვენებლივ სამს საათსა სცა და ხვეწნა არ იაჭა.
და სხვას პატარძალს ნუ-მცა-ვისსა ნუ უნახავს ასრე ჭაჭა!

28. როს დაასუსტეს ცემითა, შეკრეს მაგრა საბლის
თოვებით;

მკლავშაკრული წინ წაიგდეს, თან მისდევდენ თმისა ხოკვით;
პატარძალსა დაელალა ენის წვერი სისხლთა ლოკვით,
და ბებერს ჭირი მოულხინდა, როს იხილა თავმოპლოკვით.

29. მაშინ მოეცა ბებერს ლხენანი,
როს ნახა რძალი ცრემლთა მდენანი;
ეტყვის: „ბედითო, მომხვდა ზენანი,
ოდეს გიდუმდა შხამი ენანი!
არ და შეგრჩა მინდვრად რბენანი,
არც ფოლორცებში გამოჩენანი;
და ვახ, რომ ვიხილე შენს გულს ქბენანი,
ხმაჩადუმებით აღმოქშენანი!“

30. ბებრისა მის ყველრებამან და-ცა-ლია იგი ქალი,
სულთა მწველი სიტყვა უთხრა, მოუთუთქა გული სალი,
ცემა იგი დავიწყა, კვლავ მოუდვა უფრო ალი.
და ქალი ფიქრობს: „ნეტარ სითა გარდვიხადო ესე ვალი?“

31. სახლს მიიყვანეს შეკრული, ვა განმრავლებით
მზრუნავი,
გლოვისა გაფრიადებით ქალი მისდევდა მჟმუნავი.
ბებერმან უთხრა: «ვახ მეო, ვიხილე მიწას მბლუნავი,
და კუროთა უნახაობით სახლს უნდა ეგდო მძუნავი!»

32. როს შეიყვანეს, მიაკრეს ბოძსა მაგარსა დედასა:
ხან დედა სცემდის, ხან შეილი, იძახდის ზედისზედასა,
თხემისა დანაკრავიდგან სისხლი ჩასდინდა ქედასა.
და ბებერი კრევდის მკერდასა, იგ უფრო მოგვრის ბნედასა.

33. კრევდის ბებერი მწარე-მწარესა,
ხმა გახდის ღაწვესა ვითა ზარებსა;
მოთამაშენი მოკრბეს კარებსა,

ნახვად იღებდენ ქრთამად ფარებსა, ცალკეული
ვინც იყვნენ გზებსა ანუ შარებსა,
მინდვრად წარსრულნი სხვებ რად არებსა,
და რომელნიც ყიდდენ ფარჩა-ლარებსა,
მოადგნენ ეზოს სახლის კარებსა.

34. უთხრა ბებერმან: «სათემოდ გარცხვინე,
მოგაყივნეო,

შენითა სიცოლორცითა ესგვარი საქმე ივნეო;
მოღი და ფერხთა დამლოშნე, სიკანპე დაივლინეო,
და ნეტარ მე, ცეცხლით დამწვარი გული ძლივ გავიმზივნეო!»

35. მის ქალის დღენი დალივნა მან ყველრებამან
სრულადმან,

ეტყვის საკვდავსა სიტყვასა, ცეცხლი მოუგზნა გულად მან;
უთხრა: „ვერავინ დაგისხსნას შენ ჩემის ხელით სულადმან,
და იხილე თემის შარამან, რა გიყავ მხნემან, გულადმან!“

36. ეტყვის ბებერი ძალუას: „დაგიჭენობ გულსა
სალუას,

ცრემლით აღგივსებ თვალუას, მოგაკლებ ღონე-ძალუას;
დაგაგლეჭ ზილფსა ჭავლუას, გარდვიხდი ჩემსა ვალუას,
და ფუ მაგისთანა ქალუას, აღარა გიხმობ ლალუას!“

37. პირსა ხელის ჩაქანებით სწყევა რძალი, არ აკურთხა:
„ხვაშიადი გაგიმელავნდა, ფუო, — პირსა შეაფურთხა, —
განსოეს, რომე თათაშობდი?“ ხელ-მკლავიცა განგაურთხა.
და იბრიყვა რძალი ბებერმა, შეაშინა ვითა ფურთხა.

38. კელავ უთხრა რძალსა: „მომშორდა მე უწინდელი
სენები,

ვახ მეო, რომელ გიხილენ თვალით ცრემლმონადენები;
აღარ ღირსება ვიორე, ღირსება შემხვდა ზენები“.
და გაცხარდა ბერი ბებერი, გაიალმასა ენები.

39. არ შეიწყალა ცემითა, არცა ყველრება ანაკა,
უახლებს ჭირსა ძველებსა, გონება დაუბანაკა;
არ კაეშანსა პირდება, საკვდავად დაებანაკა,
და ვერ გასძლო, ქმარსა ეს უთხრა: «ანუ მომკალო, ანა კა!»

40. ეაჯდა ქმარსა დაღრეჯით: „ავნი მაშორვე, მეყოფა,
ახლოს მეახლა სიკვდილი, სული და ხორცი მეყოფა;
აშ მოიხსენე იგი დღე, როს მქონდა შენგან მე ყოფა!
და მიკვირსო, აღარ გეწყალვი, ლახვარი გულსა მეყოფა!“

41. კვლავ უთხრა ქმარსა: „ვარ შენი ფერცხალით
ამონალები,
ერთხორცობისა კურთხევა გვაქვს ღვთისგან წამონალები;
შეეხორცით, ამოდ გხარობდით, შეებაცა გვქონდა ჩალები,
და აშ მიკვირს, შენი სასურვი ლაწვი რათა ქმენ ნალები?!

42. მე მომქლავ, მარა სათემოდ შერცხვები, მოიყივნები,
ყოველნი სულნი დაგვმობენ, ჩემის სიკვდილით ივნები!“
ქალმან ერთისა საუბრით ქმარს გული უქმნა მტკივნები,
და მყის შეიწყალა, ჩამოხსნა ქალი საბრალოდ მჩივნები.

აქა ქალისა შისგან ანდერძი სიცრუისა და მოტუუება ქრმისა

43. ქალი ჩამოხსნა, დაიწყო ხელთა და ფერხთა
წყვეტანი,
საცდენლად მომაკვდაობდა, ველარ აიღო ზე ტანი;
მიმოხედვიდა საკვდავად მართ ვითა ჰელაცეტანი,
და მას მართლისაგან შეექნა სიცრუე უფრო მეტანი.

44. ქმარსა მისსა ებრალოდა მისი ცოლი ეგრე მყოფი,
მოიგონა ძველნი დღენი, ჭმუნვა შეექმნა სამყოფი,
ქვე-ქვე გახედვით იხალა ქმარი გულ-ლახვარნამყოფი,
და ქალმან მტირალმან მიუგო: „დღე მოგვეახლა გამყოფი!“

45. კვლავცა იტყვის: „რადგან ორნი ჩვენ ერთხორცინ
შევიქმნებით,
მან საქმემან გარდაგვძლია, მისთვის მისხსენ სისხლთა
დენით;

მაგრამ მეახლა სიკვდილი არდაფარებით, გამოჩენით,
და ღმერთს ავედრე სული ჩემი, ნუთუ იხსნას ზესთაშენით!“

46. ავედრა ქმარსა სიტყვა ორები
კეთილნაქსული, მაგრამ ჭორები:
„საფლავს მიიღენ ჩემი მძორები,
თან გამატანე ქალი სწორები;
შემომაყარენ მიწა-ყორები,
არ დამეხვივნენ ყორან-ბორები,
და რათგან მკლავთაგან განგეშორები,
თვალით მაპყურენ ცრემლთა ფონები!

47. ეიცი, შენ ჩემი სიკვდილი ქვეყნად დაგაქლებს არასა,
მაგრამ გენუკვი, სურეილსა ნუ გარდატარებ ჩქარისა;
ვა, გეთხოვები, სიკვდილსა მიკუევარ სულთა მპარავსა,
და აწ გესალმები ყველასა, სოფელსა, მთა და ბარასა!

48. სიკვდილის კაშს ვერა ვნახენ ვერა ძმა, ვერცა
მშობელი,
ისწრაფის ჩემსა სიკვდილსა საწუთრო მოუნდობელი“.
ქმარს უთხრა: „წადი სწრაფითა შენ ჩემი ტკბილად
მხმობელი,
და ტერტერა აღრე მომგვარე სულისა შემამკობვლი!“

49. ქმარს მომაკვდავი ეგონა, ცხელ-ცხელი ცრემლი
ყარა მან,
ატირდა, თავსა ცემითა ლაშვები დაიღარა მან;
ქალშა ტერტერა ავედრა, კარს გარე გამოგარა მან,
და როს კაცი გარეთ გავიდა, წაკლიტნა კარი ჩქარა მან.

აქა შეპყრობა დედამთილისა რძლისა მისისაგან და სიკვდილის

50. აცოუნა ქმარი, გავზავნა ნამტირალევი გულითა,
ქალიკისკისით წამოხლტა გულითა მხიარულითა,
ღმერთსა მაღლობა შესწირა ხორცითა, მერმე სულითა:
და «უეცრად შემხვდა საქმეო, არ მიყიღნია ფულითა».

51. კარი წაკლიტა სასწრაფოდ, ბებერი დარჩა შინა შას,
ეძებდა ჭოხსა მავარსა, არ შეედრება ფინა მას;
იპოვნა კეტი საცემრად, გულს შეუვიდა ლხენა მას,
და მარტომან იგდო ბებერი, ვინ აღუდგება წინა მას!

52. საბლითა შეკრა ბებერი, მისი ამაგი, გამდელი,
ჰერსა დაკიდა შეკრული, ვითა საზეთე კანდელი;
საცემრად მიდგა კეტითა, ან გიუი იყო, ან დელი,
და ფორთხალებს იგი ბებერი, ვით ორაგული ქანდელი.

53. რძალუა გაცხარებული გარსა ურბენდა ცემითა,
უწყალოდ დაკრის კეტითა, ზათქა გამოხდის თხემითა;
ეტყვის: „გონებდი შეებასა შენ სიკვდილითა ჩემითა,
და მაგრამ წადილი მელირსა, მით ვარ გულითა ლხენითა!“

54. ბებერი მაღლა გაკივის, ეელარ გაუძლო ტკენამან,
რძალსა მიუვო: „მარჯვენე ხელი შეგახმოს ზენამან!“
არ შეიბრალა მყვირალი მან ქალმან ქბილნაორუსენამან,
და ეტყვის: „არ და ვიურვე, დედამთილისა ლხენამან!“

55. იტყვის: „ღმერთო! — დედაბერი — რამცა გცოდე
მე ასეთი? სასიკვდილოდ მიგიცივარ, მიბრაგუნებს ვითა ფეთი;
განმარინე ამის ხელით, მომიტევე, რაცა ვსცეთი,
და ოღონდ ამას მომარჩინე, თუნდა მომეც ჭოჭოხეთი!“

56. ქანცგაწყვეტილი ბებერი ეაჯდა მცირეს ლხენასა,
ეტყვის: „ძალუავ, დამთხოვე უშველებელსა სენასა;

ვიცი, შენ ჩემი სიკვდილი არას მოგაეცებს წყენასა,
და მაგრამ ამავი არ დასთმობს, მაღლა აღხედე ზენასა!“

57. პირგაშურომით ბებერს უთხრა: „დია გიცნობ
კუდიანსა,

შველა შენი არ ეგების, ნურას ეჭვავ ცუდიანსა;

აწვე სულსა შეგიგუბებ, თვალთ დაგიხშავ ბუდიანსა,
და რად გეგონა მომტკებოდი ვითა მთვრალსა ლუდიანსა?“

58. ბებერმან უთხრა: „შენ ჩემგან ესგვარ რა გახსოვს
კირები,

ჭერსა დამკიდე საბლითა, შეება არა მაქეს მცირები,

სიკვდილს მექადი, უშუალოვ და ჩემი არდამტკირები,
და ვეგონებ, რომ არად მიგარინდეს არც სჭული, არცა ფირები!“

59. რძალმა უთხრა დედამთილსა: „ცრემლსა ცუდად ნუ
აფონებ,

ბელზებულსა რაებს ჩმახავ, ანუ რითა დამაყოვნებ?

კუდიანურს მოიგონებ, თაიგულებ შემაյონებ,
და თავსა ცუდად ნუ მაწონებ, ვერა რითმე დამაღონებ!“

60. ეს უთხრა და უშუალოდ კრა, ხმა გაისმა ხმელთა
არედ,

ჟოვლით ასოთ გამოეონა ყირმიზულმა სისხლმან გარედ;
ვითა როსტომ ლახტის მქნევი, კეტსა ხმარობს ეგრე ჩქარედ,
და დაკრის, დაკივის, დაბნედდის, შეუქმოდის დღესა მწარედ.

61. თამამად კრევდის, არ თუ ზაროდა,
პირქუშა ვეფხსა დაედაროდა;
მისა სიკვდილსა დია ჩქაროდა,
არსირცხვილითა დაედაროდა;
ესოდენს ცემას არ აქმაროდა,
ბებერი მკვდარსა დაედაროდა;
და როს ნახა რძალმა, სული წაროდა,
მყის ფეხაკრეფით გაიპაროდა.

62. ძალუამ თქვა გულსა შინა: „ჩემი ქმარი აშეე მოვა, საწუთოს გამომასალმებს, მე ცოცხალი აქ თუ მვოვა“. ფიცხლავ კარსა გამოიჭრა, არ აყოვნა, აჩც ამდოვა, და იგი კეტი მხარს გაიდვა, ესე ჭრა მოიპოვა.

63. მისგან ნაპნედი ბებერი ეგრე გაუშვა კიდული, თეით გარდიხვეწა სწრაფითა, საქმე ქმნა დია ფლიდული, მიიმღერს ბებრის სიკედილსა ეით ბეზირგანი ხრიდული, და მი და მო თვალთა აშეთებს კეტის ხელმონაკიდული.

64. ოდეს გასცილდა სოფლისა არესა, მთასა და ბარეა, შემოხლტის და შეიშლიგნის: „ნეტარ ვინა დამაზარეს!“ იტყვის ლილინსა: „სალ გულო, კაეშანთა ვერ დაგფარეს!“ და თავს უთხრა: „გმართებს ეგვანო ათხუთმეტის დღისა მთვარეს!“

65. თქვა: „სამშობლო ახლოს მახლავს, მივისწრაფო უნანურად, რაც რამ ვემენი — ვერა მიგრძნან, დავიჩნიო საქმე ნურად, ვირი არად შევიცნიო, შვება შევქმნა უცნაურად, და არცა მოქელას ჯავრმან მისმან, ვისაც უქმენ პირი მურად!“

66. ესე თქვა და დაინახა სამშობლოთა სახლი ახლო, მუნ შევიდა დამაშერალი, კეტსა ხელი აღარ ახლო, თქვა: „ნაქმარი ნუთუ მიგრძნან, მარჯვე სიტყვა მოვიახლო, და უსალამო მშობელ-ძმათა, არმორუხობით მოვიმდახლო!“

67. მშობელთაცა მიესალმა ქალი თავმოსაწონია, კითხეს მოსლვისა მიზეზი — მას უწინ მოუგონია; მარჯვედ აღმოთქვა ტყუილი, არ ვეჭობ, ცოდჭა გონია, და თქვა, თუ: „ლაშქარი დაგვესხა, წაგვაროვეს, რაცა გვქონია!“

68. სახლეულთა დაიმართლეს ეს ანბავი შობგან თქმული,

უთხრეს: „მარტო მორჩი რითა, ანუ, ბეჩავ, შეგრჩა სული?“

მან მიუგო: „მეცა მიკეირსი, რაღდა მომყვა მკვდარი გული, და მაგრამ მაღლმან თქვენმან მისნა, ლვთისგან ვიქმნენ დაფარული!“

69. ატირდეს და შეიბრალეს, მათი შეილი ტკბილად კოცნეს,

ხელგანცყრობით ღმერთსა მაღლი შესწირეს და გაიოცნეს, გულსმოდგინედ უმასპინძლეს, მათი ლხინი გააოცნეს: და გორთა გორი გაფრიადდა, ცხვარ-ძროხანი დაუხოცნეს.

70. სახლეულთა მიითვალეს, მათ ეგონათ მონარჩომი, თქვეს: „მაღლობა მრავლად გვიღირს, რაღდან იხსნა ჩვენი ტოში!“

განსვენებად მიიყვანეს, დაუფინეს ერთი გომი, და ნაომარმან მიიძინა, მკლავზე მიწვა ვითა ლომი.

აქა ქმარმან ტერტერა მოიყვანა და ბებერს იხილავს მკვდარს და კერში კიდებულს

71. ტერტერისა წამომყვანი კაცი მოვა გულმოკლულად, თქვა: „ცოცხალს ვეღარ მიუსწრებ, გამიშვია მძიმედ წყლელად;

თუ მკვდარია, მეცა მოვკედე, კლდეს გარდვიჭრე დაფარულად, და ცოცხალი თუ კვლავცა ვნახო, იგ მეყოფა სიხარულად!“

72. შევიღნენ სახლსა კაცი და ტერტერა გაჩქარებული, მიმოიხედეს, ვერ პოეს ვერც მკვდარი, ვერცა რებული; ჩალილისფრული ბებერი იხილეს დაკიდებული, და ტერტერა ფიქრმან მოიცვა, შეიქმნა გაკვირვებული.

73. მას კაცია კითხავს: „რა არის, ან რა კიდია ჭერასაში ჩამოვარი კაცი ჭავრისაგან კბილები შეექრა, მიხვდა ვერასა და მის მომავარებელი თავ-პირისა ცემით შეპყვირა: «ვამეო ჩემსა წერასა, და მაცდუნა ქვეყნის შარამან, მზის აღარა ვარ მზერასა!»

74. კვლავ თავსა დაგმობს: „უძრულ შევცოით ვითა სულელი. რად არ ვიცოდი, ფოლორუმა ჩემზე შეყარა სულ ერი? არების უქნია ეს საქმე, ქართლი კვირობენ, იმერი, და თუ უსიკვდილოდ გარდამრჩეს, მაგლიჭოს კანპაშ თმა- წვერი!“

75. იცემს თავ-პირში სისხლის ტყებითა: „დედავ, მე მოგყალ ჩემის ნებითა, იმ უნამურსომ შემქრა ვრძნებითა, სხვაგან გამგზავნა მოკვდინებითა: აწყვეტდა თავსა ორგულებითა, შემბრალდა, წაველ შეჭირვებითა; და მცოდნოდა, ქოვლობს მაცოურებითა, დღეს უმოკლევდი მტვერში გდებითა!“

76. იგლოვს და იტყვის: «დედაო, რა მიყვეს, ვერა ხედაო? შემქნია გულსა ბნედაო, არავინ მივის მწედაო, პირშეი დაგტირ ზედაო, მაგრამ ვერ გაგიბედაო, და გამზარდე კაის ზნედაო და აწ ჭმუნვითა მჭედაო!»

აქა ტერტერა ჩამოხსნის ბებერსა

77. კაცმან უთხრა ტერტერასა: „ჩამოხსენ ჩემი მშობელი!“ სულთქმიდა, მწარედ ოხრებდა, ვაშის ვაებით მხმობელი: „დედავ, სით ვპოვო ის ფლიდი და ჩემი დამამხობელი? და ვიხელო, დავსწვა ქურაში, ვით ცვილი დასადნობელი!“

78. ტერტერაშ მოხსნა სასწრაფოდ საბრალო ბერი
ბებერი:

„ბედმა შემასწრა საშოვარს, თეთრი მერგება მე ბევრი,
მოკერბით, წესი აუგოთ, ვინც იყოთ მღვდელი ან ბერი,
და ვისწრაფოთ, იღრე დავმარხოთ, ვინემ დადგეს დეკემბერი!“

79. გალურჯებული ბებერი იდვა გაბერვით გუდა რა,
შეუქრეს კუბო მაგარი, ვით დედალს კრუს საბუდარა.
კაცი ტერტერას ევედრის: „ისმინე ჩემი მუდარა:
და ნაცემარ ტანზე რიდებით შემოახვიე სუდარა!“

80. კაცმან გოდებით, გლოვა-ბოდებით
დედას გასტირა: „მიხვალ გარებსა,
შვილის მონებით, უცხოს გონებით
ვეღარ გიხილავ, განვლი კარებსა!
მობინდარებით, სულის მთქნარებით
მე აქ მიტევებ შეუწყნარებსა!
და ობოლმდარებით, გულდამდნარებით
სევდას მიახლებ სამსალმწარებსა!

81. დედავ, რად დახე ეგ ტურფა სახე?
მდუმარედ გნახე, „ვა“ შემოვსძახე.
ცნობამიხდილი და თავმოხდილი
გტირ, ხარ მიცვლილი, ეს რა მოვსჩმახე?
შენი სამარე მეცა დამარე,
ვითამ არს არე — ეს განვიზრახე.
და ძუძუვ და უბე, შვილს გული ულბე,
ნუ ღაიგუბე, თორემ გამლახე!

82. დედავ, მშვიდობით, და ღვთის მინდობით
მე გესალმები — ეს არის სწორე!
იყავ ცხონებით, ვარდის კონებით,
შვება-ლხენითა კეთილმამდორე!
რძალმა გიმარცხა, გზა დაგიფარცხა,
შენ გუნდთ შეგრაცხა, ტებილად იცხორე!

და აშ მას ვიპოვნი, აღარ ვიყოვნი
ვაღნო ვით თოვლი ეშმაქის მორე!“

საქართველო
გვიათოთისა

83. საჩქაროდ წიგნი მისწერა კაცმან თავის ცოლეულსა:
„წყრომითა გწერ, არსიტებოთი, წიგნსა სისხლში
მორეულსა,
ასრე გხედავ დღეის წალმა, ვით ჩინელს კაცს შორეულსა,
და დაგხოც ერთად დედ-მამ-შვილთა ვით ნაღირთა გარეულსა!

84. რაც მე მიყო თქვენმა ქალმა, არ უქნია არა
რძალსა.
ეშმაქობით მომაყვდაობს, გამოილევს ღონე-ძალსა,
ქმარს ფლიდობით გამიტყუებს, ოდეს გავალ, წაჰელეტს
კარსა,
და საცემარად დედამთილზედ კეტს აიღებს ვით მაჟარსა.

85. თუ სიკვდილი არ გინდოდესთ, გამოგზავნეთ ეგე
ავემა,
რად მომიქლა სატრფო დედა, რად დაჰკიდა ჭერში ფრახმა?
რად გაცოფდა ურცხვი, უცბი, რად დაათრო ლუდმა,
რახმა?
და ჭერ დაეიჭერ, ცხვირ-პირს ვათლი, მერე შ... ხუთმა ბახმა!“

86. როს გაშალეს წიგნი მძახალთ, მყის შეექმნათ
კმუნეა-ურვა,
ნახა მკვლელმა დედამთილის, იწყო თრთოლვა, ოფლში
ცურვა,
ხმა შესძახეს: „ეს რა გვესმა?“ პკიოდიან — „უი“ —
რვა-რვა.
და ზაფრანის ფერად ქცეული ნახეთ ქალის პირის მურვა!

87. უთხრეს დედ-მამამ, რძალმა, ძმამ და დამ:
„ჩვენ არ დავიდებთ შენის ქმრის სისხლსა,
ხელშეკრულს მიგცემთ, დედას ვაფიცებთ,

მოგვლავს უცილოდ როსკიპს გაქნილსა! 
 დედამთილის მკვლელს ცეცხლს მოგიგზნებს: მწველს,
 იქ ღმერთი წაგრძუმელს სატანად ქმნილსა!
 და კაპასო მქისავ, ეშმაკის ქისავ,
 ჯოჭოხეთს ჩასძეერ ბნელს აღმოქმნილსა!“

აქა კაცის გაჭრა ცოლეურთას

88. თვალის შეთებით გაიჭრა კაცი, აღარ არს ჰქონაზედ:
 „იმ იფორის დღენი დავლიო, მოვაბა ცხენის ძუაზედ“.
 ითხოვს სიღედრი შენდობას, ვით კაცისმკვლელი მოარჩედ,
 და სიძე არ უსმენს: „მოვჰქლაო, უწყალოდ განვჰქვევთ
 ჟუაზედ!“

89. სიღედრი ცრემლით, ვეღრებით სიძეს ეხვევის
 ყელზედა:
 „თუ დღე მინდოდეს უშენოდ, მყის დამიბნელდეს მე
 მზე-და!

ვამართლო ქალი არა ჰხამს, შეცოდება აქვს თქვენზედა,
 და მაგრამ გეაჯი, არ მოჰქლა, არ გარღმიჩებო კლდეზედა!“

90. მიუგო სიძემ სიღედრსა: „მკლავს, მომერია სევდა!
 რა მიყო მტერმან ღვთისამან, რაზე მომიყლა დედაი?
 როს ვნახე ჰერში კიდული, მსწრაფლ ღამემართა ბნედაი,
 და ვერ გავსძლებ მეცა, თუ ნაცვლად თავს არ დავარტყი
 ხვედაი!“

91. ეს სოქვა, საჩქაროდ ხმალმოწვდით მივარდა
 ცოლსა ვით ლომი:
 „ნუ ჰგონებ, ცოცხალს აწ შენს თავს ამ ქვეყნად ჰქონდეს
 სადგომი,
 დედამთილის მკვლელს სიმაგრედ მოგიგონია სად გომი,
 და ერთს ასეთს დაგურავ, სული გხდეს, მეორე აღარ განდომი!“

92. ამისი მსმენი პირს იხოქს სულთქმა-ვახვახოთ
რძალუა:

„სიკვდილის სასმელს მასმევენ, აღარ მაქვს ლონე-
ძალუა,
კვლაცა ვეცადო, საფერო სიტყვა შევმზადო მალუა,
და ტებილად ვეუბნო ყელგდებით, დაულბო გულ კლდე-
სალუა!“

93. ქალი სტირს ნაზად, ხმას აწყობს საზად:
„ვაი თუ ხმალი მიჭიროს გაზად!

ლომო და მზეო, გიშევ მკლავზეო,
აწ მკლავ წამზეო, მხდი ერთ ნაგაზად!
მზე ხარ მარდია, ჰქებენ ნავარდია,
ეს სავარდია იყნოსე მაზად!
და შენთვის ურვილსა, ვნუკავ სურვეილსა,
გულდაბურვილსა, გამხადო რაზად!“

94. მიუგო ქმარმან მედგრად, მგელურებ:
„ჰქოელობ და კუდს სძრავ ტურა-მელურებ,
მართლად თავსა სდებ, სტირი ბერულებ,
მაგრამ შხამს მასხამ, გულს მებენ გველურებ.
სიკვდილს იგონებ, გამაველურებ,
გესლის დამთხევი თვალს მიირულებ;
და დედამთილს მოჰკელავ, სისხლში იცურებ,
ხან მუხლზედ იცემ, ხან გარდიბრუნებ!“

95. ქალი დუმილით, ეშყით, სურვეილით
ზის ხელმიოჭდობით, ცრემლს აფრქვევს ხშირად:
„დამატყდით, მთანო, ხენო და კლდენო,
გულის ხელმწიფე მყავს განაპირად!
ნეტავი იმ დღეს, რომ გამილიმდეს,
ბროლის მკლავზედან ვიხილო ძილად,
და მონას მოლარეს, მისთან მწოლარეს
ლალის ბავითა მკოცნიდეს ტებილად!“

96. ბერები დასად, ტერტერა ასად შესარიგებლად მოვიდნენ მალვით,
ეს უთხრეს სიძეს: „წინ სჯული გვიძეს,
უნდა გაუწყოთ, ბრძენთ სოქეეს უმაღ ვით.
სჯულით ვამტკიცებთ, შენ ლმერთს გაფიცებთ,
შენს ცოლს შერიგდი, გმონებდეს კრძალვით!
და სიდედრ-სიმამრით, შვება-სიწყნარით,
ლოცვა-კურთხევით წახვიდე დავლით!“

97. მიუგო კაცმან: „მოძლვარნო და ჩემის სულის
მამანო!
მორჩილვარ თქვენი, ბრძანების, დედის სიკვდილმან მე
მანო;
იმისი ცოდვა იტვირთოს ამ ჩემმა ცოლმან, ამანო!
და რაღვან შუა ხართ, არ მოვჰქლავ, ცოდვა ზღოს მისმან
თავმანო!“

98. შერიგდენ მოძლვრით ცოლ-ქმარნი, დაწერეს ფიცის
წიგნები,
ეს უთხრეს ჭალსა: „ქრმისათვის ალარ შემზადო ლიქნები;
დედამთილისა საფლავზედ ზედ დააფარე ფიქლები,
და იმისი სული იურვე, სანამ ცოცხალი იქნები!“

99. მოლხენით არის ძალუა, არ შეიჩნია არაო,
ქმარს უთხრა: «აღრე ვისწრაფოთ, სახლს ვეპატრონოთ
ჩქარაო!
არ იცი, ჩემო სიცოცხლევ, შინ არავინ გვყავს, არაო,
და დედამთილის საქონელი ეგებ სხვამ მოიპარაო!»

100. წარვიდა კაცი თავის სახლს, ჭალი უკან სდევს
ურცხვადრე,
ქმარს ჰყითხა: „ვექობ, დედამთილს დარჩა კარგი რამ
საჩადრე,“

მის მოსახსენად მე მქონდეს, რაღან არს ჩემი საკადრე, რაუც
და მადლობა გვიღირს, რომ მოკვდა, დავმარჩეთ, მოერჩიოთ მას თუ კა
ადრე!“

101. დასრულდა ესე. ამბავი ტკბილად სასმენი
რძლებისა,
დედამთილს ჰყვანდეს მორჩილი რძალი ესეთი ნებისა:
მას სცემდეს, სახლსა აქცევდეს, იყოს გამყრელი ძმებისა,
და ქმარს თავსა სჭრიდეს სიურცხვით, იყოს შემკვრელი
გრძნებისა.

ს ე ლ ქ ვ მ წ ი

საქართველო
კულტურული

პირ ზამბახნი

დ ღ გ ა ა ს გ უ შ ა

1. პირ ზამბახნი, ღაწვნი ვარდნი სად არი?
სახე საესე მოვარის მზგავსი, სადარი;
ბროლის ცაზედ ქუფრად ხალნი იმეობის,
ყორნის ბოლო მშეილდ-ქამანდი სად არი?
2. გიშრის ტბანი ვანზილულან სადარად,
წარბთა და წამწამთ ისარნი სად არი?
შენი ტრფობა საიდუმლოდ მესახა,
ეშხთ მიზეზნი სურვის ბანგი სად არი?
3. დიახ, გშევნის ეგ სიტურფე, ნაზობა,
ბე სიქის მოლხენის დანგი სად არი?

დილას მთიებს

1. დილას მთიებს აღმომვირვალს დახედა:
ვიცი, მზეებრ სხივთა მტყორცნის ისარად;
გულო, ტრფობის კლასებს(?) ზესთა დახე-და,
რადგან სატრფოს სამყარო უძს ის არად.

2. განმაკვირვებს მნათობს ჩემთვის უდარე,
დღე დისკოებრ ღამე ცოომილს უდარე;
უწყი — მომკლავს, მზადა ჰქონან სუდარე;
ტებილს ნარგიზებრ ჰინდი გარს სცვენ ისარად.

3. ბროლ საშუალ ლალი ისპობს ღაწვები,
ვარდნი ჰბაგობს ვისის ეშხის ღაწვები,
მარგალიტთა წყობილი მცეს ღაწვები,
უწყალობით მაჭინობს, იჩნევს ის არად.

4. მალრიბ მზეობს, მაშრიბს შექმნენ მწველადა,
ლახერით დამჭერ, სისხლით მორწყენ მწველადა,
რაზომც მრისხავ, კვლავ ეტებობის მწველადა,
რად ვერ მიცნობ მე სხვა ვარდი ისარად.

5. მკვდარქმნილ გულსა განმითენე, მო, არე,
ვარდ უწყალობავ, მუშთარი მოარე!
ვიცი, შენით დამშვენდება მოარე,
ამა ყარიბს თავუჩნო საქმისა რად!

შევერტი, როს 36180

1. შევერტი, როს ვნახე წალკოტს მსხდომარე.
სად ვარდი შლილა და შვენის არე,
სხიეთ მოფენილნი უცხოთ ზღილობენ.
დავბრუნდი მუნ ვით, დავშთი მგლოვარე.
2. მთიებო, შენ გიშჩის თვალსადა,
კეკლუცთა მიმოსელა სადა,
ტკბილად უბნობა სადა,
ვით მიუცივარ წვასადა!
3. თმენით მტანჯვენ, თუცა მდაგვენ, ვით მე მალხენენ.
მსურს, მინდა ვაქო მუდამ ბულბული,
შეყრობით ვარდთან ხმით დადაგული,
ჟყეფს ჭადაგებით, შლით ვერნახული,
ღამე მკლამს ოხვრა, დღენი მიაქვს მწარე.
4. ნარგიზნი ჰერძნობენ: ვარდის ქებითა
ისამან ოხრავს მწუხარებითა,
ზამბახნი შლილან გარსა კრებითა,
მეც ან მიმსურნე, ან გამატარე!
5. რადგან შევიქენ, მონა ვარ მარად,
მიმართებს მოესთქვა ლექსი ამგვარად:
ესდენი ტანჯვა მაქმარე მწყნარად,
ბესიკი ერთ მცირედს მეც დამაღარე!

უფალავსა პირსა

1. უწყლავსა ჭირსა მალვასა,
 სევდისა ოხვრის კრძალვასა
 სურვილი შესჭრის, ღონებსა
 შეხეღვა ტანად ალვასა.
2. ვემონე ტურფათა ხალთა,
 ბაგენი ლაშვნისა ლალთა;
 მხედველნი მის შუქთა] ალთა,
 მით ბროლნი ლალნი ელვას[ა].
3. კელუცსა შვენის შემკობა,
 კიბაროზ ტანზე გაწყობა,
 ნაზი ქცევით მისი გრძნობა —
 ფიანდაზ შლილსა ხილვასა.
4. პირბადრსა ხალნი პფეროდეს,
 ჭვრეტითა ვით ვძლო მე როდეს?
 ბესიკიც ტებილად მღეროდეს,
 მამცემს საქმარის ბრალვასა...

რჩევით ხაზო

თ ე ჭ ლ ი ს ი ს ხ მ ა ზ ე დ

1. რხევით ნაზო, ტანალვადო გვარადა,
 ბროლის მკერძოსა შუქი მნათობს ის არე;
 მისი მზე ხარ საყნოსებლად მარადე,
 მიჯნურსა სწვამს სათის ინდი ისარე!

2. ედემს ვარდი აღნაზარდი არია,
 პჰერეტელთათვის გიშრის ტბანი არია;
 ტრფიალთ დაჰკოდს, სისხლის ზღვითა არია,
 სუნთქვა, ოხერა შავ გლახ გულსა ისარე!

3. ვარდი კრძალვით არ იშიშვის, არა-და,
 არშიყს ათრობს, არას უძღვნის არადა;
 ცრემლის ლვართან მის წინაშე არა-და,
 გრძნებულს სჩაგრავს, ეშხით სდავავს ის არე!

4. ვარდო, ბრძანე: ვით შეგამქო და რითა?
 მზეო, სხივი მცირე მფინე დარითა!
 ნუთუ დამგმო ნაცვლად სხევათა დარითა,
 ბესიკ ფიცხლავ ტრფობა გულსა! ვის-რე.

მზემ განრისხებით გადაშორა

1

მზემ განრისხებით განმაშორა, მითხრა: წარვედა.
 დაპქოდა გული, აშ არ მინდა სიტყვა მწარედა.
 ესრეთ დასჯილი ვიღამ მკურნოს, გულს ვიარე-და!
 ვედრებ მაღირსოს სასალბუნოდ თვისი არე-და.
 მე იგი ზომკლამს, რა ვიხილო კარნი დახშული.

2

დაბინდნენ თვალნი ცრემლის ღვრითა, დღეს ვზი მწარესა,
 ჰო, ვითლა უძლო, ვერმჭვრეტელმან, მე მის არესა?
 შეკრბენ ჭალათნი, გარს მომერტყნენ, ზედან მჯარესა,
 არ განმიყითხეს, მყის მესივნენ, გულს მისარესა.
 დავწრევლე დლენი შობისანი, ვიწვი დაგული.

3

დახელე, გრძნობამ ვით მიმუხთლა, არ მყო ასე რა,
 მზე განმირისხა, ისარი მკრა, გული ასერა.
 მე ეტლმან ჩემმან სხვა პატითა არ დამაჯერა,
 ლამსვა მტირალი, სიკვდილს ვიწვევ, ველი ასერა.
 მცირედს სიცოცხლე მიენდობის, იქმნას ტანჯული.



პრეზ ტანსა

1

არხევ ტანსა, გულწამტანსა, სარულად,
უცხოდ გშვენის, არე-არედ აარე;
შიგნუნ შეუქმ სიცოცხლესა სარულად,
აშად სახე მათ მნათეაბთა აარე.

2

ბაგე ლალობს, ბალახშისა საღარნი,
ლაწვთა ვარდნი ვარდაგშლიან საღარნი,
დახე, შენთვის ხელნი საკვდად სად არნი?
ჰემობენ, მისსა უმჯობესი აარე.

3

ძოწის მჯობმან, ბალახშისა ღალალმან,
უწყალოსა სიკედილისა ღალალმან,
დახე, გული მძაფრად დაწვა ღალალმან.
რასა ჰყოვნი? აზ მასმინო, აარე.

4


შენით მქროლვენ სურნელების არავნი,
სულსა მპარვენ, მაგრამ სხვათა არა ვნი.

შენ წინაშე მე მიქმნია აზ ავნი,
დრო არს, ზავის მოციქულნი აარე.

ი რ კ ი ა რ უ ბ ა მ
ს ი ს ა რ ი მ ი მ ი ს ი

5

მსგავსად მზისა, სოფლად შექთა მაარო,
რად არა სჭობს მე შენს არეს მაარო?
სხივნი მდიდრად ჩემს გულს ნაზად მაარო.
სიცოცხლის კარს, გლახ, ყარიბი აარე!



ჩუღრ დროეონი

1

ქუფრ დრომონი, ლურჯთა ზღვათა მაარნი,
გლოვა სრულნი, სისხლის ცრემლდაუფარნი,
რეპენ ნაზნი, შავად შემოსად მემარნი,
სქმუნენ ტებილვარ ტრფიალთა დამამწარნი.

2

ვარდსა ნამვენ დასაზრობლად არმრიდნა,
ლრებელს ჰევარენ კრთოლვარ მნათობნი შეიღნა,
თალხად სჩანან წყნარნი, გონებამშვიდნი.
ამად დახშეს მჟერეტად წყალობის კარნი.

3

ბრალ არს ლალნი, დაემზადნენ ქარვათა,
ძოშ-ბალახშნი შეიქმოდეს ფარვათა;
ჭირებს მიმცემ, ვუუცავ ასთა, არ [რ]ეათა.
გბრალდე, დამთქმენ ქვე უფსკრულს ცრემლთა ლვარნი.

4

უამნი ტებილნი, ტარიოსი გვაძეს ამონი,
სვეს კეთილად უცურვიან ნამონი,



რა არს კმუნვა შუქებ დასალამონი,
შორს განხადე, გლახ, გულთა შემაზარნი!

5

გლოვას მიეც სიხარულის პკურება,
ქუფრ თალხობას უქმენ ნათლის სხურება,
რომელიც გულს უზომოდ ეწყურება.
მაშინ ყარიბს დღე ესხნეს მდიდრად მტკბარნი.



დახმ. მაისის პულტულო

1

დახმ, მაისის პულტულო, ვით დღენი ნათლდებიან,
ზურმუხტის ფერად ველნი ნაშად აჰყვავდებიან,
სულმილეულთა მიჯნურთ ქამნი ეხარებიან,
ნუთუ ეღირსოთ ხილვა, ვისთვის სულნი ხდებიან?
მაშა, დასძახე ტკბილად, ვინ ვისთვისცა ბნდებიან,
ნუთუ შენცა გეკურნოს, ჩაცა ცეცხლი გდებიან!

2

იწყო პულტულმან სტენა, ყვავილთ ფეროვნებანი
რა იხილა, უახლდა თვისნი აშიერბანი,
დაპტრინავს თავს გარემო, აქვს სუნინელთა ტრუობანი,
ჰყეფს საწადელისა ხმითა, ვინ ჰყოს მის ოდნობანი!
ეძებს ვარდსა, მუდარობს: „მოვედ, რად ყოვნებანი?“

3

ვარდი, ფერით მდიდარი, ნახა ტურფად მრჩეველად,
ყოველთ სუნინელთ ყვავილთა ფერითა დამნახელად,
ტკბილად მხმობა საბრალო შეიქმნა ცრემლთა მღვრელად,
განკვირდა მისსა ეზომ შვებას, იქმნა ხელად,
ქვე მიწას დაეკვეთა, ყვავილთ ეკვირვებიან.

შეპქრბნენ ნაზნი სურნელნი, პეტრეს: „ყვავილთ მეფეო,
ბრალ არს მოქლას ურვილმა შენთვის ტკბილად მყეფაო,
ყოველთა ფეროვნებად უცხოდ ხე მიმერეფაო,
მიხედე მოწყალებით, თუ სულნიღა ჰრჩებიან,
გვაროვნებით მდიდარო, შთამოსირვით სეფაო!“

ვარდმან ილმო, მოხედა მით მლიმარის თვალითა,
უბრძანა: „ჩემთვის ხელო, მასვე შენის ბრალითა.
მობრუნდი, ნუ დაიწვი ჩემის ეშნის ალითა,
იყავ, მჭვრეტდე, იშვებდე, ნუ ხარ გულით მქრჩთალითა!“
ბულბული განცხოველდა, ღაწვნი აღარ სჭინებოდა.
დანე, მაისის ბულბულო, ვით ღლენი ნათლდებიან!



ეჭხისა ზღვასა

1

ეშხისა ზღვასა მიველ ნაპირას,
უცილოდ შვებასა ჩემსა ვგონებდი,
დამხედა საყვარელი მე მისსა მზისად,
შევიქმენ გონებას, მას ვიგონებდი.

2

ხოხბის ფეროვნება ტანთ დაუსახე,
ვერ ოდენ შეხედვა ვიმუფარახე;
მყისად შემიპყრობდა სურვილისა მახე,
მისთვის საგონებლად არ ვიყოვნებდი.


3

ვსოქვი, სულის შემწირველს მომცეს გულითა,
მივმართე, შემექმნა სიხარულითა;
ვსცან, რაყიფი მასთანა სჯდა შვებითა.
დავბრუნდი მტირალი, მას ვისგონებდი.

4

ნევდის წალკოტს შეველ, წალკოტ მჭმუნგარედ,
მუნ ვიხილე ვარდი ნაზად მლიმარედ,

მწაფდა, ჭირნი ჩემნი მეთქვა მღუმარედ.
მუნცა რაყიფი მხედა, სად არ ვგონებდი.



5

დავწყევლე საწუთრო, მუხოლად ბრუნვანი,
შორს ქმნილსა მის მიერ დამშთეს ჭმუნვანი;
ვგონებ მუშაკს, მას არა აქვს ზრუნვანი,
თუ აქვნდეს, სულისებრ გულს ვიგონებდი.



რა ქმნას გულმან

1

რა ქმნას გულმან, როს ჭმუნვა არ მოეხსნას,
რა ქმნას სევლამ, თუ სწყლავს მარად დაგულსა?
რად იგულვის, სად ვარდი არ მოეხსნას,
ეკალს კრეფლეს, ხელს იყოდდეს და გულსა.

2

თუმცა გაშლის ჩემთვის ფურცელს ვარდი ა,
შეხამებით სოსან-შროშან-ვარდია,
მისთვის მსხვერპლად მე მარად მზა ვარ დრა,
თვით ხელმწიფის გარს მხლებელად მოეხსნას.


3

მაგრამ საღა სიმღერის ხმა ისმოდა,
სად ფიალა სურვილისა ისმოდა,
სად სიმუხთლემ დამკვიდრა ის მო და,
ბნელი სევლა, გულს მანტია მოეხსნას.

4

იბზარვიან ბროლნი, ლალნი, მინანი,
მეც თუ მასთან მოვკვდე, ნულარ მინანი

საუკუნოდ მძინარს მწვავდეს მინანი,
მათთვის ვნება, სჭობს სული ხორცს მოეხსნას.



5

ზანგთ საქვდავად გულნი მისნი მიხარეს,
ბროლის ვარდი, ბროლის ტანი მიხარეს,
რევ რაღ[?] მტვერი მიგიახლეს, მიხარეს,
შეის ზოსტერი ჩემად ჯაჭვად მოეხსნას.

6

ოდეს ვარდმან ოხვრა ჩემი ისმინა,
ცრემლმან დაყლა და დასეტყვა ის მინა,
მე მას ვისგრძნობ, ერთი ოდეს ის მინა,
და ვით გულსლა სიხარულად მოეხსნას.

Ա Ս Ե Ր Ա Խ Ո Ւ Ծ Ա Վ Ա Յ Ա Խ Ո Ւ Ծ Ա

[Թ Թ Թ Ա Շ Խ Ծ Ա Տ Ա Շ Ո Ւ Ծ Ա]

Ժ Հ Ա Շ Ո Ւ Ծ Ա

յ. մյ ոռնիս նատեսազո ցածրառելուց, մյ թուղթինս նա-
յանու պատրագ լուսնիս, ուղես զույազ վլուս յթ [28], մամոն
ըստուրեծի մայրետս մանլոնծել պատրու սոլոմոն մլոյ-
հինս դա ցանմասելուրեծինս մեցիս գայուտանիս, համետու
ամաս մոնա յամտա წարզութեանց եւենեծուլուս ամուս մեցիսացան
ցրանագ, մորակն յալայագ, յարամեան նանդուս տանա.

Ըստ պատրագ ազգալու հայութ մ... մտանո մանականու դա
մուշեց գոցորս — ոցետս, եռլու մունութ ... օսք մբուրե դա
ցանցուկցենց մուսդոցս... ազգակու ոսք մամոն յթ [28]. եռլու
մունութ պատրագ դա պատրագ աստրահանն. առեստրամեր-
ուցեն դլու մուն ձաւլցեց.

Աստրահանութ մտացքեց եզամեալուս. նլուս պարութ դա լուլ-
չա-հայ մուլցեծութ ուրամերատքերամերես գույս մոնա վուլուս
մոհուցարու ցանցութ մամուլս ցոլանիսս դա մուշեցութ յալայ-
սա, հոմելս յիշուցենս համբու.

მერმეცა წარსრულმან მუნიდაღმა მეექვესესა დღესა შენა
ყაზმინ ქალაქსა ორი დღე დავყავ. ყაზმინით მეოთხეს დღესა
სავა ქალაქსა ერაყისასა ერთი დღე განვისვენე და მუნით
ყუმს მესამესა დღესა შთავედით. ქა...ნს დიღსა და მდიდარსა
ქალაქსა სამ დღე დამვანებელთა ორ დღე შემდგო[მად მესა]-
მეს დღესა მივედით საკვირველსა და ფრიად ლიდ შეენიერსა...



[გ რ მ ნ ი კ ა მ ბ ი]

კაპიტან ფაშა მოვიდა ზღვის ჭარით მაისს კვ [26] ქრისტეს აქათ ჩლპტ [1788] და მაშინ ერთმა რუსის პოტეტჩიკმა თავისი თავი ნავიანად და თაორები მათის ნავებით როგორ დასწვა და აღისპნენ, და ეს იყო აჩაქოვს შავის ზღვის პირს ქრისტეს აქათ ჩლპტ [1788].

პრილის კ [20] დიდი ლრაფ ფერდმარშალი რუმიანცოვი გავიდა საომრად ას ოცი ათასის კაცით რუსეთის ჭარით დუნა მდინარის პირების დასაპყრობად სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. და ესე არს დიდად სახელოვანი და გამოცდილი, რომელმაც უპირველეს ოსმალების ბრძოლაში სტამბოლს საფარი მიუახლოვა, ვიდრე სამისა საათისა სავალად და შერიგებამ გაჰყარა. ეს რუმიანცოვ პეტრე ალექსანდრიოვიჩი ლრაფ ფერდმარშალი, კიცუ დიდად სახელოვანი.

ამავე წელს იქმნა ამისი გალაშქრება.

ამ რუმენცოვის ჭარები შევიდნენ, ივლაბ-ბულდანი წარ-თვეს ხონთქარს, ორჯერ კიდევ სხვაგან გაემარჯვათ, ურიცხვი მოსრეს თაორები.

ესეც ამასვე წელს მოხდა ჩვენს აქ კრემენჩუკს ყოფაში.

მაისს კ [5] წაბძანდა უგანათლებულესი კნიაზ პოტემკინი III, მეორე ფერდმარშალი, რომელიცა უპირველესცა ყოფილი ისმალთა ბრძოლაში], მრავალთა სხვათა და სხვათა კავალერ-თა მიერ სახელოვანებნილი შორის დიდისა როსიისა, უგანათ-

ლებულები მთავარი დიდისა რუსეთის ხელმწიფისა ეგატერი-
ნა მეორისა ალექსევნა და ფრიად გულითადი მეგობრი მისის
იმპერატორების დიდებულებისა, რომელსაც გაჰყევა დიდის
რუსეთის ჯარები მრავალგვარითა შემზადებითა, და ამას აქვს
ბრძანება, რათა შეებას კაპიტან ფაშის სახელითა ყოვლად
ძლიერისა ღვთისათა. მის შემდგომად განმზადებულარს¹,
[რათა] ანატოლისა და პონტოს ზღვის პირების ქვეყნები და-
იპყრას და რათა მათ ზედა ილაშქროს ზღვით და ხმელით.
წმიდა გიორგი, შემწე ექმენ!

და რაიცა ღმერთსა ნებავნ ქრისტეს მოსახელთათვის,
იგი იყავნ!

ალიწერა იღნისა გ [3] ამავე წელს.

ჩვენს ექიმს პრევიან მიხაილუ გრიგორიესინ ბორისევიჩი,
რომელიც არის წმტაილეკარი. და ესე არს მღვთივ მოცემუ-
ლი იმედი და მრავლად იღვაწა ჩვენთვის.

ამ უგანათლებულებმა კნიაზ პოტემკინმა ფერდმარშალმა
აილო ციხე-ქალაქი აჩაკოვი დეკემბრის ექვსს წმიდისა) ნი-
კოლაოსის დღესასწაულს დღეს და უწოდა ადგილსა მას ნი-
კოლა.

სხვა რაც იქ მოხდა, ქვემოთ რეეულში იძიეთ.

და ეს იქმნა ქრისტეს აქათ ჩლპშ [1788].

¹ მომლევნო ორი ასო ვერ იჩინება. ალექსენილია: რათა.

[მ ი მ ღ ვ ი რ ა]

შიწყრილი ბესარიონისაგან პასუხად სულხანთან
 ესეც მხოლოდ შეცვანილება და არავითარი თხოვა,
 ანუ საგამსა ვითარსამე ზედ მიწურილ.

ბრწყინვალე თავადო და სულისა ჩემისა ნათელმკრთოლ-
 ვარე გულითადო მეგობრობისაო! ვითარ ვიწყო, ანუ რომე-
 ლი დასაბამი ვჰყო ქებისა თხზეად უშრომოისა ამის ნათლი-
 სა, რამეთუ ჰსება ბრჯგუვდების და ენა მოუძლურდების, არა-
 მედ გონება მიყინდონტებულია, მოწყვლილ სიბრძნისა გამო-
 რიერადების მისის შარავანდედის ბრწყინვისაგან, მუნიდგან
 ეგ სახედველ გამოჰკრთების მშტვენი ხმა იადონისა.

მე მისის სმენით და ნასიბრძნის ქარტის ხილვით გონება
 მესამყაროების და ესრეთ ნოტიოს ლრუბლით გამო ცვარი
 სიხარულისა გადმოიმცვარევის შინაგანობასა ზედა ჩემსა.
 ორნატი სულისა აღმოიჩინდების და მის დამკად აღვმართავ
 ალამსა და მის ხუვილის ნეშტისა ვიპყრობ ვითა კალამსა და
 მცირეს ქარტით უპასუხებ სალამსა. გარნა სირცხვილადცა
 მიჩნს, რამეთუ ამისს ყოფად არა ძალმისს ქმად, ვინაიდგან
 დისკო მზისა გამაქრთოლებს ოქროვანთა სხივთა და ვითარ
 უძლებს დაედლილი თვალი განცდასა მისსა! ჰე, კეთილ არს
 ფრიად, თუმცა მცირედ მაინც განიცადოსმცა მან იგი შექ-
 მოიეფე შარავანდედი ყოვლისა კეთილობისა.

ხოლო შენ, კეთილობაო სამოთხისა ნორჩო ყვავილგარდა-
 დენილო, იადონებრ ხმა მწვლილ მშტვენო და ტებილხმოვა-

ნებით ყურთა მიმტაცო, რიტორ უებრო, სუნნელ წარდისაოთავა
დამატებობელო, თვით ზენა სუფევისაცა სიტურფეო და პირ-
ველიდგანვე ყოვლად კეთილობისა ხატებაო, მცირედ ოდენ
ძალმქონ არიან თვალნი ჩემნი გაშტერებულნი განცდად
უფსერულ ნათლოვანისა სხივისა შენისა.

მე ბესიკი შენი მონა
გარ შენ მორის მდოგვის წონა,
გარნა მეგობრობის მტრფობი
ბესარიონ გაბაონი.

[დიდ იმპერატრიცა ეკატერინას]

უყოლითადესო და უთვითმცყრობელესო და უსაზოგა-
დოესო ხელმწიფეო, მცყრობელო სრულად რესეთისა და
სხვათა და სხვათა და სხვათა!

უოველთა ქრისტეანთა აღმართებისა მლეიდარედ მო-
ლვაწეო და უმღვივდიდებულესო მონარხინავ, დიდო იმ-
პერატრიცა ეკატერინა ალექსიისავ, ყოვლად მოწყალეო
ხელმწიფევ!

სულისა ტრფიალებათა ძლით უსაცთუროდ სასოებისა
დამდებელი ყოვლად უმდაბლესითა ქრძალულებითა გამოუთ-
ქმელისა ტახტისა წინაშე თაყვანისცემასა განვაცხადებ და
ყოვლად უმოწყალესისა იმპერატორობისა ქვეშე ფერხთა
შევრდომით ჩენისაცა აღმართებისა და ალდგინებისა უმ-
ხურვალესსა ვედრებასა განვფენ.

ყოვლად უდიდებულესო ხელმწიფევ, მონარხობითისა შე-
წყალებისა ჩენისა და მეორედ აღმართებისა გამოხსნისა და
ნუგეშინისცემის ტრონი და უმნი არიან. და ვინათვან თქვენის
მოწყალებით გამოხსნილი არის ეს ქვეყნები და ჩენ უსჯუ-
ლოთა მათ ოსმანიანთაგან მრავალი ჩანი არის, რომ განვთა-
ვისუფლებულვართ და ვესავთ დიდებულსა ხელმწიფობასა-
თქვენსა და ვადიდებთ აურაცხელსა მოწყალებასა თქვენსა.



აწ უმეტესად საზრუნავი არის იმერეთის შეწყალუბარო-
მელთაცა თქვენი ერთგული მონა და კურთხეული მეფე ჩვე-
ნი სოლომონ უწყალომან სიკედილისა მახვილმან მიწასა ში-
ნა დაამკვიდრა და ამისნი მსმენელნი ყოვლად ბოროტნი მტერ-
ნი ჩვენი ოსმალნი გარემოს ქვეყნებისა ჩვენისა საზღვრებ-
თა ზედა დაღვენ და მარად დღე წარტყვენვისა და აოხრების
მუქარას გვწერენ და ფრიალის ლაშქრებით ჩვენზედ მახლო-
ბელ არიან, ვითარცა თვით მათვან მოწერილის წიგნებით და
ბეჭდებით და თვით ხეანთქრის გამოგზანილის ფარვანით
განცხადება ყოვლად დიდებულსა ხელმწიფებასა თქვენსა.

ჩვენ თუმცა მშა ვართ ქრისტეანობისათვის სისხლთა ჩვენ-
თა დათხევად და ჩვენის შეძლებისაებრ თავსა ჩვენსა აღაჩ
მივსცემთ მონად და აზუალა ჩვენგან მათი ყმობა იქნება. და
ლმერთმან ნუ ყოს, მაგრამ უმეტესის ჯარებით და შეძლებით
მოვიდნენ და მახლობელ არიან ჩვენზედ ესრეთ, რომელ
ყოველ უამ მოისა და შებმის ფიქრით მშა ვართ სისხლთა და-
თხევად და აზუარა ფამორჩილებად სარცხვინოსა უფლებისა
მათისა.

ამისთვის სწრაფის მგზავრობით გვიახლებია დიდი უფა-
ლი და მწყემსითმთავარი ჩვენი ამისი უწმიდესობა კათოლი-
კოსი ყოვლისა საიმერეთოისა და აფხაზეთისა მაქსიმე და
ამასთანა ჩვენის ქვეყნისა უპირატესი სარდალი და სახლთ-
უხუცესი და სიძე ჩემი ქნიაზი წერე თელი ზურაბ და
ამასთანა მდივანბეგი ჩვენი ქნიაზი დავით, რომელ-
ნიცა ერთობით თანავაზრახვითა ჩვენითა დიდთა და მცი-
რეთა ერთბამად აღვირჩიეთ და დაგვირწმუნებია ყოველი სა-
თოველი ერდობა ჩვენი, და ესენი განაცხადებენ თითოეუ-
ლად საზრუნველსა ჩვენსა მოხსენებითა უგანათლებულესისა
დიდისა ვფერმაშალისა და უწარჩინებულესისა დიდის თავა-
დის გრიგორი ალექსანდროვიჩისათა, ხოლო სქესით ვიდრემე
პოტემკინისათა, რომლისა მომართ კურთხეულსა ძმისა ჩემსა
მეფესა სოლომონს ბრძანებული იმედი ჰქონდა თქვენის უმალ-
ლესის ხელმწიფობისა მიერ.

აწ ჩვენცა ფრიალის ვეღრებით ვითხოვთ მასვე მოწყალე-
ბას რათა ხელთა ქვეშე მაგისთა დაფარულ ვიქმნეთ და

ყოველი საქმე ჩვენი მაგისს უგანათლებულესობას მოხსენი-
დებოდეს და კეთილად განაგებდეს ყოველსა ქვეყანისა ჩვე-
ნისა საჭიროსა საქმესა, რომლისა მიმართ ყოვლის ჩემის მინ-
დობით მეცა ესრეთ იმედეულ ვარ და მორჩილებითა ყოვ-
ლისავე შეძლებისა ჩემისაებრ. და აწცა ჩემ მიერი საწალე-
ლი სავედრებელი საქმეები მაგათის უგანათლებულესობისა
მიერ უნაკლულოდ განცხადდება და საერთოდ დამტკიცებუ-
ლი ხელითწერილი ბეჭდებისა სიმტკიცითა და ალქმითა
მოერთმევა ლვთისმოყვარესა ხელმწიფებისა თქვენსა.

[შეკვედი დავითისა]

გ ა ს ვ ე

უყოვლათადესო, უზენაესო და უყოვლადდიდებულესო ხელმწიფე
სრულად როსისავ და სხვათა და სხვათა და სხვათა
აღდო და უყოვლად მოწყალეო იმპერატრიცა
უკატირინა ალექსისაო!

ურიცხვთა ბრალთა და ცოდვათა ჩვენთა ძლით მიწაქმნილ-
ნი და ყოვლად დამდაბლებულნი სრულიად საიმერეთოი-
სა მკვიდრნი, ესე იგი უწმიდესი კათოლიკოსი, ყოვლად საძ-
ლვდელონი მიტროპოლიტნი და ეპისკოპოსნი და ყოველნი
სამღვდლონი წესნი, და ამათ თანა ერთობით ქვემოთა ივე-
რიისა მთავარერისთავნი, სპასპეტნი, თავაფნი, აზნაურნი და
ყოველი საერო მხედრობა და წესნი ერთბამად ურთიერთი-
სა თანაგანზრახვითა ვიკადრებთ თაყვანისცემად უმაღლესისა
ტახტისა წინაშე და მდუღარითა ცრემლითა მეცედრებელნი
განვაცხადებთ ჭირთა ჩვენთა, რომელთაცა ძლიერად მოღვა-
წე ჩვენი გამომხსნელი ხელმწიფე მეფე სოლომონ უწყალო-
სა სიკვდილისა მიერ მიგვეღო და ჩვენ ერთობით ობლად
დატევებულ ვართ და, ვითარცა გვმართებს, შავითა დაფა-



რულ ვართ მისთვის ყოველნივე მისისა დამიწყალებისა მეგლორენა
ჩენი და მარადის სულთმით მომხსენებელი მისი, რომ-
ლისა სახელი იყავნ საუკუნოდ კურთხეულ უფლისა მიერ!

აშ ყოვლად მოწყალებისა თქვენისა და ღვთის მოყვარი-
სა ხელმწიფობისა მინდობილთა ამათ შემდგომად აღსრუ-
ლებისა მისისა. ერთობით ყოველთა აღვირჩიეთ მეფედ და
პატრონად ჩვენდა ანდერძისა მისისაებრ მემკვიდრე იმერე-
თისა ბაგრატოანი, უხუცესი ყრმათა შორის, ძე შეფის ძისა
გიორგისა და ვით, და დავაწიალეთ სამეფოსა სახლსა ში-
ნა თვისისა და ყოველსა ამას სამკვიდროსა ზედა ამისსა,
რომლისა თანა ჩვენ ყოველნი ერთობით მეფითურთ ჩვენით
პირველისა მის შეფის ანდერძისაებრ განცხადებულად აღვ-
სთქვამთ და აღვიარებთ ხელმწიფობასა თქვენსა და საუ-
კუნოდ ერთგულად ყმად შემკვიდრეთათვის რუსეთისათა,
ვითარცა ერთგულ და დამორჩილებულ არაან მკვიდრნი
დიდისა რუსეთისა იმპერიისანი, რათამცა ვიყვნეთ ერთგუ-
ლად მონებად და ყმობად ხელმწიფობისა თქვენისა და უმა-
ლესთა შემდგომთა მემკვიდრეთა რუსეთისათა, რომლისა-
თვისცა ყოვლით სიტყვით და საქმით ჩვენით უარგვიყოფი-
ეს სხვანი ხელმწიფენი და თვითმპყრობელნი და უცხო-
ვყოფთ თავთა ჩვენთა და ყოველსა ამას ქვეყანასა მათგან
და არარაი გვნებავს სხვათა მფლობელთა, თვინიერ უზენა-
ესისა მფარველობისა და ხელმწიფობისა თქვენისა.

და ამიერითგან მეფე ესე ჩვენი დავით და მემკვიდრენი
ამის ქვეყანისანი და ჩვენ ყოველნივე სამღლონი და საერთ-
ნი შეუცრდებით გამოუთქმელსა და უზენაესსა ტახტსა ქვეშე
და ვითხოვთ პირველად, რათამცა სხენებულსა ამას უგანათ-
ლებულესსა მეფესა ჩვენსა ზედა მოავლინოთ თქვენის ყოვ-
ლად მოწყალების ფარვანი და ჩვენდა პატრონად და მეფედ
დაამტკიცოს მოწყალემან ხელმან თქვენმან და, მეფობისა
ნიშანი ვითარცა ქართლისა და განეთისა მეფესა ზედა მოივ-
ლინა, მის მსგავსის მოწყალებით ამისი ახოვანი სიჭაბუკე
და მეფობაც განანათლეთ, რომელსაცა ყოველივე სასოება
თქვენის უდიდმოწყალესობისადმი დაუცს და მზა არს სისხ-
ლით თვისით მსახურებად ხელმწიფობისა თქვენისა და ჩვენ

ქრისტეანეთათვისცა იღვწის და ზრუნავს ყოვლის შეძლებით თვისით და განაცხადებს ყოველთა მახლობელთა და შორის ულთა შორის დიდის რუსეთის ხელმწიფისა და მემკვიდრეთა მისთავა ყმობასა და უშიშრად აღიარებს თქვენის დიდებულების ერთგულობასა.

ყოვლად დიდებულო ქელმწიფევ! თქვენის უძლეველის ძალით გამოხსნილს ქვეყანას გარემოადგენ და ოხერყოფასა ეკლესიათასა და წარტყვენვისა გვექადიან ყოვლად ბოროტნი თათარ-ოსმანნი, რომელთაცა დიდად უხარისთ კურთხეულის ჩვენის მეფის სოლომონის სიკვდილი, და ჯარებით ჩვენის ქვეყნების სასაზღვრებზედ მოვიდნენ და პირველისა მის მსგავსად საძაგელსა საქმესა პირობენ და ამ ქვეყნების ოხრებას. მოვცხედოს და იზრუნოს ნეტარმან დრომან თქვენმან და იზრუნოს კვალად გამოხსნა ჩვენი დიდებულებამან თქვენმან და მოეცეს უხვად მოწყალებითი საფარველი ესეოდენთა წმიდათა ეკლესიათა და მონასტირთა (sic), ესეოდენთა სამღლოთთა დასთა და ქრისტესმოყვარეთა მხედრობათა და ერთა, რომელნიცა ერთობით პირმიწადადებით და სულთქმით ვეღრებასა განვიდენ წინაშე უმაღლესისა ტახტისა.

დიდებულო ხელმწიფევ! მოწყალის თვალით შთამოგვხედეთ და ისმინეთ მოხსენება უმდაბლესი უგანათლებულებისა მეფისა ჩვენისა მიერ და ჩვენ ყოვლად უმდაბლესთა ამათ ქრისტეს სამწყსოთა ნუ დაგვიტევებთ პირთა შინა მძვინვარეთა მგელთასა და მონარხობითი შეწყალება მოავლინეთ ჩვენშედაცა და ყოველსა ამას ქვეყანასა ზედა, რომლისა შესავედრებელად ერთითა პირითა და ერთითა ხმითა და სიტყვითა აღვირჩიეთ და ვახელით თქვენს დიდებულს ხელმწიფობასა და თქვენსა ღვთისმოყვარესა იმპერატორობასა: დიდი უფალი და მწყემსთმთავარი ჩვენი აფხაზ-იმერთა კათოლიკოსი მაჭავამე, რომელსა ყოველნივე ზოგად მინდობილ ვართ სულით ჩვენით და ხორცით, და ამასთანა ყოვლისა ამის ქვეყანისა და მეფისა ჩვენისა ერთგული თავადი წერეთე ლი და სარდალ-სახლოთუხუცესი ზურაბ და ამასთანა ერთგულებით მარადის თანამზრუნველი და ნამ-

სახური მეფეთა ჩვენთა ქნიაზი მდივანბეგი და ვით, რომელთა თანა დასამტკიცებელად თვით ამისი უგანათლებულესობა მეფე მოაწერს ხელსა და დაბეჭდავს ბეჭდითა სამეფოთა და ჩვენცა ესრეთ მოვაწერთ და ესრეთ დავამტკიცებოთ საუკუნოთა სიმტკიცითა და აღთქმითა. თვესა სეკდემბერსა ათხუთმეტსა, დღესა კვირიაკესა, ქრისტეს აქათ ჩლპლ [1784].

მე ყოვლისა სამერეოოისა უფლისწული დავით [ბეჭედი] ¹.

მაღალშობილო ბრილადირო და კავალერი ვასილ სტრფანიჩ,
მწყალობელო ჩემო ხელმწიფევ!

იმისი სიმაღლე ჩემი მოწყალე ხელმწიფე მეფე დავით თავისის ქვეყნით, სამღვდელოთი და სამხედროთი და ყოვლის იმათის შეძლებით, — როგორ სრულისა და მართალის გულით, — მაგათს უგანათლებულესობას მოენდვნენ და რამდენი ხანი არის შეურყეველის თავეთის ფიქრით უეჭველად შემწეობის პასუხს ითხოვენ და ვერ ეღირსნენ აქედამ ერთს რასმე პასუხის მიღებას და ნიადაგ მოელიან, რას გვიბრძანებენო. მაგრამ რომლის მიზეზით ვეყენებით, არ ვიცით, რომ ყოველმა იმათმა სათხოველმა სისრულე და მაგიერი პასუხიც ვერ მიიღო.

ამისთვის მაგათს უგანათლებულესობას იმისმა სიმაღლემ მეფემ საიდუმლოთ ჰეშმარიტის წერილით, როგორც თათრებს საქრისტიანოების სამტრო თადარიგის და მომზადება პეონდათ, ყველა თათოეულად მოსწერა, და სხვა საქმე, რომელიც უფრო თქვენსა და ჩვენს ძალებს შემოიღებს, ჩემის

¹ ტექსტს დართული აქვს აგრეთვე ბეჭდები ალექსანდრე არჩილის ძისა, მაქსიმე კათალიკისისა, ქუთაისის მიტროპოლიტის დოსითეონისა, გელათის მიტროპოლიტის ეფთეომესი, ხონის არქიეპისკოპოსის ანტონისა, თავად გრიგოლ წულუკიძისა, ვლისბარ ქსნის ერისთვისა, თავად პაპუნა წერეთლისა და თავად ბერი წულუკიძისა.

პირით და წერილით ყოველივე სიმართლით გამომიცხადებია, ამისთვის რომ უკველად ვიცოდით, რომ ეს დროები და საქმე შემოვიდოდა და გამოცხადდებოდა.

რომლისთვისაც ცნა თვე არის, რომ მე აქ კრემენჩიუკა მარტოს ყოფნით და უსაქმობის სიმწარით ვიტანჯები. მე თუმცა მმართებს, რომ მისის სიმაღლის ერთგულებისათვის უფროსი სასჯელიც მოვითმინო, მაგრამ მე არ ვიცი, რომლის სამსახურის მოქმედი ვარ და რით ვინუგეშო, რომ ჩემს თავს ასე დავიწყებულს ვხედავ და ჩვენს საქმეს პასუხის ღირსება არსით არ უჩანს; და კიდეც ვხედავთ, რომ თათრების სამტროს დროებს ჩვენ ვეღარ ვნახავთ ამისთანას და, რომ არ მოგახსენოთ, არ შემიძლია. და თუ ახლა, ამისთანას დროს, ჩვენი მეფე და მისი მხედრობა აქედამ ახლაც უპასუხოდ დარჩენენ, ვიცი, რომ მტერნი სიმაგრეს შეიმატებენ და ჩვენც უიმედოს ფიქრით სიმარჯვეს ვეღარ მივიღებთ და ახლანდელი საქმის სიადვილე მერჩე სიძნელეში შევა.

თუ აქედამ არაფერი პასუხი მიუვათ, როგორ შეიტყონ და რა ქნან და ან ხონთქრის მამულებს ხმალი რომლის იმედითა და რიგით უჩვენონ. აქ ჩემი ასე დაგვიანება და უსაქმოდ ყოფნა ან თქვენთვის რა შესიძლი არის და ან იმათ რას არგებს? მე არ ვიცი, რა უნდა ვენა. რამდენჯერაც მოგახსენეთ, უპასუხობის მეტი სხვა არა შემიტყვია რა და, თუმცა თქვენ არ შეგაწუხოთ, მაში, ვის უნდა მოგახსენოთ? ვინ მიცნობს და ან აქ მე ვის ვიცნობ?

ღვთის სიყვარულისათვის, გაისარჯენით! სახელოვანის საქმის დროები ეს არის. კეშმარიტებით მოგახსენებთ ყველას და ვიცი, რომ თუ თქვენ იმათ საქმეს აწ არ დაავიანებთ, იმისი სიმაღლე ჩვენი მეფე ღვთის მოიმედე არის, რომ სახელოვანი საქმეები მაღლ გიჩვენოთ. და თუ კიდევ არ ინებებთ და ამისთანას დროებშიაც უიმედო და უპასუხო გაუშვით, საკეთოლო რიგები ბეჭითობას ვეღარ მიიღებს და ამით ქრისტიანული გარჯილობა და ფიქრიც ნაკლებობაში შევა. ამისთვის ჩემს მძიმეს ვალდებულებას თქვენ მაღალშობილუბასთან საიდუმლოს ჩემის ხელითწერილით ვაცხადებ; თუმცა რიგი იყო, რომ თვით ჩემის პირით უფრო

გრძლათ მოგხსენებოდათ, მაგრამ უბძანებლად აქედამ წა-
მოსვლა ვერ გამიბედავს. და ამისთვის რომელიც — მაგათას
უგანათლებულესობის ნება გვებძანება, ჩვენ ჩვენის მორ-
ჩილებით და ერთგულებით უმდაბლესათ იმას ვეცდებით.

თუმცა უმრავლესი და უფროსი საქმეები გაქვსთ, მაგრამ,
თუ მიხედავთ, ცოტა საქმე არც ეს იქნება, თუ ადრევე ინ-
ბებთ და გვიბძანებთ რასმე; და თუ არა, უმჯობესი თქვენ
იცით; მე რომელიც ჰეშმარიტებით ვიცი, იმას მოვახსენებ
თქვენს მაღალშობილებას.

ჩემის ხელმწიფის ერთგული მოსამსახურე. მისის სიმაღლის მოწყალის
იმერეთის მეფის დაფილის უმდაბლესი მონა კნიაზი, სეკრეტარი და მწიგ-
ნობართულეცესი ბესარიონ ზახარიას დე გაბაონელიძე

ქრისტესა აქათ ჩლეტ [1788],
ივნისის 3 [2].

უგანათლებულესო კნიაზ,
მოწყალეო ხელმწიფევ!

საჭირო არს, უგანათლებულესო კნიაზო, რათა მიხედოთ
მოწყალებით მდგომარეობასა ყოვლად მოწყალისა მეფისა
ჩემისასა და მისცეთ სიმტკიცე მას, რომელსაცა უძლეის კე-
თილსაქმენი მამულისა თავისისათვის და რუსეთისა მიმართ.
ვინაცა ამის მიზეზისათვის ღირს არის იგი, რათა იზრუნოს
მისთვის ყოვლად მოწყალემან მონარხინამან, ვინათგანცა
სცნა მან მტერნი რუსეთისანი მტრად თვისდა და დაპერაგნა
ვნებითთა მცნობთა შათთა საძულველი მოქმედებანი, რო-
მელიცა შვენის არაკეთილმდომა მეზობელსა ჩვენსა ჩვეუ-
ლებით.

წარმოიდგინე, ჰოი¹, მამაო ჩვენო უგანათლებულესო კნი-
აზო, მხეცებრივ მაწყინებელნი საქმენი მეზობლისა ჩვენი-
სა, თუ ვითარ თვისითა მაცდურობითა აბნელებს მფარვე-

¹ დედანშია: ჰი.

ლობასა თქვენსა ჩვენდამი, რომელიცა ულირს პყოფს მოგონებადკა ხელშემოსილის რუსეთის საჭურველით გამოხსნილს მამულსა ჩვენსა და არ წარმოიღებს თვესა შორის თვისსა დედობრივსა მარჯვენესა მონარხინა დიდისასა, რომელიცა არა განგვეშორების ჩვენ.

უგანათლებულესო კნიაზო, დააყენოს ეამადმიდე სიყვარული თქვენმან უგანათლებულესობამ, რომლითაც კაცომოყვარება თქვენი ჩვენდამო აღნთებულ არს, და მოუტევეთ ადგილი სიმართლეს, რომელიცა სრულიად აღმოაჩენს დამაშვესა. ამ შევადაროთ მოქმედებანი ყოვლად მოწყალისა მეფისა ჩემისა და ზემოხსენებულისა მეზობლისა, რომელნიცა უსამართლოდ მოქმედებითა თვისითა მისცა სიმძიმე რუსეთს ამღვრევთა და უმიზეზოს თხოვნითა ხან ჯარისა და ხან ხაზინისათა და, გარდა ამისსა, დაიციშვნა პირობანი, რომლითაცა შეკრულ არს ზეგარდმო უფლისა მიმართ, რათა შეიწყნაროს ცხებულისა მისისა დიდისა ეკატირინას პირობანი. გარნა გული მისი არა დასცხრა საიდუმლოს შეკრულობით მტერთა თანა რუსეთისათა, რომლისაცა მავნებელნი მოქმედებანი ზეგარდმომან უფალმან გამოაცხადა წინაშე ქვეყანისა; ხოლო სიმართლის მცველმან და ერთგულმან რუსეთისამან მეფემან ჩვენმან დავით განიშორა ყოველი სიმძიმე რუსთადმი და კეთილის აზრითა დაანახვა მოვალეობა მამულისაგან თვისისა რუსეთს, რომელიცა ხელშემოსილმან ძლევისა საჭურველმან რუსეთისამან იხსნა იგინი. და ამ მიზეზით ითხოვდა რაცდენითამე მცცადინეობითა, რათა თავის შეძლებით და თვისის ჯარით ამისთანას დროებში ემსახურა რუსეთისათვის და ამით აღესრულებინა მოვალეობა ქვეყანისა და ქრისტეანეთა შორის შეკრულობისა.

უგანათლებულესო კნიაზო, მეობო ჩვენო! ინებეთ წარსკლად ჩემისა ყოვლად მოწყალისა მეფისა მიმართ. და თუ არ ინებებთ, ამას ვითხოვ, რათა ნება მომცეთ გასტუმრებათ ძმისა ჩემისა, რომელიცა მყოფობს ჩემთანა, რომლისაცა იმედი მაქვს, რათა ესე მსწრაფლ წარვალინო და უგვიანოდ მგზავრობითა გამოგიცხადოსთ სიმართლით მდგომარეობა

მეფისა ჩვენისა თქვენდა მსწრაფლ მიღებათა თვით მეფის
დავითის წერილისათა თითოეულად. ორამედ ვგონებცა შე-
ტყობის იმედით, რომელ საქმენი ესენი რაიმესა! ნაკლულე-
ვანებასა მიაყენებენ მეფესა ჩემსა.

თქვენის უგანათლებულესობის მოწყალისა ხელმწიფისა ჩემისა
უმდაბლესი მონა, იმერეთის მეფის ელი და ტაონი სცერეტარი
ქიაზი ბესარიონ დაბაონი

ოქტომბერი იდ [14], 1789 წელი

ყიშენევს

უგანათლებულესო ქნიაზო,
მოწყალეო ხელმწიფევ!

ახალციხეს დასვათ რუსეთის კონსული, რათა არღარა შე-
იძლოს ოთამანის კარმან დაფარული მტერობა იტკა გარეგა-
ნით, არცა შინაგან ქვეყანასა ჩვენსა.

ბათუმს — გურიას ნავთსაყუდელზედ და ფოთს — ოდი-
შის ნავთსაყუდელზედ სიტყვა ითქვას. და თუმცა ნებით
გაუშვან, უმჯობესია ჩვენთვის, და თუ არა, იმ ორს ადგილსაც
რუსეთის კონსული დასვათ, რათა დაბაჟენოთ ჩვენის ქვეყნე-
ბის ტყვის გაყიდვა იმ ადგილებში და ეგრეთვე სავაჭრო
რუსეთის [ნავებიც] მოვიდოდნენ ამ ხსენებულს ნავთსაყუ-
დელზედ.

აფხაზეთი დაიდეს თავისუფლად, რომელნიც ოსმალოს
ხლმით დაპყრობილი არ არიან, და წება მიეცესთ მათ, რო-
მელთაცა საქმე ჩვენ სციცით, რომ მალე აღიქრჩევენ ქრისტიანო-
ბას, და ისინიც, როგორც ჩვენ, [საფარველსა ქვეშე რუსეთი]-
სამა შემოვლენ და უხლმოდ მორჩილებას მიიღებენ. და
ესეც დაიდეას, რათა ამ აფხაზეთის ნავთსაყუდლებზედაც
რუსეთის ნავებმა ივაჭროს], რომლითაც თქვენ მალე ნახავთ
სარგებელსა არამცირედსა].

უკეთუ უმაღლესმან კარმან რუსეთისამან დასდევას [ახ-

¹ დედანშია: რადიშესა.

ლავ მფარველობა იმერეთზედ, ის უმჯობესი იქმნება, და უკი-
თუმცა რომლისამე საქვეყნიეროს გასინჯვით ახლა განცრა-
დება ამისი აზ ამჯობინოს, მაშა საიდუმლო [შეკრულება და-
იდვას] დრომდინ იმერეთსა და რუსეთს შეაზედ, რათა სარ-
გებლობა ირთავე დრომდინ] საიდუმლოდ და დაფარულად
მუშაკობდეს.

და ესეც თუ ამჯობინოთ, რათა აქვმდეს მეფესა იმერეთი-
სასა თვითუფლება, ვითარცა შევნის თეთმპურობელსა, და
რათა აქვნდეს მას შეკრულებისა და განხსნისა ნების რმისა-
თვის მაპმაღიანთა ზედა,¹ რამეთუ მიზეზითა ამით რუსეთი
იმერეთიდამ დაფარულს; ძალს შეიმატებს ოშალთა ვნებასა
ზედა, და არც ექმნება ვისმე მიზეზი, როგორც ოთამანის
კარს, უგრეთვე სხვათა ქვეყანათა, რომლითაცა მთელი
ქვეყანა რუსეთს ვერ უსაყველურებენ. და ამ სახის დადე-
ბით იმერეთის ძალით ადვილათ წაერთმევის სსენებული იგი
ბათუმიც და ფოთიც.

თქვენის უგანათლებულებობის, ჩემის მოწყალის ხელმწიფის
მონა, იმერეთის დესანი და მესაიდუმლო მდივანი
კნიაზი ბესარიონ გაბაონელიძე

წელთა 1789, დეკემბერს 5.

თანამდებობითი მოხსენებაი უგანათლებულებობი- სადმი თქვენისა!

ბრძანებისაებრ თქვენისა უგანათლებულებობისა, რომე-
ლიცა მე უფალმან ლაშქაროვმან იმედეულმყო მსწრაფლ
წარსელად მამულად ჩემდა, რომლითაცა ვბედივ ამას მოხსე-
ნებად: რათა აღრე მოხდეს წარსელია ჩემი და ამით უმეტეს
მარგებლობას ელოდეთ, რომელ არს აზრი კეთილი მეფისა
ჩემისა და სამსახური იმისის იმპერატორების დიდებულები-
სადმი, და უგრეთვე უმცირესი დაყენებაი ჩემი და უპასუხობა

¹ იგულისხმება უელდმარშალი გრიგოლ პოტიომეინი.

მისცემს სიმძიმესა კეთილსა აზრისა მისსა მდგომარეობისაებრ
მამულისა ჩვენისა. ამისთვის უმდაბლესად ვითხოვ თქვენის
უგანათლებულესობისაგან არ დააგდოთ მეფე ჩვენი უპასუ-
ხოთ და ამით წარუმართოთ საზოგადო მარებლობაი, ეკრეთ-
ვე აუშეკოთ აზრი ომისა და მშვიდობისა საზოგადოსა მტერსა
ზედა და მიეცეს შეტყობინებით დრო მეფესა ჩემსა, რათა
ამით უკვე აღილოს დროიანად თვისი ზომა და საქმაოდ აჩვე-
ნოს შეკრულება და ერთგულობა თვისი რუსეთს.

იმერეთის დესპანი კნიაზ ბესარიონ გამაოცი

იანვარს 9, წელსა 1790,

იასსა

(ზორილი პოტიოზაითაც)

შულულნი მამულისანი და ტკივილნი მისნი, ალძრულნი შუ-
რითა და მანკიერებითა მეზობლისა ჩვენისაგან, ალმოიტაცებენ
პირით ჩემით მოხსენებად წინაშე კეთილმოქმედისა ჩვენი-
საღმი, უგანათლებულესო კნიაზო!

დადგინებული კეთილმდგომარეობითა საზომისაებრ თვი-
სისა მამული ჩვენი დაუძინებელისა, დაუშრომელისა ლვაწ-
ლითა ნეტარხსენებულისა მეფისა ჩვენისა სოლომონის მიერ,
რათა არა მიეცეს შემუსრვესა მტერთა მიერ, ამისთვის და-
უშევეიდრა იგი ყოველად უავლუსტესსა დიდსა ეკატერინას,
რომელმანცა გვირგვინოსან პყო კეთილნებობითა თვისითა და
ეგრეთვე ცნობითა მამულისაგან ჩვენისა.

და იყო კეთილმდგომარეობა მისი დროდმდე კავკასიის
ლინიის მთავრისა, მის მაღალმსვლელისა ლენარალ-პორუთ-
ჩიეის პავლე სერგეივიჩის პოტემკინისა მუნ ყოფადმდე, რო-
მლისაცა მიზეზი კეთილშერილობათა თვით თქვენითავე მა-
ღალმბრძანებელობითა იყო.

და რამეთუ განცხადებულ იყო მოწყალება და კაცომო-
ყვარება და განფენილ უკვე ყოველთა შინაგანთა და გარე-

განთა და ეგრეთვე სინორებთა ზედა რუსეთის იმპერიისათ, რომლითაცა იშვა თვით მხეცებრთა მათ ხალხთა შორის შვილობა და სიწყნარე, რომელსაცა მიეცა საფუძვლიანი მიზეზი დენარიალ პოტემკინს ცნობისა და ქუფულებისა მათისა შეფერებითა და ესრეთ აღლაგმა მანკიერობა მუნებურთა მთავართა მათთა დაცვისათვის საზოგადოსა შვილობისა.

ეგვითარი ქებული და შესამატი პოლიტიკა გულმოლგინებითი მის ღენარალისაგან იმედეულ გვყოფდა ჩვენ, ვითარმედ კეთილმდგომარეობა იმერებითა არღარა მიეცემის შემუსრვასა და კეთილმოქმედება იგი მისი იყო მაკვდინებელი წყლული მეზობლისა ჩვენისა უიმედოქმნითა დაწყებისაებრ მისისა მავნებელობისაგან, ვინათვანცა იგი წინათვე მხედველ იყო ვნებასა თვისსა მით, ვიდრე შესამატსა თვისსა, და ამისთვის დაჭარევდა დროსათვის მას.

რომელსაცა მიეცა დრო იგი განშორებითა ზემოხსენებულისა ღენარალ პოტემკინისათა და ახალცვალებითა სხვის მთავრებისათა, რომელნიცა მხოლოდ ოდენ საკურველითა იმედეულ ჰყოფდენ საქმის სისრულესა და განეშორნენ შეუსწორებელსა შესამატსა ნაყოფსა მას პოლიტიკისასა, რომელსაცა ვგრძნობთ ჩვენ საქმისაგან და ტკივნეულ ვართ.

და ამ დროების მხედველმან მეზობელმან ჩვენშან დააფუძნა სხვადასხვას სახის დაფარებითა შემოყვანად რუსეთს შინა მეთვალენი ერთგულნი ყმანი თვისინი და ნება დართო მათ განწესებად სამსახურსა შინა რუსეთისასა, რათა ამით უკვე საწადელი თვისი სცნას და თვითუა თვისი აღსრულოს. რომელთაგანი არს პირველი არხიმანდრიტი გაიოს, რომელიცა არს სრულმყოფელი და თანაგანმცებელი პოლიტიკათა მისთა და საქმეთა, და მეორე არქიერი ხარჭაშნელი, რომელიცა შემოვიდა კანკლის გაეთების მიზეზით და შემდგომად განწესდა ვიკარიად მოსკოვსა შინა, და მესამე არს განწესებული ინოსტრანია კალეგიასა შინა აბითურაბ, რომელნიცა ალძრვენ უსაფუძველოს წერილების გაგზავნითა მეზობელთა ჩვენთა აღშფოთებად და შურად ვნებათათვის ჩვენთა.

ეგრეთვე არ დააგდო თვისდამი მიზიდვად კავკასიის ლინი-
აზედ მყოფი და სათარგმანოს საქმეებში სახმარად ბართლო-
მე სავარსიმიძე მიცემითა მისდამი აზნაურობის ხარისხისა,
რომელიცა გლეხი იყო და იცნობებოდა რუსეთს შინა გვარისა
მისისა ვითარება, რომლისათვისცა მეფემან იმერეთისამან,
ამების მცნობელმან, აღილო ზომა სიცრთხილისა თვისისა და
დადგა უმჯობესისათვის, რათა განეშოროს ბადესა მას შე-
კრულსა ლინიაზედ მისდამი თვინიერ წერილისა თვისისა თვი-
სის კაცის ხელით გამოგზავნად თქვენისა უგანათლებულესო-
ბისადმი და მავნებელნი საქმენი იგი მათნი მიუტევა ლოთისა
სამართალსა, რათა მან გამოაჩინოს.

მართლმსაჭვლმან უფალმან არა დააგდო საქმენი იგი სა-
ვარსიმიძის მრავლის უკეთურების მაშენებელისანი ლიოთა-
განვე ნეტარხსენებულისა მეფისა სოლომონისათ და მიუშვა
იგი მიღებად მეზობლისა ჩვენისაგან აწ ახლისა პატივისა თა-
ვადობის მიცემით, რომლისაც მშებს ერთს კაპიტონობა იმისის
არტილერიისა და მეორეს პორულებიკობა მოუვიდათ და მი-
ეცათ, და გამოაჩენენ ამით მათ შორის შეკრულობასა.

ესე უკვე გვაძლევს სიმართლის მიზეზსა და ჩივილსა მო-
ხსენებად თქვენის უგანათლებულესობისა მიმართ, რამეთუ მი-
ზეზითა ამით მეზობელმან ჩვენმან მიიზიდნა ბადესა შინა
თვისისა მცხოვრებელნი ასტარხანს და ეგრეთვე ყიზლარს, მოს-
დოგს და მათ ლინიათა ზედა მყოფნი, რომელნიცა იმედეუ-
ლად საქმობენ გაგზან-გამოგზანითა წერილებისათა და ამით
უკვე აძლევენ ქვეყანასა ჩვენსა ვნებასა.

წინათვე თქვენს უგანათლებულესობას ამ მიზეზით მოვა-
სენ წერილით კიშენოვს, რათა გამოგზანილი წიგნი იმერე-
თიდამ თქვენთან გარდითარგმნებოდეს და არა ლინიაზედ,
რათა სიმართლით მოგხსენდესთ იმათიცა და ჩვენიც და ამით
განირჩიოს სიმართლით წყლულება წინააღმდეგთა.

და ჰეშმარიტებისათვის ვინათვან იმყოფების აქა არქი-
მანდრიტი გაიოს აღთქმით განმზადებული მეზობლისა ჩვე-
ნისაგან ალავერდის მიტროპოლიტად კახეთს შინა, რომელი-
ცა იმყოფების აქა მატყუარობითა და არა საშიახურითა, რა-

მეთე გამოაჩენს ესე ხსენებული მიტროპოლია მათცა ხსენებულთა სიმართლეთა ჩემთა.

იმერეთის დესპანი კნიაზ ბესარიონ გაბაოანელი

წელსა ჩრდი [1790], ოვესა მარტსა 8 [8].
ისსში.

ბრწყინვალეო ღრაფო!

მოწყალეო ხელმწიფე!

აზრი და ხათხოველი მეფისა ჩვენისა

1. რომელიც საქართველოს და რუსეთს შუა შეკრულება
და ტრაქტატი დაიდვა, უგრეთვე მეფე ჩვენი ითხოვს.

2. და შემდგომი სამეფო ნიშნები სრულებით, რომელიც
მის სიმაღლეს მეფე ირაკლის ებოძა.

3. ახალციხეს დასვათ რუსეთის კონსული, რათა არღა
შეიძლოს ოთამანის კარბან დაფარული მტერობა არცა გა-
რეგანით, არცა შინაგან ქვეყანასა ჩვენსა.

4. ბათუმს—გურიის ნავთსაყუდელზედ და ფოთს—ოდიშის
ნავთსაყუდელზედ სიტყვა ითქვას. და თუმცა ნებით გაუშვან,
უმჯობესია ჩვენთვის, და თუ არა, იმ ორს აღვილსაც რუსე-
თის კონსული დასვათ, რათა დააყენოთ ჩვენის ქვეყნე-
ბის ტყვის გაყიდვა იმ აღვილებში და ეგრეთვე სავაჭრო რუ-
სეთის ნავებიც მოვიდოდნენ ამ ხსენებულს ნავთსაყუდლებ-
ზედ.

5. აფხაზეთი დაიდვას თავისუფლად, რომელნიც ოსმალის
ხლმით დაპყრობილი არ არიან, და ნება მიეცესთ მათ, რო-
მელთაცა საქმე ჩვენ ვიცით, რომ მარე აღირჩევენ ქრისტია-
ნობას, და ისინიც, როგორც ჩვენ, საფარველსა ქვეშ რუსე-
თისა შემოვლენ და უხლმოდ მორჩილებას მიიღებენ. და
ესეც დაიდვას, რათა ამ აფხაზეთის ნავთსაყუდლებზედაც

¹ იგულისხმება ალექსანდრე ანდრიას ძე ბეზბოროვი.

რუსეთის ნავებმა ივაჭროს, რომლითაცა თქვენ მაღვ ნახავთ
სარგებელსა არამცირედსა.

6. უკეთუ უმაღლესმან კარმან რუსეთისამან დასდგას
ახლავ მფარველობა იმერეთზედ, ის უმჯობესი იქმნება, და
უკეთუ რომლისამე საქვეყნიეროს გასინჯვით ახლა განცხა-
დება არ ამჯობინოს, მაშა საიდუმლო შეკრულობა დაიდგას
იმერეთსა და რუსეთს შეუა, რათა სარგებლობა ორთავე დრომ-
ლინ საიდუმლოდ და დაფარულად მუშაյობდეს.

7. და რათა აქმდეს (sic) მას შეკრულებისა და განხსნისა
ნება ომისათვის მაკმაციანთა ზედა, რამეთუ მიზეზითა ამით
რუსეთი დაფარულს ძალს შეიმატებს ოსმალთა ვნებასა
ზედა, და არც ექმნება ვისმე მიზეზი, როგორც თოამანის კარს,
ეგრეთვე სხვათა ქვეყანათა, რომლითა მთელი ქვეყანა რუ-
სეთს ვერ უსაყველურებენ. და ამ სახის დადებით იმერეთის
ძალით ადვილათ წაერთმევის ხსენებული იგი ბათუმიც და
ფოთიც.

ბრწყინვალეო ღრაფო! ეს პუნქტები მის უგანათლებულე-
სობას კნახს მივართვი, როგორც მისი ანდერძი მექნდა, რო-
დესაც ჩემი ძმა მიიცვალა, იმისი ხელით დაწერილი, და კვა-
ლად თქვენს ბრწყინვალებას განუახლებ.

თქვენის ბრწყინვალების შახური, იმერეთის დესპანის მიცვალებუ-
ლის ძმა კნახ ს ვიმონ გაბაოვი.

შელთა 1791,
ლევან 3

[პლეზადრე ბათონიშვილის შალობის წიგნი]

ქ. სახელითა ერთარსისა სამგვამოვნებით ცნობილისა, სა-
ზიერებით კაციმოყვარისა მღვთისათა და ერთისა მის სამე-
ბისაგანისა სიბრძნისა ლვთისა ხორცებილისა დედამშობლისა
მარალის ქალწულისა მარიამ სასოისა ჩვენისათა. ესე უამთა
და წელ-ხრონინთა აღმასრულებელი წყალობის წიგნი
გიბოძეთ ჩვენ, მეფეთმეფისა ვახტანგის ძის ძემან და დიდად.

სახელოვანის მეფისა მღვთივ¹ კურთხეულისა ბაჭყარის
ძემან ბატონის შეილმან ალექსანდრ და შენ,
საქართველოს მკვიდრსა თავაღსა და ჩვენის დიდებულისა სახ-
ლისა ერთგულებისათვის თავდადებულსა, მამა ცეცხლითა
დამწვარსა კახის ბატონის ერკელს მიერ და შენ ხელით და
თვალით დაშავებულსა და მათგან ექსორიაქმნილსა და ჩვენ-
სა დიდ ერთგულებით მსახურებულსა ჩვენსა თავაღსა
თავდგირიდეს იესე ელისბარის ძეს და შვილ-
სა შენსა ელისბარს და ყოველთა სახლისა შენისა შთა-
მომავალთა, შვილთა და შეილისშვილთა.

აშე გვიბოძებია ჩვენი სახსოვ კეხვი გლეხითა და სამოსახ-
ლოთა ციხიან-მამულიანად, აჩაბეთი გლეხიან-მამულიანად,
სასახლით და ყოველის მისის საძებრით და უძებრით. ამათ
გარდა გიბოძეთ აზავეის ერისთვის მამულიდამ ქემერტმი
სრულად მინდიაშვილები მათის ალაგ-მამულით, ნასყიდით და
უსყიდით. კიდევ აზავეის მამულიდამ ურგებაულზედ გიბოძეთ
ფუტურაძისეული საკვამლო, დღეს რომ ბერი მინდიაშვილი
სახლობს, კიდევ იქავე თაზია ჯოხაძე თავისის სრულის მამუ-
ლით.

ესენი თქვენის დიდის ერთგულებისა და თავდადებულო-
ბისათვის გიშყალობეთ და გიბოძეთ, ოდეს ქუთაისს ძმისა ჩე-
მისა იმერეთისა მეფისა სოლომონისთანავე ვიყვენით. ამას
ეამსა ესენი გვიშყალობებიან და შემდგომალცა ამისსა სხვისა
წყალობისა მომლოდნედ იყოფოდეს ყოველი სახლი თქვენი.
და ოდეს მღვთივ წყალობათა შვილთა ჩვენთა ესე იხილნენ,
ჩვენებრვე ჩვენთა ერთგულთა ესრეთ დაგიმტკიცონ და შემ-
დგომთა ჩვენთა მეფეთა და დედუფალთა, თვინიერ წყალო-
ბისა და დამტკიცებისა, არა ხელყონ შლად, არცა რაისამე მო-
კლებად, ამისთვის რომ პირველ ყოველთასა ჩვენგან წყა-
ლობის წიგნი ანუ სიგელი კიდე ამისსა-ჯერებო არვისმე ჰბო-
ძებიან.

და ლმერომინ ყოველთამან ბედნიერ ქმნას და კეთილ, რა-
თა სხვათაცა შვილთა ჩემთა საქართველოსა თავაღთა, აზნა-

¹ დედანშია: მღვთივ.

ურთა, მსახურთა და გლეხთა თანად წმიდისა ეკლესიისა ჩვენისათა მიიღონ ჩვენგან და შეილთა ჩვენთაგან მდიდრად და უხევებით წყალობა, ამინ.

აღიწერა ხელითა ჩვენის ერთგულის გაბარანის აზნაურისა ბესარიონის მიერ თვესა მაისსა კა [21], წელსა ათას შეიდას ოთხმოცდაერთსა.

[ბეჭედი]

| დავით იმერთა მაფის წყალობის წიგნი |

ქ. წყალობითა ყოელად სახიერისა და ბუნებით მოწყალისა ღვთისათა ჩვენ, მღვთივ¹ დამყარებულმან იმერთა ზედა და თვიომფლობელმან, მეფე მან და ვითიან მან დავით ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ თქვენ ჩვენთა ერთგულთა აზნაურთა კიქნაძეს პაპუჩის შეილს ხოსისა და კიქნაძეს გიორგის შეილს ხოსისა და კიქნაძეს ბერის შეილს ზაუსტას ესრეთ და ესევითარად, რომ მოხევედი და გვევეღრენით, შეგვიწყალეთ და გიბოძეთ, არც საღმე თქვენი სამკვიდრო გლეხი იყოს ან ნაყიდი ან გირაო, ამაში თქვენთან სიტყვა აღარავის ჰქონდეს, თქვენთვის გვიბოძებია; თუ თქვენ ჩვენნი ერთგული იყვნეთ და ჩვენი გერჩიოსთ სხეს მებარონეს, გქონდეთ და გიბეღნიეროსთ ღმერთმან ჩვენსა ერთგულებასა და სამსახურსა შინა. და თუ ამაებში მოდავე ვინმე გამოჩინდეს, სამართალი არც თქვენ დაუჭიროთ, აწ არიან გამრიგენი და თანამოწამენი ჩვენნი თავადნი: ჩვენი სიძე ქსნის ერისთვის ძე ელისბარ, ერისთვის შეილი შოშიტა, აგიაშვილი ქაიხოსრო, აბაშიძე სეიმონ, აბაშიძე ზაალ და სხვანი ყოველნივე საჩინონი კარისა ჩვენისანი. და მე მდივანს გაბაშვილს ბესარიონს დამიწერის და მოწამეცა ვარ. მაისს ა [1], ქრისტეს აქათ ჩილპე [1785].

მეფე იმერთისა დავით

¹ დედანშია: მღუთუ.

[დავით იმპერატორის მაცის შეწირელობის წიგნი]

შენ, ქრისტეს მღვთისა სიტყვიერისა ვენახისა შეენიერსა
 რქისა, შეიდგზის უძლეველსა დიდსა მოწამესა ქრისტესსა,
 ილორისა მთავარმოწამესა გიორგის, ჩვენ მადლთა შენთა
 წმიდათა შეურყეველად სასოებისა¹ ზედა დასდებელმან და
 მიმდემად შეწევნისა შენისა მეძიებელმან მე ფემან ყოვ-
 ლისა საიმერეთოისამან დავითიან მან დავითიან მან და-
 ვით თანად ერთხორც ქმნილისა ჩვენთანა დედუფალიდე-
 დუფლისა ანნა ობრელ-ყაფლანიითა უბრწყინვალესისა ასუ-
 ლით ვიგულმოდგინეთ სულთა და ხორცთა ჩვენთა საოხად
 საძიებელი საქმე ესე, რომელიცა უწინარეს კურთხეულსა
 დიდსა მეფესა ალექსანდრეს სათნაყოფითა და კეთილსინა-
 დისითა თეისითა ხონს ჭავჭავაძინენი სახვანითქროს საურისა-
 გან შენი ყმანი თავისუფალ ექმნა და დღეთა და დროთა სი-
 კრძისაგან შენდა შემოწირულნი ყმანიც ავთა უამთა შეხდო-
 მით საოხროდ და უპატიოდ გაეხადათ და შეწირულთბის
 წიგნებიც სიძეველითა შეშლილი და განხრწნილ იყვნეს,
 ეგრეთვე კუს მჲსახლენი შენდა შეწირულნი გლეხნი სხვათა-
 გან იმსახურებოდნენ და შენს წმიდასა ეკლესიისა მოკლებულ
 ჰყავდენ. აშ მინდობილთა სახელისა შენისა წმიდასათა, და-
 ღო მხედარო მღვთისათ გიორგი, მრავალ ძიებით და სამართ-
 ლად გამოკვლევით ყოველნივე ყმანი შენი მოკითხულ ყვე-
 ნით და ერთად შეკერიბენით ხონს წმიდასა ეკლესიისა მოს-
 რულთა და თითოეულად სახელდებით აღვიწერეთ მსახურად
 ილორის ეკლესიისად და ამასთანა ძველნი წერილნი მეფეთანი
 შევამოწმენით. ვითარ აცხადებდა წერილი, შენაწირი დიდისა
 მეფისა ალექსანდრესი და მეორისა მეფისა ალექსანდრესიცა
 და კვალად სხვაი კურთხეულისა და ძლიერისა მეფისა სოლო-
 მონისი, რომელთაცა სიმართლით და სამართლად ასევე დაემ-
 ტკიცებინათ, გარჩა უზრუნველობითა და უპატიოებითა ფრი-
 ად დაძველებულ იყვნეს მეფეთა წერილნი, ხოლო ჩვენ წყა-
 ლობათა შენთა და შეწევნათა ოხისა მთხოველთა ჩვენც

¹ ხელნაწერშია: სასაობისა.

ესრეთვე ვითნენით და ესრეთ განვაგეთ და ესრეთ კეთილ-
განრჩევით დავამტკიცეთ პირველვე ესრეთ შეწირულია ყმა-
ნი შენი: ხონს მოსახლე გლეხი ჭამჭიანიძე კაკურია, მეორე
გლეხი ხონს ჭამჭიანიძე ივანა, მესამე გლეხი ხონს ჭამჭიანიძე
დავითა, მეოთხე გლეხი ხონს ჭამჭიანიძე სვიმონიკა, მეხუთე
გლეხი ხონს ჭამჭიანიძე ხუცესი სვიმონ, მეექცეს გლეხი ხონს
ჭამჭიანიძე მოგელიე, მეშვიდე გლეხი ხონს ჭავჭიანიძე სვი-
მონიკა, მერვე გლეხი ხონს ჭავჭიანიძე ვიორგი, მეცხრე გლე-
ხი ხონს ჭავჭიანიძე სვიმონიკა, მეათე გლეხი ხონს ჭავჭიანი-
ძე ვიორგი, მეათერთმეტე გლეხი ხონს ჭავჭიანიძე მოგელია,
მეათორმეტე გლეხი ხონს ჭავჭიანიძე მამისთვალი და მეათ-
ომეტე გლეხი ხონს ჭამჭიანიძე ვიორგელა; ამას გარდა კუს
მოსახლე ერთი გლეხი] კაკაბაძე მამისთვალი, მეორე გლე-
ხი კუს კაკაბაძე ხვიჩარე მესამე გლეხი კუს მოსახლე
ვიორგი, მეოთხე [გლეხი] კაკაბაძე, კუს მოსახლე მამისთვა-
ლა, და მეხუთე გლეხი კუს მოსახლე კაკაბაძე მახარობელ.
ესენი ერთობით გამოვიძიეთ და კვალად განგვიახლებია აშ
პირობით, რომ სამეფო საქვეყნოს სამსახურს გარდა,
რაც ბეგარა ან საუდიერო მართებდესთ შენაწირავის დავთ-
რის ილორის წმიდის გიორგის ეკლესიასა და ხატს მი-
ერთმეოდეს უნაკლულოდ, ასე რომ სხვას ხელი ამაში არა-
ვის ქონდეს; მეორედ ესრეთ, რომ ავის დროსა და უსამართ-
ლოებისაგან დიდის მეფის ალექსანდრეს ამოკვეთილი სახვან-
თქრო საური მრავალჯერ გარდახდოდათ და რთმეოდათ და
აშ ჩვენ მიერ არაოდესლა ეთხოვოს და არც გარდახდეს და
ყოვლითურთ სამსახურით შენს წმიდას ხატს მსახურებდენ
და შენსა წმიდასა ეკლესიასა შინა ყოველსა წელიწადს შენს
წმიდას დღესასწაულობას დღეს ჩვენთა სულთა და ხორც-
თავის ეამს გვიწირვიდენ და მოგვისენებდენ წინაშე ხა-
ტისა შენისა წმიდასა, რამეთუ ყოველივე სასოებაი ჩვენი შენ-
დამი დამოკიდებულ არს და შენითა ძლიერებითა დაესთრგუ-
ნავთ მტერთა ხილვადთა და უხილავთა. ამიერითგან ნუმცალა
ვინმე იქადრებენ მეფენი, ვინა დედუფალნი, ნუ უფლისწულ-
ნი და ნუცა მთავარი კადრებად და შლად ამისსა, რამეთუ დი-
დი შემწე არს მეფეთა და მსასოებელთა თვისთა; და სხვათა

მეფეთა და პირველ ჩეენსა ყოფილთა პატრონთაცა ესტეფანე
დაუმტკიცებიათ და ესრეთ განუგიათ. ხოლო უკეთე არა
რიდოს ვინმე და იყადროსმცა ხელყოფად და შეშლად ამისსა,
იყავნ კაცი იგი, გინა მდედრი, ქრისტეს სიტყვიერისა ვენა-
ხისაგან უცხო ქმნილ და მოკვეთილ, და შენმან ძლიერმან
ხელმან, დიღო მოწამეო ქრისტესო, დაკვეთენმცა მასვე წამ-
სა შინა პირდამართ მიწასა ზედან და ლრმამან დანახეთქმან
შთანთქენინ ხორცი მისნი და სულნი და ჩეენთა ბრალთა
წილმცა დასაჯენინ შენმან მაცხოვარმან დღესა მას საშინელსა
სამსჯავროისასა, ჰოი, ქრისტეს მდეთისა ჩეენისა მთავარმო-
წამეო გიორგი და რომელთაცა ესრეთ დაამტკიცონ და ყო-
ველი ამას შინა წერილი ესრეთ ჩეენებრვე აღასრულონ, შემ-
წე ეყავნ მათ ძლიერი მარჯვენე შენი და დაიცვენ შვიდგზის
უძლეველითა მკლავითა შენითა ყოველსა შინა ძრვისა და
დაწყნარებასა, ამინ.

აწ არიან მოწამედ ამისსა ღმერთი და ყოველნი სათნონი
მღვთისანი და კვალად ჩეენი სასონი წმიდანი და ყოვლად
სამღვდელონი: უფალი ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს,
გაენათელ მიტროპოლიტი უფალი ეფთვიმი და მთავარეპის-
კოპოსი უფალი ანტონი და ამათანა სამღვდელონიცა დასნი;
კვალად მოწამედ არიან ყოველნი დიდებულნი თავადნი და
სარდალ-მოურავნი ჩეენისა ამის ჭვეყანისანი, რომელთა თანა
უმაღლესისა ბრძანებითა მე ყოვლად უმდაბლესსა მონასა მე-
ფისისა. მდივანთუხუცესს გაბაშვილს ბესარიონს
დამიწერიან ხელითა ჩემითა განსაძლიერებლად ქეთილად მსა-
ხურისა და უმაღლესისა¹ მეფისა ჩეენისა თვესა ნოემბერსა
ოცდაერთსა, ქრისტეს აქათ ჩლპე (1785), დღესა შაბათსა.

მეცნ იმერეთისა დავით

¹ ხელნაწერშია: ხუმაღლესისა.



სეპტემბერი

კასტრული


იმპროტო შეცის დავითის მოგითხვის წიგნი

ქრისტე აღდგა, ბესარიონ!

ქ. სრულიად საიმერეთოს მეფე დავითის მარად
კეთილსაგონისო ძმათ, ქნაზ-მდინარო გაბაონელო, მრავალი
მოკითხვა და უცნიად სუფევის სიხარული მომისენებია. მერ-
მეთ ჩვენს ამბავს იყითხავ, ლექტის ნებით, როგორც შენ გია-
მება, ჩვენ და ჩვენი ქვეყანა ისე შშვიდობით და უჭირველათ
ვიმყოფებით. ამდენს ხანს შენი ამბავი რატომ არაფერი მო-
გვწერე? მგზავრი კაცი როგორ დაილევა, რომ ერთი წიგნი
არ გამოვიგზავნე და შენი ამბავი არაფერი გვაცოდინე? ლექტის ნებით, თუ შშვიდობით და უჭირველათ იყო, შენი ამ-
ბავი ყოველისფერი წიგნით გვაცნობე და შენი წამოსვლაც
სჯობს. თუ ლექტის ნება იქმნეს, წამოდი, ნულარ დაიკოვნი,
ამდენი ხნის მოცილება კმარის. პეტრე თეკლოის, რომელიც
ლინიაზედ იმყოფება, ჩვენთვის წიგნი მოწერა, ყოველად
მოწყალე ხელმწიფის გამარჯვება და ციხესიმის ძლება ეხარე-
ბინა. მის უკეთეს სასიხარულოს ჩას ვისმენდით?! ღმერთმან
მათი ხელმწიფობა უმეტესად აღამაღლოს მრავალს წელს,
მათი გამარჯვება და მოწყალება ჩვენ ნუ მოგვაყლოს შენი
შშვიდობის ამბავი ყოველისფერი წიგნათ მოგწერე.

ჭორონიკონის ნობთ [1789], მაისის

იმერეთის შეფე დავითი



[84032622 დავითი გიგაზე]

ქ. მდინარებელი დავით მრავალს მოკითხვას და აღრე ხილ-
ვას ნატრას მოგახსენებ. ჩვენ გვეცინოდი, მაგრამ თქვენ უ-
რთ დიდი ხანი დაიგვიანეთ.

Поступивший в должность покойного Имеретинского посланника Висариона Габаонова брат его Семен Габаонов, прилагая список о свите при нем находящейся, просит о производимом брату его жалованьи в день по десяти рублей, также и о невыданом ему за одиннадцать месяцев, а как при том и грузинский посланик князь Сулхан Туманов прежде довольствовались жалованьем по представлению моему, то потому и ныне осмеливаюсь донести вашему Графскому Сиятельству.

Премьер майор Семен Игнатьев

1791 года
декабря дня

В должности Имеретинского посланника князя Симеона Габаонова ко мне Игнатьеву следующего содержания писмо:

Прошу ваше высокоблагородие донесть его Графскому Сиятельству о крайностях как моих, так и свиты при мне находящейся с переводчиком, чрез не получение порциона сего года с февраля 1-го числа.

Его Графское Сиятельство утруждал я особоподанным писмом, в коем хотя и изъявил о причине крайности моей, но как оная увеличилась до такой степени, что лишился и дневного пропитания, то по долгу возлагая на вас труд,



прошу не оставить донесть и испросить благоволения его
графского Сиятельства в отпуске производимого нам порциона.

Переводил премьер майор Семен Игнатьев

декабря дня
1791 года

მაღალშობილო უფალო სიმონ იაგორიშვილი

ვითხოვ თქვენი მაღალშობილებისაგან ჩვენი გაჭირება მის
ღრაფობის ბრწყინვალებას გამოუცხადოთ და იმის ბრწყინვა-
ლებასაც მოხსენებული აქვს, რომ ამ წლის ულუფა თებერ-
ვლის პირველიდამ არ მოგვცემია მე და ეგრეთ ჩემთან მყოფს
პერონიქს. და ვითხოვ, რომ განუახლოთ მის ბრწყინვალებას
ღრაფს, რომ მეტად გვიკირს, დღიური საზრდელი არა გვაქვს,
და თანამდებობა გაქვს, რომ გამოუცხადოთ ჩემი გაჭირვება.

იმერეთის ელჩის მიცვალებულის ძა

კინაზი ს გიმონ გაბაოვი

დეკემბერს 18,
წელი 1791

ბრწყინვალეო ღრაფო,
მოწყალე ხელმწიფებრი

მისმა სიმაღლემ მეფემ იმერეთისამ დაეით წარმოგზავნა
მისის დიდებულების კარზე ჩემი უფროსი ძმა კნიაზი ვისა-
რიონ გაბაშვილი, რომელიც (sic) კრემენჩიქს მის უგანათ-
ლებულესობას წიგნები და ყოველივე მისი საოხოველი წე-
რილით გამოუცხადა, რომელიც აზრი შემოკლებით ამ
წიგნზი¹ ძევს. მერმედ ორ წელიწად შემდგომად მეფე

¹ იგულისხმება „აზრი და საოხოველი მეფისა ჩვენისა“, რომელიც
დაბეჭდილია აქვთ (გვ. 203-204).

იმერეთისა გამოსცეალეს და იმის ალაგს დაჯდა მეცე სოლომონის ძმისწული, არჩილის ძე, მეცე სოლომონ შეორე, ეგრეთვე იმის სიმაღლეს კურიელი გამოეგზავნა და ამ მდგომარეობითვე მიეღო ჩემი ძმა, მის უგანათლებულესობასთან წიგნი მოწერა და ისევ პირველივე აზრი და სახოველი და-ემტკიცებინა. მერმედ კრემენჩუკიდამ დაიბარა და ამ ჯარიანობაზე თან ახლდა განუშორებელად. მეწია უბედურება და ჩემი ძმა მიიცეალა იანვარს 25. კვალად მისის უგანათლებულესობისაგან ვითხოვე ჩემს ქვეყანაში გაშვება და მებრძანა სერ-გია ლაშარიჩის¹ პირით «მცირედს ხანს მომიცადეო და პეტრებრუხიდამ რომ გამოვბრუნდები, დაუყოვნებელად გაგისტუმრებ სრულის პასუხითავ». მერმედ ეს უბედურება მოიწია და უგანათლებულესი ქნიაზი მიიცეალა და დავრჩი შვიდის კა-ცით² ამ უცხოს ქვეყანაში. ეს თერთმეტი თვეა, რომ განწე-სებული ულუფაც ალარ მიგვიდია და, რაიცა გვაქმდა, ყოვე-ლივე განვსყიდეთ და ვართ უნუგეშოთ ამ მდგომარეობაში.

ვითხოვთ თქვენის ლრაფობის ბრწყინვალებისაგან, რომ დაუგდებელი ვიყოთ თქვენის მოწყალებისაგან.

თქვენის ბრწყინვალების უმდაბლესი მსახური, იმერეთის დესპანის ძმა
ქნიაზი სკიმონ გაბაშვილი

1791 წელთა,

3 დეკემბერს

1 ლაშეარაშვილის.

2 ზიცვალებულის იმერეთის ელჩის დარჩომილნი:

ქ. იმერეთის ელჩის მაგიერი სკიმონ გაბაოვე.

ქ. მის უგანათლებულესობასთან კათალიკოსისაგან ვამოგზავნილი ანტონი გაბაოვე.

ქ. ლევონტი ნიქარაძე.

ქ. აშირანაშვილი ივანე.

ქ. ლაშებისშვილი დავით.

ქ. დათუკა გძელიძე.

ქ. ივანე მეგრელი.

ქ. პეტერიშვილი აფიცარი ივანე მიქელაძე.

ტექსტის სამკანის

ბესიკის თხზულებათა სრული კრებული უკანასკენლად გამოქვეყნდა 1932 წელს (მესამე გამოცემა, ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქტიით). იმას ემყარება შემდეგლროინდელი შემოკლებული გამოცემები: 1940 წლისა (სასკოლო ბიბლიოთეკის სერიაში, ალ. ბარამიძის რედაქტიით) და 1948 წლისა (პოეტის ბიბლიოთეკის სერიაში, ლევან ასათიანის რედაქტიით).

ბესიკის თხზულებების, განსაკუთრებით ლირიკული ლექსების, გამოცემა მეტად ძნელი და რთული საქმეა. პოეტის ავტოგრაფები ცოტა მოგვეპოვება, ცალკეული ლექსები გაბნეულია შედარებით ვეინდელ მრავალრიცხოვან ხელნაწერ აღმომჩერით, ანთოლოგიებსა და ქრესტომათიებში. ბესიკი ძალიან პოპულარული პოეტი იყო, მას უკვე სიცოცხლეში ჰყავდა თაყვანისმცემელნი, მიმდევრები და მიმბაძველები. ამის გამო მისი ლექსების ერთი ნაწილი სხვების ნაწერებს შეერთა, ბესიკის მიაწერეს რიგი სხვისი ნაწარმოებნი. ნამდვილისა და მიწერილის გარჩევა აღვილი არ არის, ენობრივ-სტილისტიკური ანალიზის კრიტერიუმი სახიფათოა: ბესიკი მთელი სკოლის მეთაური გახდა, მიმბაძველები და უპიგონები

იმეორებდნენ მეთაურის ენობრივ-სტილისტიკურ თავისებუ-
რებებს. ოლნიშნულმა გარემოებამ გამოიწვია საჭიროება გა-
მოცემას დართოდა სპეციალური განყოფილება — სადაცონა.

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზე-
უმის (აწ ხელნაწერთა ინსტიტუტის) ხელნაწერთა ფონდების
აღწერილობათა გამოქვეყნებამ¹, ლენინგრადის სიძველეთს-
ცავთა ხელნაწერების შესწავლამ და უკანასკნელი დროის
კელევა-ძიებამ ბევრი რამ გააჩვენა და დააზუსტა ბესიეის
თხზულებების საკითხში.

წინამდებარე გამოცემისათვის მესამე გამოცემასთან შედა-
რებით რედაქციის მიერ დამატებით არის გამოყენებული შემ-
დეგი მასალები:

1. საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდ-
ნეობის ინსტიტუტის (ლენინგრადში) ქართულ ხელნაწერთა
ფონდი, კერძოდ ამ ფონდის ხელნაწერი E-23, თეიმურაზ
ბატონიშვილისეული კრებული². კრებულს დაუცავს თეიმუ-

¹ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღ-
წერილობა. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების
ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია). აკდ. ს. ჯანაშიას სა-
ერთო რედაქციით. ტომი I, დასაბეჭდად მომზადებულია ხელნაწერთა
განყოფილების თანამშრომლების ლ. ქუთათე ლაძისა და ნ. კას-
რაძის მიერ, ილ ۱۰ აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქ-
ციით, თბ. 1946; ტომი II, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული
ლ ۱۰ ქუთათე ლაძის მიერ, ილ ۱۰ აბულაძის რედაქ-
ციით, თბ. 1951; ტომი III, კორნელი კვარცის საერთო რე-
დაქციით, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული ქრისტინე
შარაშიძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ. 1948; ტომი
IV, კორნელი კვარცის საერთო რედაქციით, შეაღვინ ქრის-
ტინე შარაშიძემ, თბ. 1954; ტომი V, შედგენილია და დასა-
ბეჭდად მომზადებული ლუბა მეფარიშვილის მიერ, ალ. ბარა-
მიძის რედაქციით, თბ. 1949; ტომი VI, შედგენილია და დასაბეჭდად მომ-
ზადებული ნ. კასრაძის, ე. მეტრევალის, ლ. მეფარი-
შვილის, ლ. ქუთათე ლაძისა და ქ. შარაშიძის მიერ,
ალ. ბარამიძის რედაქციით, თბ. 1953; ყოფილი საეკლესიო მუ-
ზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია), ტომი V, ალექსანდრე ბა-
რამიძის რედაქციით, შეაღვინა ლ ۱۰ ლ ۱ ქუთათე ლაძემ, თბ. 1955.

² ამ კრებულის ფორმითი დაცულია საქართველოს სახელმწიფო
ლატერატურულ მუზეუმში.

რაზის ჩანაწერი: „ესენი შევაკვრევინე. საერო ლექსინი არიან, ზოგნი ძველნი და ზოგნი ახალნი, ზოგნი სალაფობელნი და ზოგნი საამიკონი, და რჩეულნი. წელსა 1819, ნოებრის 14, ქ' ქს ფზ, მეფის ძე თე იმურაზ. რაზნი სტიхи ი путешествие Иона Архиерея“. კრებული წარმოადგენს ერთგვარ ქრესტომათიას. შედგება სხვადასხვა პირის მიერ გადაწერილი რვეულებისაგან. ქრესტომათის მნიშვნელოვანი ნაწილი გადაუწერია თვითონ თეომურაზს. მასვე ეკუთვნის რიგი ჩანაწერები და შენიშვნები.

2. იმავე ფონდის ხელნაწერები M-5 და E-31. პირველი წარმოადგენს სვ. ტაბიძის მიერ გადაწერილ კრებულს. გადაწერის თარიღია 1837 წელი. მეორეც ლექსების კრებულია. გადაწერილი უნდა იყოს XIX საუკუნის პირველ მეოთხედში¹.

3. ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა ფონდი, გამსაკუთრებით ამ ფონდის ხელნაწერი კრებული № 18/23 (საბინძინის კოლექციისა). ამ კრებულის ერთი რვეული (გვ. 153—165) შეიცავს სპეციალურად ბესიკის ლექსებს. ისინი საყურადღებოა რედაქციულად. ბესიკის ლექსების შემცველი რვეულის ქაღალდის ჭვირნიშანი უჩვენებს 1806 წელს. ტექსტები გადმოწერილი უნდა იყოს ავტოგრაფიდან.

4. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის საკუთარი კოლექციის (Q) ხელნაწერების ფონდი. ამ ფონდის ხელნაწერებიდან დიდ ინტერესს იწვევს №№ 27 და 1067. № 27 ლექსების ალბომია, ფაქიზად არის გადაწერილი სოფიო მაყაშვილის მიერ 1868 წელს („ესე ლექსით ალბომი ეკუთვნის კნეიქნა სოფიო მაყაშვილის ასულს, გადიწერა იანვრის 20-სა 1868-სა წელსა“). № 1067 წარმოადგენს იოანე მამუჩიშვილის კრებულს. შედგენილია 1811—1813 წლებში, ძირითადად პეტერბურგში. კრებულის ერთი ნაწილი გადაწერილია „ქაღაქს ვარონიუს“. კრე-

¹ ამათი ფოტოპირებიც დაცულია საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში.

ბულში შეტანილია დღემდის უცნობი მწივნობრის მღვდლის ითანე მამუჩაშვილის საუთარი ნაწერები ლექსად. გარემონტირებული ინტერესს იწვევს მამუჩაშვილის თავგადასავალი, რაც გადმოცემულია ვრცელ ლექსში „უბედურებისა და ამ წუთისოფლის საჩივარი“. საყურადღებოა აგრეთვე „ანდერძი ითანე მამუჩაშვილისა“. ეს ლექსები ჩაგონებულია დავით გურამიშვილის მიერ (კრებულის პირველ ნაწილს შეადგენს „დავითიანის“ ტექსტი, გადმოწერილი 1811 წელს პეტერბურგში გურამიშვილის ცნობილი აეტოგრაფიდან). მამუჩაშვილის კრებულში მოიპოვება ბესიეს რამდენიმე ლექსი.

5. „კალმას თბა თბა“ ითვანე ბატონიშვილისა (ხელნაწერთა ინსტიტუტის S კოლექციის ხელნაწერი № 5375). „კალმას თბა თბა“ შემოუნახავს ბესიეს რამდენიმე ლექსი.

6. ქუთაისის სამხარეთმცოდნეო მუზეუმის ხელნაწერი № 580, გადაწერილია XIX საუკუნის შუა წლებში (ქალალდის ჭირინიშანი უჩვენებს 1840 წელს). ეს ხელნაწერი წარმოადგენს ალბომს. დაუკავს ბესიეს უცნობი ლექსები¹.

7. ბესიეს უცნობი ლექსები, გამოვლენილი იასე ცინკაძისა და ს. ყუბანევიშვილის მიერ.

8. ღოვანენტური მასალები ბესიეს შესახებ, რომლებიც გამოავლინეს რუსეთისა და საქართველოს სიძველეთსაცავებში ალ. ბარამიძემ², ი. ლორთქიფანიძემ³, ქ. სანიკიძემ⁴, შ. ბურჯანაძემ⁵ და ა. იოსელიანმა. *

¹ ქ. სანიკიძე, ახალი მასალები ბესიეს შესახებ (ა. წელუაიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VIII, 1948, გვ. 117 — 136).

² ბესიეს გარშემო (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, I, 1936, გვ. 149—162).

³ მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი II. მასალები საქართველოს ისტორიისათვის (მე-18 საუკ.), თბ. 1940.

⁴ დასახელებული წერილი, გვ. 121 — 124.

⁵ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული ღოვანენტები და არქივები. II. ისტორიული ღოვანენტები. ტექსტი შენიშვნებთა და საძიებლებითურთ გამოსაცემად მოამზადა შ. ბურჯანაძემ, თბ. 1953.

⁶ ბესიე და რუსეთ-ოსმალეთის ომი (1787 — 1791), გან. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 11. ს. 51.

უპირველეს ყოვლისა მნიშვნელოვნად იცხრილება ბესიკის სადავო ლექსების განყოფილება. ლილი ქუთათელაძემ გამოარყია, რომ სადავო ლექსების მოზრდილი ჯგუფი („მოგშორდი სულსა“, „ვართ კარგის მგონე“, „ამბავს ავწერ აღრინდელსა“, „აღვახვამ ქებად ბაგესა“, „როს განვიცადე, ტურფაო“, „მე სული ჩემი ფეშქაშად“) ეკუთვნის იმერთა ბატონიშვილს გიორგის (1778 — 1807), „ხუბმარდიანის“ ავტორს¹.

ახლა საკმაო საფუძვლიანობით შეიძლება ითქვას, რომ ბესიკს არ უნდა ეკუთვნოდეს სადავოთა ჯგუფის შემდეგი ლექსებიც: „მოით, მიჯნურნო“, „შეყრილან ერთად მკრთოლვარენი“, „როს განვიცადე ბედკრულმან“, „გულს ასხივე“, „ბაიათი“ („აწ ვიწყო ბაიათი“) და „გამტყორცნა სოფელმან“.

„მოით, მიჯნურნო“ს ბესიკს მიაწერს ხელნაწერიც № 390 H. ამ ხელნაწერის ძირითადი ნაწილი გადაწერილია დავით თუმანვის მიერ 1820 წელს (აღწერილობა, I, 291); მეორე ნაწილი, რომელიც შეიცავს სხვადასხვა ავტორის ლექსებს, უფრო გვიანდელია. ვადამწერი ცუდად ერკვევა ლექსების ავტორთა ვინაობაში. მაგალითად, ალექსანდრე ჭავჭავაძის ცნობილ ლექსს „ლოთებო, ნეტავი ჩეენა“ ჯერ თავში აწერია „თავადის იაგორ ეგნატის ძის თუმანვის თქმულია“² (გვ. 50), მხოლოდ ლექსის ბოლოშია შენიშნული „თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძის თქმულია“³. ბესიკის უდავო ლექსს „შავ გლაბ გულო“ ეს კრებული თვლის იოსებ ნაცელის თქმულად (აღწერილობა, I, 289). თეომწერაზ ბატონიშვილის ხელი ქრესტომათია (აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერი E-23), M-5 და E-31 „მოით, მიჯნურნო“ს

¹ ლილი ქუთათელაძე, ბესიკის ზოგიერთი „სადავო“ ლექსის აკრძალისთვის („მნათობი“, 1958, № 3, გვ. 113—125) (შდრ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H. კოლექცია), II, გვ. 245 — 247; III, გვ. 358—359); ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის IV სამეცნიერო სესიის მოხსენებათა ოშიხები, თბ. 1956, გვ. 6.

ავტორად აცხადებს ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილს. იგივე ქრესტომათია და M-5 იმავე ვახტანგ ბატონიშვილს აკუთ-ვნებს ავტორთვე ლექსს „შეყრილან ერთად მკრთოლვარენი“. ვახტანგისეულად თვლის მს ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელ-ნაწერი Q 851 (გადაწერილია XIX საუკუნის პირველ მეოთ-ხედში, დაუცავს ჩანაწერი 1819 წლისა). თეიმურაზისეული კრებულით ლირიკული ლექსის „როს განვიცადე ბედკრულ-მან“ ავტორად მიჩნეულია ლევან ბატონიშვილი. ლევანსავი აღიარებს ამ ლექსის ავტორად საბინინის კოლექციის ხელნა-წერიც № 18/23, E-31 და იოვანე ბატონიშვილის „კალმასო-ბა“¹; „გულს ასხივე“²ს ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნა-წერი S 1516 აკუთვნებს დაით ბატონიშვილს. „ბაიათს“ ბე-სიქს მიაწერენ მხოლოდ ზ. ჭიჭინაძისა და ს. გორგაძის გამო-ცემინი. არც ერთმა ხელნაწერმა ეს ვარაუდი არ დაადას-ტურა. „გამტყორუნა სოფელმან“ სხვადასხვა ჩედაქციით მო-იპოვება რიგ ხელნაწერებში (A 1610, A 1676 ბ, H 2661, S 1540, S 1576 გ, S 3688, S 3723). მაგრამ არსად არ შეგვხვედ-რია ჭიჭინაძისეული გამოცემის მექექსე სტროფი, სადაც მოხსენებულია ბესიკი („მე ბესიქს მესიზმრა საწუთო ვალ-თა“). სამავიეროდ ხელნაწერებში გვხვდება გამოცემით უც-ნობი საეჭვო ტაქტები:

მე მონა შევქმნილვარ ანტუანეტისა,
იგი სხვისთვის კვდება და მე მისთვისა.

„ალალებს ბაგებს“ და „ათენს ბნელს გულსა“, ოოგორც: ცნობილია, გარკვეულად მიაწერს ბესიქს ოსე გაბაშვილი (ბესიკი, მესამე გამოცემა, 1932, გვ. 179). ეტყობა, ოსე გა-ბაშვილზე დამყარებით ამასვე იმეორებს ითანე მამუჩაშვი-ლი. უფრო სარწმუნოა იოვანე ბატონიშვილი. იგი „ალალებს ბაგებს“ თვლის ვახტანგ ოჩბელიანის ნაწარმოებად². სხვათა-შორის, შევნიშნავთ, რომ ეს ლექსი მოიპოვება ვახტანგ.

¹ კალმასობა, I, კ. კვეთი იძისა და ალ. ბარამიძის რე-დაქციით, თბილისი, 1936, გვ. 299.

² კალმასობა, I, გვ. 290.

VI-ის კრებულში, რომელიც გადაწერილია მელქისედევგ ტაფ-
იანის მიერ არა უგვიანეს 1737 წლისა (ხელნაწერთა ინსტუ-
ტუტის Q 548, გვ. 263). ბესიკის თხზულებათა მესამე გამო-
ცემის შენიშვნებში (გვ. 179) აღნიშნული გვაქვს, რომ „ალა-
ლებს ბავებს“ და „ათენს ბნელს გულსა“ მოიპოვება ბესიკის
ავტოგრაფულ კრებულში ავტორწარწერილიდ „ვახტანგ თრ-
ბელიანისა“, „ვახტანგისავე“, ოლონდ შემდეგში წარწერანი
გადაუხაზავთ. ახლა ნათელი ხდება, რომ ეს წარწერანი სწო-
რად გამოხატავდნენ საქმის ვითარებას.

„სოლომონ მეფის ეპიტაფის“ ბესიკისადმი კუთვნილება
სადაც აღარაა. უკანასკნელ დროს აღმოჩნდა ამ ლექსის ბესი-
კისეული ავტოგრაფი (ხელნაწერთა ინსტიტუტის Q 337 გ').

ბესიკის სახელით გავრცელებული სამი ლექსი — „სევ-
დის ლაშქარი“, „ვნახე პირმზე“ და „ვაშა მას დლეს“ თუმცა
ერთი ავტორწარწერილიანი ალბომით (S 1540) მიეწერება
ჩვენს პოეტს, მაგრამ უფრო ძველი და უფრო სანდო ხელ-
ნაწერებით (S 1516, S 1543, S 3723) ისინი მოთავსებულია
დიმიტრი თუმანიშვილის ნაწერებში და იმასვე უნდა კუთვ-
ნოდნენ კიდევაც. განსაკუთრებით საყურადღებოა ხელნაწერი
S 1543². ამ ხელნაწერის ის ნაწილი, სადაც მოქცეულია დი-
მიტრი თუმანიშვილის ლექსები, მათ შორის სამი დასახელე-
ბული ლექსიც, გადაწერილია XIX საუკუნის პირველ მეოთ-
ხედში (ქალალდის ჭვირნიშანი უჩვენებს 1816 წელს). უკვე
ე. თაყაიშვილმა დაიმოწმა ამ ხელნაწერიდან დ. თუ-
მანიშვილის ჩანაწერი: „რაც ჩემგან ნათქუამი ლექსებია, ამის
ქვემოთ დამიწერია. მდივანი თუმანიშვილი“ (Описание...
II, 173). ე. თაყაიშვილს მოყვანილი აქვს ამ გვუფის ლექ-
სების დასაწყისი სტრიქონები (იქვე). მაგრამ აღმწერლის სია-
ძალზე ნაკლულია, კერძოდ მას გამორჩენა სამივე საკი-

¹ ალ. ბარაშიძე, ბესიკის გარშემო (თბ. სახ. უნივერსიტეტის
შრომები, 1, 1936, გვ. 162 — 163).

² გ. ლეონიძე თავის მონოგრაფიულ ნაჩვევები ეხება ამ ხელ-
ნაწერს, სწორად აფასებს მას, მაგრამ ასახელებს არაზესტად — S 1534
(ლიტერატურის მარანე, № 3—4, გვ. 430; ძიგბანი ჭართული ლიტერატუ-
რის ისტორიიდან, გვ. 258; ბესიკი. თბ. 1953, გვ. 114).

ლობელი ლექსი. თვითონ ჩანაწერიც არამც და ორამც ავტორული გრაფიკული არა. ლექსების ეს ჯგუფი ვიღაც ნაკლებად და ხელოვნებულ გადამწერს შეუსრულებია. აქ ტექსტები ძალიან დამახინებულია. ამისდა მიუხედავად, საეჭვო არ უნდა იყოს, რომ S 1543-ის ლექსები ავტოგრაფული რეკლამური მომდინარეობს. დიმიტრი თუმანიშვილის ნაწერების დასადგენად ამ ხელნაწერს აქვს დიდი მნიშვნელობა. S 1516 და S 3723 ხელნაწერების ტექსტები მოცულობის მხრით ძირითადად ემთხვევა S 1543 ხელნაწერს. სამივე ხელნაწერს შემოუნახავს სამივე საცილობელი ლექსი. ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ „სევდის ლაშქარი“, „ვნახე პირმზე“ და „ვაშა მას დღეს“ დიმიტრი თუმანიშვილისაა და არა ბესიკისა!

ბესიკის კრებულიდან ამოვიღეთ კიდევ ორი ლექსი: „აბლად ალვამქობ ალვამა“ და „მიწურვილობდა ზამთრისა ქამი“. პირველი არის დიმიტრი ბაგრატიონის ნაწარმოები და მოიპოვება იმის ავტოგრაფულ კრებულში (ლენინგრადის აღმოსავლეთ-მცირენობის ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა ფონდის № 82, ძველი შიფრით), მეორე ლექსი ცნობილია ერთადერთი ხელნაწერით, გრიგოლ ბატონიშვილის ანთოლოგით (H 2130). ანთოლოგის შემდგენელი ამ ლექსს უყოყმანოდ აუთვნებს ბესარიონ გაბაშვილს. ლექსის ერთი ნაწყვეტი იპოვა ი. გრიშაშვილმა ალ. ჭავჭავაძის ნაწერებში. ი. გრიშაშვილის დაკვირვებით, ამ ნაწყვეტის შემცველი ხელნაწერი უნდა წარმოადგენდეს ალ. ჭავჭავაძის ავტოგრაფს¹. ხელნაწერი მართლაც ტოვებს ავტოგრაფის შთაბეჭდილებას.

ორიოდე სიტყვა იმ ლექსის შესახებ, რომელიც იწყება სტრიქონით „ჰაერი ცივნამიანი“. ტექსტი შემოუნახავს რამდენიმე ხელნაწერს, მათ შორის ორი ეკუთვნის ბესიკის პირად მეგობარს, ცნობილ მდივანმწიგნობარსა და პოეტს და-

¹ ამ შერით არ გამართლდა ალწე გამოთქმული მოსაზრება (ალ. ბარამიძე, თუმანიშვილი თუ ბესიკი? „ლიტერატურული საქართველო“, 30. IX. 38).

² ალექსანდრე ჭავჭავაძე, თბილებანი. ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებით და ლექსიკონით, თბ. 1940, გვ. 310.

ვით რექტორს (S 1512, A 1164). დავით რექტორი როიფეხე, უფრო ბეჭითად A 1164 ხელნაწერის ტექსტის კომენტარში, ლექსს მაწერს ბესიქს და იმის წარმოშობას უკავშირებს კონკრეტულ გარემოებას. დავითი წერს: „ესეც (ე. ი. ლექსი „ჰაური ციცნამიანი“) რედ.) ბესარიონ გაბაონისაგან არის ნათქვამი სულარალისის ქალს მაითაზედ სიკვდილს შემდგომად. საბრალობელი თავის თავს [მაია იას] უძახდა და ბესარიონ მისი მეგობარი იყო და ეს ერთი შაირი კრემენჩუქს ეთქვა“¹. ამ ლექსის გამო თეიმურაშ ბატონიშვილი შენიშნავს (ლენინგრადის ომოსაკლეთმცოდნეობის იმსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა ფონდის E-23): „ძალუა ქეთევანის (ქ-ვნის). ნათქომი. ეს ანტონი კათოლიკოსმა² დამაწერინა, ქეთევან ბატონის სძლის ნათქომია, მუხრანბატონის ქალისა“. მაგრამ იმავე კრებულში სხვაგან სხვა ხელით მოყვანილია ოთხსტროფიანი ლექსი, რომლის ბოლო სტროფსაც წარმოადგენს „ჰაური ციცნამიანი“. მთელი ეს ოთხსტროფიანი ლექსი კი ამ შემთხვევაში მიეწერება მუხრანბატონის დედას ვარვარას: „მუხრანის (ბატონის)³ დედის ვარვარას ნათქვამი“. საქმის აქეთ ვითარებას ერთვის დავით რექტორის ერთვარი ყოფილი, რაც დასტურება S 1512 ხელნაწერის ტექსტის კომენტარს: „ესეც ბესარიონ გაბაშვილისაგან მგონია ნათქვამად სულარალისის ქალს მაითაზედ სიკვდილს შემდგომად. ჰაზრი იმასა ჰგავს და საბრალობელი თავის თავს მაია იას უძახდა და ბესარიონ მისი მეგობარი იყო და ეს ერთი შაირი კრემენჩუქს ეთქვა“⁴. ამ კომენტარში გამოხატული ყოფილის მაუხელავად დავით რექტორს კარგად სცოდნია, რომ ბესიქს კრემენჩუქში შეუთხზავს სამგლოვიარო ხასიათის ლექსი, როდესაც მაიას გარდაცვალების მბავი შეუტყვია. ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით არ მოიპოვება საქმიან საბუთი იმისა-თვის, რომ „ჰაური ციცნამიანი“ დავაცილოთ ბესიქის სახელს:

¹ ბ ე ს ი კ ი, თხზულებათა სრული კრებული, ამ. 1932, გვ. 121.

² ერეკლე შეორის ძემ.

³ დედანში ერთი სიტყვა წაშლილია და ვერ იცავს.

⁴ ბესიქი, 1932, გვ. 121.

წინა გამოცემებისგან განსხვავებით, წინამდებარე გამოცემა რამდენიმე ახალი ლექსი და დოკუმენტი. ბესიეს ერთი უცნობი ლექსია იმერთა მეფის სოლომონის ქება. ეს ლექსი აღმოჩნდა მოსკოვის სამხედრო-საისტორიო ოქივში ფელდმარშალ პოტიომპინის ფონდი, შეკვრა 3, საქმე № 6 1782 წლისა, ფურცელი 9). იგი იძოვა და რედაქციას გადმოსცა პროფ. იასე ცინცაძემ¹. მანვე გამოარქება, რომ „ქება“ შეთხხული უნდა იყოს 1782 წელს, როდესაც სოლომონ პირველი რუსეთის მთავრობამ დააჭილდოვა ორდენითა და ლენტით. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ბესიეს უდავო კუთვნილებას შეადგენს სოლომონ მეფის ეპიტაფიაც.

ბესიეს სამი უცნობი ლექსი გამოაქვეყნა ქეთევან სანიკოძემ². ესენია: „მზემ განრისხებით განმაშორა“, „არხევ ტანსა“, „ქუფრ დრომონნი“. სამ ახალ ლექსს მიაწერს ბესიეს ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი Q 27. როგორც ზემოთ ვთქვით, იგი ფაქიზად გადაწერილი აღმომა, აღმომის გადაწერი და პატრონი ყოფილა სოფიი მაყაშვილი. აღმომში ავტორშარწერილად შეტანილია ბესიეს რამდენიმე ლექსი, მათ შორის სამი უცნობია („დახე, მაისის ბულბულო“, „ეშხისა ზღვასა“, „რა ქმნას გულმან“). ბესიესეულად მითვლილი ეს სამი ლექსი ეჭვებს აღმრავს მხატვრული სრულყოფილობის თვალსაზრისით³. აღმომიც ძალზე ნაგვიანევია. ამიტომაც მათ ვბეჭდავთ „სადავო“ ლექსთა განყოფილებაში (ეს განყოფილება დავტოვეთ წინამდებარე გამოცემაშიც). კვლავ სადავოთა რიგში ვტოვებთ კიჭინაძისეული გამოცემის იმ ლექსებსაც, რომელთა ნაკვალევი ჯერჯერობით ხელნაწერებში არ ჩანს. სადავოშივე შეგვაქვს ქ. სანიკიძის მიერ გამოქვეყნებული ლექსებიც (შემოუნახავს ერთადერთ ნაგვიანევ ხელნაწერს).

¹ რისოფისაც დიდ მაღლობას მოვახსენებთ.

² ახალი მასალები ბესიეს შესახებ, გვ. 125 — 126.

³ ზოგჯერ ბესიეს პოეტერი ფრანგელოგის წაბაზულობაც იგრძნობა (შდრ, მავალითად „სევედის შალკოტს შეველ“ [„ეშხისა ზღვასა“] და „სევდის ზაუს შეველ“).

საქართველოს ცენტრალური ორგანიზაციის ფონდის ერთ საქმეში (№ 418) აღმოჩნდა ბესიების რომელიმაც უცნობი ლექსის ნაწყვეტი. შინაარსის მიხედვით იგი მიეკუთვნება ბესიების სატირული ლექსების ციკლს, კერძოდ, კაბუა ორბელიანის გასაკილავად შეთხშული ლექსების ციკლს. ტექსტი იპოვა და რედაქციას გადმოსცა დოც. ს. ყუბანევიშვილმა¹.

ყურადღებას იქცევს გრ. ფერაძის „ბესარიონ გაბაშვილის გამოუქვეყნებელი ლექსი“². ამ წერილში განხილულია ბოდლეიის სამკითხველოს (ოქსფორდში) ერთი ქართული ხელნაწერი კრებული, რომელიც გადაწერილი ყოფილა 1835 წელს ლუკა ისარლოვის მიერ (ხელნაწერი 1894 წელს ზ. ჭიჭიაძისაგან შეუძენია და ინგლისში წაუღია უორდჩობს). კრებულში, სხვათა შორის, შეტანილი ყოფილი ბესიების ერთი ავტორწარწერილი ლექსი („ვერისებრი შესხმა შენი“) და ორიც ავტორწარუწერელი, რომელთაც გრ. ფერაძე მიაწერს ბესიებს. პირველი უცნობი ლექსი წარმოადგენს სოლომონ მეფის ეპიტაფის („დიდ სოლომონ მეფის საფლავზე დაწერილი“). მოგვყავს ტექსტი მთლიანად და უცვლელად:

ამის ავი კაცი ვიუავ ტავე არეის ვაყიდვინე
შეიღი წლის ხელი ქათამი ხეს შეესვი და ვაყიდვე
მწემსი (?) ვასუქე ვაღიდე ჩიროს ქვეშ დავაძინეო
ოსმალს ქვეყნები წავართვი მათვან ხარაჯა ავილე
ამა საქმისა მოქმედმან ცხრა აღდი ტილი წავიღე.

გამომცემელი შენიშნავს: „თუმცა ამ მინაწერში ³ არაა ნათქვამი, რომ ეს ეპიტაფია უნდა ბ. გაბაშვილს ეკუთვნოდეს, მაგრამ ის დიდი მეგობრობა, რომელიც ამ ორ პიროვნებათა შორის არსებობდა, შესაძლებლად ხდის ამგვარ მოსაზრებას. ცნობილია იქამდისინ სამი ეპიტაფია⁴ ბესიების სოლომონ

¹ რისთვისაც დიდ მაღლობას მოვაძესნებთ.

² ფურნალი „ჯვარი ვაზისა“ (პარიზი, 1931, № 1, გვ. 19 — 24).

³ გელისბმობს მინაწერს: „დიდ სოლომონ მეფის საფლავზე დაწერილია“.

⁴ მხედველობაში აქვს სოლომონ მეფის ეპიტაფის ს. ი. ს. სტრომი (ბესიები, ს. გორგაძის რედაქციით, თბ. 1912, გვ. 161; ბესიები, თბ. 1932, გვ. 103).

პირველ, იმერთა მეფეზე (1752-1781); სამივე გამოცემულია მიერთა მიერთა მიერთა მიერთა (გვ. 21). მართალია, ბესიკი დახახლოებული იყო სოლომონთან, შეუთხზავს იმისი ქებაც და ეპიტაფიაც, მაგრამ ზემომოყვანილი ლექსი იმდენად უვარვისია (და თანაც ბოლო ორი ტაეპი ხალხურია), რომ ყოვლად შეუძლებელია იგი ბესიქს ეკუთვნოდეს.

გრ. ფერაძე უფრო დაბეჭითებით მიაწერს ბესიქს სატრატიალო შინაარსის მეორე უცნობ ლექსს. ამ ლექსის ტექსტიც აქ მთლიანად მოვცვავს, რადგანაც იგი მიუწვდომელია ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის (დაუსუით სასვენი ნიშნები, დავყავით სტროფებად, ცვლილებებს აღვნიშნავთ სქოლიოებში).

1

წარმდგეს რა ჰაზრთა შინა ის ერი,
ეტყვის გლას გულს: ოდეს მასთან ისერი,
აწ ნაცვლად შვებისა საკვდად ისერი,
მით გული უმეტეს ლახვარს ეგების. .

2

ვის მკეთრი (sic) უბნობა და თქმა ახს ენით,
მოწმეთ უბრძანეთ და უხუცესთ ახსენით,
სოფლით განაწირი საენად, ახ, სენით!
გრძნობა¹ ამას ყოველ ავლად ეგების.

3

ლტოლევილისა სამოსი ვინცა იცონა,
გულისთქმა ბაგითურთ მტკიცედ იცონა,
მარად ცრუმლით ლოცვა არა იცონა,
არ შთავარდეს საფრხესა მას ეგებ ის.

¹ დედანშია: ჰერძნობა.



4

ვის გსურს სოფლით იქმნა არა დაგული,
საღმრთოს სიბრძნეს მიეც გონი და გული,
ბოროტისთვის გრძნობა მტკიცედ დაგული,
ნეტარება ესრეთ მყოფთა ეგების!

5

ესრეთ იქმს საწუთრო ბევრ სახედ ავით,
ფრიად მის მკაცრ ჭვრეტა¹ ხამს სახედავით,
რეცა მაგალითი პყო სახე დავით.
მით განერო სოფლით, საცოტრო, ეგების.

6

დამტკიცებული პყოს ეს მარად მზერამან,
საწუთოს ბრუნვანი თქმად არ ეგების;
გით ბნელ პყო დღე ჩემი, განმყო მზე რა მან,
ესრეთ მომნდოთ მისთა მახედ ეგების.

7


ოდეს იწყოს ეტლმან ვისდა სადარად,
ელვარე პყოფს კრთოლვით სვიანთ საღარად;
უშიშრად ვალს, უნებს, ჰერნებს სად არად,
მუნით წვიმა-ჭეხა წინა ეგების.

8

სოფლის შვება ცხადი, ვინა იგავი,
დასასრულ განსკრინიტო, არის იგ² ავი;

¹ დედანშია: ჭვრეტა.

² დედანშია: იგი.



თუმცა მისნი ნივთნი სრულად იგავი,
უცილოდ განქარდეს, ბოლოდ ეგ ების.

9

სკე-ბედი, ვით ორთქლი, დამი¹ წამისა,
განაქროს სოფელმან და მიწამ ისა;
მას სიცრუედ იგ ვერ დამიწამისა,
ამიერ უმკვიდროდ ვინცა² ეგების.

10

საცოტრთა მანახთ ჰსწნა მან გალია,
შით განხერწნა სიცოცხლე და მან გალია;
მუხთლობით ლესული ჰსდვა მანგალია,
იავარძყო ვანი, სადღა ეგების?

მოყვანილი ტექსტის გამო გრ. ფერაძე საგანგებოდ აღნიშნავს: „ეს... უფრო გაცილებით ძლიერ მანქტერესებს და მსურს ამაზე სპეციალისტთა ყურადღება მივაქციო“ (გვ. 22). ქვემოთ ავტორი თავმდაბლურად აცხადებს: „თუმცა მე ქართულ საერო ლიტერატურის დარგში არ ვმუშაობ და ამის გამო ჩემს აზრს ისეთი მნიშვნელობა არ ექნება, როგორც ამ დარგში მომზავე სპეციალისტისას, მაგრამ ჩემის აზრით ეს ლექსი უნდა ეკუთხოდეს ბესიქს“. რედაქციის მოსაზრებით, ძლიერ საეჭვოა, რომ ბესიყი იყოს საცილობელი ლექსის ავტორი. ლექსი საერთოდ სუსტია. შინაარსობრივად მას ახასიათებს ბესიყისათვის შეუფერებელი სარწმუნოებრივი განწყობილების ტენდენცია („ვის გსურს სოფლით იქმნა არა დაგული, საღმრთოს სიბრძნეს მიეც გონი და გული“), არც არავითარი ფორმალური მინიშნება მოეპოვება ბესიყის ავტორობის სასარგებლოდ.

წინამდებარე გამოცემაში იბეჭდება ბესიყის მიერ შედგენილი, ან ბესიყის სახელთან დაკავშირებული რიგი მნიშვნე-

¹ გამომცემელი განმარტავს: ორთქლი.

² დედანიშია: ვინაცა.

ლოვანი დოკუმენტები. ორი საბუთი, სახელფობრ ბესიკის წერილი კრემბნიუქიდან 1788 წლის 2 ივნისის თარიღით ბრილადირისა და კავალერის გასილ სტეფანიჩის სახელზე და ფელდმარშალ პოტიომეინისადმი საიდუმლო მოხსენებითი ბარათი, შედგენილი კიშინიოვში („ყიშენევს“) 1789 წლის 14 ოქტომბერს, მოიპოვა და თავაზიანად დაუთმო რედაქციას დოც. ა. იოსელიანშა¹. ბესიკის ელჩიობისა და გარდაცვალების გარემოებას უკავშირდება ალ. ბარამიძის მიერ გამოქვეყნებული ერთი წყება საბუთებისა², რომლებიც ჩვენს გამოცემაშიც შევიდა. სამი საბუთი იბეჭდება ქ. სანიკიძის პუბლიკაციის კვალობაზე³. ბესიკის ორ მოხსენებითს ბარათს ვბეჭდავთ შ. ბურჯანაძის მიერ გამოქვეყნებული ტექსტის თანახმად⁴ (ოლონდ გავმართეთ დედნის მიხედვით).

ახალი ხელნაწერი მასალების მიხედვით აქა-იქ შესწორდა ბესიკის თხზულებათა წინანდელი გამოცემების ტექსტი. სანიმუშოდ დავსახელებთ ბესიკის ცნობილ ლექსს „ტრემლთა ისარნი“ (სათაური მიღებულია ლექსის პირველი ტაქის პირველი ორი სიტყვისაგან). რიგი წინათ გამოყენებული ხელნაწერები, იოვანე ბატონიშვილის „კალმასობა“ და ლენინგრადული ნუსხები (თეიმურაზისეული კრებული E-23, აგრეთვე E-31 და M-5) იძლევა წაკითხვას „ტრემლთა ისარნი“. ეს წაკითხვა სწორია ფორმითაც და შინაარსითაც. მოგვავს მოელი ტაქის ტექსტი:

ტრემლთა ის ხარნი, მოსის ხარნი, ჩვენდა არენით.

¹ რისთვისაც დიდ მაღლობას მოვახსენებთ. საბუთის დედნები დაცულია სსრკ შსს საარქიერ სამმართველოს ძეველი საბუთების ცენტრალური არქივის პოტიომეინის ფონდში (ა. ი თ. ე ლ ი ა ნ ი, ბესიკი და რუსთოსმალეთის ოში, გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“, 11. XI. 51).

² ბესიკის გარშემო (თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 1936, გვ. 157—162).

³ ახალი შასალები ბესიკის შესახებ (ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VIII, 1948, გვ. 121 — 124).

⁴ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები. II. ისტორიული დოკუმენტები, თბ. 1953, გვ. 14 — 16.

ის ხარის შინაგანად ერთომება სიტყვას მოსის-
ხარის. ამიტომაც ხანი („ისხარნი“) ტექსტისათვის საჭი-
როა. სიტყვის ამ ფორმას საკუთხებით ამართლებს მისი შინა-
არსი. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ის ხარი ეწო-
დება აღრე მომდარებელ ჩეარ წვიმას. გამოდის შვენი-
ერი მეტაფორა. აღდგენილი ტექსტი უნაკლოა აზრობრი-
ვადაც და ფორმითაც. საგულისხმო ისიცაა, რომ ლექსის ბო-
ლო ტაეპი არსებითად იმეორებს ამავე პოეტურ ფიგურას:
„მოყვასთა ცრე მლნი სწვიმეთ“. მაშასადამე, ტესქტი
იხსნება და იხტორება ერთნაირი მეტაფორით. ახლებურ წა-
კითხვებს მხარს უჭერს ლექსის კომპოზიცია.

ხელნაწერებზე დამყარებით გავმართეთ „ცრემლთა ისხა-
რნის“ სხვა აღგილებიც:

„ვა კიდევანთა, ესდენ თქმათა გლოვისა ხმანო“ (2, 3)
ახალ გამოცემაში ასე იყითხება: „ვა კიდევანთა, ესდენ ხან-
თა გლოვისა ხმანო“. „ესდენ ხანთა“ს უპირატესობა აშკა-
რაა და ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. მე-4 სტროფის
ბოლო ტაეპში ნათქვამია: „ამ დღე-ღამითა და ეამითა და-
ემწარე ნით“. დაყოფილი სიტყვის ნაცვლად ახალ გა-
მოცემაში მივიღეთ „დავიმწარენით“. ეს ფორმა იმიტომაა
სწორი, რომ პოეტი საკუთარ გულის წუხილს გამოთქვამს.

მოვიყვანთ ტექსტის გამართვის ორიოდე მაგალითს და-
ვით ორბელიანისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლიდან. აღ-
დგენილია „აჯა-ქენვის“ ერთი დაკლებული ტაეპი. თვითონ
გამოთქმა „აჯა-ქენვით“ წინა გამოცემებში დაბეჭდილია
დამახინჯებულად „აჯა-ქენვით“. ქენვა იმავე მნიშვნე-
ლობის სიტყვაა, რაც აჯა. აქ გვიქვს ე. წ. სინონიმური პა-
რალელიზმი. ტექსტი გაიმართა საბინინდეული ხელნაწერისა
და მურაჩაშეილის ნუსხის მიხედვით. საბინინდეული ხელ-
ნაწერი საუცხოოდ ასწორებს ბესიკის ერთი ცნობილი ლექ-
სის უაზრო ტექსტს. ეს ლექსია (ძველი სათაურით) „რაც მი-
იშერა სოფელმან“. საბინინდეული ხელნაწერი ამის სანაცვ-
ლოდ გვაძლევს: „რაც მიირე წა სოფელმან“. სულხან-სა-
ბა ორბელიანის განმარტებით მორე წა ნიშნავს „ხელფასის

ალებას“. პოეტი ამბობს: „რაც მიიჩენა სოფელმან, ვერდა დავსთვალე ჰამრითა“ (წინა გამოცემებშია: ამრითა). ჰამრობა აღრიცხვაა (საბა). პოეტი ჩივის: რაც სასყიდელი მიიღო (ჩემგან) წუთისოფელმა¹, იგი ვერ აღვრიცხეო. ფორმაც გამოართა და შინაარსიც ნათელი გახდა. „ცეცხლისა კვალთა“ („მნათობთაღმი“, 2, 3) გავსწორეთ საბინინძეული ხელნაწერის მიხედვით გამოთქმით „ცეცხლისა კვამლთა“.

აღნიშნულ ხელნაწერზე დამყარებით ახლებურადაა წარმოდგენილი მთელი ციკლის ლექსების თანამიმდევრობა. ცვლალებებია შეტანილი წინამდებარე გამოცემის ტექსტის საერთო დალაგებაშიც.

როგორც ვხედავთ, ეს ახალი გამოცემა რამდენადაც შეიძლება უფრო სრულყოფილია. მთელი ტექსტი ხელახლა შედარებულია მანამდე ცნობილ და შემდეგ მოძიებულ ხელნაწერებთან და მათზე დამყარებით დაზუსტებულია რიგი ადგილები, გათვალისწინებულია შემდგომ ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგები. რედაქციამ საერთოდ თავი შეიკავა ტექსტის ხელყოფისაგან და მასში ნებისმიერი ცვლილების შეტანისაგან, გაასწორა მხოლოდ აშკარა შეცდომები. რედაქციამ ანგარიში არ გაუწია იმ კრიტიკულ შენიშვნებს, რომლებიც დაუსაბუთებლად და ამდენადვე უმართებულოდ გამოითქვა წინა გამოცემის თაობაზე².

წინამდებარე გამოცემაში დამატებით არის გამოყენებული შემდეგი ხელნაწერები³.

1 ე. ი. რაც ვირი, განსაცდელი მომაყენა წუთისოფელმან.

2 გ. ლეონიძე, ბესიე, თბ. 1953, გვ. 114—115 (ვასახელებთ მონოგრაფიას, რომელიც რამდენჯერმე ვამოიცა); შ. ბურგანიძე, ისტორიული დოკუმენტები, გვ. 14—16; შდრ. ისტორიული დოკუმენტები იშერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა, ტექსტი გამოსცა შ. ბურგანიძემ, თბ. 1953, გვ. 11, შენიშვნა.

3 ხელნაწერი H 2540, რომელიც შეიცავს „სამძიმრის“ ტექსტს, წარმოადგენს აეტოგრაფს.

M — ითანე მამუჩაშვილის კრებული (ხელნაწერთა 196-
სტიტუტის Q 1067).

T — თემურაშ ბატონიშვილის კრებული (ლენინგრა-
დის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერი
E-23).

J — იოვანე ბატონიშვილის „კალმასობა“ (ხელნაწერ-
თა ინსტიტუტის S 5375).

S — საბინინისეული ხელნაწერი (ლენინგრადის სალტი-
კოვ-შჩედრინის სახელობის საფარო ბიბლიოთეკის საბინინისე-
ული ფონდის ხელნაწერი №18/23).

ST — სვიმონ ტაბიძის ხელნაწერი კრებული (ლენინ-
გრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერი
M-5).

E-31 — იმავე ფონდის ხელნაწერი კრებული XIX საუ-
კუნის პირველი მეოთხედისა.

ბასიპის ავტოგრაფი

ე, აუგა რა მარჯვე კა გარებრივი და გარებრივი და კა მარ-
ჯვე კა; ნა კა გარებრივი და გარებრივი და კა მარებრი და კა
მარებრი და კა მარებრი და კა მარებრი და კა მარებრი და კა
მარებრი და კა მარებრი და კა მარებრი და კა მარებრი და კა
მარებრი და კა მარებრი და კა მარებრი და კა მარებრი და კა
მარებრი და კა მარებრი და კა მარებრი და კა მარებრი და კა

ბასიპის ხელმოწვევა

ამ კავშირ იმავე გარებრივი კა მარებრი და კა მარებრი

გერმანიული გვარების შეკვეთი

უმთავრესი ლიტერატურა გენეზის ცხოვრებისა და
უმთავრესი ცხოვრების შესახებ

1. С. Д. Бурнашев, Картина Грузии или описание политического состояния царств Карталинского и Кахетинского, Тифлис, 1896.
2. თავგადასვალი იესე ოსეს-შვილისა, სარგის კაქა-ბაძის გამოცემა, თბ. 1913; იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი. ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და სამიებლებით ავთანდილ იოსე-ლიანმა, თბ. 1950.
3. იოვანე ბატონიშვილი, კალმასობა, I, ქ. კეჩელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, თბ. 1936.
4. გმოსვლა ანუ მგზავრობა იონა რუსისა შიტროპოლიტისა, 3. იოსელიანის გამოცემა, თბ. 1852.
5. ოსე გაბაშვილის წერილები ანა დედოფალთან, ს. კაქაბაძის გამოცემა, თბილისი (1913).
6. Евгений (Болховитинов), Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ея состоянии, СПб. 1802.

7. მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა, მ. ჯანაშვილის გამოცემა, თბ. 1905; დავით ბატონიშვილი, ახლი ისტორია. ბაგრატ ბატონიშვილი, ახლი მოთხოვბა. გამოსცა თამარ ლომურიმა, თბ. 1941.
8. კატალოგი წიგნთაცავისა თეიმურაზ ბატონიშვილისა. დამზადა ვამოსაცემად, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურჩო ს. იორდანიშვილმა, თბ. 1948.
9. П. Г. Бутков, Материалы для новой истории Кавказа, СПб. 1869, I, II, III.
10. М. Броссе, Взгляд на историю и литературу Грузии (ЖМНП, 1838, VII).
11. მისივე, Histoire de la Géorgie, II, 1857.
12. დ. ჩუბინთვი, ქართული ქრისტიანობა, სანქტეპერებურლს 1846, II (ვირველი გამოცემა); 1863, II (მეორე გამოცემა).
13. პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ. 1895; პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აქეთ გაწერელის შესავალი წერილით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ. 1936.
14. ჭ. ჭიჭინაძე, წერილი რედაქტორთა (ბესიკის თხზულებათა გამოცემის გამო), გაზ. „დროება“, 1885, № 152.
15. ივ. როსტომაშვილი, ბესიკი (რუსულ-ქართულ ენციკლოპედიურ ლექსიკონში, IV), 1899.
16. А. Цагарели, Грамоты и другие исторические документы, т. II, в. II, СПб. 1902.
17. თ. ეთრდანი, Описание рукописей церковного музея, I, 1903.
18. ე. თაუაშვილი, Описание рукописей „Общества распространения грамотности среди грузинского населения“, II, 1906-1912.
19. მისივე, არხეოლოგიური. მოგზაურობანი და შენიშვნანი, თბ. 1907.
20. მისივე, საქართველოს სიძველენი, III, თბ. 1910.
21. ეგრი [იონა შეუნარვია], ახლად ნაპოვნი ლექსიები მე-

- თვრამეტე საუკუნის ნიჭირის მწერლის პესარიონ გამაჲ
შვილისა, რომელიც ცნობილია ბესიქად („ოვერიაშ“,
1886, № 198).
22. ისტორიული ღოյუმენტები („ივერია“, 1902, № 116).
23. А. Хаханов, Очерки по истории грузинской словесности, III, Москва, 1901.
24. მისივე, ქართული სიტყვიერების ისტორია (უძველესი
დროიდან XVIII საუკ. გასულამდე), თბ. 1913 (მეორე
გამოცემა).
25. М. Г. Джанашвили, К материалам по истории
и древностям Грузии и России, Тифлис, 1912.
26. Б. Б. ზაქარია ჭიჭინაშვილი, სრულიად საქართველოს მწე-
რალთა კავშირის საბჭოს (საიუბილეო) გამოცემა, თბ.
1922.
27. ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტო-
რია, I, თბილისი — ქუთაისი, 1925.
28. აკაკი წერეთელი, ჩხერილი ნაწერები, II (1926).
IV (1928).
29. Г. Гарели, Из грузинской литературы XVIII
века (О радостях жизни и о Бесики, их томном певце),
„Закавказье“, 1911, №№ 275, 276.
30. ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს
ისტორიისათვის, I, თბ. 1914.
31. ი. გრიშაშვილი, საიათოვა, თბ. 1918.
32. ალ. თორაძე, ბესიქის (ბესარიონ გაბაშვილის) ცხოვ-
რება და შემოქმედება, ქუთაისი, 1919.
33. ი. პაპავი, „შენგან გვაჩინა გულებსა ხაზი“ (ბესიქის
პორტრეტისათვის), გაზ. „ლომისი“, 1923, № 27.
34. ს. გორგაძე, მასალები ბესიქის ბიოგრაფიისა და
კრიტიკული ტექსტისათვის (გაზ. „ბახტრიონი“, 1922,
№ 1).
35. მისივე, ბესარიონ გაბაშვილის დღემდე უცნობი სამ-
გლოვიარო ოდა „სამძიმერია“ („მნათობი“, 1924, № 7—8).
36. მისივე, ბესარიონ გაბაშვილის (ბესიქის) ახლად აღ-
მოჩენილი ლექსები და ავტოგრაფები („ჩვენი მეცნიერე-
ბა“, წელიწადი II, № 1, 1924).

37. მისივე, ერთი საღავო საკითხის გამო ბესიკის ცხოვ-
რებიდან და შემოქმედებიდან (ცურნალი „ქართული
მწერლობა“, 1927, № 2).
38. ნ. ნიკოლაძე, ჩხერილი ნაწერები, I, ს. ხუნდაძის
რედაციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, თბ. 1931.
39. კ. კიკელაძე, ქართული ლიტერატურის ისტორია,
II, 1924, 1941, 1952.
40. თ. ბეგივილი, ქართული სიტყვიერების ისტორია,
II, თბ. 1931.
41. გრ. ფერაძე, ბესარიონ გაბაშვილის გამოუქვეყნებელი
ლექსი (ცურნალი „ჭვარი ვაზისა“, პარიზი, 1931, № 1).
42. ა. გაწერელია, ბესიკი (თხზულებათა კრებულის
გამოცემის გამო) („მნათობი“, 1932, № 10—12).
43. მისივე, ნარკვევები ქართული პოეტიკიდან, თბ. 1938.
44. გ. ლეონიძე, ბესიკი, მარმონტელი და ლესაკი („ლი-
ტერატურული საქართველო“, 30. IX. 38).
45. მისივე, ბესიკი („ლიტერატურული საქართველო“,
11. IV. 41).
46. მისივე, ბესიკი (მონოგრაფია) („ლიტერატურული მა-
ტიანე“, წიგნი 3—4, 1942, გვ. 341—432. იგივე ნაშრომი
შევიდა გ. ლეონიძის წიგნში „ძიებანი ქართული ლიტე-
რატურის ისტორიიდან“, თბ. 1949, აგრეთვე წიგნში „გა-
მოკვლევები და წერილები“, თბილისი, 1958, და ცალკეც
დაიბეჭდა, თბ. 1953).
47. ალ. ბარამიძე, ბესიკის გარშემო („თბ. სახ. უნივერსი-
ტეტის შრომები“, I, 1936; იხ. აგრეთვე ნარკვევები ქარ-
თული ლიტერატურის ისტორიიდან, II, 1940).
48. მისივე, ისევ ბესიკის გარშემო (გ. ლეონიძის მონო-
გრაფიის გამო) („თბ. სახ. უნივ. შრომები“, ტ. 43, 1951;
აგრეთვე ნარკვევები, III, 1952).
49. მისივე, ბესიკი („ლიტერატურული საქართველო“, 20.
1. 39).
50. მისივე, თუმანიშვილი თუ ბესიკი? („ლიტერატურუ-
ლი საქართველო“, 30. IX. 38).
51. მისივე, ბესარიონ გაბაშვილი (იქვე, 7. II. 41).

52. მისი ცენტრ, Жизнь и творчество Бесики („Заря Востока“, 4. II. 41).
53. მისი ცენტრ, ბესარიონ გაბაშვილი (გაზ. „კომუნისტი“, 12. II. 46).
54. მიხ. ხელთუბნელი, ბესიკი თუ დ. თუმანიშვილი? („ლიტერატურული საქართველო“, 1. XI. 38).
55. ტ. რუხაძე, ბესიკი და მე-18 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-19 საუკუნის დამდეგის ქართული პოეზია („ლიტერატურული საქართველო“, 7. II. 41).
56. ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რეაქციით, წინათქმით, შენიშვნებით და ლექსიკონით, თბ. 1940.
57. ი. ლორთქიფანიძე, მასალები საქართველოს ისტორიისათვის (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი II, თბ. 1941).
58. ს. იორდანიშვილი, ბესიკის 2 ლექსის განმარტებისათვის („მნათობი“, 1942, № 9).
59. ქ. ქეჩელიძე, კილვ „ატადეს“ შესახებ („ლიტერატურული საქართველო“, 2. XII. 42).
60. ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, I, თბ. 1938.
61. მისი ცენტრ, ძლევაი (რუმინია-ბულგარეთში მოგზაურობიდან), თბ. 1949.
62. ო. გიგინეიშვილი, ბესიკის საფლავი („ლიტერატურა და ხელოვნება“, 9. X. 49).
63. ა. კაცაძე, ბესიკი („ახალგაზრდა კომუნისტი“, 17. II. 46).
64. ქ. სანიკიძე, ახალი მასალები ბესიკის შესახებ („ქუთაისის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები“, VIII, ქუთაისი, 1948).
65. ა. იოსელიანი, ბესიკი და რუსეთ-ოსმალეთის ომი (1787—1791) („ლიტერატურა და ხელოვნება“, 11. XI. 51).
66. შ. ბურჯანაძე, ბესიკის დაბადების თარიღი („მიმმხილველი“, II, 1951).
67. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დო-

კუმენტები და არქივები. II. ისტორიული დოკუმენტები. ტექსტი შენიშვნებითა და საძიებლებითურთ გამოსაცემად მოამზადა შ. ბურჯანაძემ, თბ. 1953.

68. კ. ე. კ. ლ. ი. ძ. ე., ა. ბარამი. ძველი ქართული მწერლობის ისტორია (V — XVIII სს.), თბ. 1954.
69. ნ. მაისურა. ძ. მწიგნობარ გაბაშვილთა ოჯახი („ქუთაისის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები“, ტ. XIV, 1955).
70. გ. ლ. ე. ო. ნ. ი. ძ. ე., ბესიქ გაბაშვილი იასში („ლიტერატურული განეთი“, 29. VI. 56).
71. ლილი ქუთათე ლ. ა. ძ. ე., ბესიქის ზოგიერთი საღავო, ლექსის აერორისათვის („მნათობი“, 1958, № 3, გვ. 113—125).
72. ლაზარ ბენე ში, ძვირფასი ისტორიული ძეგლი (გაზ. „კომუნისტი“, 9. VIII. 58).
73. ბესიქისალმი მიძღვნილი საღამო იასში (გაზ. „თბილისი“, 24. III. 59).
74. ს. ლ. ე. კ. ი. შვილი, ორი ქართული მელოდიის უცნობი სანოტო ჩანაწერი („დროშა“, 1960, № 1, გვ. 18).
75. ოთარ ქინქ ლ. ა. ძ. ე., ბესიქის საფლავი („ცისკარი“, 1961, № 8, გვ. 112—115).

ბესიკის თხზულებათა გამოცემანის რეალობის
და მიმღებელის შემთხვევა

1

ბესიკი

ლექსინი, თქმული ბესარიონ გაბაშვილისაგან
გამოცემული ჭ. ჭიჭინაძისაგან
თბილისი, 1885, გვ. 66.

2

ბესიკი

გამოცემა ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობის საზოგადოებისა
ს. რ. გორგაძის რედაქციით
თბილისი, 1912, XXXVI+234+II გვ.

3

ბესარიონ გაბაშვილი

თხზულებათა სრული კრებული
ტექსტი. გამოკვლევა. შენიშვნები. ლექსიკონი.
ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას
რედაქციით
თბილისი, 1932, 076+240 გვ.

4

ბესიკი

ლექსიები

ალ. ბარამიძის წინასიტყვაობითა და რედაქციით
სასკოლო ბიბლიოთეკა
თბილისი, 1940, გვ. 49.

5

ბესიკი

ლ. ასათიანის რედაქციით

პოეტის ბიბლიოთეკა

თბილისი, 1948, XII+149 გვ.

ბესიკის ლექსიები დაბეჭდილია დ. ჩუბინაშვილისა და
ს. გორგაძის ქრესტომათიებში, ია ეკალაძის ანთოლოგიაში (III), ა. შანიძის, ალ. ბარამიძისა და ილ. აბულაძის „ძველ
ქართულ ენასა და ლიტერატურაში“ და კრებულში „ჩვენი
საუნჯე“, ტ. V, თბილისი, 1960, გვ. 375 — 390.

საქართველო კულტურული

დღის ბალ 2020

(ხელნაწერები J, T, E-31, ST)

- 1,8 მახვილგანაწონები] მახვილს განაწონები J.
2,1 ვჰქითხე] ვჰქითხენ T; 2,2 რად უქმენ] რა უქმენ J; 2,3 ენახე] ენახენ T.
2,5 გულებსა] გულებთა J. ყოველი მომდევნო სტროფის დასასრულს J ურთავს პირველი სტროფის მე-8 და მე-9 ტაქტების ტექსტს.
3,4 პოვნად] პოვად T; 3,9 მომიგონა] მომიგონე ST.
4,1 ვნახე] ვნახენ T.
მე 4 სტროფის მე-6 და მე-7 ტაქტების ადგილი მესამე გამოცემში შენაცვლებულია. ტაქტების ახლებური და-ლაგება ემყარება T-ს.
4,6 თავი მოგწონდა, გვყანდი (sic) ნებითა E-31.
5,8 ბესიკი] მაჯნუნ ვარ T; 5,8 ვემალები] ვებრალები ST.

¹ ვართანტებისათვის მხედველობაში მიღებულია ის ხელნაწერები, რომლებიც რედაქტირამ დამატებით გამოიყენა წინამდებარე გამოცემისათვის.

ეს მიზნები მაგას შესა ბრალებსა

ეროვნული
სახატო მუზეუმი

(ხელნაწერები T, E-31, ST)

- 1,4 ძველსა] ძნელსა T; ვარდის კვალებსა] ვარდის კარებ-
სა ST, მისსა თვალებსა T (აქ უბრალო ლაფსუსია, ეს
სიტყვები თავის ადგილასაა 1,8).
- 1,9 რად არ შეეწვი მასსა ალებსა E-31, ST.
- 2,6 გინდა იაფად სკრიდე დანებით E-31, ST (ენაცვლება
2,8-ს).
- 3,4 ... დავუფენ ვითა ბულბულსა (!) ST; 3,6 კარდარაზულ-
სა] კარდასაზულსა ST. ხელნაწერში E-31 მე-3 სტრო-
ფის ტაქტები დალაგებულია შემდეგი თანამიმდევრობით
1, 2, 3, 5, 6, 4, 7, 8, 9.
- 5,1 ნუთუმცა] ნუთუცა T; 5,3 გულმომდინარე] გულმოდ-
გინარე T; 5,4 არსაწყინარე] არნამწყინარე E-31, T;
5,9 მანტორ] მანტირ T; 5,9 ფესვით] ფესვთა E-31.

ტანო ტატანო

(ხელნაწერები T, E-31, ST)

- 2,1 შეგშვენის] შენ გშვენის T, E-31; 2,2 გყვა] გყავს T,
E-31; 2,4 ტოლნი და სჭორნი E-31.
- 3,4 შევიმატნი] შევიმატდი T; 3,5 უცხოდ ვარებო] უცხოდ
ვარებო T.
- 4,3 რას შევაფარდო] რას შევაფარდო T, რა შევაფარდო
E-31; შევიზარებო] დავიზარებო E-31.
- 5,2 მოვინატრი] მოვინატრებ E-31; 5,4 მიჯნური] ბესი-
კი E-31.



ცალკეული
გამოყენების

20 შინა ფიქრები მიმართება

(ხედნანერები T, E-31, ST)

- 1,4 მიიყვანებ] მოყივნება E-31; 1,5 შემომზედო] შემო-
ხედო T.
- 2,2 მასა შევსტრფი] მას შევეტრფი E-31.
- 3,2 ჩამოლია] ჩამომლივა E-31; 3,5 ვინცა ამ ჭირში.
- 4,4 მიჯნურსა] მაჯნუნსა T, ბესიქსა E-31; 4,5 აკლია T-b.

დედოფალს ანაზედ

(ხედნანერი M)

- 1,2 მხმობელი] მთხრობელი.
- 2,7 მხილველნო] მხილველნი.
- 3,8 ან მოკლას] არ მოკლას.
- 5,3 ხელ[მ]ემნელმან] ხელქმნილმან.
- 5,6 გუანპან] გვანამან.

ბულაულის შესახვა

(ხედნანერები T, E-31, ST)

- 3,3 სანაცვალი] ნაცვალი მე E-31, ნაცვალი T; მზრახველი] მძრახველი ST.
- 4,3 შენგან მოკლული] შენგან მკლარი E-31'. E-31 ხელ-
ნაწერში მე-3 და მე-4 სტროფები შენაცვლებულია.
- 5,4 ბესიკი] მაჯნუნა T, მიჯნურნი ST.
- 5,5 შახველი] შეხველი E-31.
16. ბესიკი



მი შენი მიონი

საქართველოს
ეროვნული ბიბლიოთი

(ხედნანერები T, E-31, ST)

- 1,5 მე შენსა ყარიბს მიჯნურსა მაქვს აწ სავალალო.
 3,2 გყვანდა] გყვანდი E-31, მყვანდა ST.
 4,2 რა მზისა სიცხოვლე მისქირდეს E-31, რა მზის სიცოხ-
 ვლე (sic) მისქირდეს (აკლია მარცვალი) T.
 5,5 მიჯნური] მაჯნუნი T, ბესიკი E-31.

ცალი ისხარები

(ხედნანერები J, T, E-31, ST¹)

- 1,1 ცრემლთა ისხარნი] ციერთ ისხარნი.
 1,4 ესგვარ დარღნი] ამა დარღით J, T, E-31, ST (დარ-
 ღვეულია შინაგანი რითმა).
 2,1 ყმა-ძმანო] ყრმა-ძმანო J, T, ST; 2,4 ატადის კალოს,
 სავალალოს] ატატის კალო, სავალალო J, E-31.
 3,1 სევდის ჭური] სევდის შური J, T, E-31.
 3,2 დაბინღნა] დაბინღდა T.
 3,3 ... მარჯვე წრფელნი შორიდ საყოფლით T; შორნი სა-
 ყოფლით] შორნი სამყოფლით J, შორით გამყოფლით
 E-31; 3,4 სულით გამყოფლით] შორით გამყოფლით J.
 3,5 გალხენსა] გვალხენსა E-31.
 4,1 ვნატრით] ვნატრი J, E-31.
 5,1 ნუთუმცა] ნუთუცა T.
 5,2 ვერლა] ვერლა J; დაესახეთ] გავსახეთ T.
 5,4 შევსჩმახეთ] შევსჭმახეთ J.
 5,5 სწვიმეთ ცხელნი] სწვიმეთ ცხეცლი (sic) T. მე-4 და
 მე 5 სტროფების ბოლოს J იმეორებს 1,5-ს.

¹ ცრემლთა ისხარნი ST-ში სამგზისაა, ფურცელებთ შეთღლოდ ზოგიერთ
 გარიანტრ.

ს გული დაგამი უნაღ საჩიბლად

ვარიაციები
განვითარება

(ხედნანერები T, E-31, ST)

- 1,1 დავაგენ შენდა სარბელად T; 1,3 მარებლად] სარებლად T; 1,4 მისთვის თავს შეგწირავ] თავს მით შემოგწირავ T, E-31; ST.
- 2,1 ვარდი მიშალე] ვარდი შეზალა T; 2,2 მწვევდი, მძლევდი ბულბულს დამანდარია (დამადარია) T, E-31, ST.
- 3,2 მთენთა] მნათობს T, E-31, ST; 3,4 მე სხვა მიცნობს სხვისად ST.
- 4,1 ონ არ მნახო] ტანად ნაზო T, ST, ონ არ ნაზო E-31. ძირითად ხელნაწერებშია ონ.
- 4,2 უწყალოდ გულს] გული უწყალოდ T, E-31, ST.
- 4,3 ყარიბზედ] მიჯნურზედ T, ბესიკზედ E-31, ST.

ხმა სირინის

(ხედნანერები J, T, E-31, ST)

- 1,1 სირინის J; 1,1 თმა-ღულამბარ] ღაწვ-ღულამბარ J.
 - 1,2 ეარე] იარე T.
 - 2,1 სულთ ბაზრად] სულ ბაზრად T, ST; 2,4 ძეირად სიღმე] გვარად საღმე T, გვარად რაღმე ST.
 - 3,2 ეპგონე] ეპგონებ J.
 - 4,1 სახე] სახედ J; 4,2 გულთ სათენი] გულსა მთენი T;
 - 4,4 ტიელად] ტიალად J.
 - 5,3 მის მიჯნურსა რაც რა სჭირდეს არ ეებით ST; 5,3 მაჯნუნსა] ბესიკსა E-31, ბესიკს J; 5,3 რამცა ჰქონდეს] რაც რამ სჭირდეს J; რაც რომ სჭირდეს T.
- E-31 ხელნაწერში მე-2 და მე-3 სტროფები შენაცვლებულია, ოღონდ თავ-თავიანთ აღგილასაა ამ სტროფების მეოთხე ტაქტები, J-ზი კი შენაცვლებულია ამ სტროფების სწორედ მეოთხე ტაქტები.

შავი შავი



(ხედნანერები T, E-31, ST)

- 1,1 შემსხდარნი] შემსხდომნი T; 1,2 ხმაყარიბად] ხმალა-
რიბად T.
- 3,2 მომბირნი] მომბზირნი T, მომზირნი E-31, ST.
- 3,4 მომწყლვლელი] არის ძირითად ხელნაწერებში, დაბეჭ-
დილში გასწორებულია: მომწყლველ T.
- 3,4 ხან მოწყენით, ხან მღენით (sic) მღიმარენი ST.
- 4,2 მოსვითა] მოსითა T, ST.
- 4,4 ყარიბისა] ბესიკისა ST; მაჯნუნის (ბესიკის E-31). ცრე-
მლისა დამალინავნი T.

იაღონს ის მდარდა

(ხედნანერები T, S, ST)

- 1,4 დაბმულვარ] დაბმულმა S.
- 4,3 ვერ ყაყაჩო უხარის ST.
- 7,4-ს აქლია „შენდ, ალალო“.

ცრემლობა მდინარე

(ხედნანერი S)

აფტოგრაფში ამ ლექსს წამძლვარებული აქვს: „რუსეთით
ორბელიანის მიმართ სპასპეტისა დავით რევაზ სპასპეტის
ძისა, რომელი მიუწერა კნიაზ მდიგანთუხუცესმან ბესარიონ
ზაქარია მოძღვრისა ძემან გაბაონელ იოვიანმა, ოდეს მიუ-
ლეს დავით ორბელიანს სახლთუხუცესობა და მწუხარედ გა-
ნილეოდა გული მისი“.

- საღაით საღ] სითმე საღ (ეპიგრაფი); კილეგან ქმნილი] დანერგული (ეპიგრაფი).
- 2,9 ზარნი საკუთარნი] ზარი საკუთარი.
- 3,4 ჩვენთვის ბედქმნილი არღა გვედარნა.
- 3,5 ვითა] ვითლა.
- 4,4 ვლეთ] ვლოთ.
- 4,6 რამც ვიზარენით] მტრით ვიზარენით.
- 4,8 მტრით ვიზარენით] რამც ვიზარენით.

[გვილისაღში]

(ხედნანერი S)

- სიახლის საგონებომან (ეპიგრაფი); მწყევარსა ჩვენსა მწყევარი (ეპიგრაფი).
- ხმაი ჯაზაირ ბანდი (მრისხანებითი)] ხმა შაჰ-ადილი.
- 1,4 შენის სიმართლის] შენი სიმართლით.
- 1,5 რაი] რამე.
- 1,7 და თუ ესრეთ გეძახოს] ვინმცა ესრეთ გიძახოს.
- 1,8 გვიქნას] ექმნას.

[საისაღში]

(ხედნანერი S)

- ამისთვის უბმოთა] და უბმოთა (ეპიგრაფი); დამდები ყარიბი (ეპიგრაფი).
- 1,4 ხეებრ შემრხეო] ხეებრ (sic) შემრხეო; 1,6 რასლა] რასთა.
- 2,3 ნუმცა ვართ შენდა თვე-კვირა-წელთა, ნუმცა წყალ-ბმელთა.
- 3,1 ნახეს... ბრძენთ მამათ.

- 4,2 შენსა მზე-მთვარეს] შენს მზეს და მთვარეს.
 4,3 გაგშორდე] გაგშორდი.
 4,4 რომენ მაქვს შენგან ზლფათ შესართავნი ცრემლი ნარ-
 თავნი.

[მათობთადმი]

(ხედნანერები M, S)

- M-ს აკლია ეპიგრაფი.
 1,3 მილევით] მოლევით M.
 1,5 ვა, თუ სხვა გქონდენ] ვამ, თუ სხვა გაქვნდეს M.
 1,6 შემამცირანო] შენამცირანო M.
 1,7 მთენნო] მთენო S.
 2,2 ცორანო [ცისა] ცისა ცორანოს M.
 2,3 ცეცხლისა ქვამლთა] ცეცხლების ქვამლთა M.
 2,4 მიჰდარო] მდიდარო M.
 2,5 აღლესე ენა] აღავსე ესე M.
 2,6 დასჭერ სავნენი] დასჭრენ სავნონი M.
 2,8 ეგ არს] ეგერ M, S.
 3,1 საცაო] საცო M.
 3,8 ესრეთ შევაგენ] ვით მოიძაგენ M.
 მე-4 სტროფი M-ს აკლია.
 5,1 მარიბ-არეა არ სწორ მარეა M.
 5,3 ჭიმჭიმელ ხეევით] ჭიმჭიმლის ხეავით M.
 5,5 ვისდა ვლი] ვის დავლით M.
 5,6 ვისაც იკადრებთ საცილად ბრალთა M; 5,6 ვისდა] ვისად S.
 6,5 სად ფერნამკრთალსა] სადა ფერმკრთალსა M.
 6,6 სიკვდილი შზანი] სიკვდილის გზანი M.
 6,7 განსასრულს] განსხიპურს M.
 7,1 ალბასტრო] ალბისტრო M; 7,1 ემპლასტრო] ეპლას
 ტრო M, ემპლარტრო S.

ცალკეული
სისახლისა

- 8,2 თვალნი] ვალნი S.
 8,7-8 გულებთა ცად ტყვეთ არსად არი,
 აკლდების წევნად, მიიცვალენით M.
 9,1 თენვა] თნევა M.
 9,2 მიასხენ სხივნი] მიასრენ სხივნი S, მე ასრენ სხივნი M.
 9,5 განუხვენ ქარნი] აღუხვენ ქარნი M.
 9,7 მემცა სიახლე მით განმიახლე M.

ჩატ მიიჩინა სოფელები

(ხედნანერი S)

- 2,2 მოძწყურებია] მოძწყურებია.
 4,3 აპა] აპ.

ასპინძისათვის

„ასპინძისათვის“ ბესიეს თხზულებათა მესამე გამოცემა-
 ში დავბეჭდეთ სამი, მაშინ ცნობილი ხელნაწერის მიხედ-
 ვით (1516 S, 610 H¹, 5367 S). ერთი მათვანი, ხელნაწერი
 № 5367, გადაწერილია ოსე გაბაშვილის მიერ 1807 წელს.
 მაგრამ, როგორც გარკვეული გვაქვს², ბესიეს თხზულებათა
 კრებულებს ასე გაბაშვილი ადგენდა ზეპირად, თავის მეხსი-
 ერებაზე დამყარებით. ის, მაგალითად, სწერდა ანა დედო-
 ფალს: „ლექსები რომ გებრძანათ ბესარიონის, აქ არ მომყო-
 ლია და, თუ რამ ზეპირ ვიცი, გავიხსენებ, დავს-
 წერ და მოგართმევ, ხელმწიფეო“. სხვა დროსაც ასეს
 აღუნიშნავს: „ჩემის ძმის ბესარიონის თქმული ლექსები, რაც
 გამახსენდა, დაგიწერეთ“ო. ამასვე იმეორებს ასე სხვა
 წერილებშიც. ამიტომაც ასეს მიერ შედგენილი კრებულები

¹ ეს არის პირი ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ქართულ ხელ-
 ნაწერთა ფონდის საბინინისეული კოლექციის № 18/23 ხელნაწერისა. ამ-
 ფაზაზე რედაქციის ვანკარგულებაშია ამ ხელნაწერის ფოტოპირი.

² ბესიე, მესამე გამოცემა, თბ. 1932, გვ. 046 — 047.

ბესიკის თხზულებებისა საჭიროებს კრიტიკულ მიღვომას, ზა-
გულისხმოა, რომ 1516 წ და 610 ჩ ხელნაწერებში „ასპინძი-
სათვის“ შედგება 28 სტროფისაგან, თან მას საგანგებო შენი-
შვნა აქვს გაკეთებული „შემოკლებულად“¹, ოსე გაბაშვილის
კრებულში კი მოიცავს მხოლოდ 12 სტროფს (აქედანაც ორს
სხვა თხზულებებიდან მოყვანილს). ამეამად ჩვენს განკარგუ-
ლებაშია აგრეთვე იოანე მამუჩაშვილის კრებული (Q 1067,
გადაწერილი 1811—1813 წლების განმავლობაში). ამ კრე-
ბულში მოიპოვება ბესიკის „ასპინძისათვის“. მამუჩაშვილის
ტექსტი მცირეოდენი გარიანტული სხვაობისდა მოუხედავად
მისდევს ოსე გაბაშვილის რედაქციას, ოღონდ აქ მას. ერთვის
„აწ აჯა-ქენვით“, რაც სხვა წყაროებით დამოუკიდებელ ლექსს
წარმოადგენს საგანგებო მიმართვით: „სარდარო! ყარიბი.
ბესარიონისაგან თქმული“². უნდა ვითქმიოთ, რომ იოანე
მამუჩაშვილს ბესიკის ლექსები თავის კრებულში შეტანილი
აქვს ოსე გაბაშვილის რომელიღაც აწ უცნობი ხელნაწერი-
დან. ოსე გაბაშვილისა და იოანე მამუჩაშვილის რედაქციის
„ასპინძის“ მესამე სტროფი შედგენილია ბესიკის „რაც მი-
ირეწა სოფელმან“ ლექსის მესამე და მეოთხე სტროფების
მიხედვით (საღაც ლაპარაკია ლეკ ა ქ ა ლ ო ს დამარტინებაშე).
ამასთანავე დასახელებული ლექსის უკანასკნელი სტროფი ოსე
გაბაშვილისა და იოანე მამუჩაშვილის კრებულებში შეტანი-
ლია „ასპინძის“ პირველ, შესავალ სტროფად. „ასპინძისა“
და „რაც მიირეწა სოფელმან“ ურთიერთობის საკითხს ეხება
გ. ლეონიძე და ამბობს: „ლექსი «რაც მიიწერა სოფელმან»...
წარმოადგენს პოემის «ასპინძის ომის» ორგანიულ ნაწილს,—
პროლოგს, შესავალს, წინასიტყვას, რომელშიც პოეტი გან-
მარტავს, თუ რა მიზეზით დაწერა მან პოემა და რატომ მიუ-
ძღვნა იყი დავით სარდალს. ამირომ, შეუძლებელია ამ ლექ-
სის ჩამოთლა ძირითად ტექსტისგან და მისი ცალკე დაბეჭ-
დვა“².

გ. ლეონიძის შენიშვნა არ არის მართებული. „ასპინძისა-

¹ ბესიკი, მესამე გამოცემა, თბ. 1932, გვ. 62.

² ბესიკი, თბ. 1953, გვ. 115.

თვის“ და „რაც მიიჩეწა სოფელმან“: ორი სხვადასხვა ნაწარმოებია, სადაც სხვადასხვა მმებია აწერილი. ალექსაზი „რაც მიიჩეწა სოფელმან“ ასახულია დავით სარდლის მიერ შეიღი მეომრის თანხლებით ლეკთა დიდი მოთარეშე რაზმის აწყვეტა ავლაბარში (შვიდასი კაცისაგან შემდგარ ლეკთა ამ რაზმს წინამძღოლობდაო აქალო), „ასპინძა“ კი მოვითხობს თუ რქთა დიდი ლაშქრის დამარცხებას სამხრეთ საქართველოში, დაბა ასპინძასთან. ამ ორ ნაწარმოებს საერთო ის აქვს, რომ ორივეში შეექცულია დავით სარდლის სამხედრო ქველობა. მაგრამ ბესიქმა დავით სარდალს სხვა ლექსებიც მიუძღვნა. ახალ გამოცემაში ჩვენ ერთად ვბეჭდავთ დავით სარდლისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლს.

აქვე მთლიანად გაქვეყნებთ „ასპინძის“ ტექსტს ოსე გაბაშვილისა და იოანე მამუხაშვილის რედაქციის მიხედვით. საფუძვლად ალებულია ოსე გაბაშვილის. ნუსხა (O), ნაჩვენებია მამუხაშვილის (M) გამსხვავებული წაკითხვები. კვადრატულ ფრჩხილებში ჩამული ციფრები მიუთითებს „ასპინძის“ ძირითადი ტექსტის სტროფებზე.

სისრულისათვის ცალკე ვუჩვენებთ S ხელნაწერის განსხვავებულ (მცდარ) წაკითხვებს.

ასპინძისათვის

1. ესთქვა მცირე, თუ რა მახსოვდეს, სადა ვით იყავ,
სადა ვით,

მსმენთა შევაქმნა სასმენი არივეად, რადმე სადავით,

მისთვის დავაგდენ მრავალნი, ცოტაიმცა ვსთქვა სა და ვით.
და ვიცი, არ ჰყვარობ ქებასა, ჩვეულ ვარ მე თქვენდა, დავით!

2. ასპინძას მიწა გიწამებს, ურგებ არს ჩემდა თქმულები:
რუს-ქართველ-კახნი განგოქმიდეს და მესხთა დარაზ-

მულები,
თათარნი დელნი ლევანდით, ბაშ-ალა წყლად დანთქმულები,
და ჯერეთცა ჩივან ხვანთქრის კარს ჩაუშ-უზბაშთა წყლულები.

¹ წინა გამოცემებში ეს ტექსტი სხვაგვარად იქითხება: „რაც მიიწერა სოფელშიან“.

3. აწ მაშინდლისა ეამისა რამცა ვითა ვსოფევ ფერია,
გასსოფს, გასული ქალაქით მტერთ ზარის მომაგერია,
მცირითა ბევრი აწყვიდეთ, აქალოს თაქს ხვდა მტერია,
და მობრუნდი გამარჯვებული თეთრს მჯდომი .—ლბდ ვხ

4. აქამდე გულებთ სავაჭრო გედგნეს გმირსავე ტანია,
ნარდიონს ვარჯნი ლულარჭნილნი ლულამბრებ ანატანია,
მუნ შუბლის შარავანდობა მზის დისკოთ ნაჭვრეტანია,
და ირისე ცასა პფერობდა, ცით კრთოდის ამარტანია.

5. ორთაცა ტოლთა ნაჩვიშთა შორის ვარსკვლავნი
თემობით,
ტოპაზის ღილთა მწყურნებთა ყორანნი გცვიდეს ჩემობით,
შაბარლუხს შური ეპოვნა, მონებდა გუგის მრწემობით,
და მით თვალთა ჩემთა ლარიბთა ცრემლნი დაპფარვენ
მდენობით.

6. მზის სვეტის პინჩთა ნიავნი ტკბილ ბერვეთ
პალასინობდის,
მუნ გარე ბროწეულისა წყნარ ზღვებთა ზედან გჩინობდის,
ბარაინს მანგნი მოეცვნეს, ბალახშის ლელვით ლინიობდის,
და მას ზღუდედ აშკი გიშრისა სისუფთეს გულსმოღინებდის.

7. სადაცთა გარე მსხლომელთა აებნეს თეთრინი ალამნი,
მარმარისა ყაფრად შედგმულსა ზე ედგნეს წყლულთა
მალამნი,
ალვასა რტონი შეპფრობდეს, როსტომის განძალამნი,
და სამფსონის ძალო ხელთაო, ხელსავე ცრემლი მალამნი.

8. ლომსა გულითა მქერდიცა ცის ლომის დაგეცაო-და,
ზურგსა მაღნინგნი ილგერა, ფოლადთა გაეხმაღდა,
სიმტკიცე გვერდთა ანდამატს თვისებრვე დაზაოდა,
და ბეჭთა და წელთა ნაკვეთი ინდო კალამთ შენაზაოდა.

9. მათ ქვეშე წვივთა ნაკვეთი და მუხლთა ახილეობა,
ირმისებრ ფერხთა სიმტკიცე, ბროლ თლილთა თითთა
წვრითილობა;

ფრჩხილთა არწივნი ნატრიდეს, აჯითა ჰქონდეს ყრილობა,
და სულდიდსა სულნი გფარვიდეს, შვენოდეს შენთან
ზრდილობა.

10. ზრდილობა კმარდის შეხედვას უსაქმოდ რდენ სახისა,

სახისა დაუსახისა, ვერეისგან დანაზრახისა; დანაზრახისა თუ საღმე, ბრძენთა საქებრად ახისა,
(და) ახისა მუფარახისა, ვაი აწ განალახისა.

11. მტკვარს, ქციას, ქსნიას და ლიახვთ, ვინცა ახსენა
სმაღ და ჩრყვაღ,
ალაზანს, ოორს, მაშავერს, დებუდა, ალგეთს, სხვას და
სხვად,

ყვირილას, რიონს, ცხენისწყალს, ტეხურს, ჭანისას,
აბაშად,
(და) ენგურს, ბალვს, კასპით პონტომდის, საქმე გაქვსთ დიდად
თამაშად.

12. აქა, სურინ, ამაღ სწყურინ, აგერ სულსა განაკიდეს,
აგონდების, აღონდების ერთსა ოდენ განაკიდეს,
ვაი ვითარ, გხედავ სით არ, განატყორცი, განაკიდეს,
და ესრეთ თურე აქვსყე ყურე სოფლის კვალთა განაკიდეს.

M 13. აწ აჯა-ქენვით ჩემს კალამს ვარქვ, რათა გძლვნიდეს
შენ სალამს,

* სიტყვით მართვიდეს თეთრს ალამს, უძლვნიდეს. ჩემს
გულს დღეს მალამს;
სადა ყარიბი დღეს დალამს სათხარად მიწას, მტვერს და
ლამს,
და მოხედვა ვალად ძევს ალამს, სიკვდილი პირსა მცემს,
მალამს.

პაპინძისათვის

(S ხედნანერი)

3,2 ვაჩსკელავთა] ვაჩსკულავთ.

3,2 თითბრის] თითრბის.

3,3 აქლა.

8,2 შექშენა... ტანი] შეგშენა... ტანის.

9,2 იხელოენ] იხულოენ; 9,4 იყვი] იყავ.



- 11,2 ხრმალს განერკვია] ხრმალ განერქი.
 12,3 მეხის] მეხისა.
 17,2 რა] რად.
 19,3 სწყუროდათ] პსწყუროდათ.
 23,2 გჩინობდის] მჩინობდის.
 23,4 სისუფთეს] სასუფთეს.
 25,2 მაღნიტნი] მაღნინტი.
 26,1 ახილეობა] ასაილობა.
 26,3 ფრჩხილთა] ფრცხილთა.

(M ხედნანერი)

- 1,2 არ იქვა სადმე; 1,3 მცირედიცა; 1,4 თქვენსა.
 3,1 მაშინდელის; 3,2 ზარით; 3,3 ბევრი ასწყვიტეთ.
 4,2 ლულამბრებრ; 4,3 დასკოს.
 5,1 ვარსკვლავთა; 5,3 შაბარდულს; 5,3 გუგის] გულის.
 6,4 გულსმოდეგინობდის.
 7,3 შეფროდეს; 7,4 სამსონის.
 8,1 კისა ლომის დაგეცო და.
 9,1 ზე ახილობა.
 11,1 მტკვარსა, ქციასა და ლიახვთ; 11,2 მაშაერს; 11,4 ბახუს.
 კასპით პონტომდინ.
 12,2 იგონებდის, აღონებდის.
 12,3 ვანაზიტყოცი.

აწ აჭა-ქვები

(ხედნანერები M, S)

- 2 ულვწილეს] უძლვნილეს M
 3 ჰეებს და ლაშს] დლეს დალაშს.
 4 სძეეს] ძეეს.

მირიან ბატონიშვილზე

საქართველო
სამხრეთის მიმღებელი

ეს ციკლი ლექსებისა დაწერილია კრემენჩუგში 1788—1789 წლებში. როგორც ცნობილია, მირიანი მეთაურობდა ქართლ-კახეთის სამეფოს წარმომადგენლობას რუსეთის კარზე. მირიანი თავისი თანამშრომლებით იმყოფებოდა ფელდმარშალ პოტიომპინის ბანაკში. ჩანს, სადგომი ჰქონდა ქალაქ ელისავეტეგრადში. თავის მხრით ბესიკი ხელმძღვანელობდა იმერეთის სამეფოს სპეციალურ დიპლომატიურ მისიას. ისიც პოტიომპინთან იყო დაკავშირებული, ცხოვრობდა კრემენჩუგში. კრემენჩუგში შეთხელი ლექსების ერთი რიგი, მათ შორის ორი ლექსი ანტონ კათალიკოსზე და ზმა მირიან ბატონიშვილზე დაუცავს ბესიკის ავტოგრაფულ ხელნაწერს (H 2662). მირიანისადმი მიძღვნილი სხვა ლექსები შემოუნახავს თვითონ მირიანის ავტოგრაფულ ჩვეულს, რომელიც ამეამად ჩაკრებულია S 3723 ხელნაწერ კრებულში. როგორც ვთქვით, ზმა ბესიკი ავტოგრაფით არის მოწეული: ავტორი შენიშნავს: „ეს მისს (ანტონის) ძმას, მეფის ძეს მირიანს მისწერა მუნევ“. ანტონ მეორე კათალიკოსი, ერეკლეს ძე, იყო მირიანის ძმა, ქართლ-კახეთის სამეფოს საელჩოს წევრი. ლექსი გაგზავნილია ელისავეტეგრადში. თვითონ მირიანი ამბობს პირველი ლექსის გამო: „ამისგანვე (ბესარიონისგანვე), ამავე წელს (1788), ოკლობრის ივ (13), ქალაქსა ელისაბედედს კრემენჩუკიდამ ჩემთან მოწერილი შაირნი“ ლექსი შემოკლებული რედაქციით არის თეიმურაზ ბატონიშვილის კრებულში (T). თეიმურაზი შენიშნავს: „ბესარიონისა. კრემენჩუკიდამ ელისაბედგრადში მისწერა მეფის ძეს მირიანს“. თეიმურაზის ტექსტს აქვთ პირველი და მეექვეს სტროფები, შემოუნახავს რამდენიმე განსხვავებული წაკითხვა¹. ამის მიხედვით ვასწორებთ მე-4 სტროფის პირველი და მეორე ტაქცების სარითო სიტყვებს (ალიად, მყრალიად: ავტოგრაფშია: ალიათ, მყრალიათ). მი-

¹ 2,1 ამ(ა)ს ხშირად ხმობს] ამას ტკბილად ხმობს; 2,4 ხშით] ხშად; 3,2 მიმოდაბლუნდებით იქცვის.

რიანს დაუყოვნებლივ ლექსითვე უპასუხია ბესიკისათვის „მარიანის რეეულში ამ საპასუხო ლექსის ტექსტს შენიშნულია“ აქცა: „ამასვე წელს, ამისვე თვის იდ (14), ბატონიშვილის მირიანის ნაბრძანები პასუხი მასთან“ (S 3723). ქვემოთ მოგვყავს ამ საპასუხო ლექსის ტექსტი მთლიანად. ბესიკს შეუთხზავს მირიანისათვის პასუხის პასუხი (მირიან ბატონიშვილის, მეორე). ესეც მირიანის რეეულშია დაცული, უძღვის შენიშვნა: „ბესარიონისგან მოწერილი პასუხად“ (S 3723). ბესიკის მესამე ლექსი მირიანისადმი დაწერილია 1789 წლის 9 თებერვალს. ლექსა აღრესატისათვის გაუგზავნია „კავკასიის ლინიაზედ“. ესეც მირიანის ავტოგრაფულ რეეულში მოიპოვება შენიშვნით: „წელსა ჩ ღ პ თ (1789), ფებერვლის თ (9), ამისგანვე (ბესარიონისგანვე) მოწერილი კავკასიის ლინიაზედ“.

მირიან ბატონიშვილი
(ბესარიონ გაბაშვილის)

შ ა ტ რ ნ ი

[1]

გებრძანა: ჩვენი აქ ყოფნა საწუხარ არს, არშვებია,
გრიგოლისაგან კრემენჩიუქს უკარიოდ სახელ სდებია,
მაგრამ მე ვვონებ: აქისგან მანდ ყოფნა სავარგებია,
აწე ყველაი ვიწმიშვით, მოგვახლდნენ ისმალებია.

გ

ჩვენც ვემზადებით ყოველი ჩვენის დასტით და ჩემის
ძმით,

თვად ვარსევან მინისტრი თვად დმიტრიოსურთ ჯაჭვის ცმით,
სოლალოვ ქვლივი, მარტყოფელ და მისირელ ბოხის ხმით,
ტეტია ხმლით, პაატა ჩამჩით, ფილიპ პრეოჭი ჩანქნის რქმით.

8

სხვარიგად მშეიღობითა ვართ, ავათა გვყაეს ერთიც აზა,
ზაზამ სახელო იშოვა, ტანწედ გარდაიცო ხარა,
გორიოდნიჩად* განაწესეს, მიაბარეს ქუჩა-შარა.
მათორი რას აკეთებს, რასთვის აქეთ არ ემგზავრა?

ჩ ა ხ რ ი ხ ა უ ლ ი

ყოვლად სამლოდელო ალავერდელი
სულიერადა შემერავ-გამხსნელი,
ცოდვის ზღვაშიგან დანთქმადის მშეელი
და მისთა ბრალთა აღმხოც-დამწველი,
კეთილის საქმის აღმსრულებელი
და ბოროტისა არმყურებელი
კურთხევას გიძლვნის მარჯვნით მწალნელი,
რათა განგშორდეს შენ გამსაცდელი.

უ დ ი ხ ი

ჩვენი მინისტრიც თავს გიქრაეს, გასდილი თავაზიანი,
მეტადრე საქმეებშია გამოცდილი და ჰქვანი,
ეგრე თავად დიმიტრიცა ჭამბაყურ-ორბელიანი
და მინისტრის პრეოჭიები ფილიპე ფარუკიანი.

ჩ ა მ თ კ ი თ ხ ვ ა ნ ი რ ა ვ გ ვ ბ ა დ

[ა]

მკურნალეს ხელს დავეწავე: სულიერს მამას — მოწაფე.

8

თავს უკრავ ლეკურს თიღიანს, თქვენს სვიმონს მცირე ბიღიანს.

8

მხლტომელს, მფრინავს ვითა ქორსა, სალამს ვეადრებ შიომრისა.

9

ეგრეთ ვასილ კოტეტს მწერალს, აწინდელსა ჩვენსა მერალს.

10

სასუფევლის კარზედ მიმძოოლს გიორგის და ჩვენსა გრიგოლს.

ოსებ შღვდლის წინაშძლვროვის მაგირაჲ მოყიონხვა

ჩახრია ც ლ ი

ოსეფ ჭაპუა, აბრამ პაპუა,
მეორე ნონე აწინდელია,
ღვინის მკაპუა, სრულად მყაპუა,
ნალიმზედ სხვათაც სურით მწდელია,
ჭაპოს ლაპუა, ფლავის მყლაპუა,
თეფშის მოწმენდის ფანჯით მცდელია,
ზერდაგ შლაპუა, პროთა პაპუა,
კურთხევას გიძლვნი ვითა მღვდელია¹.

გაიოს არძიშანდრიტს

(ხ უ მ რ ი ბ ა)

ლექსი დაცულია მირიან ბატონიშვილის „ვტოვრაფულ რეკლში (S 3723). მოეპოვება მირიანის შენიშვნა: „წელსა ჩ ღ პ შ (1788), სეკდემბრის ი ზ (17), კრემენჩიკის მე და ბესარიონ გამაშვილი ერთათ ვიყავით, სადილს ვაპირებდით. არ-

¹ ას ლექსი დამტკიცილი აქვს ე. თავათშვილს (II, 332—334).

ქიმანლრიტი გაიოს დავპატიუეთ, რომელსაცა რომე ბოლიში
შემოეთვალა: «ნასადილევი ვარ, ქარიშხალიც არისო, და ტარიშები
ლახიცაო, ვერ გიახლები». ამაზედ ბესარიონმან მისწერა ხუ-
მრობა ჩახრიხაულათ». ოეიმურაზის ანთოლოგიაში (T) ეს
შენიშვნა შემდეგი რედაქტიოთაა: „კრემენჩუქს ბესარიონ
(გაბაშვილი) ბატონიშვილს მირიანს ახლდა. მაშინ გაიოზ არ-
ხიმანდრიტიც იქ იყო. დაიბარეს და არ მოვიდა. შემოეთვალა:
«სადილნაჭამი ვარ და ქარიც არისო და შეუძლოთაც ვართ».
მაშინ ბესარიონმა მისწერა ეს ლექსი გრიგოლ ზორკე-
შვილის ლვდლის მაგიერად“. გაიოს არქიმანდრიტი (1746—
1821) — ცნობილი მწერალი, პედაგოგი, საეკლესიო და სა-
ხელმწიფო მოღვაწე — ითვლებოდა ქართლ-კახეთის სამე-
ფოს საელჩოს წევრად რუსეთის კარზე.

მზეპაბურ ორბელიანიდ

მზეპაბურ ანუ ჭაბუა ორბელიანი (გარდ. 1794 წ.) იყო
ერეკლე მეორის მდივანბეგი და საქმაოდ ცნობილი მწერალი,
მახვილგონიერი და ენამოსწრებული. გარეგნულად ჭაბუა ყო-
ფილა ძლიერ მახინგი, თანაც ავი ხსნიათი ჰქონია. მას პოე-
ტური პაექტობა ჰქონდა ბევრ თანამედროვესთან. განსაკუთ-
რებით გახმაურებულია ბესიქისა და ჭაბუას მწვავე პოეტური
პაექტობის ისტორია. პაექტობის წამომწყები თითქოს ბესიკი
ყოფილა. პირველად მას დაუწერია „კიცხევით შესხმა“ ანბანთ-
ქებად „ათინას აღზრდილს აქებდეთ“. გრიგოლ ბატონიშვი-
ლის სიტყვით: „ოდეს ბესარიონს გაბაშვილსა და ჭაბუა მღი-
ვანბ(ე)გასა ლაპარაკი და სამდურავი მოუხდათ ერთმანერთ-
თანა, მაშინ, რადგან ჭა(ბ)უა კუზიანი იყო და ურიგოდ აგე-
ბული, ბესარიონმა ეს ამბათქება (sic) დაუწერა და მეურ-
გითრების მიაჩოთ“ (H 2130). გრიგოლ ბატონიშვილი ცდება
იმაში, ვითომც ბესიქმა ეს ლექსი გიორგი მეფეს. მი-
ართვა. ლექსი დაწერილია ბესიკის ქართლიდან გაძევებამდე-
კ. ი. 1777 წლამდე (გიორგი გამეფდა 1798 წელს) მაშასადა-

მე, ბესიქს ლექსი მიურთმევია ან გოორგისათვის ბატონიშვილობაში, ან ერეკლე მეფისათვის. ხელნაწერი S 3686 ბესიქის ანბანთქებას უწოდებს „კიცხევით შესხმას“. ჭაბუა ორმელიანს ბესიქისათვის უპასუხია ანბანთქებითვე (ქვემოთ მთლიანად იძეკლება). ამის გამო ბესიქს დაუწერია ახალი, თუმცა შესაფერისი, მაგრამ მეტად უწმაწური „შესხმა“ — „დამპალო ლეშო“. იგივე გრიგოლ ბატონიშვილი ჭერ შენიშნავს: „ბესარიონ გაბაშვილის ნათქვამი მუსტაზადი ჭაბუა მღივანბეგზე, რაღვანც ჭაბუა იყო დიდათ სქელი, კუზიანი და ავსახე“, ბოლოს კი ერცლად ურთავს: „ჭაბუა მდივანბეგი დიდი საბატიო და მეცნიერი და შემაქცევარი კაცი იყო, და მეფე ირაკლის დიდათ უყვარდა, და ხუმრობაებიც იცოდა და მოსწრობა სიტყვისა მსწრაფლად და მარდად იცოდა და ამის გამო კურთხეულმა მეფემ ირაკლიმ უბძანა: „ჭაბუავ, რატომ ბესარიონს მაგიერს ლექს(ს) არას დაუწერო? — და მაშინვე იმავ წამს მოახსენა: «შენი ჭირიმე, ბლიაძეს რა ლექ(ს)ის გაეწყობაო». იქ მყოფთა დიახ ბევრი იცინება“ (H 2130). ბლიაძები იყვნენ სახალხო მგოსნები, შედარებით დაბალი სოციალური წრიდან წარმოშობილი. ბესიქისათვის ლვარძლიან თავიდიშვილს ბლიაძე უწოდებია და თითქოს ამით მოუჭიმია გული. არსებითად კი ჭაბუას ბესიქისათვის მეორედ პასუხი ვეღარ გაუცია. თითქოს მზეჭაბუკისადმი უნდა იყოს მიმართული ბესიქის ერთი სატირული ლექს-ს ფრაგმენტი, რომელიც ჩვენს აწინდელ გამოცემაში პირველად ქვეყნდება.

